ჯონ ბევირი

ავტორი ბესტსელერისა „სატანის სატყუარა“

სიკეთე თუ ღმერთი?

რატომ არ არის საკმარისი ღვთის გარეშე

თანდართული DVD სხვადასხვა რესურსებით

ძვირფასო მეგობარო,

როცა ღმერთთან ურთიერთობას ვიწყებთ, იგი ჩვენი ცხოვრების ყოველ ასპექტს ცვლის! იესო ქრისტეს უფლობა და მისი მადლით მოსილი ყოველდღიური ცხოვრება სიუხვით სიცოცხლეს გულისხმობს.

„სიკეთე თუ ღმერთი?" უბრალო წიგნი არ გახლავთ. ეს ის სიტყვაა, რომელსაც ადამიანთა შთაგონება შეუძლია, რომ სიწმიდის მოძრაობაში ჩაებან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამას წინამძღოლებთან, ეკლესიებთან, ოჯახთან, მეგობრებთან და საზოგადოებასთან სიწმიდის სიტყვის მიტანით შეძლებთ. მხოლოდ ერთი კაცის, პავლეს, მიერ ადამიანთა მცირე ჯგუფის სწავლება ერთ პატარა სკოლაში საკმარისი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით მთელი აზია მოეცვათ სულ რაღაც ორ წელიწადში! ისინი ღვთის თანდასწრების მატარებლებად იქცნენ. (იხილეთ საქმ. 19:1-10) რის გაკეთება შეუძლია ღმერთს, როცა მის მიმართ სწრაფვას გავაერთიანებთ?

უფალმა ჩემი გული აღძრა ამ სიტყვის თქვენთვის და სხვა მეგობარი წინამძღოლებისთვის გასაზიარებლად. მინდა აღგჭურვოთ, რომ ეს გამოცხადება თქვენი გავლენის სფეროში მიიტანოთ. სიამოვნებით მოვისმენდი, რა გავლენა მოახდინა მან თქვენზე და თქვენს ირგვლივ მყოფებზე.

პატივისცემით,

ჯონ ბევირი

JohnBevere@ymail.com

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org



სიკეთე
თუ
ღმერთი?

რას ამბობენ წინამძღოლები წიგნის „სიკეთე თუ ღმერთი?“ შესახებ?

„სიკეთე თუ ღმერთი?“ წმ. წერილის სიღრმეებში ძალმოსილი მოგზაურობა გახლავთ, რომელიც გამოიწვევს და გარდაქმნის თქვენს თვალთახედვას, თუ რას ნიშნავს სიკეთით ცხოვრება!“

მარკ ბატერსონი, New York Times-ის
ბესტსელერების სიაში შემავალი ავტორი(*The Circle Maker*)

„სიკეთე თუ ღმერთი?“ საოცარი გაკვეთილი გახლავთ, რომელიც მოგიწოდებთ, ჭეშმარიტად ეძებოთ უფალი თქვენი ცხოვრებისთვის მისი სრულყოფილი ნების გასარკვევად“

ჯოის მაიერი, ბიბლიის მასწავლებელი და
ბესტსელერების ავტორი

„ჯონ ბევირი გახლავთ პატივდებული მასწავლებელი, წინამძღოლი, მწერალი და გარდა ამ ყველაფრისა, კარგი მეგობარი და ცათა სამეფოს თანამშრომელი. მისი სურვილია, რომ ყოველი ადამიანი ცხოვრობდეს არა უბრალოდ კარგი ცხოვრებით, არამედ ღვთიური ცხოვრებით, რაც თქვენს რწმენას გაზრდის და მოგიწოდებთ, რომ გაბედულად შეაბიჯოთ ყველაფერში, რაც იესომ თქვენთვის მოამზადა. ჯონის სწავლება და პირადი გამოცხადება ღვთის ნებისა და თქვენი მომავლისთვის მისი საუკეთესო გეგმების შესახებ ახალ მიგნებებს მოგაწვდით“.

ბრაიან ჰიუსტონი, ჰილსონგის ეკლესიის უფროსი
მწყემსი

„როცა წავიკითხე ადამიანთა ისტორიები, რომლებმაც ღვთის სიყვარულის გამო უპრეცედენტო საქმეები მოიმოქმედეს, გულით მომინდა მათ შორის ყოფნა. „სიკეთე თუ ღმერთი?“ გადმოგცემთ, თუ რა ხდებოდა მათ გულსა და გონებაში, ვინც ღვთისგან საუკეთესოს მიღება გაცილებით მნიშვნელოვნად მიიჩნია, ვიდრე უფრო მოსახერხებელ სიყალბეებში დარჩენა. თუ ღვთისა და მისი მსახურების უკიდურესი გზების შეცნობის სურვილის გაზიარება გსურთ, გირჩევთ ეს წიგნი წაიკითხოთ!“

ჯონ კ. მაქსუელი, ბესტსელერების ავტორი და
მქადაგებელი

„ჯონ ბევირის წიგნი *„სიკეთე თუ ღმერთი?“*გიწვევთ, რომ არასოდეს დათანხმდეთ იმაზე ნაკლებს, ვიდრე ღმერთმა მოგიმზადათ. ჯონი შესანიშნავ საქმეს აკეთებს იმის შეხსენებით, რომ ღმერთს ვიპოვით, როცა მას ვეძებთ“.

ჯენთე ზინ ფრანკლინი, Free Chapel-ის მწყემსი და
New York Times-ის ბესტსელერების სიაში შემავალი
ავტორი(*Fasting*)

„სიკეთე თუ ღმერთი?“ ძირეულად შეგარყევთ. თუ ამ საქმეს ჩვეულებრივ უდგებით, ეს წიგნი თქვენთვის არ არის. თუ გსურთ, რომ თქვენი თვალთახედვა სამუდამოდ შეიცვალოს, სრულად შეითვისეთ ეს სიტყვა. იგი თქვენს ცხოვრებას გარდაქმნის!“

ქრისტინ კეინი, The A21 Campaign-ის ფუძემდებელი
და ბესტსელერის *„Unstoppable“* ავტორი.

„შთამაგონებელი. ნათელი. საჭირო. *„სიკეთე თუ ღმერთი?“* არსებითად გვახსენებს, რომ კეთილ ადამიანად ყოფნა ჩვენი მიზანი არ არის. წიგნი გამოკვეთს ადამიანთა წინაშე არსებულ შესაძლებლობას, რომ არსებობს ზნეობრივი მორჩილებით აღბეჭდილი საერო ცხოვრებიდან აღსაფრთოვანებელ ცხოვრებაში გადასვლის შესაძლებლობა, რომელიც მხოლოდ იესოსგან მოდის“.

ლუი გიგლიო, Passion City Church-ის მწყემსი,
ატლანტა, ჯორჯია;
Passion Conferences-ის დამფუძნებელი

„როგორც ანთებული ასანთის ღერი ფანტავს წყვდიადს, ისე ჯონ ბივერიც აშუქებს ღვთის თანდასწრების გამოვლინების გზას და მკითხველში დაუცხრომელი სურვილის ცეცხლს წარმოქმნის, რომლის დაკმაყოფილება უფალთან ძალზე ახლო ურთიერთობით თუ ხდება შესაძლებელი“.

ეპისკოპოსი *თ. დ. ჯეიქსი,* TDJ Enterprises-ის
აღმასრულებელი დირექტორი და *New York Times*-ის
ბესტსელერების სიაში შემავალი ავტორი

„ღვთის სიკეთე ჩვენს ირგვლივ სუფევს, მაგრამ ვაცნობიერებთ თუ არა ამას სინამდვილეში? *„სიკეთე თუ ღმერთი?“*გახლავთ წიგნი, სადაც ჯონ ბევირი გვიხსნის, თუ რას ნიშნავს „სიკეთე“ და რა დამოკიდებულება აქვს მასთან ღმერთს. ამ მნიშვნელოვანი წიგნის კითხვისას ინტერესი გიპყრობთ, გამოწვევას იღებთ და ღვთისგან საუკეთესოს მოძიების და სხვებისთვის გადაცემის სურვილით ინთებით“.

კრეიგ გროშელი, LifeChurch.tv-ის უფროსი მწყემსი და ავტორი
წიგნებისა *This Day Forward* და *Five Commitments to Fail-Proof Your Marriage*

„ჯონ ბევირისგან კიდევ ერთხელ გავიგონეთ საოცარი, ცხოვრების გარდამქმნელი მოწოდება ქრისტეს სხეულის გააქტიურებისკენ. იგი თავის წიგნში *„სიკეთე თუ ღმერთი?“* მკითხველებს აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ღმერთთან ურთიერთობაში უდიდესის მიღება და მათი ცხოვრებისთვის უფრო მაღალი სტანდარტების დასახვა“.

მეთიუ ბარნეტი, Angelus Temple-ის უფროსი მწყემსი, ლოს ანჯელესი, კალიფორნია და Dream Center-ის თანადამფუძნებელი.

„სიკეთე თუ ღმერთი?“ გახლავთ წიგნი, სადაც ჯონ ბევირი ღვთიური სიკეთის ჩვენეული გაგების გადაფასებისა და იმ სფეროების ამოცნობისთვის გვიწვევს, სადაც საკუთარი სტანდარტები დავამკვიდრეთ. ავტორი ღრმა ბიბლიური ხედვისა და საკუთარი გამოცდილების ამაღელვებელი მომენტების მეშვეობით მკითხველებს შთააგონებს, რომ უარი თქვან ქვეყნიერების მიერ შემოთავაზებულ ყალბ სიკეთეზე და თავიანთი გულები ხელახლა დაუმორჩილონ ჩვენი ზეციერი მამის სრულყოფილ სიწმიდეს. *„სიკეთე თუ ღმერთი?“* ყველა ქრისტეს მიმდევარის სავალდებულო საკითხავია, ვინც არ ჯერდება უფრო ნაკლებს, ვიდრე ეს არის ღვთისგან საუკეთესოს მიღება“.

კრის ჰოჯესი, Church of the Highlands-ის უფროსი მწყემსი და ავტორი
წიგნებისა *„Fresh Air“* და *„ Four Cups“*

ჯონ ბევირი

სიკეთე *თუ* ღმერთი?

რატომ არ არის საკმარისი ღვთის გარეშე

Good or God? by John Bevere, Georgian
© 2016 Messenger International
www.MessengerInternational.org
Originally published in English as Good or God?
Additional resources in Georgian by John Bevere are available for free download at:
www.CloudLibrary.org
To contact the author: JohnBevere@ymail.com

სიკეთე თუ ღმერთი? ჯონ ბევირი ქართულად
© 2016 Messenger International
www.MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
ჯონ ბევირისაგან, დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე
ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org
ავტორის ელფოსტის მისამართია: JohnBevere@ymail.com

ამ წიგნს ვუძღვნი ჩვენს ვაჟს,
არდენ ქრისტოფერ ბევირს

შენ ბეჯითი, ძლიერი, გულჩვილი და ბრძენი ხარ! მაოცებს შენი მგრძნობიარეობა გულგატეხილ ადამიანთა მიმართ. შვილო, შენით ვამაყობ და სამარადისოდ მიყვარხარ!

შინაარსი

მადლიერება	13
წიგნის შესახებ	14
შესავალი	17
თავი 1: რა არის სიკეთე?	19
თავი 2: ეს როგორ უნდა მომხდარიყო?!	31
თავი 3: სიკეთის საყოველთაო სტანდარტი	45
თავი 4: საძირკველი	63
თავი 5: სურვილი საკმარისია?	81
თავი 6: ჩვენი შინაგანი ჯი-პი-ესი	97
თავი 7: ჩვენთვის დაშურებული	115
თავი 8: მეგობრობა	129
თავი 9: უგულებელყოფილი ჭეშმარიტება	149
თავი 10: საწვავი	167
თავი 11: კარგი თუ სასარგებლო?	189
თავი 12: წმიდა ცხოვრებისთვის წვრთნა	203
თავი 13: ჩვენი მოტივაცია	219
თავი 14: ჩვენი პარამეტრები	237
თავი 15: გარჩევა	257
თავი 16: საერთო სურათი	275
შესწავლა და სადისკუსიო კითხვები	281

მადლიერება

მადლობა ჩემს მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს: თითოეული თქვენგანი ღვთის საჩუქარია და სიუხვე შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. მე თქვენ სამარადისოდ მიყვარხართ!

გუნდს, საბჭოს წევრებს და Messenger International-ის პარტნიორებს: მადლობა ჩემი და ლიზას თანადგომისთვის! ღმერთს ვერ შევთხოვდით თქვენზე უფრო ერთგულ და ჭეშმარიტ მეგობრებს, რომლებიც ჩვენს გვერდით დგანან მსოფლიოს ხალხებისთვის იესო ქრისტეს დიდებული სახარების მიტანის საქმეში.

ბრიუსს, ჯეილინს, ვინსენტს, ალისონს, ედისონს და ლორანს – მადლობა ამ წიგნის დახვეწისთვის თქვენი რედაქტორული უნარების გამოყენებით! აღფრთოვანებული ვარ თქვენი ღვთივბოძებული ნიჭით.

ალან, მადლობა წიგნის გარეკანის თვალსაჩინო დიზაინისთვის! ის ნათელი და უმაღლესი ხარისხისაა.

ედისონს, კოლინს, ესთერს, ტომს, მეტს, არდენს, ალანს, ჯეილინს და დევიდს – მადლობა ამ წიგნის წაკითხვისთვის მისი ჩამოყალიბების სტადიებზე და რთული ადგილების ბრძნული და ჯანსაღი ჩასწორებებისთვის.

ტომს, ესთერს, ედისონს, ოსტინსა და ჯონს: მადლობა ამ წიგნის გამოცემასა და რეალიზაციაში გამოჩენილი გონიერებისთვის!

რობსა და ვანესას – მადლობა დაუღალავი შრომისთვის ამ წიგნის მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად!

ჩვენს ზეციერ მამას, უფალ იესო ქრისტეს და სულიწმიდას – მადლობა, რომ სრულად დაგვიხსენი ჩვენი ცოდვებისგან, შვილებად მიგვიღე და შენს საყვარელ ხალხს ეს სიტყვა გაუცხადე! შენია მთელი დიდება!

წიგნის შესახებ

*შეგიძლიათ „სიკეთე თუ ღმერთი?“*თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ სხვა წიგნების მსგავსად. გარდა ამისა, წიგნის დასასრულს დამატებითი მასალა ჩავრთე მათთვის, ვისაც *„სიკეთე თუ ღმერთი?“*-ის გამოყენება სურს ინტერაქტიული შესწავლისთვის. სწავლების განხორციელება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. წიგნი ექვსკვირიანი კურსისთვის არის შედგენილი, მაგრამ თავისუფლად შეგიძლიათ მოარგოთ თქვენს საჭიროებებს.

თითოეული კვირა მოიცავს:

- კითხვებს ჯგუფური დისკუსიის ან ინდივიდუალური საჭიროებისთვის;
- ყოველკვირეული ლოცვებს ღმერთთან მოზიარეობისთვის;
- *იფიქრეთ:* მუხლი განსჯისთვის მთელი კვირის განმავლობაში;
- *გამოიყენეთ:* ნასწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების მარტივი გზა.

თითოეული კვირის შესაბამისი თავები მოცემულია სადისკუსიო კითხვების ზემოთ.

თუ ამ წიგნს სასწავლო გეგმის ნაწილის სახით კითხულობთ, რეკომენდაციას გაძლევთ, რომ უყუროთ ან მოუსმინოთ თითოეული კვირის სასწავლო მონაკვეთს და ჯგუფურად უპასუხოთ წიგნის დასასრულს მოცემულ კითხვებს. შემდეგ ჯგუფის ყოველმა წევრმა შესაბამისი თავი და ლოცვა წაიკითხოს მომდევნო შეხვედრამდე. ეს იქნება პროგრამით გათვალისწინებული მასალა ერთი კვირისთვის.

ისიამოვნეთ!

შესავალი

ამას წინათ ერთ პატივდებულ სახელმწიფო პირს ტელეფონით ვესაუბრებოდი. უკვე ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, როცა მან მოულოდნელად მითხრა:

– ჯონ, ერთი წუთით დაიცადე, რაღაც უნდა გითხრა! ბოლო ოცი წლის განმავლობაში უამრავი წიგნი დაგიწერია, მაგრამ ახლა აუცილებელია კიდევ ერთის დაწერა. ეს იქნება დროული წინასწარმეტყველური სიტყვა ეკლესიისთვის; ეს შენი ზეციური დავალებაა!“

როცა ის ლაპარაკს ასრულებდა, უკვე მუხლებზე ვიდექი ღვთის ძლიერი თანდასწრებისგან. სატელეფონო ზარიდან რამდენიმე კვირაში წიგნის წერის დაუძლეველმა სურვილმა შემიპყრო.

ჩემი სათქმელი ერთ მოკლე კითხვაში ეტევა: სიკეთე საკმარისია?

ამ დროისთვის ტერმინები *სიკეთე* და *ღმერთი* სინონიმებად მიიჩნევა. დარწმუნებული ვართ, რომ საერთო აზრით, სიკეთე ღვთის ნებას უნდა შეესაბამებოდეს. სიუხვე, თავმდაბლობა და სამართლიანობა კარგია. ეგოისტობა, სიამაყე და სისასტიკე ბოროტებაა. განსხვავება სრულიად აშკარა ჩანს. ნუთუ ეს არის ყველაფერი? თუ *სიკეთე* ასე ნათელია, რატომ გვასწავლის ებრ. 5:14, რომ მის ამოსაცნობად გარჩევის უნარი გვჭირდება?

პავლე მოციქული წერს: „და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი!“ (რომ. 12:2). შეუძლებელია ჩვენთვის ნამდვილად სასიკეთოს მიხვედრა, თუ თავდაპირველად გონებას არ განვიახლებთ. თვალთახედვის ცვლილებიდან მოსული ტრანსფორმაციის გარეშე საოცარ, ღვთის სულით გაჯერებულ ცხოვრებას ავცდებით, რაც ქრისტეში გვაქვს.

ღმერთმა სამყაროს შექმნამდე დაგეგმა თქვენი ცხოვრება, რომელიც სავსეა მიზნის აღსრულებით, საუცხოო სიხარულით და კმაყოფილებით. მისი ნება და გეგმა სრულყოფილად კარგია. თუმცა არსებობს ყალბი სიკეთე, რომელიც ღვთისგან საუკეთესოს მიღებაში ხელს შეგიშლით.

სამწუხაროა, რომ ბევრი ჩვენგანი ფალსიფიკაციით კმაყოფილდება. ღმერთს შეუგნებლად (და ზოგჯერ შეგნებულად) უარვყოფთ მოჩვენებითი *სიკეთის* ძიებაში.

პირველი ეკლესიის მამები ხშირად გვაფრთხილებდნენ ამგვარი ცდუნების შესახებ (ცდუნებული ვართ, როცა გვწამს, რომ ჭეშმარიტებაში ვდგავართ, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის). თავად იესო გვეუბნებოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა რჩეულნიც კი შეცდებოდნენ ამ ოსტატურად შენიღბული ტყუილის გამო. ნუთუ შესაძლებელია, ზედაპირულად მოვეკიდოთ ასეთ გაფრთხილებას? შეგვიძლია, ჩამოვიბერტყოთ ძვირფასი დარიგება და ვიფიქროთ, რომ ცდუნებაზე მაღლა ვდგავართ და ინსტინქტურად ვარჩევთ კეთილს ბოროტისგან?

კარგი ამბავი ის არის, რომ ღმერთი სრულიადაც არ ცდილობს ჩვენთვის საუკეთესოს დაფარვას. იგი არც იმით არის დაინტერესებული, რომ თვალებზე ბინდი გადაგვაკრას. უფალი დაგვპირდა, რომ მაძიებელი ყოველთვის იპოვიდა. თუ თავს მივუძღვნით ჭეშმარიტების ძიებას, ფალსიფიკაცია ვერ მოგვატყუებს. საქმე იმაშია, ჭეშმარიტების წყაროს შევყურებთ თუ ღვთისადა მისი კეთილი ნების შესახებ ზედაპირული ცოდნით ვკმაყოფილდებით? ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნის კითხვისას უფრო გაიმყარებთ გადაწყვეტილებას, რომ ღვთისგან საუკეთესოს მიღებაზე ნაკლებს არასდროს დათანხმდეთ.

მოდი, ვილოცოთ:

„ზეციერო მამა, იესოს სახელით გთხოვ, რომ თვალი ამიხილო დასანახად და მომცე ყური სასმენად, რომ შევიცნო შენი ნება ჩემი ცხოვრებისთვის! წმიდა სულო, ღრმად და საფუძვლიანად მასწავლე იესო ქრისტეს გზები ამ წიგნის კითხვისას. შენ შემოგყურებ, როგორც ჩემს მასწავლებელს. დამელაპარაკე ყოველი წინადადებიდან! დაე, ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალოს! ამინ!“

1

რა არის სიკეთე?

„არავინ არის კეთილი, გარდა ერთისა – ღვთისა“.
მარკ. 10:18

„ამ სამყაროში ყველაფერი კარგია იმ დონემდე, სანამდეც ღვთის ბუნების მსგავსად გარდაისახება და ბოროტია, როცა ამას არ აკეთებ“.
ა. უ. ტოზერი

კეთილი და ბოროტი. ყველამ ვიცით განსხვავება, ასე არ არის? განა კეთილისა და ბოროტის გარჩევის შინაგანი ცოდნით არ დავიბადეთ?

ხშირად გამიგონია, რომ ადამიანი ბუნებით კარგია. ეს ჭეშმარიტებაა? ვიცით, რომ მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები და სხვა პროგრამები ჩვენს გულებს ათბობენ კაცობრიობის სიკეთის გამოვლინების რჩეული მომენტებით. არ გამიგია რომელიმე მოთხრობის, ნოველის ან ფილმის შესახებ, რომელმაც საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა ბოროტის სიკეთეზე გამარჯვების გამო.

ყველანი მაგარი ბიჭების ყურებაში გავიზარდეთ, რომლებიც დიდ სირთულეებს უმკლავდებოდნენ. მათი ცხოვრების გზაზე მრავალი წინააღმდეგობა წარმოიშობოდა და უცილობელი მარცხის მოლოდინში ვიყავით თითქმის ფილმის დასასრულამდე, მაგრამ ჩვენი გმირები მოულოდნელად გამარჯვებას აღწევდნენ ან სამართლიანობას აღადგენდნენ. ჩვენ წინასწრ ვჭვრეტდით და აღტაცებით ვხვდებოდით ასეთ დასასრულს. სიკეთის უძლეველობის ყოველთვის გვჯეროდა. ბოლოს და ბოლოს, ღმერთი ხომ კეთილის მხარეს იყო, ასე არ არის?

ბოლო წლებში პროდიუსერებმა და კომპანიებმა ახალი მიმართულება წამოიწყეს, სადაც ტელევიზიები რეალურ შოუებს ახალი იმიჯებით წარმოგვიდგენენ. ეს ყველაფერი

გაჭირვებული ოჯახების სახლების გარემონტების ამსახველი გადაცემებით დაიწყო. ჩვენ ეკრანებს მივეწებეთ და ღარიბების დახმარების საქმეში ფილანტროპთა აღფრთოვანებისა და გულუხვობის შემყურენი ამაღლებულმა გრძნობებმა მოგვიცვა. ველოდებოდით სახლის პატრონთა შოკურ რეაქციას, ცრემლად ვიღვრებოდით კულმინაციური მომენტის დადგომისას,როცა ეს ღარიბი ადამიანები თავიანთ გარემონტებულ სახლებს პირველად იხილავდნენ. შემდეგ მომდევნო შოუს ჯერი დადგა, სადაც სიმსუქნისგან გატანჯული „უიღბლოები“ საგრძნობლად იკლებდნენ წონაში; სხვა პროგრამები ადამიანებს ეხმარებოდნენ ჩაცმის სტილის, ვარცხნილობის, მაკიაჟის და სხვა ამგვარის შერჩევაში.

მალე ამ სატელევიზიო ტენდენციას ცნობადი სახეებიც შეუერთდნენ. გამოჩენილმა მსახიობებმა გზა გაუკვალეს ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი ვოკალური ან ქორეოგრაფიული მონაცემების გამოვლენის სხვა საშუალება არ ჰქონდათ. მოწონების შეძახილები არ ცხრებოდა, როცა უცნობ კანდიდატს ერთ ღამეში სენსაციურ ვარსკვლავად გახდომის შანსი ეძლეოდა. ეს არის სიკეთე, ხელგაშლილობა და კეთილი ნების გამოხატვა.

ქველმოქმედების, უმწეოთა დაცვის ან დამარცხებულ ადამიანთა დასახმარებლად დროის მიძღვნის ამსახველმა გადაცემებმა საოცარი პოპულარობა მოიპოვეს. ჩვენი შოუების ჩამონათვალში პოლიციელები ან დაქირავებული კვალისმაძიებლებიც შედიან, რომლებიც ბოროტ დამნაშავეებს იჭერენ. ასეთი გადაცემებიც ერთ-ერთ ყველაზე მეტად ყურებად შოუებს მიეკუთვნება.

ზემოხსენებულის შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ გასართობი გადაცემები ხშირად გამოკვეთენ კაცობრიობის კარგ თვისებებს.

რეკლამისა და გასაღების საფუძვლები გვასწავლის, რომ პროდუქტმა ჩვენი გრძნობის, მხედველობის, სმენის, გემოვნებისა და ყნოსვის დაკმაყოფილება უნდა შეძლოს, რომ ბაზარზე თავი დაიმკვიდროს. მან მყიდველის შეგრძნებები და ემოციები უფრო მაღალ დონეზე უნდა აწიოს. ვიცით, რომ კარგი პროდუქტი ადვილად იყიდება. ბოლოს და ბოლოს, ვის სურს უვარგისი საქონლის შეძენა? მხოლოდ დამახინჯებული აზროვნების ადამიანი თუ მოისურვებს ბოროტს.

ხშირად ვისმენთ ფრაზებს: „ის კარგი კაცია“ ან „ის კარგი ქალია“ და ამგვარი შეფასება, როგორც წესი, გარეგნული

დათვალიერებით კეთდება. შედარებით მგრძნობიარე ადამიანები სიფრთხილეს ივიწყებენ და ყოველ განაცხადს ან მოქმედებას, რომელსაც *„კარგის“* სახელი აქვს, მაშინვე უვნებლად და ნდობის ღირსად მიიჩნევენ. ასეთი განსაზღვრებები ყოველთვის ზუსტია?

შესაძლებელია თუ არა ოდესმე აღმოვჩნდეთ ბოდვით მდგომარეობაში, როცა მართებულს არასწორად შევრაცხავთ და მცდარს – *სწორად?* განა ყველამ არ იცის განსხვავება? და ჩვენც ნამდვილად დაცული ვართ ტყუილისგან, როცა შეიძლება სიკეთეს ბოროტება ვუწოდოთ ან ბოროტებას – სიკეთე. ასე არ არის?

ვიფიქროთ ამაზე. მრავალი საუკუნის წინ მდიდარი და ახალგაზრდა მთავარი იესო ქრისტეს მიუახლოვდა. იგი პატიოსანი და ზნეობრივად სუფთა კაცი გახლდათ. მას არასოდეს ჩაუდენია მრუშობა, მკვლელობა, ქურდობა, არასოდეს მოუპარავს ან მოუტყუებია ვინმე საქმეში. იგი ყოველთვის პატივს სცემდა მშობლებს და საერთოდ, სამაგალითო მოქალაქე იყო და მას, ალბათ, ბევრი ადამიანი შენატროდა. მან იესოსაც მიაგო სათანადო პატივი, როცა „კეთილი მოძღვარი“ უწოდა.

ეს გახლდათ წინამძღოლი, რომელიც მეორე წინამძღოლს ელაპარაკებოდა. ერთი კარგი კაცი მეორე კარგ კაცს მიმართავდა. იგი საერთოს ეძებდა გამოჩენილ მოძღვართან, რომელსაც პირადად არასდროს შეხვედრია. შესაძლოა, იგი თავისთვის ასე ფიქრობდა: *თუ ამ წინასწარმეტყველის გულს მისი სიკეთის ხაზგასმით მოვალბობ, შევძლებ მის დარწმუნებას, რომ ჩემს სათხოვარზე სასურველი პასუხი მივიღო.* მიუხედავად ამისა, სანამ იესო მას მოუსმენდა, შემხვედრი კითხვა დაუსვა: „რატომ მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ერთი ღვთისა“ (მარკ. 10:18).

რატომ შეუსწორა იესომ კაცს, რომელმაც მას კეთილი უწოდა? განა იესო კეთილი არ იყო? რასაკვირველია, იყო! მაშ, რატომ თქვა ასე? იქნებ ეს „კარგი“ შეფასების არასწორი სტანდარტი გახლდათ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა, *კარგის* ადამიანური აღქმა ღვთიურისგან განსხვავდებოდეს?

მე და თქვენ რომ იმ კაცის ადგილას ვყოფილიყავით, როგორ გვიპასუხებდა იესო, თუ მას „კეთილ მოძღვარს“ ვუწოდებდით? შემიძლია ჩემი აზრი მოგახსენოთ. წლების მანძილზე ღვთის შვილი ვარ, ბიბლია არა ერთხელ მაქვს წაკითხული, წმ. წერილს საათების განმავლობაში ვსწავლობ, ყოველდღე ვლო-

ცულობ, სრული დროით მსახურებასაც ვეწევი და რამდენიმე ქრისტიანული ბესტსელერის ავტორიც გახლავართ, მაგრამ ახლაც მდიდარი ჭაბუკი მთავრის მსგავს პასუხს მივიღებდი. იესო ასე მეტყოდა: „ჯონ, რატომ მიწოდებ კეთილს?“ ზუსტად ასე. საიდან ვიცი? ღვთის სულმა იგივენაირად იმოქმედა ჩემთან, როგორც იესო მხსენებულ მთავართან.

ელდისმომგვრელი ამბავი

ნება მიბოძეთ, აგიხსნათ! 90-იანი წლების მიწურულს შვედეთში კონფერენციას ვესწრებოდი. თვითმფრინავი ღამის რეისით სტოკჰოლმში დილაადრიან ჩაფრინდა. აეროპორტში ჩემი ბარგი ავიღე, შემოწმება გავიარე და ჩემს შვედ მასპინძელს შევხვდი, რომელიც გულთბილად მომესალმა. სანამ ტერმინალს დავტოვებდით, მან მაცნობა წლის და შესაძლოა, ათწლეულის სენსაციური ახალი ამბავი.

მან მითხრა:

– ჯონ, გუშინ, ღამით საშინელი ტრაგედია დატრიალდა, როცა აქეთკენ მოფრინავდი! ალბათ, არაფერი გეცოდინება, ამიტომ ახლა გიამბობ.

– რა მოხდა? – ვკითხე შეშფოთებულმა და ინტერესით აღძრულმა.

მასპინძელმა ავტოკატასტროფის შესახებ მიამბო, რომელიც რამდენიმე საათის წინ მოხდა. ერთ-ერთი გარდაცვლილი პლანეტის ყველაზე ცნობილი და ყველასთვის საყვარელი პიროვნება გახლდათ. ყველაფერი, რასაც ის ქალი აკეთებდა, ახალ ამბებს ქმნიდა. მე და ჩემი მეუღლე ლიზა მისი ქველმოქმედებით მოხიბლულები ვიყავით და ჟურნალ-გაზეთებში მის შესახებ დაბეჭდილ სტატიებს სიამოვნებით ვკითხულობდით. ახლა უფრო მეტსაც გაგიმხელთ: მე არა მარტო სტატიებს ვკითხულობდი, არამედ მისი ცხოვრების ამსახველ ფოტოებსაც ვათვალიერებდი. მოკლედ, მისი დიდი თაყვანისმცემელი გახლდით. ყოველთვის, როცა კი ახალ ამბებში მის შესახებ გავიგებდი, ჩემი საქმის კეთებას ვწყვეტდი და ყურადღებას მას ვაპყრობდი.

ამ ქალის სიკვდილმა ჩემზე ისე ძლიერ იმოქმედა, რომ სიტყვით ვერ აგიწერთ. იგი ახალგაზრდა დედა გახლდათ და მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა. ამას გარდა, იგი ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწე, და თან ჭკვიანი და ლამაზი ქალი იყო, რომელიც თავის უზარმაზარ გავლენას ობლებისა და

ომში ჩართულ ქვეყნებში ნაღმებისგან დაზარალებულთათვის დიდი სიკეთის გასაწევად იყენებდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა ჩემი გულის მოსაგებად, მაგრამ მისი ხასიათის მომხიბვლელი თვისებები უფრო შორს მიდიოდა. მას უყვარდა და ყოველთვის იცოდა მის თაყვანისმცემელთა შესახებ, რომელთაც წრფელი ღიმილით ან სხვა თბილი ჟესტით აჯილდოებდა.

ელდა მეცა და ვერაფრით ვიჯერებდი მისი გარდაცვალების ამბავს. როგორ შეიძლება ის მკვდარი იყოს? ეს როგორ უნდა მომხდარიყო?

ჩემმა მასპინძელმა სასტუმრომდე მიმიყვანა. ნომერში შესვლისას მაშინვე ტელევიზორი ჩავრთე. მომხდარ უბედურ შემთხვევას ყველა არხი აშუქებდა. მათი უმრავლესობა ვერც გავიგე, რადგან შვედურ ენაზე იყო, თუმცა მალე ვიპოვე CNN და BBC Sky News. ჩანთები არც გამიხსნია. საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი უკიდურესად გაოგნებული.

ახალ ამბებში უამრავი მგლოვიარე ქალი აჩვენეს. ყველა ასაკის ადამიანები შეკრებილიყვნენ. კამერები აჩვენებდნენ, როგორ აწყობდნენ ისინი ყვავილებს კარიბჭეებთან და თან სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდათ. ბევრს ერთმანეთისთვის ხელები გადაეხვია და ჯგუფებად ლოცულობდნენ. მთელი მსოფლიო შოკურ მდგომარეობაში იყო.

მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში ეს ტრაგედია თავისუფალი მსოფლიოს ყველა გაზეთის მოწინავე გვერდზე შუქდებოდა. კატასტროფის დეტალების, გამოძიების მასალების, ოჯახის წევრების გამოხმაურებისა და დაკრძალვის პროცესის მიმოხილვა ყველა მედია-საშუალების უმთავრეს საქმეს წარმოადგენდა. სახელმწიფოს მეთაურები, მსოფლიო ლიდერები და ასეულობით ცნობილი ადამიანი დაესწრნენ სამგლოვიარო პროცესს, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა ტელევიზიის არსებობის მანძილზე.

სტოკჰოლმში ყოფნის პირველ დღეს რამდენიმე საათი დამწუხრებული ვიჯექი ჩემი სასტუმროს ნომერში და საღამოს მსახურებისთვის მომზადებაც კი მიჭირდა. გონება უამრავ კითხვაზე პასუხს ეძებდა. ბრაზი მიპყრობდა იმ უაზრო შემთხვევების გამო, რომლებმაც მისი სიკვდილი გამოიწვია. გლოვის პარალელურად შინაგანში საწინააღმდეგო აზრი შევიგრძენი, რომელიც ზედაპირზე ამოტივტივებას ლამობდა.

მის მოშორებას შევეცადე, მაგრამ ვერ შევძელი. ბოლოს, ჩემს ემოციებსა და ჩემს სულს შორის რამდენიმესაათიანი უთანხმოების განცდას ვეღარ გავუძელი და საწოლის ბო-

ლოს მუხლებზე დავემხე. ასე ვლოცულობდი: „მამა, ძალიან ვდარდობ ამ ქალის გარდაცვალების გამო! და მაინც, გულში ვგრძნობ, რომ რაღაც არასწორად არის. რა ხდება?“

თითქმის მაშინვე გავიგონე სულის სიღრმიდან: „წაიკითხე გამოცხადების მე-18 თავი!“ წარმოდგენა არ მქონდა, რაზე იყო ლაპარაკი გამოცხადების მე-18 თავში. ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვაღიარო, რომ იქამდე ხსენებული წიგნი სათანადო სიღრმით არ შემისწავლია. ბიბლია გადავშალე და კითხვას შევუდექი. გულმა ბაგაბუგი დაიწყო, როცა მე-7 მუხლს მივადექი:

> „რამდენადაც განდიდდებოდა და ნებივრობდა, იმდენად მიაგეთ ტანჯვა და გლოვა. ვინაიდან გულში ამბობდა: დედოფლად ვზივარ, ქვრივი არა ვარ და გლოვას არ ვიხილავო. ამიტომ ერთ დღეს მოვა მისი წყლულები, სიკვდილი, გლოვა და შიმშილი, და დაიწვება ცეცხლში, ვინაიდან ძლიერია უფალი ღმერთი, რომელიც განიკითხავს მას! და დაიტირებენ და იგლოვებენ მას დედამიწის მეფეები, მასთან რომ მეძავობდნენ და ნებივრობდნენ, როცა მისი ხანძრის კვამლს დაინახავენ“. (გამოცხ. 18:7-9)

როგორც კი ეს მუხლები წავიკითხე, თავს ემოციების ქარიშხალი დამატყდა. სრულიად ნათელი იყო პარალელი ამ მონაკვეთში აღწერილ ქალსა და იმ ქალის სიკვდილს შორის, რომლის ამბავს მთელი ეთერი მოეცვა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სახეში ყინულივით ცივი წყალი შემასხეს. ელდა მეცა, საგონებელში ჩავვარდი და დავიბენი. ნუთუ შესაძლებელი იყო წაკითხული მუხლების თუნდაც ერთი სიტყვის ამ ქველმოქმედ ქალზე მისადაგება?!

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იოანე მოციქული ხსენებულ მუხლებში კონკრეტულ პიროვნებას არ მიმართავს. აქ გამოკვეთილია სულისკვეთება, რომელსაც დაცემული ქვეყნიერება მოუცავს. და მაინც, მსგავსება საკმაო იყო, რომ ღვთის სულს იმჟამინდელ ვითარებაში გამოეყენებინა და საფუძვლიანად შეეცვალა ჩემი თვალთახედვა. ოდესმე გქონიათ შემთხვევა, როცა ღმერთმა წერილის მონაკვეთი თქვენს პირად განცდას დაუკავშირა? საქმე სწორედ ასე იყო.

ღვთის სულმა გამომიწვია, რომ დამენახა *სიკეთის* ჩემეული აღქმის მსგავსება იმასთან, რაც იესომ წარმოაჩინა მდიდარ ჭაბუკთან შეხვედრისას. როცა გავაცნობიერე, თუ რას მიცხადებდა ღმერთი, ხმამაღლა გავაპროტესტე ჩემს სასტუმროს ნომერში:

– უფალო, რა საერთო აქვს ამ მონაკვეთს იმ ქალთან?! იგი ყოველგვარი სახის ქველმოქმედებას ეწეოდა ნაღმით დაზიანებულ ადამიანებსა და ობლებს შორის და ...

– იგი ძალაუფლების მქონეთა გამოწვევით და ცოლ-ქმრული ღალატით თავს იწონებდა მთელი მსოფლიოს წინაშე, – შემეწინააღმდეგა უფალი, – ის მე არ მემორჩილებოდა!

ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი და პოზიციებს არ ვთმობდი:

– რას ნიშნავს ყველა კეთილი საქმე, რომელსაც ის კაცობრიობისთვის აკეთებდა?

გავიგონე, როგორ მითხრა უფალმა:

– შვილო, კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ბოროტი მხარე არ იყო ის, საითკენაც ევამ ხელი გაიწოდა?! ეს *კარგი* მხარე იყო?

პარალიზებული ვიყავი ამ სიტყვებით, რომელიც გულში სრულიად მკაფიოდ გავიგონე. რამდენიმე წუთის შემდეგ ბიბლია დაბადების წიგნის მე-3 თავზე გადავშალე გაგონილის დასამტკიცებლად. საკმაოდ დარწმუნებულმა წავიკითხე:

> „და დაინახა დედაკაცმა, რომ საჭმელად *კარგი* ჩანდა ის ხე, თვალთათვის *საამური* და *მიმზიდველი,* რადგან შემეცნებას იძლეოდა. მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. თავის კაცსაც მისცა და მანაც შეჭამა“. (დაბ. 3:6)

დავინახე სიტყვები *კარგი, საამური* და *მიმზიდველი* და ყბა ჩამომივარდა. შემდეგ ღვთის სულის ხმა გავიგე: „არსებობს სიკეთე, რომელიც ჩემგან არ არის! იგი მე არ მემორჩილება!“

ვიჯექი, გაგონილსა და წაკითხულზე ვფიქრობდი. ღვთის სიტყვამ მამხილა და თვალთახედვა შემისწორა. სიკეთეზე წარმოდგენა აშკარად შემეცვალა ღვთიური სტანდარტის დანახვის შემდეგ.

ღმერთი კვლავ აგრძელებდა ჩემს გულთან ლაპარაკს. მან მაჩვენა, რომ ე. წ. „კარგი“ ადამიანები, განსაკუთრებით კი, ქრისტიანები, არ ეფლობიან უხამს სქესობრივ ორგიებში, აშკარად მეამბოხე სიტყვების მქონე ბნელეთის მუსიკაში, არ უსმენენ როკის მომღერლებს, რომლებიც თავიანთ კონცერტებზე სატანიზმით თავს იწონებენ, არ მონაწილეობენ მასობრივ მკვლელობებში, ქონების დატაცებაში ან ნებისმიერ ამგვარ, ბოროტ ქმედებაში. მათი უმრავლესობა ცდუნებული და გატაცებულია ისეთი საგნებით, რომლებიც სწორი, კარგი და გონივრული ჩანს, მაგრამ ღვთიურ სიბრძნეს ეწინააღმდეგება. ჩვენ გვითხრეს:

„არის გზა, რომელიც *სწორი ჩანს* კაცის წინაშე, მისი ბოლო კი სიკვდილის გზაა“. (იგ. 14:12)

მოდი, ჯერ ამ მუხლის მეორე ნაწილი განვიხილოთ: „მისი ბოლო სიკვდილის *გზაა“*. ბევრი ქრისტიანი ამ სიტყვებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს, რადგან ასე ფიქრობს:„*გადარჩენილი ვარ, ზეცისკენ მივდივარ და სიკვდილს არ ვიხილავ*!“ მათი აზრით, ეს განაცხადი მხოლოდ ურწმუნო ადამიანებს ეხებათ. და მაინც, დავფიქრდეთ, რას ამბობს აქ ღვთის სიტყვა.

დააკვირდით სიტყვებს: „სიკვდილის გზა“. წმ. წერილი გარკვეულ მონაკვეთებში სიცოცხლის გზასა და სიკვდილის გზაზე ლაპარაკობს. ღმერთი თავის ხალხს უცხადებს (არა იმათ, ვინც მას არ ეკუთვნის): „ამ ხალხს კი უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი: აი, *სიცოცხლის გზას* და *სიკვდილის გზას* ვდებ თქვენ წინაშე!“ (იერ. 21:8).

*გ*ზა ნიშნავს სიბრძნეს, რომლითაც უნდა ვიცხოვროთ. ამ სიტყვას წმ. წერილში ხშირად შეხვდებით. იესო იგივე საკითხს ასე გადმოგვცემს: „შედით ვიწრო კარიბჭით, რადგან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი არიან მასზე მოსიარულენი, რადგან ვიწროა კარიბჭე და რთულია *გ*ზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და ცოტანი ჰპოვებენ მას!“ (მათ. 7:13-14). საინტერესოა, იესო აქ მხოლოდ მარადიულობაზე ლაპარაკობს?

ღმერთმა სიცოცხლის ხე ედემის ბაღის ცენტრში დარგო. იგი სიცოცხლის ღვთიურ გზას, მის სიბრძნეს წარმოადგენდა. ბაღის მეორე მნიშვნელოვან ხეს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე ეწოდებოდა. იგი სიკვდილის გზას წარმოადგენდა. აქ ადამიანური სიბრძნე ღვთიურს უპირისპირდებოდა. მისი ნაყოფის ჭამამ ადამსა და ევაზე სიკვდილის შემდეგ კი არ იმოქმედა, არამედ მყისიერად. ამ უგუნური საქციელის ჩადენამდე ორივე უშფოთველი, ნაყოფიერი, ჯანსაღი და წარმატებული იყო ყველაფერში, რასაც განიზრახავდნენ. აკრძალული ხის ნაყოფის ჭამის შემდეგ ცხოვრება გართულდა. მათ იგემეს ავადმყოფობა, ნაკლოვანება, დაძაბული შრომა და სიძნელეები, რომლებიც აქამდე არ ენახათ. ისინი სიკვდილის გზას დაადგნენ.

როგორც არ უნდა მომხდარიყო, ღმერთი გამომსყიდველია. მან უკვე დაგეგმა ადამიანის მიერ დაკარგულის აღდგენა. მან აღთქმა დადო *სიცოცხლის გზის* აღსადგენად. მისი სიბრძნე კიდევ ერთხელ წარმოშობს ნამდვილ ბედნიერებას, სასიამოვნო ცხოვრებას, მშვიდობას, სიუხვეს და სხვა დიდ სიკეთეებს:

„ნეტარია კაცი სიბრძნის მპოვნელი და ადამიანი – გონიერების მომხვეჭი! რადგან მისით მონახვეჭი ვერცხლით მონახვეჭს სჯობია და შემოსავალი – ბაჯაღლოს. მარგალიტზე ძვირფასია იგი და შენი არც ერთი საწადელი არ შეედრება მას. დღეგრძელობა მის მარჯვენაშია, მარცხენაში – სიმდიდრე და პატივი. მისი გზები საამურია, ბილიკები – მშვიდობიანი. *სიცოცხლის ხეა* მათთვის, ვინც ჩაეჭიდა მას და ნეტარნი არიან მასზე ჩაბღაუჭებულნი!“ (იგ. 3:13-18)

წმ. წერილი გვაჩვენებს, რომ ჩვენს ცხოვრებაში გამოყენებული ღვთის სიბრძნე ნაყოფიერ ცხოვრებას, პროდუქტიულობას, წარმატებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, სულიერ სიმშვიდეს და პატივს გვპირდება. ხე ისეთი რამ არის, რასაც სხვები გემოს უსინჯავენ. მოყვანილი მონაკვეთის თანახმად, თუ სიცოცხლის გზას გავყვებით (სიბრძნე), სიცოცხლის ხედ, კვების წყაროდ – ვიქცევით მათთვის, ვინც ჩვენს ნაყოფს გემოს გაუსინჯავს. ამის საპირისპიროც ჭეშმარიტია. თუ ადამიანური სიბრძნით ვიცხოვრებთ, მავნე ხედ ვიქცევით და ჩვენი ნაყოფის მჭამელი ადამიანები მძიმე შრომის, სტრესის, უნაყოფობის, ავადმყოფობის, ეგოიზმის და სულიერი სიკვდილის სხვა თანამდევი მოვლენებისკენ გადაიხრებიან.

ვუბრუნდებით რა იგ.14:12-ს, ვკითხულობთ: „არის გზა, რომელიც სწორი ჩანს კაცის წინაშე, მისი ბოლო კი სიკვდილის გზაა“. როცა ამ მუხლის პირველ ნაწილს განვიხილავთ, ვიცით, რომ იგი ესადაგება ნებისმიერ ადამიანს, ქრისტიანსა თუ ურწმუნოს. არსებობს გზა, რომელიც სწორი გონივრული, სასარგებლო, სტრატეგიული, მისაღები, მომგებიანი და სხვა ამდაგვარი ჩანს, მაგრამ გაფრთხილება ნათელია: ერთი შეხედვით კარგი, შესაძლოა, გამანადგურებელი, მავნებელი და უნაყოფო იყოს და ეს სიკვდილის გზაა.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამ გამოსაფხიზლებელ შეგონებას მორწმუნეებს წერს:

„... ბევრი გვაქვს სალაპარაკო ამის შესახებ, მაგრამ ძნელია განმარტება, რადგან ყურმძიმენი გახდით. ვინაიდან დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკვე მასწავლებლები უნდა ყოფილიყავით, მაგრამ თქვენ ჯერ ისევ ღვთის სიტყვის პირველსაწყისები გაქვთ შესასწავლი. მაგარი საჭმელი კი არა, რძე გჭირდებათ. ...მაგარი საჭმელი

> განკუთვნილია მოწიფულთათვის, რომელთა გრძნობები ჩვევით არიან *გაწაფული კეთილისა და ბოროტის გასარჩევად*". (ებრ. 5:11-12,14)

ნათელია, რომ გარჩევის უნარი ნამდვილად კარგისა და ნამდვილად ცუდის განსაზღვრის გასაღებია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტად კარგი არც ისე ადვილი ამოსაცნობია ჩვენი ბუნებრივი დაფიქრების, აზროვნებისა და გრძნობებისთვის.

შესაძლოა, იკითხოთ: „ნუთუ ებრაელთა წერილის ავტორს იმის თქმა სურდა, რომ ამ განსხვავების დასანახად ჩვენი გრძნობების გაწვრთნა შესაძლებელია?" დიახ, მაგრამ რა გრძნობებზეა ლაპარაკი? ყურადღება მიაქციეთ, რომ მონაკვეთის წინა მუხლებში ავტორი იმ ქრისტიანებს წერს, რომელთა სმენის უნარიც დაჩლუნგდა. რა სმენაზეა ლაპარაკი? ნუთუ ებრაელ მორწმუნეებს სმენის პრობლემები ჰქონდათ? არა მგონია! ავტორი საკუთარი გულის მოსმენის უნარზე მიუთითებს. იესო გამუდმებით ასწავლიდა: „ვისაც ყური აქვს სასმენად, ისმინოს!" (მათ. 11:15). ამ სწავლების ყველა მიმღებს ჰქონდა ფიზიკური ყურები, მაგრამ ყველას როდი ჰქონდა ღვთის სიტყვის შინაგანი სმენის უნარი, რაც საუკეთესო იყო მათი ცხოვრებისთვის.

მოგვიანებით სულიერი გარჩევის ნიჭს უფრო ღრმად განვიხილავთ ამ წიგნში. აქ კი უნდა ითქვას, რომ კეთილისა და ბოროტის ნაერთში მათი ერთმანეთისგან გამორჩევა თვალის ზედაპირული შევლებით შეუძლებელია. სტოკჰოლმის სასტუმროს ნომერში ჭეშმარიტებასთან შეხვედრამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ კეთილი და ბოროტი ჩვენს თვალწინ იყო მარტივად და თვალსაჩინოდ. აი, კიდევ ერთი მაგალითი: იესოს გუნდის მთავარმა წევრმა, პეტრემ იესოს დაცვა და ხანგრძლივი სიცოცხლის შენარჩუნება შესთავაზა. აშკარად ჩანდა, რომ იგი თავის უფროსს კარგ რჩევას აძლევდა. და მაინც, იესომ მას მკაცრად უსაყვედურა და აღნიშნა, რომ თავისას ეძებდა და არა ღვთისას (იხ. მათ. 16:21-23). ეს ერთ-ერთია მრავალი ბიბლიური მაგალითიდან, რომლის მოყვანაც მინდოდა იმის საჩვენებლად, რომ კეთილისა და ბოროტის გარჩევა ერთი შეხედვით ადვილი არ არის.

სოლომონი ლოცულობდა: „მიეცი შენს მსახურს გამგები გული, რათა განსაჯოს შენი ხალხი, რომ განასხვავოს სიკეთე ბოროტებისგან, რადგან ვის შეუძლია განსაჯოს შენი ხალხი,

ესოდენ მრავალრიცხოვანი?!“ (1 მეფ. 3:9). იმის მიხვედრას, რას უწოდებს ღმერთი *კარგს* და რას უწოდებს *ცუდს,* განათლებული და გაწვრთნილი გული სჭირდება. ევა ყოველმხრივ სრულყოფილი იყო და მის საცხოვრებელ ბაღშიც ღვთის თანდასწრება მძლავრად იგრძნობოდა. მიუხედავად ამისა, მის მიერ კეთილად, საამოდ და სასარგებლოდ მიჩნეული ნაყოფი ბოროტი აღმოჩნდა და მთელი მისი დარჩენილი ცხოვრება განსაზღვრა. იგი მოტყუებულ იქნა და ამის გამო იტანჯა.

ამას წინამდებარე წიგნის მიზანთან მივყავართ: საჭიროა გონების განათება წმ. წერილით და სულიწმიდის დახმარებით, რომ დანახულ იქნას განსხვავება თქვენი ცხოვრებისთვის მართლაც სასარგებლოს ამოსაცნობად, რასაც საბოლოოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. თუ სრულ და უნაკლო გარემოში მცხოვრები ევა მოტყუვდა, რამდენად ადვილია ჩვენი ცდუნება, რომლებსაც ნაკლულოვანი აზროვნება გვაქვს და გახრწნილ ქვეყნიერებაზე, გზაგამრუდებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. როგორ შევძლებთ სწორად განსჯას, რომ მავნებლობა სიკეთედ არ მივიჩნიოთ?

2

ეს როგორ უნდა მომხდარიყო?!

„ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო! ყოველი კეთილი მისაცემელი და ყოველი სრულყოფილი ნიჭი გადმოდის მაღლიდან, შუქთა მამისგან...“.
იაკ. 1:16-17

„[ქრისტიანებო!] ნუ იფიქრებთ, რომ კარგები ვართ და ღმერთს ამიტომ ვუყვარვართ! პირიქით, ღმერთი კარგებად გვაქცევს იმის გამო, რომ ვუყვარვართ...“.
ქ. ს. ლუისი

ამ დღეს შვედეთში, ჩემი სასტუმროს ოთახში გაოგნებული ვიჯექი. ძლიერმა განცდებმა შემიპყრო. ცნობილი პიროვნების გარდაცვალებაზე მიღებული ღვთიური პასუხის გამო დიდმა მოწიწებამ მომიცვა, მაგრამ მაინც ვიტანჯებოდი. დავიბენი და გონებაში უამრავი კითხვა გამიჩნდა. წლების განმავლობაში ვმსახურობდი, წიგნებს ვწერდი და მორწმუნეებს ყველა კონტინენტზე ვასწავლიდი (ანტარქტიდის გარდა) და მხოლოდ ახლა გამომჟღავნდა ჩემი უცოდინარობა ნამდვილად კარგის გარჩევაში.

ჩემს გონებაში უპირატესად ასეთი კითხვები დაქროდა:*კიდევ რას ვთვლიდი სიკეთედ და რა არ იყო ასეთი ღვთის თვალში?* და, მეორე, ისეთივე მნიშვნელობის მქონე, *რა იქნება შედეგი?*

სანამ ამ კითხვებს განვიხილავდეთ, სასარგებლო იქნება უკან დაბრუნება, სადაც ეს ყველაფერი დაიწყო: ედემის ბაღში. ეს ლოგიკური ნაბიჯია, რადგან სულიწმიდამ სწორედ ხსენებული მონაკვეთი გამოიყენა ჩემი ყურადღების მისაპყრობად იმ სასტუმროს ნომერში. ერთი უსიამოვნო კითხვა არსებობს ედემის ბაღთან დაკავშირებით, რომელზეც მე და მრავალ სხვა ადამიანს წლების მანძილზე გვიფიქრია: როგორ მოახერხა

გველმა ევას იმ დონეზე ცდუნება, რომ საქმეში ღმერთი ჩართო?

მოდი, ვიმსჯელოთ ამ საკითხზე! ევა სრულყოფილ გარემოში ცხოვრობდა. იგი არასოდეს გამხდარა მამის, ქმრის, ნათესავის, უფროსის ან მასწავლებლის ძალადობის მსხვერპლი. ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და სნეულებებისგან თავისუფალი ქალი სრულ სიმშვიდესა და სიწყნარეში ცხოვრობდა.და ყველაზე მთავარია ის, რომ ევა თავის შემოქმედთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ღვთის თანდასწრება ავსებდა დედამიწას. იგი ხშირად სეირნობდა ბაღში ადამსა და ევასთან ერთად.ამრიგად, როგორ მოახერხა გველმა ევას ხელში ჩაგდება და საქმეში ღვთის ჩართვა?

თუ ამ საიდუმლოს ამოვხსნით, სასარგებლო გამოცხადებას მივიღებთ, თუ რა შეიძლება გააკეთოს მტერმა დღეს ჩვენს მიმართ. თუ მისი ტაქტიკა ჩვენთვის ცნობილი გახდება, ასე ადვილად ვერ გვაცდუნებს შემოქმედის წინაშე ურჩობის ჩასადენად.

დიდებული ბაღი

თავდაპირველად ღმერთმა შექმნა სრულყოფილი სამყარო: მშვენიერი, უნაკლო და ადამიანთათვის საჭირო ყოველგვარი რესურსით და სიამით სავსე. შემოქმედს არ შეუქმნია ცხოველების, ხეებისა და ლანდშაფტის რამდენიმე სახეობა. მან ერთ მილიონზე მეტი ცოცხალი არსება, ორასორმოცდაათ ათასზე მეტი მცენარე, ასი ათას სახეობაზე მეტი ხე და აურაცხელი სხვადასხვა ტიპის კლდე, ნიადაგი და ბუნებრივი რესურსი ჩაიფიქრა და შექმნა. დედამიწა ღვთის შედევრი იყო. მეცნიერები ათასობით წლის შემდეგაც სწავლობენ მას და აოცებთ მისი სირთულე. ისინი ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდომიან ჩვენს მსოფლიოს და ალბათ, ვერც ვერასოდეს შეძლებენ.

ღმერთმა ეს ყველაფერი მისი სიყვარულის, კაცობრიობის გამო განიზრახა და შექმნა. განსაცვიფრებელი პლანეტაც არ აღმოჩნდა საკმარისი და შემოქმედი უფრო შორს წავიდა. მან თავად გააშენა საოცარი ბაღი დედამიწაზე.

მიყვარს ლანდშაფტები და ბაღები. თუმცა წრფელად უნდა ვაღიარო, რომ მათი დამუშავება არ მეხალისება. შეგიძლიათ, ლიზას ჰკითხოთ. იგი წარბშეკვრით ლაპარაკობს ჩემ მიერ მებაღეობის უგულებელყოფაზე. სინამდვილეში, მოვლილ ბაღებში, ხილნარში, ვენახებსა და ტყეებში ჯდომა ან სეირნობა მიყ-

ვარს. აღფრთოვანებული ვარ ფერებით, სურნელით, ნიადაგით და ხეებისა და მცენარეების მრავალფეროვნებით.

ამას წინათ, გერმანიის ქალაქ კონსტანცში ვქადაგებდი, რომელსაც სახელი მის მახლობლად მდებარე იგივე სახელწოდების ტბის გამო შეარქვეს. კონსტანცის ტბა უდიდესია გერმანიაში, რადგან ალპებიდან გამდნარი ყინულისა და თოვლის წყლებით იკვებება. მე და ლიზა ერთად ვიყავით იქ ახლო მეგობრების სანახავად, რომლებიც ასევე მწყემსები არიან: ფრაიმუთი (კარგი გერმანული სახელი) და მისი მეუღლე, იოანა.

რამდენიმე თავისუფალი დღე გვქონდა, ამიტომ ჩვენმა მასპინძლებმა გულუხვად შემოგვთავაზეს სხვადასხვა სახის აქტივობები დროის გასატარებლად. აღმოვაჩინეთ, რომ კონსტანცში საკეთებელი საქმის ნაკლებობას არ უჩივიან, მაგრამ ერთი რამ, რაც ძალიან მინდოდა, ჩემთვის არ შემოუთავაზებიათ.

კონსტანცის ტბაში ყვავილების კუნძული მდებარეობს, რომელსაც მაინაუ ეწოდება. ყვავილების კუნძული უფრო აღწერილობითი სახელია, რადგან მთლიანად ბაღით არის დაფარული. მინდოდა ის ადგილი ფეხით შემომევლო, მაგრამ ეს მთელ დღეს წაგვართმევდა.

თავდაპირველად, ლიზამ, იოანამ და ფრაიმუთმა იფიქრეს, რომ კუნძულის დათვალიერების შესახებ ვხუმრობდი. ბოლოს და ბოლოს, ვინ იფიქრებდა, რომ ჩემნაირი, სპორტისა და შეჯიბრებების მოყვარული კაცი ისეთ მოსაწყენ რამეს აირჩევდა, როგორიც დიდ ბაღში სეირნობაა? ამ საკითხის რამდენჯერმე წამოჭრის შემდეგ ჩვენმა მეგობრებმა თქვეს:

– არ გვეგონა, სერიოზულად თუ ამბობდი. მართლა გინდა იქ წასვლა?

– დიახ! – ვუპასუხე მე.

ამრიგად, წასვლა დავგეგმეთ დანარჩენთა მხრიდან ენთუზიაზმის ნაკლებობის მიუხედავად.

ბრწყინვალე დღე იყო. კუნძულისკენ მიმავალი ხიდი გადავლახეთ, შესასვლელ კარიბჭესთან საჭირო თანხა გადავიხადეთ და გზას გავუდექით. დიდი ხანი არ გასულა, რომ ბაღმა სრულიად დამატყვევა. გამაოცა ამ უზარმაზარი და რთული ტერიტორიის მშვენიერებამ. კარგი ამბავი ის იყო, ამ დღეში მარტო მე არ ვიყავი. დანარჩენი სამის ხუმრობა და ჩემი მასხრად აგდება მაშინვე შეწყდა, როცა ამ შედევრის წინაშე აღმოვჩნდით.

უკიდეგანო ბაღის ყოველი ნაწილი თვალს ახარებდა. ულამაზესი ყვავილნარები სრულყოფილად იყო ჩარიგებული. მათ შორის გაკვალული ბილიკები ყოველი მცენარის კარგად დათვალიერების საშუალებას იძლეოდა. აქ ნახავდით ყვავილებისგან შედგენილ რუკებს, ცხოველების და ბავშვების ქანდაკებებს და სახლებსაც კი, რომლებიც სხვადასხვა ხეების, მცენარეებისა და ყვავილების კომბინაციას წარმოადგენდა. ბაღს მომაჯადოებელი წყლის ნაკადულები სერავდა.

ყველამ ვისიამოვნეთ ამ ადგილის სილამაზით და კრეატიულობით, რომლის სრულად დათვალიერებას ნახევარ დღეზე მეტი სჭირდებოდა. ჩვენ მხოლოდ ნაწილი ვნახეთ. იმ ნაშუადღევს არაერთხელ გამიტაცა აზრმა: *„თუ ადამიანებმა ასეთი მშვენიერი კუნძულის გაშენება შეძლეს, სადაც კაცის თვალისთვის სილამაზის ნამდვილი დღესასწაული და ყნოსვისთვის საოცარ სურნელთა სიჭარბეა, როგორი უნდა ყოფილიყო ღვთის მიერ გაშენებული ედემი?“* მისი დიზაინერი რომელიმე დახელოვნებული მებაღე ან ლანდშაფტის არქიტექტორი არ ყოფილა, რომელმაც ეს ბაღი დააგეგმარა. მისი ოსტატი თავად შემოქმედი გახლდათ.

ღმერთმა მდიდარი, მსუყე ბაღი გააშენა. მასში ადამი მოათავსა და ყოველი ცხოველი მიუყვანა. უფალს სურდა იმის ნახვა, რას დაარქმევდა ადამიანი დედამიწაზე არსებულ 1,25 მლნ. სახეობის ცხოველს. წარმოგიდგენიათ, რა ინტელექტის მქონე უნდა ყოფილიყო იგი! ადამს არა მარტო სახელების დარქმევის უნარი ჰქონდა, არამედ თითოეული მათგანის დამახსოვრებაც შეეძლო. ამისთვის სულაც არ სჭირდებოდა iPad-ი Google-ის აპლიკაციებით. ადამი გენიალური გახლდათ!

მიუხედავად ამისა, ღმერთს მისთვის ცხოველები მხოლოდ სახელის დასარქმევად როდი მიუყვანია. მას აინტერესებდა, რომელ ცხოველს აირჩევდა ადამი შესაფერის თანამგზავრად.

კაცმა სახელი უწოდა ყველა ფრინველს და ცხოველს, მაგრამ შესაფერისი შემწე არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა. შემდეგ უფალმა ღმერთმა კაცი ღრმა ძილით დააძინა და ამ დროს ნეკნი ამოაცალა, ნაჭრილობევი კი ხორცით ამოავსო. მან ნეკნისგან ქალი შექმნა და ადამს მიუყვანა. ადამმა თქვა:

> „აი, ეს არის ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი! ეწოდოს მას დედაკაცი, რადგან კაცისგანაა გამოღებული!“ (დაბ. 2:23)

მამაკაცის სრულყოფილი შემწე მხოლოდ ქალი იყო. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. მათ ერთად მიეცათ პლანეტის, განსაკუთრებით კი, ედემის ბაღის დაცვისა და მოვლის დავალება.

სანამ ღმერთი ადამს ევას მიუყვანდა, მანამ მკაფიო მითითება მისცა: „ბაღის ყოველი ხისგან შეგიძლია ჭამო, ოღონდ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისგან არ შეჭამო, რადგან რა დღესაც შეჭამ, სიკვდილით მოკვდები!“ (დაბ. 2:16-17).

ჩვენ არ ვიცით, რა დრო გავიდა ამ შემთხვევიდან ბიბლიაში აღწერილ მომდევნო ამბამდე. შესაძლოა, ეს პერიოდი რამდენიმე კვირას, წელს, ათწლეულს ან კიდევ უფრო მეტსაც მოიცავდა. ასე თუ ისე, დადგა დღე, როცა ყველაზე ცბიერმა მხეცმა, გველმა ევა მიზანში ამოიღო და ღვთის მითითებაში ეჭვი შეატანინა (საიდან შეეძლო გველს ლაპარაკი? პირადად მე მჯერა, რომ ცოდვით დაცემამდე ცხოველებს ადამიანებთან ურთიერთობა შეეძლოთ. სწორედ ამიტომ ვერ ვხედავთ, რომ ევა შეშფოთდა ან უკან დაიხია, როცა გველი მიუახლოვდა. ცხოველებსა და ადამიანებს შორის საუბრის უნარი თაობების შემდეგაც უნდა შენარჩუნებულიყო, რადგან არც ბილყამს ეცა ელდა, როცა ვირი დაელაპარაკა; იხ. რიცხვ. 22:21-35 მან ჩვეულებრივად განაგრძო სახედართან საუბარი ისე, რომ არანაირი გაკვირვება არ გამოუხატავს).

როგორ მოახერხა მან ეს?

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ ჩემი კვლევის მიზანი ედემის ბაღში მომხდართან დაკავშირებით! გვინდა, რომ კარგად დავინახოთ, როგორ მოახერხა ამ დემონით შეპყრობილმა გველმა ევას ცდუნება სრულყოფილ გარემოში ისე, რომ საქმეში ღმერთი ჩაერთო. მოდი, გავაანალიზოთ მისი მიდგომა:

> „ჰკითხა გველმა დედაკაცს: „ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არცერთი ხისნაყოფი არ ჭამოთო?“ (დაბ. 3:1)

ამ კვლევის თანახმად, გველმა თავისი სტრატეგიული გეგმის პირველი ნაბიჯი განახორციელა. მისი მიზანი ღვთიური სიბრძნიდან ევას აცდენა გახლდათ. მოხერხებულად დასმულმა კითხვამ ევას მზერა მაშინვე მოსწყვიტა ურიცხვ ნებადართულ ხილის ხეებს და მისი ყურადღება ერთადერთი აკრძალული ხილისკენ მიმართა.

ღვთის სიტყვები, რომელიც ადამსა და ევას უნდა გაეთვალისწინებინათ, ზუსტად ასე ჟღერდა: „ბაღის ყოველი ხისგან შეგიძლია, ჭამო, ოღონდ ...“. უფლის სიუხვე გამოკვეთილია: „ყოველი ხისგან შეგიძლია, ჭამო.“ მსოფლიოში ათასობით ცნობილი ხეხილია და ჩემი აზრით, ბაღში ყველა მათგანი ხარობდა. რა ჭკვიანი იყო ეს გველი! ევას უამრავი ხიდან შეეძლო ეჭამა, მაგრამ სატანის ქვეტექსტის შემცველი კითხვის შემდეგ ერთადერთ აკრძალულ ხეს თვალი ველარ მოსწყვიტა.

დღესაც არაფერია განსხვავებული. ღმერთმა უამრავი ნიჭი უსასყიდლოდ გვიბოძა – ზეცის მიერ შემოთავაზებული ყოველგვარი კურთხევა (იხ. ეფეს. 1:3). მათ ჩამოსათვლელად კიდევ ერთი წიგნი დაგვჭირდებოდა! ასევე, ბიბლია გვეუბნება, რომ ყველაფერი ჩვენია იესო ქრისტეში (იხ. 1 კორ. 3:21-23). და მაინც, როგორია ჩვენი მტრის სტრატეგია? არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც ედემის ბაღში გამოიყენა. იგი ღვთის სიუხვის დაფარვას ცდილობს, რომ ყურადღება სწორედ „აკრძალულზე“ გავამახვილოთ. რატომ არ გვაძლევს ღმერთი ნებისმიერ, ჩვენთვის სასურველ საგანს? ამ მნიშვნელოვან შეკითხვას რამდენიმე გვერდის შემდეგ ვუპასუხებთ, ახლა კი მარტივად გეტყვით, რომ ეს ჩვენდა სასიკეთოდ ხდება. მან უკეთ იცის, ჩვენთვის რა სჯობს.

გაემიჯნა რა მისთვის ცნობილ ჭეშმარიტებას, ევა სასწრაფოდ გამოეპასუხა მოლაპარაკე გველს:

> „ბაღის ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა, მაგრამ შუა ბაღში რომ ხეა, მის ნაყოფზე გვითხრა ღმერთმა: არ შეჭამოთ და *არც შეეხოთ,* თორემ მოკვდებითო!“ (დაბ. 3:2-3)

ინტერესმოკლებული არ იქნება ევას ნათქვამში უზუსტობის აღნიშვნა. ღმერთს არასოდეს უთქვამს რაიმე ხის ნაყოფის შეხების შესახებ. შესაძლოა, ეს უმნიშვნელო ჩანდეს, მაგრამ საჭირო გასაღებს გვაძლევს იმის გასაგებად, რატომ მიმართა გველმა ევას და არა ადამს.

ევა არსად ჩანდა, როცა უფალმა თავდაპირველი მითითება წარმოთქვა და ადამისგან განსხვავებით, მას ეს უშუალოდ ღვთისგან არ მოუსმენია. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ არსებობდა ერთ-ერთი წინა დღე, როცა ადამი და ევა უზარმაზარ ბაღში დასეირნობდნენ და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს მიადგნენ. ადამმა თითი გაიშვირა და ევას ამ ხის შესახებ ღვთის ნათქვამი გადასცა. ამ ტიპის ინფორმაციას

გადაცემულ ცოდნას ვუწოდებ. მეორე მხრივ, ადამისთვის იგივე მითითება *გაცხადებულ* ცოდნას წარმოადგენდა. რაშია განსხვავება? გაცხადებულია ცოდნა, როცა უშუალოდ ღმერთი გვაჩვენებს რაიმეს.

განსხვავება გაცხადებულ და გადაცემულ ცოდნას შორის

ერთ დღეს იესომ მოწაფეებს ჰკითხა: „რას ამბობს ხალხი, ვინ არისო ძე კაცისა?“ (მათ. 16:13). მოწაფეებმა სათითაოდ ჩამოთვალეს, რაც სხვებისგან გაიგეს: აღმდგარი იოანე ნათლისმცემელი, ელია, იერემია ან რომელიმე სხვა წინასწარმეტყველი – ასეთი იყო ამ ადამიანთა მოტანილი ამბავი, რაც იმდროინდელი კომუნიკაციის საშუალებებიდან შეიტყვეს თანამედროვე ტვიტერის, ფეისბუკის, ინსტაგრამისა და ბლოგების მსგავსად.

მას შემდეგ, რაც იესომ მათი *გადაცემული* ცოდნა გამოარკვია, მეორე შეკითხვა დასვა, „თქვენ კი რას იტყვით, ვინა ვარ?“ (მუხლი 15).

გაოგნებულ მოწაფეებს პასუხი არ ჰქონდათ. იესოს პირველი კითხვა რომ არ დაესვა, ისინი სხვა ადამიანთა აზრების გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ და მათი პასუხები მხოლოდ გადაცემულ ცოდნას აირეკლავდა. იესომ ამ ორი კითხვის დასმით მეორეხარისხოვანი ცოდნისგან მათი გათავისუფლება განიზრახა, რომ მოწაფეებს ღვთისგან გაცხადებული ეპოვათ. პეტრე ერთადერთი აღმოჩნდა მათ შორის, ვისაც სათანადო პასუხი აღმოაჩნდა. მან წამოისროლა: „შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა!“ (მუხლი 16).

წარმომიდგენია, როგორ გაიღიმა იესომ, პეტრეს მხარზე ხელი დაჰკრა მოწონების ნიშნად და წარმოთქვა: „ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არ გაგიცხადა ეს, არამედ მამაჩემმა, რომელიც ზეცაშია!“ (მუხლი 17). პეტრეს არ მოუტანია ინტერნეტით ნაპოვნი ან შიგადაშიგ ჟურნალებში ამოკითხული ინფორმაცია. მან წარმოთქვა ჭეშმარიტება, რომელიც ღმერთმა უშუალოდ მას გადასცა.

მაშინ იესომ თქვა, რომ ამგვარი *გამოცხადებული ცოდნა* გახლავთ ის საფუძველი, რაზეც ეკლესია აშენდება და ჯოჯოხეთის ბჭენი მას ვერ დაძლევენ. და პირიქით, ჯოჯოხეთის ძალები ადვილად მოერევიან მას, ვინც მხოლოდ ადამიანებისგან მოსმენილ ანუ *გადაცემულ ცოდნას* ფლობს.

გამოცხადებული ცოდნის მიღება მრავალი გზით შეიძლება: წმ. წერილის ან ღვთითშთაგონებული წიგნის კითხვისას,

ლოცვაში წყნარად მოსმენით, მწყემსის ქადაგებიდან, ხილვის მეშვეობით პეტრეს მსგავსად, რომელიც სახლის ბანზე ნახა (იხ. საქმ. 10:9-16). ან უბრალოდ, ღვთის სიტყვასთან შეხვედრით, რომელიც სულიწმიდის მეშვეობით გულში გვეცხადება. ძნელია სიტყვის მიღების ხერხების განზოგადება. ზოგჯერ წყნარ ხმას გაიგონებთ გულში, სხვა დროს დარწმუნებით იცით რაღაც, რადგან გამოცხადება თქვენს სულში განათდა. ხან გული ბაგა-ბუგს იწყებს და ღვთის თანდასწრებას გრძნობთ ბიბლის კითხვისას. როგორც არ უნდა მოვიდეს, საბოლოო ჯამში, იცით, რომ ის უზენაესისგან იყო და *გაცხადებული ცოდნა* ვერ წაგერთმევათ.

მეორე მხრივ, *გადაცემული ცოდნა* რომელიმე პიროვნების მოსმენით ან მისი სიტყვის წაკითხვით მოდის, რაც იმ ადამიანმა ღვთისგან ისწავლა. შესაძლოა, ცოდნა ზუსტი იყოს, მაგრამ თქვენს გულში სულიწმიდის გაცხადების გარეშე ადვილია მისი დამახინჯება.

მაგალითად, ზოგიერთები თავს იწონებდნენ ბიბლიის ცოდნით: „იცი, ჯონ, ფული ბოროტების ფესვია!“ ამ ადამიანებმა წაიკითხეს ან რომელიმე მსახურისგან მოისმინეს 1 ტიმ. 6:10, სადაც ნათქვამია: „ვერცხლისმოყვარეობაა ყოველგვარი ბოროტების ფესვი“.

ფული უბრალო იარაღია. სულ ეს არის. იარაღი შეიძლება არასწორად ან სწორად გამოიყენო. თოფიც იარაღია. ქურდის ხელში იგი ძარცვის საშუალებად იქცევა. თუმცა პოლიციელის ხელში თოფი ქალზე ძალადობას ან მკვლელობას შეაჩერებს. თოფი იგივეა და მასში თავიდანვე არ არის ჩადებული კეთილი ან ბოროტი. ზუსტად ასევე, ფული იარაღია და სულაც არ წარმოადგენს ბოროტების ფესვს. *ფულის სიყვარულია* ყოველგვარი ბოროტების ფესვი.

ცალკეული პიროვნებები, რომლებიც მცდარ განცხადებებს აკეთებენ, გადაცემულ ცოდნას ფლობენ გაცხადებულის ნაცვლად. ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ გადაცემული ცოდნა უფრო საშიშია, ვიდრე საერთოდ არცოდნა.

სიტყვები, რომლებითაც ევამ ღვთის მცნება გადმოსცა ნაყოფის შეხებისგან თავშეკავების შესახებ, მიუთითებდა, რომ მას გადაცემული ცოდნა ჰქონდა. ბაღი სავსე იყო შემოქმედის თანდასწრებით. იგი ადამსა და ევასთან ერთად ყოველდღე სეირნობდა (იხ. დაბ. 3:8). მშვენიერი იყო ისიც, რომ ადამმა თავის ცოლს ღვთის მითითება გაუზიარა, მაგრამ ევამ, სავარაუდოდ, არ მოძებნა მისი შემოქმედის სახე, რომ უშუალოდ მისგან გაეგო, რაზე იყო საუბარი.

ღვთის მაძიებლებს უნდა ახასიათებდეთ მისი შეცნობისა და გაგების სიღრმეების წვდომა! ასე იქცეოდნენ ბერეელები, როცა პავლემ მათ ზეციური უწყება მიუტანა:

„ესენი უფრო გონებაგახსნილნი აღმოჩნდნენ, ვიდრე თესალონიკელნი, მთელი გულმოდგინებით მიიღეს სიტყვა და ყოველდღე წერილებს არჩევდნენ, ნამდვილად ასე თუ არისო“. (საქმ. 17:11NLT)

ბერეელები საქმეში ჩაერთნენ. ისინი ყურადღებით უსმენდნენ პავლეს და შემდეგ წმ. წერილს იკვლევდნენ. მომწონს სიტყვა *„გონებაგახსნილი“*. მათი გონება ღია იყო სულიწმიდის ხმის გასაგონად. მათ სულებსა და გონებას შორის არსებული არხები სუფთა და გამოცხადების მისაღებად მზადყოფნაში გახლდათ.

დღევანდელი მორწმუნეებისგან განსხვავებით, ბერეელებს წმ. წერილის შინაარსი ციფრული ჩანაწერების, ბლოგების პოსტების ან ტვიტერისა და ფეისბუკის კომენტარებით არ მიუღიათ. ზუსტად ასევე, იესოს არ აინტერესებდა ხალხის შეხედულება, როცა მოწაფეებს მისი ვინაობის შესახებ ეკითხებოდა. მას შემდეგი ინფორმაციის გაგება ეწადა: „ბიჭებო, რა გაგიცხადათ ღმერთმა?“

შესაძლოა, ერთ-ერთი ჯგუფური მოგზაურობის დროს პეტრემ ვიღაცის ნათქვამი მოისმინა: „იესო ნამდვილად ქრისტე უნდა იყოს!“ ამ მომენტიდან მისი გული და გონება სრულმა გაცნობიერებამ მოიცვა, რომელიც სულიწმიდის თანდასწრებამ წარმოშვა. *ეს არის! იგი ღვთის ძეა! იგი ქრისტეა! რა მაგარია! აქამდე დანამდვილებით თქმა არ შემეძლო, ახლა კი ვიცი, რომ ის ქრისტეა!* ხშირად ასე მოდის ჩვენს გულებამდე ღვთის ჭეშმარიტების გაცხადება.

შესაძლოა, პეტრეს შემთხვევაში სხვანაირად მოხდა. გამოცხადება მის გულამდე რომელიმე ღამეს მოვიდა, როცა ძილი არ ეკარებოდა ან დღისით, როცა ქალაქებს შორის მოგზაურობდა ან იესოს ცქერისას, როცა იგი ქალაქგარეთ დაბანაკებული გუნდის სხვა წევრებს ესაუბრებოდა. ერთ რომელიღაც მომენტში, სრულიად გაუცნობიერებლად პეტრემ ღვთისგან ეს. 9:6-7-ის მსგავსი მუხლი მოისმინა, სადაც ქრისტეს მოსვლა იყო ნაწინასწარმეტყველები.

შესაძლოა, პეტრეს სულიერი გამოცხადება „აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!“ მაშინ მოვიდა, როცა იესო სნეულს კურნავდა. მოულოდნელად მოწაფემ თავისი ბავშვობის მოძღვარი გაიხსე-

ნა, რომელიც მესიაზე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებას კითხულობდა: „მან თვითონ აიღო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნეულებანი“ (მათ. 8:17, ეს. 53:4-ის დასამოწმებლად).

უამრავი გზა არსებობს, რომლითაც პეტრეს შეეძლო გამოცხადების მიღება იესოს ნამდვილ ვინაობაზე. მთავარი ის არის, რომ ღმერთმა თავად გაუცხადა მას.

ვფიქრობ, სრული დამშვიდებით შეიძლება განვაცხადო, რომ ევას შემთხვევაში ასე არ მომხდარა. მას არ ჰქონდა გაცხადებული ცოდნა. იგი გადაცემული ცოდნის ამარა დარჩა. შესაძლოა, ადამმა მას ასეთი შეტყობინება გაუგზავნა ტვიტერით: „ძვირფასო, დავინახე, რომ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს უყურებ. არ შეეხო! ღმერთმა თქვა: მოკვდებით, თუ მის ნაყოფს შეჭამთო!“

მეორე ფაზა

გველმა უკვე მოახერხა ევას ყურადღების მიპყრობა ერთადერთ აკრძალულ ხეზე. ახლა მას შეეძლო თავისი დამარწმუნებელი ხრიკის მეორე ეტაპი წამოეწყო. ეს ნაბიჯი ღვთისგან უკვე ნათქვამის სრულიად საპირისპირო იქნებოდა. მიუხედავად ამისა, საცდური მოხერხებულად შეიფუთა გონივრულისა და მისაღების საფარქვეშ და თან გარკვეული სარგებლის მიღების აღთქმასაც შეიცავდა. სატანა ასე შეეწინააღმდეგა:

> „არ მოკვდებით! მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ იმ ხის ნაყოფს, თვალი აგეხილებათ და ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი გახდებით“. (დაბ. 3:4-5)

დააკვირდით გველის სიტყვებს: „იცის ღმერთმა“. აქ გარკვეული აკრძალვა იგულისხმება, მაგრამ უბრალო კი არა, მნიშვნელოვანი, რომელიც ადამისა და ევას ცხოვრებას გააუმჯობესებდა. ეს რაღაც მათ მაღალ საფეხურზე აიყვანდა! ხეზე კეთილიც იყო ამიტომ გველმა ფრთხილად აამუშავა ლოგიკა, რომ ყველაფერი გონივრული გამოჩენილიყო. ამან იმოქმედა.

> „და დაინახა დედაკაცმა, რომ საჭმელად კარგი ჩანდა ის ხე, *თვალთათვის საამური და მიმზიდველი, რადგან შემეცნებას იძლეოდა.* მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. თავის კაცსაც მისცა და მანაც შეჭამა“. (დაბ. 3:6)

ევამ დაინახა, რომ ხე კარგი და მიმზიდველი იყო და შემეცნებას აძლევდა. ეს ყველაფერი სასურველი და მისთვის სასარგებლო იყო.

როცა ევა ხეს მიაჩერდა, მისმა ფიქრებმა ახალი მიმართულება ჰპოვეს: *ერთი წუთით! ამ ხეზე არის რაღაც კარგი და სასარგებლო, მაგრამ ღმერთმა აგვიკრძალა. შეიძლებოდა მე და ჩემს ქმარს უკეთესი ცხოვრება გვქონოდა. უფრო ბრძენები და ბედნიერები ვიქნებოდით, მაგრამ აკრძალული გვაქვს. მე მეგონა, ჩვენი შემოქმედი მოსიყვარულე და გულუხვი იყო, მაგრამ სინამდვილეში გვატყუებდა. იგი რაღაც კარგს გვიმალავს.*

რამდენადაც მეტს ფიქრობდა ევა, მის გულში ხილის ჭამის სურვილი მით უფრო იზრდებოდა. მისი ნდომა გამართლებული იყო იმ სიკეთის მიღების იმედით, რაც მისი რწმენით, ხეს უნდა ჰქონოდა.

სატანის საბოლოო მიზანი ევას თვალში ღვთის ბუნების დამახინჯება გახლდათ. თუ ამაში წარმატებას მიაღწევდა, ღმერთსაც ავნებდა. რატომ? იმიტომ, რომ ღვთის წესები მისი ბუნებით არის განპირობებული და გამაგრებული.

მეფე დავითი წერდა: „სიმართლე და მართლმსაჯულებაა შენი ტახტის საფუძველი, წყალობა და ჭეშმარიტება დგანან შენ წინაშე“ (ფს. 89:14). ის მეფე იყო და იცოდა, რომ ეს თვისებები წინამძღოლის ხანგრძლივი მმართველობის საწინდარია. თუ მეფე ჭეშმარიტებით სავსე, სამართლიანი და ბრძენია, მისი მეფობა არ დასრულდება. თუ მეფე მატყუარა და უსამართლოა, იგი დიდხანს ვერ გაძლებს.

ღვთის ბუნება სრულყოფილია, მაგრამ გველი ცდილობდა, ევა ამის საწინააღმდეგოში დაერწმუნებინა. მას მტკიცებულებების დამახინჯება სურდა. აკრძალული ხის შესახედაობა კარგი და საამური იყო. ჩანდა, რომ მისი მეშვეობით ადამიანი გონიერი გახლდებოდა, მაგრამ გარეგნული მხარე ზოგჯერ მაცდურია. სწორედ ამიტომ გვეუბნება წერილი, „რადგან ვუყურებთ არა ხილულს, არამედ – უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი – საუკუნო“ (2 კორ. 4:18). უხილავი სწორედ ღვთის სიტყვაა. მისი სიტყვა სამართლიანი და ზუსტია.

ნუ მოტყუვდებით!

მტერმა შეძლო ევას ხელში ჩაგდება იმით, რომ ღვთის ბუნების ევასეულ ხედვას ძირი გამოუთხარა. მეც ხშირად მიხდება მსგავსი აზრების თავიდან მოშორება ფიცხელ ბრძოლაში,

როცა ლოცვებზე პასუხს ისე სწრაფად ვერ ვიღებ, როგორც ვიმედოვნებდი. ასეთ ვითარებებში საკუთარ თავს ვახსენებ ღვთის ერთგულებას. ჩემს თავს ვწვრთნი რეალობის დანახვებით: *პრობლემა ღმერთში როდია. იგი არაფერს მიჭერს. იგი კეთილი და გულუხვი მამაა.*

გველმა ევა დაარწმუნა, რომ ღვთისგან აკრძალულში რაიმე კარგი შეიძლებოდა ყოფილიყო. თუ მან წარმატებას მიაღწია ქალთან, რომელსაც ადრე არასოდეს გამოეცადა ძალადობა, შეურაცხყოფა ან სარგებლის მიღების მიზნით მოტყუება, რამდენად გაადვილებულია დღეს მტრის საქმიანობა დაცემულ ქვეყნიერებაზე, რომელიც სავსეა წყენით, გახრწნილებით, დამახინჯებით და ტყუილით? სწორედ ამის გამო, იოანე მოციქული მკაცრად გვაფრთხილებს:

„ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო!“ (იაკ. 1:16)

მიყვარს თქმა, რომ ტყუილში მხოლოდ ერთი პრობლემაა: ის გაცდუნებს! მოტყუებულს გულით სჯერა, რომ მართალია, სწორად ფიქრობს და სიმართლე მის მხარესაა. რეალურად, იგი ცდება და არც ჭეშმარიტების მხარესაა. რა საშინელებაა!

ევა მოტყუვდა და საბოლოოდ, შესცოდა. იაკობს არ სურს, რომ ჩვენც იგივე მახეში აღმოვჩნდეთ. ამიტომ, მოდით, მისი მთლიანი გაფრთხილება შევისწავლოთ:

„ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო! ყოველი კეთილი მისაცემელი და ყოველი სრულყოფილი ნიჭი გადმოდის მაღლიდან, შუქთა მამისგან, რომელთანაც არც ცვლილებაა და არც ჩრდილი ცვალებადობის“. (იაკ. 1:16-17)

იაკობი არ ამბობს, რომ კეთილ მისაცემელთა უმეტესობა ღვთისგან მოდის. ზოგიერთები ასე ფიქრობენ. არა, სრულიად ნათლად არის ნათქვამი, რომ ყველა სიკეთე და სრულყოფილი ნიჭი ღვთისგან მოდის. ასეთივე წარმატებით შეიძლება დავწეროთ, რომ „არავითარი სიკეთე არ მოდის ღვთის ნების გარეშე“. მომდევნო განაცხადს ზედაპირულად და აგდებით ნუ მოეკიდებით, რადგან მასში დიდი სიღრმეა! *მნიშვნელობა არ აქვს, რაოდენ კარგი ჩანს საგანი, რამდენად გასართობია, რამდენ სიმდიდრეს და წარმატებას მოგიტანთ, რამდენად სულიერად გამოიყურება, რამდენად გონივრულია, რამდენად პოპულარული ან მისაღებია – სიის გაგრძელება კარგა*

ხანს შეიძლება. თუ რაიმე ეწინააღმდეგება ღვთის სიბრძნეს (ან სიტყვას), ის აუცილებლად გამანადგურებელი იქნება და მწუხარებას მოგიტანთ ცხოვრებაში.

ევა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ გონივრულ არჩევანს აკეთებდა და სიკეთეს იღებდა, რაც მისი და მისი ქმრის ცხოვრებას გააუმჯობესებდა. ასე არ მოხდა. თუ ათასობით წლის შემდეგ ფიქრობთ, რომ თქვენი სიბრძნე ხილულ სიკეთესთან დაკავშირებით უფრო სასარგებლო გამოდგება, ისევე მოტყუებული ხართ, როგორც ევა და თავს დიდ განსაცდელში იგდებთ.

ვიცი, შეიძლება იფიქროთ, რომ ცოტა არ იყოს, უარყოფითად მოაზროვნე ან გონებაშეზღუდული ვარ, ასე რომ ვამბობ, მაგრამ ეს ჩემგან არ არის. მე მხოლოდ თქვენი გაფრთხილება მინდა. ეს წიგნი სავსეა მითითებებით, როგორ უნდა ამოიცნოთ ნამდვილად კარგი თქვენი ცხოვრების, მსახურების, ბიზნესის, ურთიერთობისა და ბევრი სხვა საქმისთვის. ამასთან, იესო ქრისტეს სიტყვის სრულად წარდგენისთვის უნდა *გაგაფრთხილოთ* და *გასწავლოთ* კიდეც. პავლე ამას ამოწმებს, როცა წერს:

> „რომელსაც ვქადაგებთ ჩვენ, რათა შევაგონოთ და ვასწავლოთ ყოველ ადამიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი კაცი წარვადგინოთ სრულქმნილად ქრისტე იესოში“. (კოლ. 1:28)

მე და თქვენ გაფრთხილებებისა და მითითებების გარეშე სრულყოფილებას ვერ მივაღწევთ. ამ საკითხს ასე ვუყურებ. როცა ახალ ელექტრომოწყობილობას ან სამუშაო იარაღს ყიდულობთ, თანდართული ინსტრუქციის პირველ ან მეორე გვერდზე ასეთ სიტყვებს იხილავთ: „გაფრთხილება: გამოყენებამდე წაიკითხეთ!“ შემდეგ მწარმოებელი ჩამოთვლის ქმედებებს, რაც უნდა გააკეთოთ ან უფრო ხშირად, რა არ უნდა გააკეთოთ ამ პროდუქტთან დაკავშირებით. ამგვარი გაფრთხილება საჭიროა, რომ არ მიიღოთ მძიმე დაზიანება ან ნაყიდი ნივთი არ გააფუჭოთ. იგი დიდხანს მოგემსახურებათ, თუ გაფრთხილებებს ყურს ათხოვებთ. თუ მწარმოებელი არ გაგაფრთხილებთ, შესაძლოა, დაუდევრობით თავი დაიზიანოთ ან ნივთი გააფუჭოთ. ამ შემთხვევაში, ალბათ, საშინელ წერილს მისწერთ კომპანიას და ერთ ამბავს ატეხთ, რომ სათანადოდ არ გაგაფრთხილათ.

პავლე გვეუბნება, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალი აღთქმის გაფრთხილებებს. თუ მათ გავითვალისწინებთ, ჩვენს შემოქმედთან თანხმობაში ცხოვრების მრავალი წარმატებული წელი გველოდება. თუ გაფრთხილებებს უგულებელვყოფთ, ისევე დავიტანჯებით, როგორც ადამი და ევა. ამის შემდეგ მოგვიწევს ბლოგებში კომენტარების, წერილებისა და მეილების წერა, თუ რა უსამართლოა ცხოვრება იმ სირთულეებისა და მწუხარების გამო, რომლებიც ცხოვრებაში შეგვხვდება. ღმერთი ნათლად აცხადებს:

> „ნუ განშორდება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეთ, დღე და ღამე მასზე იფიქრე, რომ იფხიზლო ყოველივე მასში ჩაწერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მიაღწევ *წარმატებას* და *სიკეთეს* შენს გზებზე!“ (ი.ნ. 1:8)

ღმერთი წარმატებული და აყვავებული ცხოვრების გარანტიას გვაძლევს, თუ მის წიგნში დაწერილ მითითებებს გულმოდგინედ დავიცავთ. ეს წიგნი მხოლოდ შთამაგონებელ და მანუგეშებელ სწავლებას როდი შეიცავს. მასში ბევრი გაფრთხილებაა.

საუბედუროდ, თანამედროვე მსახურები და მასწავლებლები ხშირად გვერდს უვლიან ამ მნიშნელოვან გაფრთხილებებს. წმ. წერილის ამგვარი მონაკვეთები უარყოფითად აღიქმება და ჩვენ არ გვინდა დამანაღვლიანებელი სიტყვის წარმოთქმა კათედრიდან, რადგან ასეთი მიდგომა ეკლესიის ან კონფერენციის აუდიტორიისთვის არასასიამოვნო და დამაბრკოლებელი იქნება. ამის გამო მორწმუნეთა შორის ბევრია იმედგაცრუება და მარცხი. ამის აცილება შესაძლებელი იქნებოდა, მათთვის რომ ესწავლებინათ და სათანადოდ გაეფრთხილებინათ.

მინდა დაგარიგოთ, რომ კარგად გაითავისოთ: ღვთის სიბრძნის ან სიტყვის მიღმა კარგი არაფერია, საერთოდ არაფერი. თუ ამის გწამთ, ჩვენი ძიება გავაგრძელოთ სიკეთესა და ღმერთს შორის განსხვავების დასანახად.

3

სიკეთის საყოველთაო სტანდარტი

„ღვთის ყოველი სიტყვა ნაცადია“.
იგ. 30:5
„ცდომილების დაპირისპირების საუკეთესო
საშუალება ჭეშმარიტების სიტყვის მტკიცე
ცოდნის ხელშეწყობა გახლავთ“.
მეთიუ ჰენრი

ამ წიგნში სიკეთის ცნების სამ ასპექტს შევეხები. პირველი, ღმერთთან ჩვენს ძირეულ ურთიერთობას შეეხება, მეორე – ჩვენს ბუნებასა და ქცევებს, ხოლო მესამე – ჩვენს გეგმებსა და სტრატეგიებს. ისინი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან, რადგან პირველი – ჩვენი საფუძველია, მეორე – ყველა ჩვენგანის ცხოვრებას ერთმანეთთან აკავშირებს, და მესამე – ჩვენს ცხოვრებას აშენებს. თუ პირველი ორი მტკიცეა, ჩვენი შრომა მაქსიმალურად ნაყოფიერი და ხანგრძლივი იქნება. თუ ერთ-ერთი მათგანი მცდარია, ჩვენი ცხოვრებისეული საშრომი შეფერხებული და ცვალებადია.

ჩვენი პირველი სახლის მშენებლობა ისე მახსოვს, თითქოს გუშინ იყო. მე და ლიზა მთლიანად ჩართულები ვიყავით ამ პროცესში დაწყებიდან დასრულებამდე. როგორც კი კონსტრუქციას საფუძველი ჩაეყარა, ყოველდღე მივდიოდით ადგილზე და მშენებლობის განვითარებას ვაკვირდებოდით.

საძირკვლის ჩაყრა ისე საინტერესო არ გვეჩვენა, ამიტომ მის შემოწმებაზე უფრო და უფრო ნაკლებ დროს ვხარჯავდით. ზუსტად იმ დროს ჩვენი მეგობრები გაცილებით ლამაზ სახლს აშენებდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ მათი სახლის კედლებზე უზარმაზარი ბზარები გაჩნდა იატაკიდან ჭერამდე. ერთ საღამოს მათთან ვახშმად ვიყავით და ეს აშკარა პრობლემა რომ შევნიშნეთ, დავინტერესდით, რა ხდებოდა. მათ უკმაყოფილება არ დაუმალავთ და გვითხრეს, რომ პრობლემა სახლის არამყარ საძირკველში მდგომარეობდა. მშენებელმა ფული დაზოგა და ზარალის ანაზღაურების ყოველი მცდელობა ფუჭი

აღმოჩნდა. პრობლემის გამოსწორება კი უკიდურესად ძვირი და ხანგრძლივი პროცესის შემდეგ იყო შესაძლებელი. მათმა გამოცდილებამ მიმახვედრა, რაოდენ მნიშვნელოვანია კარგი საძირკველი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახლის მშენებლობის ამ ნაწილზე დაკვირვება დიდად არ გვაინტერესებდა, გადამწყვეტი სწორედ ეს იყო გამძლე სახლის აშენების საქმეში.

ჩვენი სახლის საძირკვლის ჩაყრის შემდეგ კედლების ამოყვანის ჯერი დადგა. ამ ეტაპმა სამუშაო ადგილის მონახულება უფრო საინტერესო გახადა. იქ უფრო დიდხანს ვრჩებოდით, რადგან სახლის შიგნით სიარული უკვე შეგვეძლო. აღელვებული შევყურებდით ოთახების მოხაზულობას და ახლა რეალური წარმოდგენა შეგვექმნა, როგორი იქნებოდა აშენებული სახლი.

ბოლო ეტაპმა საოცრად აღგვაფრთოვანა და ჩვენი სახლის შემოწმებაზე გაცილებით მეტ დროს ვხარჯავდით, ვიდრე ადრეულ ფაზებზე. კარკასი შეიკრა და თაბაშირ-მუყაოს აკვრაც დასრულდა. ვაკვირდებოდით იატაკის დაგებას, კარადების დამონტაჟებას, კედლების მორთულობების, ჭერის, სამზარეულოს ზედაპირებისა და ნათურების დაყენებას. ეს ჩვენი პირველი სახლი იყო და შეგვეძლო ისე მოგვეწყო და გაგვეფორმებინა, როგორც მოგვესურვებოდა. ყოველი დილა ქრისტეშობად გვეჩვენებოდა. ყველაფერი დასასრულს უახლოვდებოდა.

აი,რისი თქმა მინდა: თუ ჩვენი სახლის მშენებლობის პირველი ორი ეტაპი – საძირკველი და კარკასის შეკვრა – სწორად არ წარიმართა, ყველაფერი დანარჩენი დაზიანდებოდა, მაშინვე თუ არა, გარკვეული დროის შემდეგ მაინც, როგორც ჩვენი მეგობრების შემთხვევაში მოხდა.

ანალოგიურად, ჩვენი წიგნის ბოლო უწყების შესახებ მსჯელობა, რომელიც ცხოვრებისეულ გეგმებსა და სტრატეგიებს მოიცავს, გაცილებით სასიამოვნო იქნება. ეს უკავშირდება საქმიანობას, მსახურებასა და ცხოვრებისეულ ძიებებს.

სიკეთის გარეგნული ნიშნის მქონე საკითხებში არჩევანის გაკეთება გვიხდება, მაგრამ ხშირად ეს არ არის ღვთისგან საუკეთესო. ეს გზები არჩევის შემთხვევაში ჩვენი პოტენციალის მაქსიმუმს დაგვაკარგვინებს. ეს ურყევი ჭეშმარიტება გახლავთ: „[იგი] არანაირ სიკეთეს არ დაუკავებს უბიწოდ მოარულთ!“ (ფს. 84:11). მას თქვენთვის კარგი უნდა და მისი სიკეთე ყოველთვის დიდებულია.

ამ თემას მოგვიანებით დავუბრუნდებით. თუმცა ჩვენმა მშენებელმა ბეჯითად იშრომა კონსტრუქციის პირველი ნაბიჯის გადასადგმელად, და ამ წიგნში ჩვენც უნდა ჩავყაროთ საფუძველი და კარკასი ავაგოთ.

სიკეთის განმარტება

მოდი, გადავხედოთ სიტყვას „სიკეთე“! მისი აღმნიშვნელი ებრაული ანალოგი გახლავთ *„ტობ“.The Complete Word Study Dictionary* რამდენიმე განმარტებას გვთავაზობს: „ბედნიერება, სიამე, კარგად და მართებულად ყოფნა“. *New International Encyclopedia of Bible Words* უფრო ღრმა მნიშვნელობას გადმოგვცემს:

> ეს უბრალო სიტყვა „კარგს“ ნიშნავს მისი ყველაზე ფართო გაგებით. იგი მოიცავს: ლამაზს, მიმზიდველს, გამოსადეგს, მარგებელს, სასურველსა და მორალურად გამართულს.
>
> „სიკეთის“ ყველა ამ გამოყენებას შეფასების კონცეფცია აერთიანებს. სიკეთის განსაზღვრებისთვის აუცილებელია საგნების, თვისებებისა და მოქმედებების შედარება სხვა საგნებთან, თვისებებთან და მოქმდებებთან...
>
> შესაქმის აღწერა სიკეთის ბიბლიურ ხედვას წარმოგვიდგენს, როცა ღმერთმა ყოველი დღის ნაშრომს გადახედა და თქვა, კარგიაო. ღმერთიც აფასებს! ეს აშკარაა, რადგან შემოქმედმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა, რომ ჰქონოდა განსჯის და შეფასების საღი უნარი. თუმცა ცოდვამ კაცობრიობის აღქმა დაამახინჯა. აქედან გამომდინარე, სრულყოფილად შეფასების უნარი მხოლოდ ღმერთს გააჩნია. ძველი აღთქმის ავტორები დარწმუნებულები იყვნენ, რომ უზენაესი სიკეთის არა მარტო მიმცემი და განმსაზღვრელია, არამედ მხოლოდ მან იცის, რა არის ჩვენთვის ნამდვილად სასარგებლო და ზნეობრივად გამართლებული. მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთმა სიკეთის მისეული შეფასება თავის სიტყვაში გაგვიზიარა, შეგვიძლია თუ არა ჩვენ, მასზე მინდობილმა ადამიანებმა, სრული დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ გარკვეული საგანი, თვისება ან მოქმედების მიმართულება სასარგებლოა?

საკვანძო სიტყვა გახლავთ *„შეფასება“*. ადამმა და ევამ კარგისა და მისაღების შეფასება ღმერთთან მოთათბირების გარეშე გადაწყვიტეს. განსაზღვრისთვის სულ სხვა ტიპის სტანდარტები გამოიყენეს: საკუთარი. ეს იქცა შემოქმედთან კაცობრიობის მტრობის ფესვად. იგი სხვადასხვა მოხაზულობასა და ფორმას იძენს, მაგრამ ყოველთვის ერთ ზრახვამდე დაიყვანება: „ვიცი, რა არის კარგი ჩემი ცხოვრებისთვის და არავინ მჭირდება, ვინც სხვა რამეს მეტყვის“. ღმერთი კი აცხადებს: „არის გზა, რომელიც *სწორი ჩანს* კაცის წინაშე, მისი ბოლო კი სიკვდილია“ (იგ. 16:25).

პირველ თავში იგივე სიტყვები მოვიშველიე, მაგრამ მაშინ იგ. 14:12 მოვიყვანე. შემთხვევითი არ არის, რომ განაცხადი მეორდება. როცა წმ. წერილში რაიმე საკითხზე ორჯერ არის ლაპარაკი, ის ყურადღება მისაქცევია. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი რამ ღვთისთვის უფრო მნიშვნელოვანია (იხ. მათ. 23:23). როცა ნათქვამი მეორდება, კიდევ უფრო გულდასმით უნდა ჩავუკვირდეთ.ამ შემთხვევაში ეს უფრო მკაცრი გაფრთხილება გახლავთ.

ღმერთმა იცის, რა ადვილია კეთილსა და ბოროტს შორის მიჯნის დამახინჯება. თუ ასეთი რამ ედემის ბაღში მოხდა, იგივეს გამეორება უფრო ადვილი არ არის ჩვენს დროში? ღმერთი გვაფრთხილებს, რომ იქნება ჩვენი შეფასებისთვის მისაღები *გზები:* ქცევის ნორმები, ფიქრი რაღაც საკითხზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მრწამსი, ჩვეულებები და ტრადიციებიც კი, რომლებიც არ გამოგვადგება ჩვენი ცხოვრების ასაგებად და საბოლოოდ, მძიმე დაღს დაგვასვამს. შედეგების დადგომას თვეები ან წლები დასჭირდება და შესაძლოა, არც გამოჩნდეს სამსჯავროს დღემდე. პავლე ამბობს: „ზოგიერთი ადამიანის ცოდვები წინასწარვე ცხადნი არიან და სამსჯავროსკენ მიუძღვიან წინ, ზოგიერთს კი უკან მისდევენ“ (1 ტიმ. 5:24). არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ ამ მუხლის მეორე ნახევარი შიშს მგვრის. ღვთის კი არ მეშინია, არამედ მისგან დაშორება მაფრთხობს.

მთავარია, ნამდვილად მწამს თუ არა, რომ ღვთის სიბრძნე სრულყოფილია და ვენდობი თუ არა მას ჩემთვის საუკეთესოს მოცემაში. ყოველმა ადამიანმა თავის გულში მტკიცე პასუხი უნდა მოამზადოს ამ კითხვაზე. ეს ძირეული დარწმუნება არ უნდა იცვლებოდეს ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლისას. ღვთის სიბრძნე სრულყოფილია ყველა შემთხვევაში ან მას უმოქმედოდ ვაცხადებთ და უმჯობესად მიგვაჩნია მისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება.

როგორია სიკეთის სტანდარტი, რომელსაც ვენდობით? რას მივყავართ სიცოცხლის გზისკენ? პავლე მოციქული გვეუბნება:

„მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, თუ რა არის ჭეშმარიტი. მისით ვაცნობიერებთ, რა არის არასწორი ჩვენს ცხოვრებაში. იგი გვამხელს და გვასწავლის იმის კეთებას, რაც სწორია“. (2 ტიმ. 3:16 NLT)

მოდი, განვიხილოთ პავლეს ნათქვამის ზოგიერთი დეტალი!

მთელი წერილი. არა მხოლოდ რომელიმე ნაწილი. არა ის მონაკვეთი, რომელიც მოგვწონს ან ვეთანხმებით. არა ის მუხლები, რომლებიც ჩვენს აზროვნებას ან შეხედულებებს ეთანხმება. ლაპარაკია მთელ წერილზე! იყავით გულწრფელი საკუთარ თავთან: ხომ არ გგონიათ, რომ ღვთის სიბრძნე ზოგიერთ სფეროში მართებულია, ხოლო სხვა შემთხვევებში – დრომოჭმული ან შეუსაბამო?

ევამ იცოდა, რომ ღმერთი შემოქმედი იყო და მისი სიკეთის სიმდიდრით ხარობდა მის საოცარ თანდასწრებაში ყოფნისას. იგი უზრუნველყოფილი გახლდათ მშვენიერი ბუნებით, მშვიდობით, ჰარმონიით, ჯანმრთელობით და უამრავი ხის გემრიელი ნაყოფის სიუხვით. და მაინც, რაკი ერთხელ შეიტანა ეჭვი, რომ ღვთის სიბრძნე საკმარისი არ იყო, ევა სიკვდილის გზას დაადგა. თუ ქალი ასეთ სრულყოფილ გარემოში შეცდა, რამ უნდა დაგვიფაროს ქვეყნიერების გახრწნილებისგან? მხოლოდ და მხოლოდ წმ. წერილმა.

წერილი სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლადდა დასარიგებლად სიმართლეში. რაიმე საგანს შეიძლება ჰქონდეს კარგის შესახედაობა, მაგრამ სრულიად საპირისპირო აღმოჩნდეს. არსებობს კონცეფციები, ვარაუდები, შეხედულებები, თვისებები, აზროვნების მიმართულებები და ნორმები, რომლებიც კარგი გვეჩვენება, მაგრამ ასე სრულიადაც არ არის. ღმერთმა ამ დაფარული საფრთხეების გამო მოგვცა ცხოვრების სახელმძღვანელო, რომ ჭეშმარიტების გზას *გაუცნობიერებლად* არ ავცდეთ და სიკვდილის მახეში არ აღმოვჩნდეთ. ეს გახლავთ ბიბლია.

მე და თქვენ საკუთარ თავს კითხვა უნდა დავუსვათ (და გულწრფელად ვუპასუხოთ), თანმიმდევრულად ვკითხულობ თუ არა ბიბლიას? ვსწავლობ თუ არა მას? გამოვყოფ თუ არა დროს ღვთის სიბრძნის საძიებლად ჩემი ცხოვრებისთვის? თუ

ევას მსგავსად ვთვლი, რომ ღვთის სიტყვაში გაწაფული ვარ? მე, გახრწნილ პლანეტაზე მცხოვრები და მაცდუნებელთან ბრძოლაში ჩაბმული ადამიანი ევაზე უკეთ ვითავისებ თუ არა ჭეშმარიტებას და ვრჩები თუ არა სწორ გზაზე?

მთელი წერილი ღვთივსულიერია. ამ წინადადებაში დაფარული აზრი არ იკითხება და არც რაიმე გამონაკლისს გულისხმობს. იგი ყველაფერია ან არაფერი. თუ მთელი წერილი ღვთითშთაგონებული არ არის, მაშინ უხარისხო, ნაკლოვანი სახელმძღვანელო გვქონია.

წმიდა წერილის ჭეშმარიტობა

მოდი, ბიბლიასთან დაკავშირებული რამდენიმე დეტალი მიმოვიხილოთ! იგი 66 წიგნისგან შედგება. დაწერილია სხვადასხვა ენაზე, დაახლოებით, 1500 წლის განმავლობაში სამ კონტინენტზე მცხოვრები (აფრიკა, აზია, ევროპა) 40-ზე მეტი ადამიანის მიერ. ავტორები სრულიად განსხვავებული წარსულის, პროფესიის და ხედვის ადამიანები იყვნენ: მეთევზეები, მწყემსები, მეომრები, მეფეები, სამეფო ღვინისმწდე, ექიმი, მებაჟე, მეკარვე და სხვები. ზოგიერთი მათგანი ციხეში წერდა, სხვები კი – მეფის სასახლეში.

ყველა ეს ადამიანი მრავალ განსხვავებულ თემას შეეხო და ამ ფონზე მეტად შესამჩნევია ბიბლის ერთიანობა. მთავარი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: კაცობრიობის ცოდვა დაბრკოლებად იქცა და ადამიანები შემოქმედს დააშორა; მათ ვერ შეძლეს მოზიარეობის აღდგენა; ამაზე ღვთიური პასუხი იყო მესიის, უფალ იესო ქრისტეს წარმოგზავნა. ეს თემები ურთიერთშერწყმით და თანმიმდევრულად მოცემულია დაბადებიდან გამოცხადებამდე.

ფაქტი, რომ ბიბლიის ავტორებმა ერთობლივი გეგმა არ შეადგინეს (და ვერც შეადგენდნენ) ბიბლიის დასაწერად, ძრწოლის მომგვრელია! არც ერთ პიროვნებას ან კომიტეტს არ შეეძლო პროცესის განვითარების ზედამხედველობა. ეს თავად ღმერთმა გააკეთა! ვინაიდან წმ. წერილი დიდი ხნის განმავლობაში იწერებოდა, მისი ცალკეული წიგნების ავტორები პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს ან სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ. წიგნები თანდათან ემატებოდა არსებულ ნაკრებს და ეს 1500 წელი გრძელდებოდა (ერთი წუთით შეჩერდით და გონებით გადახედეთ 1500 წლის წინანდელ ქვეყნიერებას. აი, იმ დროს ჩაეყარა საფუძველი ბრიტანეთის იმპერიას. ამაღელვებელია!)

ახლა, თაობების შემდეგ საოცარია იმაზე ფიქრი, რომ თანამედროვე ბიბლია ერთი წიგნია და ის იმ ადამიანებმა დაწერეს, რომელთაც მის საერთო სტრუქტურაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. თითოეული მათგანის როლი შეიძლება შევადაროთ სხვადასხვა თაობის განსხვავებული ადამიანების მიერ ერთი ნოველის ცალკეული თავების წერას ისე, რომ არც მისი მონახაზი იცოდნენ და არც მოტივი, რომ მას დაეყრდნონ. ბიბლიის განსაცვიფრებელი თანმიმდევრულობა მისი ღვთიური წარმოშობის დასტურია. ამ წიგნის თითოეულ ნაწილს თავისი წვლილი შეაქვს და დანარჩენებს ჰარმონიულად ერწყმის ერთი ღვთის დირიჟორობით შექმნილი სიმფონიის მსგავსად.

წმ. წერილის ღვთიური შთაგონების მტკიცებულების ცოდნა თავისთავად ამაღელვებელია. თუმცა კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ სხვადასხვა ავტორების სარწმუნოობის განხილვით.

მესიის მოსვლის ამსახველი წინასწარმეტყველებები ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნებში საუკუნეების განმავლობაში იწერებოდა, ზოგი მათგანი კი იესოს შობამდე 1000 წელზე მეტსაც ითვლის. ბიბლიის მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ ძველ აღთქმაში მოცემულია სამასზე მეტი ასეთი წინასწარმეტყველება. როცა იესო ქვეყნიერებაზე მოვიდა, მამა ღმერთს განუცხადა: „აჰა, მოვდივარ,როგორც წიგნის დასაწყისში წერია ჩემზე, შენი ნების აღსასრულებლად,ღმერთო!“ (ებრ. 10:7). ხალხს კი ასე უთხრა იესომ: „წერილებს იკვლევთ ...ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ!“ (იოან. 5:39).

იესო ქრისტეში ყველა ამ წინასწარმეტყველური წერილის აღსრულება ბიბლიის ღვთითშთაგონების საოცარ მტკიცებულებას წარმოადგენს. ამგვარი დასკვნის ზოგად უარყოფას შეხვდებით მოსაზრების სახით, რომ წინასწარმეტყველებებს მესიის შესახებ სხვა ისტორიული პიროვნებებიც ესადაგებიან. ეს მართალია! ზოგიერთების ცხოვრება მართლაც ასრულებს ერთ, ორ და რამდენიმე წინასწარმეტყველებასაც კი. თუმცა ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც ყველა წინასწარმეტყველებას აღასრულებდა, არსებითად შეუძლებელია.

ნება მიბოძეთ, თვალსაჩინოება მოვიყვანო! მომდევნო რამდენიმე ფურცელს ტექნიკური და მეცნიერული მონაცემები შეავსებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს მნიშვნელოვანი და დასაფიქრებლად სასიამოვნო იქნება.

წმიდა წერილის სარწმუნოობა

მე-20 საუკუნის შუახანებში პროფესორმა პიტერ სტონერმა გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით „*Science Speaks*“ *(მეცნიერული საუბრები)*. მან ამ ნაშრომში ქრისტეზე წინასწარმეტყველებები სამეცნიერო ჭრილში განიხილა, თუ რამდენად სარწმუნო იყო ისინი. ფილოსოფიის დოქტორმა ჰ. ჰაროლდ ჰარცლერმა ხსენებული წიგნის წინასიტყვაობა დაწერა:

Science Speaks-ის ხელნაწერი გულმოდგინედ შეისწავლეს ამერიკის სამეცნიერო გაერთიანების წევრებმა და ამავე ჯგუფის სააღმსრულებლო საბჭომ და დაადგინეს, რომ იგი სანდო და მყარია წარმოდგენილი მეცნიერული მასალების გათვალისწინებით. მასში გამოყენებული მათემატიკური ანალიზი დაფუძნებულია ალბათობის პრინციპებზე, რომლებიც სრულიად მართებული გახლავთ და პროფესორმა სტონერმა ისინი სათანადოდ და დამარწმუნებელი გზით გამოიყენა.

სტონერს კვლევა მარტო არ უწარმოებია, არამედ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის თორმეტი სხვადასხვა ჯგუფის 600-ზე მეტი სტუდენტის დასკვნა შეაგროვა. მან გულმოდგინედ განიხილა ძიების შედეგები და მასალის რედაქტირება მოახდინა, რომ მონაცემები ყველაზე ნაკლები ალბათობით წარმოედგინა. მათი თავდაპირველი დავალება მოიცავდა შემდეგ წინასწარმეტყველებებს იესო ქრისტეზე:

1. ქრისტე ბეთლემში უნდა დაბადებულიყო (ნაწინასწარმეტყველებია მიქ. 5:2-ში. აღსრულებულია: მათ. 2:1-7; იოან. 7:42; ლუკ. 2:4-7);
2. ქრისტეს ჰყავდა წინამორბედი მაცნე (ნაწინასწარმეტყველებია ეს. 40:3-სა და მალაქ. 2:1-7-ში; აღსრულდა: მათ. 3:1-3; 11:10; იოან. 1:23; ლუკ. 1:13-17);
3. ქრისტე იერუსალიმში ვირით უნდა შესულიყო (ნაწინასწარმეტყველებია ზაქ. 9:9-ში; აღსრულდა: ლუკ. 19:28-37; მათ. 21:1-11);
4. ქრისტეს მეგობარი უღალატებდა (ნაწინასწარმეტყველებია: ფს. 41:9-სა და 55:12-14-ში; აღსრულდა: მათ. 10:4; 26:47-50; იოან. 13:21-27);
5. ქრისტეს ოცდაათ ვერცხლად გასცემდნენ (ნაწინასწარმეტყველებია ზაქ. 11:12-ში; აღსრულდა: მათ. 26:15; 27:3);

6. ქრისტეს გაცემაში აღებულ ფულს „მექოთნეს“ გადაუყრიდნენ ღვთის სახლში (ნაწინასწარმეტყველებია ზაქ. 11:13-ში; აღსრულდა მათ. 27:5-7-ში);
7. ქრისტე მდუმარედ იქნებოდა ბრალმდებლების წინაშე (ნაწინასწარმეტყველებია ეს. 53:7-ში; აღსრულდა: მათ. 27:12; მარკ. 14:60-61; 15:3-5);
8. ქრისტე ჯვარცმით იქნებოდა დასჯილი ქურდის მსგავსად (ნაწინასწარმეტყველებია: ფს. 22:16; ზაქ. 12:10; ეს. 53:5,12; აღსრულდა: ლუკ. 23:33; იოან. 20:25; მათ. 27:38; მარკ. 15:24-27).

სანამ გავაგრძელებდეთ, ნება მიბოძეთ, ალბათობის მეცნიერების შესახებ მარტივი თვალსაჩინოება წარმოგიდგინოთ. დავუშვათ, 9 ყვითელი და 1 თეთრი ჩოგბურთის ბურთი გვაქვს. ყველა მათგანს ვათავსებთ ხუთგალონიან სათლში და კარგად ვანჯღრევთ. იქედან თეთრი ბურთის ამოღების შანსი 10-დან მხოლოდ 1 იქნება. ეს არის მარტივი ალბათობა.

ამის გათვალისწინებით, პროფესორმა სტონერმა შემდეგი რამ განაცხადა ზემოჩამოთვლილ 8 წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებით:

> „... მივედით დასკვნამდე, რომ თანამედროვე ეპოქამდე მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს რვავე წინასწარმეტყველების აღსრულების მხოლოდ 1 შანსი გააჩნდა 100 000 000 000 000 000-დან“.

სტატისტიკა საოცარი, მაგრამ რთულად აღსაქმელია თუ მათემატიკოსი ან მეცნიერი არ ბრძანდებით. სტონერი გონივრულ თვალსაჩინოებას გვთავაზობს, რომელსაც ახლა გადმოგცემთ. 100 000 000 000 000 000 ვერცხლის დოლარი რომ გვქონოდა, მისი შენახვის პრობლემა შეგვექმნებოდა. მთელს მსოფლიოში არ იპოვება ამხელა საწყობი ან შენობა. მონეტების მოცულობა იმდენად დიდი იქნებოდა, რომ ტექსასის შტატს მთლიანად დაფარავდა ორი ფუტის (დაახლოებით 61 სმ) სიმაღლეზე. ეს საკმაოდ დიდი რაოდენობის მონეტებია.

დავუშვათ, მოვახერხეთ და დავეუფლეთ ამ რაოდენობის დოლარებს. ახლა დავნიშნოთ ერთ-ერთი მონეტა, კარგად ავურიოთ დანარჩენებში და ისევ დავალაგოთ ტექსასის შტატზე. ვინმე მამაკაცს თვალები ავუხვიოთ, ვერტმფრენში ჩავსვათ და შტატის თავზე გადავაფრინოთ. ვერტმფრენი ჩვენს ბრძანებას

დაელოდება მიწაზე დასაშვებად. როგორც კი დაეშვება, მამაკაცმა, რომელიც ისევ თვალახვეულია, ერთი მონეტა უნდა აიღოს. იმის შანსი, რომ მამაკაცი სწორედ დანიშნულ მონეტას აიღებს შტატზე დალაგებული ყველა მონეტიდან იმდენივეა, რამდენიც წინასწარმეტყველთა დროიდან ჩვენს ეპოქამდე მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს აქვს, რომ იგი რვავე მესიანურ წინასწარმეტყველებას აღასრულებს“.

სტონერი წერდა:

„ერთ პიროვნებაში მხოლოდ რვა წინასწარმეტყველების აღსრულების ალბათობა შემდეგ ფაქტს ამტკიცებს: ღმერთმა ავტორებს წინასწარმეტყველებები იმ სიზუსტით დააწერინა, რომ აბსოლუტურ მაჩვენებლამდე 100 000 000 000 000 000-დან მხოლოდ ერთი შანსი აკლია“.

საოცარია ამ ინფორმაციაზე ფიქრი! თუმცა სტონერი თავდაპირველ რვა წინასწარმეტყველებაზე როდი შეჩერდა. იგი ძველი აღთქმის სხვა რვა წინასწარმეტყველებასაც ეხება, რომლებიც იესოს ცხოვრებას აღწერს. იგი აცხადებს:

„შანსი, რომ ერთი კაცი თექვსმეტ წინასწარმეტყველებას აღასრულებს, 1 გახლავთ 10^{45} ხარისხიდან“.

რას ნიშნავს ეს ციფრი? ეს არის 1-იანი, რომელსაც 45 ნული ახლავს. ანუ:

1 000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000

სტონერს ისევ მოჰყავს თვალსაჩინოება, რომელსაც გადმოგცემთ. თუ ამ რაოდენობის ვერცხლის დოლარები გვექნება, დედამიწა მათ ვერ დაიტევს. მისგან დიდი ბურთის შექმნა მოგვიწევს. ამ ბურთის ანუ სფეროს დიამეტრი 60-ჯერ აღემატება დედამიწიდან მზემდე მანძილს, რაც არის 5.5 მილიარდი მილი.

ნება მიბოძეთ აგიხსნათ, რამდენად დიდი იქნება ეს სფერო! ხშირად მივფრინავ სხვა ქვეყნებში ღვთის სიტყვის სასწავლებლად. საოცარია, რომ ახლა, სულ რაღაც, 24 საათში შეგვიძლია შეუჩერებლად გადავფრინდეთ ჩვენი პლანეტის მეორე მხარეს. მოციქულებს მოეწონებოდათ ჩვენი ეპოქა! თუმცა ჩვენი ვერ-

ცხლის დოლარების სფეროს ირგვლივ შემოფრენა რომ მოგვესურვებინა, ვერ შევძლებდით, რადგან ამდენ ხანს ჩვენი დროის ვერც ერთი ადამიანი ვერ იცოცხლებდა. ვერცხლის დოლარების ბურთის ირგვლივ შეუჩერებლად ფრენას 400 წელი დასჭირდებოდა! იმ დღეს რომ დაგვეწყო ფრენა, როცა 1620 წელს პილიგრიმი მამები მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ პლიმუთს მიადგნენ, ჯერ კიდევ არ გვექნებოდა დასრულებული ვერცხლის ბურთის ირგვლივ შემოფრენა.

ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს მაგალითი არ ჰგავს წინას – ორი ფუტის სიმაღლის ვერცხლის მონეტებით დაფარულ შტატს. აქ მთელი ბურთი ვერცხლის დოლარებისგან შედგება.

წარმოიდგინეთ, რომ ერთი მონეტა დავნიშნეთ და ამ მასიურ ბურთში დავმალეთ, შემდეგ კი თვალებახვეულ კაცს ვთხოვეთ რომელიმე მონეტის გამოღება! ელოდებით, რომ სწორედ დანიშნული მონეტა შეხვდება? ახლა თქვენთვისაც გასაგებია, რა შანსი აქვს ერთ ადამიანს, რომ იესოს დაბადებამდე ასობით წლის წინ დაწერილი 16 წინასწარმეტყველება აღასრულოს.

და ეს ყველაფერი არ არის! სტონერი არ შეჩერებულა თექვსმეტ წინასწარმეტყველებაზე და იგი 48-მდე გააფართოვა. ეს უკვე სრულიად წარმოუდგენელია, მაგრამ შევეცადოთ მისი შემდგომი ნაწერის ჩაწვდომას:

> „მსჯელობის გასავრცობად, რაც ყოველგვარ ადამიანურ აღქმას სცილდება, 48 წინასწარმეტყველების აღსრულების შესაძლებლობა იგივე მეთოდით განვიხილოთ, რითაც 8 წინასწარმეტყველების ერთი ადამიანის მიერ აღსრულების შანსი გამოვთვალეთ და შევეცადოთ, შედარებით ზომიერი და ნაკლებად გაზვიადებული რიცხვები მოვიყვანოთ ... ალბათობის იგივე პრინციპის გამოყენებით აღმოვაჩინეთ, რომ ერთი ადამიანის მიერ 48 წინასწარმეტყველების აღსრულების შანსი ერთია 10^{157} – დან“.

ეს გახლავთ ციფრი 1-იანი 157 ნულით. ამდენი ნულის აქ დასაწერად საკმაო ადგილი დამჭირდებოდა. სტონერი კიდევ ერთხელ დაგვეხმარა მომდევნო თვალსაჩინოების წარმოდგენით. ამ მაგალითისთვის ვერცხლის დოლარი მეტისმეტად დიდი იქნებოდა. საჭიროა შედარებით მომცრო საგნის შერჩევა.

ელექტრონი ყველაზე პატარა საგანია, რომელზეც გვსმენია. ელექტრონები იმდენად მცირე ზომისანი არიან, რომ ერთი ინჩის (2,54 სმ) სიგრძეზე მათი გვერდიგვერდ დალაგების შემთხვევაში ყველა მათგანის დასათვლელად 19 მილიონ წელზე მეტი დაგვჭირდებოდა წუთში 250 ცალის დათვლის სიჩქარით. აი, ასეთი პატარაა იგი! არ დაგავიწყდეთ, რომ ეს გახლავთ, სულ რაღაც, ერთი ინჩის სიგრძის ხაზი! არ მინდა თავი შეგაწყინოთ დროის იმ მონაკვეთის მოყვანით, რაც ელექტრონთა ერთი კვადრატული ინჩის ან უფრო მეტიც, ერთი კუბური ინჩის დათვლისთვის იქნებოდა საჭირო! ეს წარმოუდგენლად დიდი დროა.

ნათქვამის გათვალისწინებით, გავარკვიოთ, რამხელა იქნება 10^{157} ელექტრონის შემცველი ბურთი. მარტივად რომ აგიხსნათ, ეს იქნება სფერო, რომლის რადიუსი აღემატება კაცობრიობისთვის ცნობილი კოსმოსური სივრცის ყველაზე შორეულ წერტილამდე არსებულ მანძილს, რომელიც ჩვენგან 13 მილიარდი სინათლის წლით არის დაშორებული (სინათლის წელი გახლავთ სინათლის მიერ ერთ წელში განვლილი მანძილი სიჩქარით186 282 მილი/წამში (299 792 458 მეტრი/წამში) და არა საათში). თუ გვექნებოდა სფერო, რომლის რადიუსი 13 მლრდ. სინათლის წელს უდრის, მასში მაინც არ შევიდოდა სრულად 10^{157} ელექტრონი. ფაქტობრივად, ამისგან მეტად შორს ვიქნებოდით.

თვალებახვეული ადამიანის მიერ ელექტრონების სფეროში ერთადერთი დანიშნული ელექტრონის ამოღების შანსი ზუსტად იმდენი იქნებოდა, რამდენიც აქვს კაცობრიობის ისტორიაში მცხოვრებ რომელიმე პიროვნებას, ვინც ძველ აღთქმაში იესო ქრისტეს შესახებ დაწერილი წინასწარმეტყველებებიდან 48-ს აღასრულებს“.

გსურთ თუ არა ჩვენი მსჯელობის გავრცობა სამასზე მეტი წინასწარმეტყველების ალბათობის გამოთვლით? ალბათ, ფიქრობთ: „*ო, არა!*“. იმედი მაქვს, ასეა, რადგან შეუძლებელია ამგვარი ალბათობის გამოსახვა რაიმე თვალსაჩინოებით, რისი აღქმაც ჩვენს დასაზღვრულ გონებას შეეძლებოდა.

ამრიგად, ნება მიბოძეთ, ზემოთ ნათქვამი შევაჯამოთ! ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ადამიანების მიერ სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ქვეყნებში ასეულობით წლების განმავლობაში დაწერილი სამასზე მეტი წინასწარმეტყველება, რომელიც ერთ ადამიანში აღსრულდა. როგორ შეიძლება ვინმემ უარყოს, რომ

წმ. წერილის ავტორი თავად ღმერთია? განა უფრო მეტ მნიშვნელობას არ იძენს მისი პირიდან წარმოთქმული სიტყვები?

„ღვთის ყოველი სიტყვა ნაცადია“. (იგ. 30:5)

ის ერთადერთია, ვინც აცხადებს: „ვაჩქარებ ჩემს სიტყვასშესასრულებლად“ (იერ. 1:12). სწორედ ამ მიზეზის გამო, „ერთი სიტყვაც არ დარჩენილა აღუსრულებელიმისი სასიკეთო დანაპირებიდან“ (1 მეფ. 8:56).

ღვთის სიტყვა უფრო სანდოა, ვიდრე მზე, რომელიც ყოველ დილით ამოდის, რაზეც იესო მოწმობს: „ცა და დედამიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავლენ!“ (მათ. 24:35). ჩვენმა შემოქმედმა თავისი უდავო ანაბეჭდი დაგვიტოვა, რომ ის ღმერთია და მისი ნება წმ. წერილში გაცხადდა.

გულისყურით მოსმენა

გავიმეოროთ პავლე მოციქულის სიტყვები 2 ტიმ. 3:16-დან: „მთელი წერილი ღვთივსულიერია... გვასწავლის იმის კეთებას, რაც სწორია [კარგია]“. ეს არ არის რთული! ფაქტობრივად, მეტისმეტად მარტივია. წმ. წერილი ღვთის სიტყვაა და სანდოა, როგორც ჭეშმარიტად კარგის განსაზღვრის და შეფასების უნივერსალური სტანდარტი. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი, მეგობრის ან საზოგადოების სიბრძნე ღვთის სიბრძნეზე სასარგებლოა, შეხედულებების გადაფასება მოგიწევთ. წმ. წერილი აცხადებს:

„ზეციდან გადმოჰყურებს ღმერთი ადამის ძეთ, რათა იხილოს,თუ არის ვინმე გონიერი, ღმერთს რომ ეძიებდეს. ყველა გაუკუღმართდა, გაიხრწნა ერთობ, ერთიც არაა კეთილისმოქმედი“. (ფს. 53:2-3)

როგორც განვიხილეთ, ღმერთმა წმ. წერილის ჭეშმარიტობის ურყევი მტკიცებულება უზრუნველყო. მეფსალმუნე ამ მუხლებში ყურადღებას ამახვილებს, რომ ღვთის სიტყვას დაპირისპირებული, თუნდაც სიკეთის იერსახის მქონე ნებისმიერი სიბრძნე, სინამდვილეში გახრწნილი და ჩვენი კეთილდღეობისთვის გამანადგურებელია.

მოდი, გამოვიკვლიოთ პავლეს განაცხადი ტიმოთესადმი:

„შენ კი დარჩი იმაში, რაც გისწავლია და რაშიც *დარწმუნებულხარ,* ვინაიდან იცი, ვისგან ისწავლე! რადგან შენ ხომ ბავშვობიდანვე იცი საღვთო წერილები, რომელთაც ძალუძთ შენი დაბრძენება გადასარჩენად ქრისტე იესოს რწმენის მეშვეობით! მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და დასარიგებლად სიმართლეში, რათა მზად იყოს ღვთის კაცი და აღჭურვილი ყოველი კეთილი საქმისთვის“. (2 ტიმ. 3:14-17)

ერთგულება უნდა გამოვიჩინოთ ნასწავლის მიმართ. პავლე არ ეხება ადამიანთა მოსაზრებებს, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას ან ამქვეყნიური სისტემის მიერ მოფიქრებულ სხვა რომელიმე სიბრძნეს. იგი ბიბლიაზე ლაპარაკობს. მოციქული თავის სულიერ შვილს წმ. წერილის ერთგულებისკენ მოუწოდებს. იგი ხაზს უსვამს გულის სიღრმეში მისი შენახვის მნიშვნელობას. რაოდენ განსხვავებულ სამყაროში ვიცხოვრებდით, ადამი და ევა ასე რომ მოქცეულიყვნენ.

წარმოიდგინეთ მოვლენების ამგვარი განვითარება: საჭიროა მოგზაურობა, რომელიც თქვენგან მოზრდილი დანაღმული ველის გადაჭრას მოითხოვს. აქ არა მარტო ასაფეთქებელი მოწყობილობები იმალება, არამედ მცოცავი ქვიშა ორმოები, სასიკვდილო ხაფანგები, შხამიანი მცენარეები და ნაშალი გრუნტი შეგხვდებათ.

მოგზაურობის დაწყებამდე რუკა გადმოგცეს, რომელიც ყოველი ნაღმისა და ნაშალის ადგილმდებარეობას მიგანიშნებთ. ასევე მოცემულია მითითებები ხაფანგების, სილის ორმოებისა და შხამიანი მცენარეების თავიდან ასარიდებლად. რას უზამთ ამ რუკას? ზურგჩანთაში ჩაჩურთავთ მაღალკალორიულ შოკოლადის ბატონებსა და წყლის ბოთლებთან ერთად და მოსალოდნელი საფრთხეების მოლოდინში, მის წაკითხვას უგულებელყოფთ? მხოლოდ მაშინ მიმართავთ მას, როცა ხელსაყრელი შემთხვევა მოგეცემათ? სხვათა შორის გადახედავთ ხოლმე? ნუთუ მხოლოდ თავიდან წაიკითხავთ მას და დაკეცავთ იმაში დარწმუნებული, რომ მთელი ინფორმაცია დაიმახსოვრეთ? აღწერს თუ არა ერთ-ერთი ჩამოთვლილი ქმედება თქვენს დამოკიდებულებას? თუ ასეა, მინდორს მძიმე დაზიანებით ან მკვდრის ტომრით დატოვებდით.

ნება მიბოძეთ, განვაცხადო ის, რაც სრულიად ნათელია. გონიერი ადამიანი რუკას გულმოდგინედ წაიკითხავდა, შეის-

წავლიდა, იფიქრებდა მასში მოცემულ ინფორმაციაზე და ადვილად მისაწვდომ ადგილას შეინახავდა. იგი ხშირად მიმართავდა მას მოგზაურობის მანძილზე, ფრთხილად შეარჩევდა სავალ მარშრუტს ამოკითხული მონაცემების საფუძველზე. თქვენც ასე მოიქცეოდით მსგავს სიტუაციაში?

ფაქტობრივად, ყველა ჩვენგანი გადის ამ გზას ყოველდღიურად, ხოლო ჩვენი რუკა ბიბლია გახლავთ. ამ ჭეშმარიტების გათვალისწინებით მოუსმინეთ ღვთის რჩევას წმ. წერილიდან! რამდენიმე საკვანძო მუხლს ჩამოგითვლით. გთხოვთ, ზედაპირულად ნუ მიუდგებით, არამედ დაკვირვებით წაიკითხეთ თითოეული სიტყვა! ისინი გვამხნევებენ და გვაფრთხილებენ კიდეც, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ „წმ. წერილის რუკა“ ქვეყნიერების დანაღმულ ველზე მოგზაურობისას. როცა წაიკითხავთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სიტყვას *„გულმოდგინედ“*!

> „გულმოდგინედ დაიცავი ყველა მცნება, როგორც ნაბრძანები აქვს შენთვის უფალს, შენს ღმერთს; ნუ გადაიხრები ნურც მარჯვნივ და ნურც მარცხნივ!“ (2 რჯ. 5:32 NLT)

არა ზოგიერთი, არამედ ღვთის ყველა მცნება! გულისყურით უნდა მოვეკიდოთ და დეტალურად მივყვეთ მის ყველა მითითებას! მან დიდი სიყვარულით შეგვიყვარა და არ სურს, რომ სერიოზულად დავშავდეთ ან მოვკვდეთ ამ მოგზაურობისას. და ისევ:

> „ისმინე, ... იფხიზლე მათ შესასრულებლად, რათა კარგად იყო!...“. (2 რჯ. 6:3)

როცა ვისმენთ და გულმოდგინედ ვემორჩილებით, ყველაფერი კარგად მიდის ჩვენს ცხოვრებაში. თავად ღმერთი იძლევა ამის გარანტიას! იგივე მითითებებს ვხედავთ 2 რჯ. 8:1, 12:28,32 და 28:13 მუხლებში. თუ მათ გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ ღვთის მცნებების დაცვისას უხვი ცხოვრებით გავიხარებთ, ჩვენი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება და საზოგადოებაშიც ყოველთვის წინა რიგებში ვიქნებით, არც ქვევით და არც უკან. ახლა აცნობიერებთ, თუ რა მნიშვნელოვანია ღვთის სიტყვის გულმოდგინე კითხვა, მოსმენა და დამორჩილება?

შესაძლოა, შემეწინააღმდეგოთ: „ჯონ, ეს მითითებები რჯულის ქვეშ მყოფთ მიეცათ; ისინი ძველი აღთქმის მოთხოვნებია, ჩვენ ახლა მადლის ახალი აღთქმით ვცხოვრობთ! განა იესომ არ გაგვათავისუფლა ამ მომაბეზრებელი ბორკილისგან?“. იესომ რჯულისგან გაგვათავისუფლა, მაგრამ არა ღვთის სიტყვის გულისყურით მოსმენის გაფრთხილებისგან; ამას ჩვენთვის ახლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მოუსმინეთ ახალი აღთქმის მითითებებს:

„მოსემ თქვა: ჩემს მსგავს წინასწარმეტყველს აღგიდგენთ უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენივე ძმებიდან; გაუგონეთ მას ყველაფერი, რასაც გეტყვით!“ (საქმ. 3:22)

კიდევ ერთხელ გვეუბნებიან, რომ *გულმოდგინედ* მოვუსმინოთ არა მხოლოდ უმეტეს მათგანს, არამედ ყველაფერს, რასაც იესო გვეუბნება. მოვუსმინოთ იაკობ მოციქულს:

„ვინც უკვირდება თავისუფლების სრულყოფილ რჯულს და რჩება მასში, მომსმენი და დამვიწყებელიკი აღარ არის, არამედ საქმის მქმნელი. კურთხეული იქნება იგი თავის მოქმედებაში“. (იაკ. 1:25)

გარდა ამისა, გვაქვს შემდეგი მითითება:

„გულმოდგინედ შეინახე ჩვენთვის მონდობილი რჩეული ჭეშმარიტება სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მკვიდრობს ჩვენში! (2 ტიმ. 1:14 NLT)

„მეტი გულისყური გვმართებს მოსმენილისადმი,რათა არ გადავუხვიოთ!“ (ებრ. 2:1)

სიცოცხლისგან გადახვევა, როგორც წესი, არ ხდება წინასწარ განზრახული არჩევანის გამო, არამედ გაუცნობიერებლად. როცა ბავშვობაში ტბაზე ვთევზაობდი, საქმეს ისეთი ენთუზიაზმით ვიწყებდი, რომ ნავიდან ღუზის ჩაშვება მავიწყდებოდა. თევზაობის დაწყება მეჩქარებოდადა როცა ნახევარი საათის შემდეგ ირგვლივ მიმოვიხედავდი, ნაპირს ვეღარ ვცნობდი. ჩემდა უნებურად ვცდებოდი საწყის პუნქტს.

ჭეშმარიტებას აუცილებლად გადავუხვევთ, როცა მას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ! ეს მაშინ ხდება, როცა წმ.

წერილს არ ვკითხულობთ, არ ვუსმენთ მას, არ ვფიქრობთ მასზე და არ ვემორჩილებით. რასაც გულისყურით არ ვეკიდებით, საბოლოოდ ფერმკრთალდება. ამის შემდეგ ადვილია გადაცდომა და ღვთის ნებას ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების გავლენა და საზოგადოების ხმა ანაცვლებს. უკვე ვირჩევთ იმას, რაც კარგი გვეჩვენება საკუთარი მცდარი შეფასებით.

წინა თავში მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება დავაფუძნეთ: ღვთის ნების მიღმა ჩვენთვის კარგი არაფერია! ეთანხმებით აზრს, რომ ღვთის ნება წმ. წერილში ვლინდება? თუ ასეა, დროა დავიწყოთ საძირკვლის ჩაყრა!

4

საძირკველი

„მართლის საძირკველი კი საუკუნოა“.
იგ. 10:25

„თუ სახარებიდან გწამთ ის, რაც მოგწონთ და უარყოფთ
იმას, რაც არ მოგწონთ, მაშინ თქვენ სახარების კი არ
გჯერათ, არამედ – საკუთარი თავის“.
ნეტარი ავგუსტინე

ნება მიბოძეთ, გავიმეორო ამ წიგნის სამი მთავარი სათქმელი: პირველი ჩვენს საძირკველს შეეხება, მეორე – იმას, რაც ყველა ჩვენგანის ცხოვრებას აერთიანებს, ხოლო მესამე – ჩვენი ცხოვრების შენობას. ეს ასპექტები ჩვენი მსჯელობის ცენტრში მოექცევა წიგნის დარჩენილ ნაწილში.

საძირკველი მეტად მნიშვნელოვანია ღმერთთან სწორი ურთიერთობისთვის. თუ თქვენ დიდი ხნის მორწმუნე ხართ, ნუ გამოტოვებთ ამ მოკლე განხილვას, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ! ეს სასარგებლო იქნება არა მარტო თქვენი საძირკვლის გამაგრებისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანის დასახმარებლად, რომელთაც უძღვებით ან რომლებზეც სასიკეთო ზეგავლენას ახდენთ შემოქმედთან ურთიერთობისთვის.

ჩვენ გვეუბნებიან:

> როგორც წერია: „არავინ არის მართალი! არავინ არის გონიერი, არავინ ეძებს ღმერთს. ყველამ გადაუხვია, უსარგებლონი გახდნენ; *არ არის სიკეთის მქმნელი, არ არის არავინ*“. (რომ. 3:10-12)

არ არის სიკეთის მქმნელი, არ არის არავინ! კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობს ადამიანი იესო ქრისტეს გარდა, რომელიც გამუდმებით სჩადიოდა ან სჩადის სიკეთეს ღვთის საზომით. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ყველა მონად იბადება. დიახ, თქვენ მონად დაიბადეთ, ისევე როგორც მე! „ვის მონად?“ – იკითხავთ თქვენ. ცოდვის! პავლე ასე სწერს განთავისუფლებულებს: „ადრე ცოდვის მონები“ იყავით (რომ. 6:17).

ადამი და ევა სწორედ მაშინ მოკვდნენ, როცა ღმერთს ეურჩნენ. ღმერთმა ამის შესახებ გააფრთხილა მანამ, სანამ ისინი აკრძალულ ხილს გასინჯავდნენ. მიუხედავად ამისა, ფიზიკურ სიკვდილამდე მრავალი წელი გავიდა.

ამას გარკვეულ კითხვამდე მივყავართ: როგორ მოკვდნენ ადამი და ევა იმ დღეს, როცა ხილი იგემეს? სიკვდილმა მათ შინაგანში, სულში შეაღწია. ისინი ღმერთს, სიცოცხლის დასაბამს დაშორდნენ და ახლა მისი საწინააღმდეგო თვისებები შეიძინეს. შედეგად, მათი შთამომავლებიც იგივე თვისებების მატარებელი გახდნენ და ეს თაობიდან თაობას გადაეცემოდა დღევანდელ დღემდე. დაბ. 5:3 ამ რეალობას ადასტურებს: „ადამმა ას ოცდაათი წელი იცოცხლა და თავის მსგავსად და ხატად შეეძინა ძე“ (The Message).

კაცობრიობამ სრულიად დაკარგა კარგისა და კეთილის შეცნობის და ამოქმედების უნარი; ადამიანთა შინაგანი ზნეობრივი კომპასი ცდომილებას იძლეოდა. შესაბამისად, ჭეშმარიტად კარგისა და მართებულისკენ მათი წარმართვა დედამიწაზე მხოლოდ ღვთის ზეგავლენას შეეძლო, რადგან ახლა ადამიანს ცოდვა მართავდა. ღვთიური წინამძღოლობის გარეშე კეთილი დამახინჯდა. კაცობრიობის ახალი უფალი და მთავარი გავლენის მომხდენი გახდა გველის შემპყრობელი სატანა, ურჩობის მეფე.

ღმერთმა დედამიწა კაცობრიობას მისცა. მან ადამიანები დააყენა ქვეყნიერების ბატონად, მაგრამ მათ ეს უფლება სატანას გადასცეს. ათასობით წლის შემდეგ ეშმაკმა იესო მაღალ მთაზე აიყვანა, იქედან გადმოახედა და თამამად უთხრა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული და, ვისაც მინდა, იმას ვაძლევ“ (ლუკ. 4:6). სატანას შეეძლო ამის თქმა, რადგან მმართველობა მას გადაეცა ედემის ბაღში.

ღმერთი ღვთაების სახით არ მოსულა დედამიწაზე, რომ კუთვნილი ისევ ადამიანებისთვის დაებრუნებინა. კაცობრიობის მიერ უარყოფილი ძალაუფლება ისევ ადამიანს უნდა მოეპოვებინა. ღმერთმა გეგმა ადამის შეცოდებამდე დიდი ხნით ადრე შეადგინა, რადგან წინასწარ განჭვრიტა ადამის არჩევანი. მან მიზნად დაისახა ადამიანის სახით მოსვლა და კაცობრიობის თავისუფლების გამოსყიდვა. ღმერთმა თავისი ძე, იესო ქრისტე გამოგზავნა, რომელიც დედაკაცისგან იშვა და ამით 100 %-ით ადამიანი გახდა, მაგრამ სულიწმიდით ჩაისახა და სრულ ღმერთს წარმოადგენდა. ამის გამო იესო

მონობის წყევლას არ ექვემდებარებოდა, რითაც მე და თქვენ დავიბადეთ.

იესომ სრულყოფილად იცხოვრა. მას ერთხელაც არ ჩაუდენია ურჩობის აქტი. მან სიცოცხლე გაწირა კაცობრიობის თავისუფლებისთვის, როგორც ერთადერთმა უცოდველმა ადამიანმა, რომელსაც კი უცხოვრია დედამიწის ზურგზე. იესომ ჯვარზე აიტანა ყოველი მამაკაცისა და ქალის მსჯავრი, რომელსაც ოდესმე უცხოვრია, ცხოვრობს ან მომავალში იცხოვრებს. მან სამეფო სისხლი დაღვარა მონობისგან ჩვენს გამოსასყიდად.

იგი მოკვდა და დაიმარხა. მან სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრა ღვთის წინაშე, ამიტომ ღვთის სულმა მკვდრეთით აღადგინა იგი სამი დღის შემდეგ. ახლა ის ყოვლისშემძლე ღვთის მარჯვნივ ზის, რომელმაც ასე ბრძანა:

> „თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები! ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“. (რომ. 10:9-10)

იმ წამს, როცა იესო ქრისტეს უფლად ვიღებთ, საოცარი სასწაული ხდება. ჩვენი ცოდვის ბუნება და სიკვდილი მომენტალურად მიდის და სრულიად ახალი პიროვნება იბადება, რომელიც იესო ქრისტეს ხატად არის შექმნილი. ეს ახალი შობა ჩვენს სულს (ჩვენს ნამდვილ პიროვნებას) უკავშირდება და არა ფიზიკურ სხეულს, რომელიც ჯერ კიდევ ხრწნილებას ექვემდებარება და ერთ დღესაც გადაივლის. ახალი სიცოცხლე მთლიანად ღვთის მადლის ნიჭზეა დამოკიდებული და არ უკავშირდება კარგ ქცევებს, ანუ ჩვენ მიერ გაკეთებული კეთილი საქმეებით არ იზომება.

მნიშვნელოვანია აღნიშვნა, რომ რომაელთა მიმართ წერილიდან მოყვანილი მუხლის თანახმად უნდა მოხდეს იესოს *უფლად* და არა *მხსნელად* აღიარება. აქ ჩანს დასავლეთის ეკლესიისთვის ნიშანდობლივი ნაკლოვანება. სიტყვა „*უფალი*“ ბერძნულ „*კურიოს*“-ს შეესაბამება, რაც „ბატონს, მფლობელს, უმაღლესი ძალაუფლების მქონეს“ ნიშნავს.

იესოს მხოლოდ მხსნელად აღიარებას არ მოაქვს თავისუფლება ან ახალი სიცოცხლე. ვაცნობიერებ, რომ ეს მკაცრი განაცხადია და დაღუპულთა მიმართ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებას ეწინააღმდეგება, მაგრამ იგი ჭეშმარიტია წმ. წერილის მიხედვით.

სიტყვა „*მხსნელი*“ 36-ჯერ გვხვდება ბიბლიაში, ხოლო „*უფალი*“ – 7800-ჯერ. თქვენი აზრით, რაზე ამახვილებს ღმერთი ყურადღებას? *უფალი* ის პოზიციაა, რომელიც მას ჩვენს ცხოვრებაში უჭირავს, ხოლო *მხსნელი* აღწერს *საქმეს*, რომელიც მან ჩვენთვის აღასრულა. იესოს ღვაწლიდან სარგებელს ვერ ვნახავთ, სანამ მისი, როგორც უფლისა და მეფის პოზიციას არ დავექვემდებარებით.

ჩვენ მონებად დავიბადეთ. მარტივად რომ ვთქვათ, ცოდვას ვეკუთვნოდით. თუმცა ყველა ჩვენგანს მიეცა თავისუფალი ნება. ამიტომ მტკიცე გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ და განვაცხადოთ, რომ ბატონს ვიცვლით. ხსნა ყველა ადამიანისთვის არსებობს, მაგრამ ის ღვთის პირობებით უნდა მივიღოთ.

ციხის ბანაკი კუნძულზე

ამ ჭეშმარიტების ასახსნელად ფანტასტიკის სფეროს გამოვიყენებ.

მთელი თქვენი ოჯახი გარკვეულ კუნძულზე იმყოფება ბოროტი ბატონის საპატიმროში. ერთი შორეული ქვეყნის კეთილმა მეფემ ეს მიწა ადრე თქვენს ბაბუას უბოძა. ბაბუამ დიდი შეცდომა დაუშვა და მას არ გაუფრთხილდა. ბოროტი ბატონი და მისი ამბოხებულთა ბანდა ფარულად მოვიდნენ კუნძულის ხელში ჩასაგდებად, რომ თქვენი ბაბუა და ყველა მისი შთამომავალი დაემონებინათ. ბოროტმა ბატონმა და მისმა კოჰორტებმა საპატიმრო ბანაკები ააგეს და მთელი თქვენი ოჯახი მესერს მიღმა გამოამწყვდიეს.

კუნძულზე ცხოვრება თანდათან გარდაიქმნა ბოროტი ბატონისა და მისი მეგობრების ყაიდაზე; იგი სრულიად გაიხრწნა და თავაშვებულებამ იმძლავრა. შედეგად, კეთილმა მეფემ კუნძული დაწყევლა. მიუხედავად ამისა, მეფეს ისე უყვარდა თქვენი ოჯახი, რომ კუნძულის განადგურების ნაცვლად მოვიდა, ბოროტი ბატონის არმიას შეებრძოლა და დაამარცხა.

მეფემ ყველა საპატიმროს კარი გააღო და გამოაცხადა: „ყველა პატიმარი თავისუფალია! ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია ბანაკის დატოვება, თუ ბოროტი ბატონის მმართველობის წესს დაგმობს და ერთგულებას შემომფიცავს!“

მეფის წყალობამ თქვენს ოჯახს დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება დაუბრუნა. მიუხედავად ამისა, კეთილი მეფე მის მიყოლას არ გაიძულებთ. თითოეულ პატიმარს წასვლა შეუძლია (მეფეს ეს რომ მოეთხოვა და არა არჩევანის გაკეთება,

უბრალოდ, საქმე გვექნებოდა სხვა ფორმის ტირანიასთან). თუ თავისუფლების მოპოვებას გადაწყვეტთ, გაკეთებული არჩევანი თქვენი საკნის დატოვებას, სამეფო გემზე ასვლას, მისი სამეფოსკენ გაცურვას, მეფის მორჩილებას და იმ დიდებული ქვეყნის კანონების მიხედვით ცხოვრებას მოგთხოვთ. თქვენს წინაშე დიდი შესაძლებლობაა, მაგრამ მის პირობებს უნდა დასთანხმდეთ.

კეთილი მეფე თქვენი ოჯახის *მხსნელია*. თუმცა მისი გადამრჩენელი ღვაწლისგან სარგებლის მისაღებად ოჯახის თითოეული წევრი მის ქვეშევრდომობას მთელი გულით უნდა დასთანხმდეს, რაც მისი სამეფო კანონების მორჩილებას მოიცავს. *თქვენი ოჯახის ვერც ერთი პატიმარი ვერ მიიღებს სამეფო ხსნას კუნძულიდან, სანამ მის უფლობას არ დაემორჩილება.*

თუ კეთილ მონარქთან ერთად წასვლა არ გსურთ, იქ დარჩებით, სადაც ხართ. ასევე უნდა ითქვას, რომ მეფის საბრძოლო ხომალდები მზადყოფნაში არიან კუნძულის მისადგომებთან, რომ დაბომბონ და გაანადგურონ დაწყევლილი კუნძული, როგორც კი ის აქედან წავა. თქვენი ოჯახის ის წევრები, რომლებიც კეთილი მეფის უფლობაზე უარს იტყვიან, დაიტანჯებიან და იგივე ბედი ეწევათ, რაც ბოროტ ბატონსა და მის ბრბოს ელოდება, მიუხედავად იმისა, რომ მეფემ ბრძოლით გაგათავისუფლათ და საპატიმროს კარი გააღო.

მისმინე, ძვირფასო მკითხველო! ღმერთს არასოდეს შეუქმნია ჯოჯოხეთი თქვენთვის ან სხვა რომელიმე ადამიანისთვის. მან ის სატანისა და მისი ანგელოზებისთვის შექმნა. იესო სამსჯავროს დღეს ასე მიმართავს მათ, რომლებიც მის უზენაესობას არ დაემორჩილნენ:

> „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც *გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის!“* (მათ. 25:41)

ჯოჯოხეთი სრულიად რეალური ადგილია. იესო მას უფრო ხშირად ახსენებდა, ვიდრე ზეცას. იგი მის აღწერილობაზე, სატანჯველზე, რომელიც არ სრულდება, სიბრალულის ნაკლებობის გამო არ ლაპარაკობდა. ეს მკვდართა სამუდამო სამყოფელია: რომლებმაც მისი სიყვარულით სავსე მმართველობა უარყვეს.

იესოს სიტყვების თანახმად, სასჯელისა და წამების ადგილი ადამიანთათვის არ შექმნილა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენმა მამამთავარმა ადამმა ურჩობის გამო სასჯელის ქვეშ მოგვაქცია. ახლა სატანის ხვედრი ჩვენს ხვედრად იქცევა, თუ ბატონს არ შევიცვლით. მიუხედავად იმისა, რომ იესომ კაცობრიობა ღვთის რისხვისგან იხსნა, ბევრი დაისჯება სატანასთან ერთად, რადგან ჯერ კიდევ მისი ბუნების მატარებელნი არიან. საუბედუროდ, მათ კუნძულზე დარჩენა ამჯობინეს.

შესაძლოა, იკითხოთ: „რატომ არ იჩენს ღმერთი მოწყალეობას და ადამიანებს არ აძლევს უფლებას მის სამეფოში ისეთი სახით შევიდნენ, როგორებიც არიან?“ ისინი, რომლებიც ქრისტეს უფლობაზე უარს აცხადებენ, გახრწნილ და ბოროტ სულიერ ბუნებას ფლობენ. როცა ისინი დედამიწას დატოვებენ, ეს ბუნება კი სამუდამოდ თან წაჰყვებათ. ღვთის საუკუნო სამეფოში მათი დაშვება მრავალ წრფელ ადამიანს გახრწნის და დააზიანებს.

სწორედ ამ მიზეზის გამო გამოაძევა ღმერთმა ადამი და ევა ედემის ბაღიდან, რომ არ ჰქონოდათ მისადგომელი სიცოცხლის ხესთან:

> „თქვა უფალმა ღმერთმა:„აჰა გახდა ადამი, სიკეთისა და ბოროტების შემცნობელი, როგორც ერთი ჩვენგანი. ახლა სიცოცხლის ხის ნაყოფის მოსაწყვეტადაც არ გაიწოდოს ხელი, არ შეჭამოს და საუკუნოდ არ იცოცხლოს!“ და გაიყვანა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან ...“. (დაბ. 3:22-23)

ღვთის სიყვარული გვიცავს სიკვდილის ბუნების სამუდამოდ შენარჩუნებისგან.

უფლობა

დასავლეთის ეკლესია ყურადღებას უფრო მეტად ამახვილებს იესოს, როგორც მხსნელის ღვაწლზე. მისი როგორც უფლის პოზიციის უგულებელყოფა, მისი ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობა სერიოზულ ნაკლს წარმოშობს ჩვენს საძირკველში. უსმინეთ პავლეს სიტყვებს:

> „ამიტომ როგორც მიიღეთ ქრისტე იესო უფლად, ასევე მიჰყევით მას, ფესვი გაიდგით მასში და *თქვენი ცხოვრება მასზე ააშენეთ!“* (კოლ. 2:6-7NLT)

პავლე არ ამბობდა: „როგორც მიიღეთ ქრისტე იესო მხსნელად“. ჩვენი ცხოვრება ქრისტეს უფლობას უნდა ექვემდებარებოდეს და არა მის ღვაწლს, როგორც მხსნელისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იესოს ვემორჩილებით, როგორც უმაღლეს და ერთადერთ მეფეს და სიკეთეს ვიღებთ მის მიერ მოტანილი ხსნისგან. ეს პრაქტიკაში მისი სიტყვის, სიბრძნის, რჩევის, მითითებების, შესწორებების და დარიგებების ერთგულებით გამოიხატება იმისდა მიუხედავად, მიზეზი ცხადია თუ არა ჩვენთვის. აღარ უნდა ვიკვებოთ საკუთარი შეფასების ხიდან, თუ რა არის სწორი და რა – არასწორი ჩვენ მასში ვცხოვრობთ და მისი ცხოვრება ჩვენი ხდება.

იფიქრეთ ამაზე ლიზასთან ქორწინების სამი ათეული წლის განმავლობაში დიდებულ მზარეულთან ცხოვრების ყველა სიკეთით ვტკბებოდი. ლიზა შეუდარებელია უგემრიელესი კერძების მომზადებაში. ჩემი მეგობრები მას სთხოვდნენ, რომ მათი ცოლებისთვის პესტოს სოუსების, სალათებისა და სხვა სანელებლებიანი გემრიელი კერძების კეთება ესწავლებინა.

ზოგჯერ ლიზას ჩემს „პატარა გურმან შეფ-მზარეულს“ ვეძახდი. შესაძლოა, ასე მეწოდებინა მისთვის თორმეტჯერ ან უფრო მეტჯერ ჩვენი ქორწინების განმავლობაში, მაგრამ 30 წლის მანძილზე მას ათასჯერ ვუწოდე ჩემი ცოლი. რატომ? იმიტომ, რომ ეს განსაზღვრავდა მის *მდგომარეობას* ჩემს ცხოვრებაში. ჩემს მიერ შერქმეული სახელის *სარგებელი* კი მას შემდეგ ვნახე, რაც ლიზა ჩემი ცოლი გახდა.

ის ჩემთვის საჭმელს ამზადებს, მაგრამ ამით მას არ ვეკუთვნი. როცა ჯერ კიდევ მარტოხელა ვიყავი, ლიზამ საოცარი კერძი მომიმზადა ჩემს დაბადების დღეზე. ამას ჩვენთვის ხანგრძლივი ურთიერთობა არ მოუტანია. მხოლოდ მაშინ განმტკიცდა ჩვენი საქორწინო ურთიერთობა, როცა აღთქმა დავდე, რომ არც ერთ სხვა გოგოს არ გავეკარებოდი და ჩემს გულს მხოლოდ ლიზას მივუძღვნიდი, როგორც მისი ქმარი.

იესოსთან ჩვენი ურთიერთობა ამის მსგავსია. ხსნის მისაღებად საჭიროა მის უფლობას, პატრონობას და მეფობას დავემორჩილოთ. ჩვენს ცხოვრებას სრულად გადავცემთ მას, რადგან დარწმუნებული ვართ: მის სრულყოფილ წინამძღოლობაში, ბუნებაში, სიყვარულსა და ჩვენთვის საუკეთესოს მოცემის სურვილში. ის არის მეფეთ მეფე და უფალთ უფალი და არასოდეს მოვა ჩვენს ცხოვრებაში, როგორც მეორე ვინმეს შემდეგ.

ამერიკისა და სხვა დასავლურ ეკლესიებში არაერთხელ მინახავს, როგორ სთავაზობენ მსახურები გადარჩენას ღვთის მაძიებლებს ისე, რომ უფლობას საერთოდ არ ახსენებენ. „საჭიროა მხოლოდ იესოს მხსნელად აღიარება და თქვენ ღვთის შვილი გახდებით“, – ამბობენ მსახურები, ან „რატომ არ უნდა მიიღოთ იესო თქვენს მხსნელად დღესვე?“ ან „მოდი, ასე ვილოცოთ: იესო, შემოდი ჩემს გულში და გადამარჩინე დღეს! მადლობა, რომ შენს შვილად მიმიღე, ამინ!“. ღვთის ოჯახთან შეერთების მოწოდებებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ამქვეყნიური სისტემის და პიროვნების საკუთარი, დამოუკიდებელი გზების მიტოვებაზე იესოს გასაყოლად.

ამგვარი სწავლება კარგი ჩანს, იგი ახალი აღთქმის ზოგიერთ მუხლს შეესაბამება, მაგრამ ეთანხმება კი ახალი აღთქმის ყველა მითითებას? ნუთუ ესაა ღვთის სიბრძნე? იქნებ ჭეშმარიტი გადარჩენის სიტყვა შევამოკლეთ, გადავამუშავეთ და ისეთ აზრამდე დავიყვანეთ, რომ მოსასმენად საამო ყოფილიყო და მაძიებელთა სურვილებსაც მორგებოდა? ჩვენი საკუთარი შეფასების ხიდან ხომ არ ვიკვებებით?

უარყავი თავი

მოდი, გადავხედოთ უფლის სიტყვას! იესომ ეს მრავალ ადამიანს გაუცხადა:

> „მოწაფეებთან ერთად ხალხსაც მოუხმო და უთხრა: „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს! რადგან, ვისაც სულის *შენარჩუნება სურს,* იგი დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი ანდა სახარების გულისთვის დაკარგავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას“. (მარკ. 8:34-35)

საკუთარი თავი უნდა უარვყოთ, თუ იესოს მოწაფეობა გვსურს. ეს რას ნიშნავს? უბრალოდ რომ ვთქვათ, ორ ბატონს ვერ ემსახურებით, რადგან მხოლოდ ერთის ერთგულებას შეძლებთ, როცა თითოეული განსხვავებული მოქმედების ან გამოხმაურებისკენ მოგიწოდებთ. როცა ჩვენი ხორცი, რომელიც ჯერ არ არის გამოსყიდული, ერთს მოისურვებს და ღვთის სიტყვა სხვა მიმართულებით გაგვაგზავნის, ადვილად ავირჩევთ საკუთარი გზით სიარულს თუ იესოს, როგორც უზენაესი ბატონის, მიყოლის გადაწყვეტილება არ მიგვიღია და თან ამ დროს ისევ ვა-

გრძელებთ მის მხსნელად აღიარებას. შესაძლოა, გზას ავცდით და ეს რწმენა შევითვისეთ?

ალბათ, ამიტომ ამბობს იესო: „რატომ მომმართავთ: უფალო,უფალო, და იმას კი არ აკეთებთ,რასაც გეუბნებით?“ (ლუკ. 6:46). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „*უფალი*“ ცარიელი და უაზრო სიტყვა ხდება. თუ მართლა ამას არ ვგულისხმობთ, როცა იესოს უფალს ვუწოდებთ, უმჯობესია „კეთილი მოძღვარი“ დავუძახოთ. ყოველ შემთხვევაში, რაღაც სარგებელი მაინც გვექნება მისი სწავლებიდან და არ ვიქნებით მოტყუებული იმ აზრით, რომ მას ვეკუთვნით, როცა სინამდვილეში ასე არ არის.

მარკ. 8:34-35-ის და ახალი აღთქმის მრავალი სხვა ადგილის თანახმად, საკუთარი თავის უარყოფა ერთ-ერთი ვარიანტი როდია, თუ იესოს მიყოლა (იესოს გზით სიარული) და ამ დაწყევლილი ქვეყნიერების „კუნძულიდან“ თავის დაღწევა გინდათ. ეს ბრძანებაა და მხოლოდ მისი დამორჩილებით ასცდებით ღვთის რისხვას. აღმოვაჩინე, რომ დასავლელი მოაზროვნისთვის ეს კონცეფცია ძნელად აღსაქმელია. დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი გახლავთ ჩვენი მცდელობა: *სასუფევლის პრინციპები* გავიგოთ *დემოკრატიული აზროვნებით*. დემოკრატიამ თავისი საქმე გააკეთა ამერიკასა და დასავლეთის ქვეყნებში, მაგრამ ღმერთთან ურთიერთობა ამგვარი აზროვნებით შეუძლებელია. ასე მას ვერ დავუკავშირდებით. იგი მეფეა – ნამდვილი მეფე და არა ფიქტიური მონარქი, რომლის მსგავსი ინგლისის სამეფო ტახტზე ზის.

დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს. ეს არის მმართველობის ფორმა, როცა უმაღლესი ძალაუფლება ხალხს ენიჭება და მათ მიერ არჩეული პირების მეშვეობით ხორციელდება. ეს აზროვნების ის სტილია, რომლითაც ამერიკასა და დასავლეთის ქვეყნებში აღვიზარდეთ. ის ღრმად არის ჩაპროგრამებული ჩვენს გონებაში. შესაბამისად, თუ რაღაც არ მოგვწონს, დარწმუნებული ვართ, რომ მისი შეცვლა შეგვიძლია, რადგან „ხელშეუხებელი“ პიროვნული უფლებები და ჩვენი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება გაგვაჩნია.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი. მმართველობის ეს ფორმა წარმატებული გამოდგა ამერიკის შეერთებული შტატებში, რადგან პლურალისტურ საზოგადოებაში მცხოვრები მოკვდავი ადამიანების ცხოვრებისთვის განისაზღვრა. თუმცა მსგავსი იდეები არ უნდა გადავიტანოთ ცათა სამეფოში. ამან შეიძლება დასავლეთის მცხოვრებნი შეგვაცბუნოს,

მაგრამ ღმერთი დიქტატორია და საბედნიეროდ, კეთილმოსურნე დიქტატორი, რომელიც ცხოვრების ყველა ასპექტში თავის საბოლოო სიტყვას ამბობს. თუ ჩვენს დემოკრატიულ აზროვნებას ღვთის წინაშე სიარულისას გამოვიყენებთ, ხელთ სხვა არაფერი შეგვრჩება თუ არა წარმოსახვითი ურთიერთობა.

ცხოვრება სხვანაირია ნამდვილი მონარქის ქვეშევრდომობისას. *უფალი* და *მეფე* სინონიმებია *უზენაესი ძალაუფლების* მნიშვნელობის გადმოცემის თვალსაზრისით. თუ ნამდვილად გვსურს ღვთის მიყოლა, მის წინამძღოლობას დემოკრატიული აზროვნების გზით ვერ ვუპასუხებთ. ზუსტად ასე მოიქცნენ ადამი და ევა, როცა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე აირჩიეს. ჩვენ, ადამიანები ახლაც მართვის საჭესთან ვსხედვართ და თავად ვწყვეტთ, თუ რა იქნება საუკეთესო ჩვენი ცხოვრებისთვის.

აიღეთ თქვენი ჯვარი

ამის შემდეგ იესომ განაცხადა, რომ ჩვენი ჯვარი უნდა ავიღოთ. რას გულისხმობს ეს სიტყვები? ეს არ შეიძლება ნიშნავდეს *თავის უარყოფას*, რადგან იესო ამას ტყუილად არ გაიმეორებდა. გასაღებს გალატელთა მიმართ პავლეს წერილში ვპოულობთ, სადაც ის აცხადებს:

> „ქრისტესთან ერთად ვარ *ჯვარცმული!* მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში! ახლა რომ სხეულში ვცხოვრობ, რწმენით ვცოცხლობ, ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის“. (გალ. 2:20)

პავლე არ ლაპარაკობს ფიზიკურ ჯვარცმაზე, რადგან ცოცხალი იყო ამ სიტყვების დაწერისას. იგი მიუთითებს წლების წინ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომ მიჰყვეს თავის ბატონს. პავლემ თავისი ჯვარი აიღო. მასში არსებული საიდუმლო შემდეგი სიტყვებიდან მჟღავნდება: „მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“. ეს უნდა იყოს ღვთის ყოველი ჭეშმარიტი შვილის განაცხადი. ჩვენ აღარ ვართ დამოუკიდებლები, რომლებიც კეთილისა და ბოროტის საკუთარი შეფასების ხიდან ვიკვებებით. ახლა ჩვენ მასში ვცხოვრობთ. თავად ჩვენი სიცოცხლე მისგან მომდინარეობს. ჩვენ ჯვრის პირობებზე ვართ დამოკიდებული: თავისუფალი ვართ მონო-

ბისგან იმისთვის, რომ ვიცხოვროთ ღვთის ძალით აღვსილი მორჩილი ცხოვრებით.

ჯვარი სრულიად ახალი ტიპის ცხოვრებას გვთავაზობს. როგორც პავლე აცხადებს სხვა წერილში: „როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ასე ვიაროთ *განახლებულ სიცოცხლეში!*“ (რომ. 6:4). განახლებული ცხოვრება გვაძლევს იმისგან თავის დაღწევის უნარს, რაც ადრე არ შეგვეძლო. ცოდვის ტირანია დაემხო, მაგრამ ჩვენ უნდა ავირჩიოთ მისი გაძევება. ჩვენ არჩეული ვართ, რომ მთლიანად ღვთის ნებას მივუძღვნათ ცხოვრება.

პავლე აგრძელებს ამ აზრის პრაქტიკულად გამოხატვას: „ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად“ (გალ. 5:24). და ისევ, „მე კი ნუმც დამეკვეხნოს, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რითაც წუთისოფელი ჩემთვის არის ჯვარცმული, მე კი – წუთისოფლისთვის!“ (გალ. 6:14). ჯვარი ძალას გვაძლევს, რომ ცოდვის ბუნებისა და ამქვეყნიური სისტემის ძლიერი ზეგავლენისგან თავისუფლებმა ვიცხოვროთ.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, როცა იესოს შევხვდი. ჩემს ცხოვრებაში არსებობდა ქცევის ნიმუშები, რომელთა მოშორება არ შემეძლო. ძალიან ვნანობდი, მტკივნეული, სიამაყითა და გულისთქმით სავსე ქმედებების გამო, მაგრამ რაც უფრო მეტად ვცდილობდი მათგან განთავისუფლებას, მით მეტად მეუფლებოდა იმედგაცრუება. და მაინც, ერთხელ შევძელი ქრისტესთან ერთად ჯვარცმა და თავისუფლად ცხოვრება დავიწყე.

> „რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვას დამონებულნი. ვინაიდან, ვინც მოკვდა, ცოდვისაგან მართლდება“. (რომ. 6:6-7)

ვიმედოვნებ, თვალის ერთი გადავლებით არ დაკმაყოფილდებით! შესვით და შეითვისეთ ეს სიტყვები თქვენს შინაგანში, რადგან ისინი რეალური არიან და თქვენი განთავისუფლების ძალა შესწევთ! ჭეშმარიტება კიდევ უფრო აღგაფრთოვანებთ. ჯვრის მიღება უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ეს არის ცოდვებისგან გათავისუფლება. იგი ღმერთთან ერთად მორჩილი ცხოვრების ძალას გვაძლევს. ბიბლია გვეუბნება: „ვინაიდან სიტყვა ჯვრის შესახებ სისულელეა მათთვის, რომლებიც იღუ-

პებიან, ხოლო ჩვენთვის, რომლებიც გადავრჩებით, ღვთის ძალაა“ (1.კორ 1:18). რაც თავდაპირველად შეუძლებელი იყო ჩვენი საკუთარი ძალებით, ახლა თავისუფლად შეგვიძლია: მისი გზებით სიარული. ახლა გვაქვს ღვთის მიბაძვის ძალა. ახლა შეგვიძლია, იესოს მივყვეთ.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, შეუძლებელია, იესოს გავყვეთ საკუთარი თავის უარყოფისა (საკუთარი გზების მიტოვება და მისი უზენაესი ძალაუფლების დამორჩილება) და ჯვრის აღების (მისი ძალის შეთვისება, რომ მოვშორდეთ ცოდვას და ამქყვეყნიურ სისტემას) გარეშე. ახლა ვცხოვრობთ მისი ძალის რწმენით, რომელიც ჩვენში და ჩვენგან მოქმედებს. მისგან მოვდივართ. ხსნის რაოდენ დიდებული პაკეტი უზრუნველყო ღმერთმა ჩვენთვის!

საზეიმო გაფრთხილება

იესომ გაგვაფრთხილა, რომ მისი წასვლის შემდეგ სახარება იქადაგებოდა და ფართოდ გავრცელდებოდა, რაც მისი უფლობის გარდა ხსნასაც შემოგვთავაზებდა. მოციქულებმა უფრო კონკრეტულად გაგვიცხადეს, რომ ხსენებული მოვლენა იესოს დაბრუნებისას მოხდებოდა ანუ ჩვენს დღეებში. ფართოდ გავრცელებული და ერეტიკული ქადაგება იესოს *უფლობას* აკნინებს უბრალო წოდებამდე და არ ითვალისწინებს იმ ადგილს, რომელიც მას ადამიანთა ცხოვრებაში უნდა ეკავოს. ადამიანები მას უფალს დაუძახებენ, მაგრამ არც საკუთარ თავს უარყოფენ, არც ჯვარს აიღებენ და არც გაჰყვებიან. დაკვირვებით წაიკითხეთ იესოს სიტყვები:

> „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო, როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს!“ (მათ. 7:21)

იესომ იცნო ის ადამიანები, რომლებიც მას *უფლად* აღიარებდნენ – არა მუჰამედი, ჯოზეფ სმითი, ბუდა, კრიშნა, კონფუცი ან ჩვენი ეპოქის რომელიმე ცრუ წინასწარმეტყველი. არა, ეს ადამიანები იესოს თავიანთ უფალს უწოდებენ და ამას მხურვალე გულით იტყვიან.

რატომ გამოიყენა იესომ ამ მუხლში სიტყვა „*უფალი*“ ორჯერ? ვხვდებით, რომ წმ. წერილში სიტყვის ან ფრაზის ორჯერ გამეორება შემთხვევითი არ არის. ავტორს რაღაცის ხაზგასმა

სურს. მიუხედავად ამისა, ხსენებულ შემთხვევაში გამეორება მხოლოდ ხაზგასმას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ემოციების სიღრმის ჩვენებას. მაგალითად, ძველ აღთქმაში, როცა მეფე დავითთან იოაბის არმიის მიერ მისი ძის დასჯის ამბავმა მიაღწია, რეაქცია მეტად მძაფრი იყო: „სახე დაიფარა მეფემ და ხმამაღლა მოსთქვამდა: „შვილო, აბესალომ! შვილო, აბესალომ! შვილო!“ (2 სამ. 19:4). არ მგონია, რომ დავითს მართლა ორჯერ წარმოეთქვა „შვილო“. ავტორმა ის ორჯერ გაიმეორა, რომ მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო დავითის მწუხარების სიღრმე.

იგივე ნიმუში ჩანს გამოცხადების წიგნში: „ვიხილე არწივი, შუაგულ ცაში რომ დაფრინავდა და მესმა, დიდი ხმით რომ ღაღადებდა: „ვაი, ვაი, ვაი, დედამიწაზე მცხოვრებთ...!“(გამოცხ. 8:13). სხვა თარგმანებში ნათქვამია, რომ ის „დიდი ხმით იძახდა“. ავტორი იგივე ხერხს მიმართავს და ძლიერი ემოციის გადმოსაცემად იმეორებს სიტყვას „ვაი“.

ანალოგიურად, უფალს იმ ადამიანთა ძლიერი ემოციის გადმოცემა სურს, რაც მათ მიმართ აქვთ. ისინი არა მარტო ეთანხმებიან სწავლებას, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა; მათ ამ რწმენას ემოციური სიღმე და გულითადობა ახლავს. ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანებზე, რომლებიც ხარობენ ქრისტიანობით, ენთუზიაზმით საუბრობენ თავიანთ რწმენაზე და ცრემლებით ტირიან თაყვანისცემის მსახურებისას.

ისინი არა მარტო ივსებიან გრძნობით ქრისტეს გამო, არამედ მსახურებებშიც არიან ჩართულნი:

> „ვხედავ, როგორ მოდის ათასობით სიამაყით სავსე ადამიანი ჩემთან და მეუბნება: „უფალო, ჩვენ სახარებას ვქადაგებდით, დემონებს ვდევნიდით, ჩვენს ღვთიურ პროექტებზე ყველა ლაპარაკობდა!“ (მათ. 7:22 The Message)

აქ *TheMessage* ბიბლია გამოვიყენე, რადგან საუკეთესოდ გადმოსცემს ფაქტს, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ განდგომილები. ისინი უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ან მხარს უჭერდნენ ეკლესიების საქმიანობას. ისინი გაბედულად აცხადებდნენ სახარებისეულ რწმენას: „სახარებას ვქადაგებდით“. ისინი მონაწილეობდნენ ადამიანთა ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლაში.

ეს პარაფრაზირებული ბიბლია იყენებს სიტყვას *„ათასობით“*. თუმცა ბიბლიის ვერსიათა უმრავლესობაში ნათქვამია

ბევრი. ბერძნულ დედანში გვაქვს სიტყვა *პოლუს*, რაც ნიშნავს „უამრავს, დიდი რაოდენობით“ და ხშირად „უმეტესის“ მნიშვნელობით იყენებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, იესო ადამიანთა პატარა ჯგუფზე კი არა, დიდი რაოდენობით ხალხზე მიანიშნებდა, ფაქტობრივად, მთლიანი რაოდენობის უმეტეს ნაწილზე.

მოდი, შევაჯამოთ: იესო მიუთითებს ადამიანებზე, რომელთაც სახარების სწავლება სწამთ. ისინი მას უფალს უწოდებენ, ემოციურად დატვირთულები არიან, სახარებაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ და აქტიურ ქრისტიანულ მსახურებას ეწევიან. ადვილად გავაიგივებდით მათ ნამდვილ ქრისტიანებთან. მაშ, რა არის გამყოფი ზღვარი? რით გამოირჩევიან ისინი ჭეშმარიტი მორწმუნეებისგან? იესო გვეუბნება:

> „მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ (მათ. 7:23)

საკვანძო ფრაზა გახლავთ „მოქმედნო ურჯულოებისა“, რომელიც ბერძნულ *„ანომიას“* შეესაბამება. თაიერის *ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონი* მას კანონის მიღმა მოქმედებას უწოდებს მისი არცოდნის ან ნებსით დარღვევის გამო. *ბიბლიური სიტყვების ენციკლოპედია* უფრო მეტად გვიხსნის მის არსს და ამბობს, რომ *„ანომია“* ასახავს „მოქმედებებს, რომლებიც აქტიურად უპირისპირდებიან ღვთიურ ან შინაგან ზნეობრივ პრინციპებს“. მარტივად რომ ვთქვათ, ურჯულო ღვთის სიტყვის ძალაუფლების ერთგული არ არის.

ხსენებული მამაკაცები და ქალები *დროდადრო* კი არ ეცემიან, არამედ ჩვევად აქვთ ღვთის სიტყვის უგულებელყოფა, უარყოფა და ურჩობა. მართლაც მადლით გადარჩენილები რომ ყოფილიყვნენ, არა მარტო შეძრწუნდებოდნენ ცოდვის გაფიქრებაზე, არამედ არაერთხელ განმეორებული ცოდვის მოშორებასაც მოინდომებდნენ. ისინი ჯვარს აცვამდნენ თავიანთ ხორცს ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად და ღვთიური ბუნების შეძენას და ნაყოფების მოტანას დაეწაფებოდნენ.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იესო ერთხელაც ასე განუცხადებს მათ: „არ მიცვნიხართ!“. სიტყვა *„ცოდნა, ცნობა“* ბერძნულ ენაზე გახლავთ *„გინოსკო“*, რაც ნიშნავს „შეცნობას, ძალიან ახლოს გაცნობას“. ამ ადამიანებს იესოსთან ახლო ნამდვილი ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ. მიუხედავად იმისა, რომ მას მოძღვარსა და უფალს ეძახდნენ, ეს ცარიელი სიტყვა,

წოდება იყო მათთვის, რადგან იმას არ აკეთებდნენ, რასაც იესო ეუბნებოდა. მოწმობა, რომ ადამიანს ნამდვილი ურთიერთობა აქვს უფალთან, გახლავთ მისი სიტყვის დაცვა:

> „იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს, შევიცანიო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში“. (1 იოან. 2:3-4)

ამასვე გულისხმობდა იაკობი, როცა წერდა: „მაჩვენე შენი რწმენა საქმეთა გარეშე და გაჩვენებ ჩემს რწმენას ჩემს საქმეთაგან!“ (იაკ. 2:18). ორივე განაცხადი შესანიშნავად ერწყმის იესოს მთლიანი ქადაგების გადმოცემის ხერხს: „მათი ნაყოფით იცნობთ მათ“ (მათ. 7:20). საქმეები, რომლებზეც იესო ყურადღებას ამახვილებს, ქრისტიანული მსახურება, მისი სიტყვის ქადაგება ან ეკლესიის შეკრებებზე დასწრება არ გახლავთ, რადგან ზეცისთვის ზურგშექცეულებსაც იგივე ქმედებები ახასიათებთ.

ტიმ კელერმა იესოს ზემოხსენებულ სიტყვებზე მიუთითა, როცა თქვა:

> „ეს ძალიან მკვეთრი ნათქვამია. ამ ადამიანებს ინტელექტით ამოძრავებული, ემოციებით გაჯერებული და სოციალურად გამომსყიდველი რწმენა აქვთ. ყველა ჩვენგანს სურს ეს. გვინდა ვიყოთ გონებით აღძრული, გრძნობით ჩართული და საზოგადოებისთვის სასარგებლო. და მაინც, შესაძლებელია იყოთ ინტელექტით მართული, ემოციურად დაკმაყოფილებული და ადამიანთათვის გამოსადეგი, მაგრამ არ გინდოდეთ ღმერთი ... რადგან მართლაც რომ გყოლოდათ ღმერთი გულში, მას დაუმორჩილებდით თქვენს ნებას და ამით გამოჩნდებოდა განსხვავება ორ პიროვნებას შორის, რომელთაგან ერთს სურს, ღმერთი იმსახუროს, ხოლო მეორეს სურს, ღმერთს ემსახუროს“.

ღვთის გამოყენება ნიშნავს: მის ძიებას რაიმეს მიღების მიზნით, თუნდაც ეს იყოს ზეცაში მოხვედრა. ღვთის სამსახური მთლიანად მისდამი სიყვარულით უნდა იყოს მოტივირებული და თუ ის გვიყვარს, მის სიტყვებსაც დავიცავთ.

დღეს მრავალს შეუძლია, წარმოიდგინოს პიროვნება, რომელიც იესოს უფალს უწოდებს, მისი სწავლებების სწამს,

ემოციურად ჩართულია და ქრისტიანულ მსახურებებშიც აქტიურობს, როგორც ღვთის შვილს შეეფერება. თუმცა იესოს სიტყვებიდან ნათლად ხედავთ, რომ ეს ქმედებები გადამწყვეტი არ არის ნამდვილი მორწმუნის ამოსაცნობად.

ნება დამრთეთ, ასე გამოვხატო სათქმელი. ამ თვისებებს ყველა ნამდვილ მორწმუნეში იპოვით და ფაქტობრივად, ადამიანი ვერ იქნება მორწმუნე მათ გარეშე. მიუხედავად ამისა, ხსენებული თვისებების ფლობა არ არის იმის გარანტია, რომ ის ნამდვილად ღვთის შვილია. გადამწყვეტი ფაქტორი ეს არის: უარყვეს მათ თავი და აიღეს თავიანთი ჯვარი? მიჰყვებიან ისინი იესოს? არსებითად, *არიან ისინი ღვთის სიტყვის მორჩილნი?*

ამ მონაკვეთით იესომ დაასრულა თავისი ცნობილი ქადაგება მთაზე. ამ გასაოცარი სიტყვებისთვის ზღვარი რომ დაედო, მან ასეთი დასკვნა გააკეთა:

> „ამიტომ ყველა, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და აღასრულებს მათ, იმ კეთილგონიერ კაცს ჰგავს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა. და მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები, ეკვეთნენ იმ სახლს; ის კი არ დაეცა, რადგან კლდეზე იყო დაფუძნებული. ხოლო ყოველი, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და არ აღასრულებს, ჰგავს უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე აიშენა სახლი. და მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები, ეკვეთნენ იმ სახლს, და დაეცა იგი – და ფრიად დიდი იყო მისი დაცემა“. (მათ. 7:24-27)

გამოყენებული კავშირი „ამიტომ“ გვაძლევს მინიშნებას, რომ ეს იგავი იესოს ზემოხსენებულ გაფრთხილებას შეეხება იმ მორწმუნეების შესახებ, რომლებიც ვერ შევლენ ცათა სამეფოში.

თუ იგავში წარმოჩენილ ორი ჯგუფის ადამიანებს ერთმანეთს შევადარებთ, ერთ საგულისხმო სხვაობას ვიპოვით. ორივემ მოისმინა სიტყვები, მაგრამ პირველმა ჯგუფმა „აღასრულა“, მეორემ კი – „არ აღასრულა“. ორივე სახლი ერთი და იმავე მასალისგან იყო ნაგები ანუ სწავლება ერთნაირი ჰქონდათ. ორივე ერთნაირი ჩანდა თაყვანისცემასა და მსახურებაში. მნიშვნელოვანი სხვაობა საძირკველში ჩნდება. ერთი სახლი იესო ქრისტეს უფლობაზე იყო დაყრდნობილი, ხოლო მეორე – *კეთილისა* და *ბოროტის* განსაზღვრის ადამიანურ შეფასება-

ზე – იგივე ფილოსოფიის „ხეზე“, რომელსაც ადამმა და ევამ მიმართეს.

უნდა გამოგვაფხიზლოს იმ ფაქტმა, რომ დღესაც იგივე შეცდომა მეორდება ედემის ბაღიდან თანამედროვეობამდე. იგი სხვა სახეს იღებს, ფესვი კი იგივე რჩება. საბოლოოდ, ამ დასკვნამდე მივდივართ: ნუთუ *ვფიქრობთ, რომ ჩვენ უკეთ ვიცით, როგორ უნდა ვიცხოვროთ? თუ პირიქით, გვწამს, რომ ღმერთმა ჩვენზე კარგად იცის ეს?*

5

სურვილი საკმარისია?

„ახლა კი საქმე დაასრულეთ,რათა, რისი
გაკეთებაც ხალისით გეწადათ,
შეასრულოთ კიდეც!...“.
2 კორ. 8:11

„სულიერის გაგების ოქროს წესი მდგომარეობს
არა ინტელექტში, არამედ მორჩილებაში“.
ოსვალდ ჩემბერსი

წარმოიდგინეთ, რომ ჭაბუკი ხვდება ახალგაზრდა გოგონას. ქალიშვილი მიმზიდველი, ჯანსაღი, ორგანიზებული, შესანიშნავი მზარეული, ბავშვების კარგი აღმზრდელი და რაც მთავარია, სასიამოვნო პიროვნებაა. ახალგაზრდა კაცი შეყვარებულია და ფიქრობს, რომ მასთან ერთად უნდა დარჩენილი ცხოვრების გატარება. ჭაბუკი შესაფერის მომენტში მუხლებზე დგება, პატარა ყუთს ხსნის, რომელშიც მოელვარე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი დევს და ქალიშვილს ხელს სთხოვს.

კაცის გასახარად, ქალიშვილი იღიმება, შემდეგ სიხარულით კივის, ცრემლებად იღვრება და დამშვიდების შემდეგ აღტაცებული პასუხობს: „დიახ! დიახ! დიახ! არ მჯერა! გული ამდენს ველარ იტევს. ეს უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში! ძალიან მიყვარხარ! დიახ, თანახმა ვარ, რომ ცოლად გამოგყვე!“

ბედნიერი წყვილი ერთმანეთს ეხვევა. ემოციები ჯერ კიდევ არ დამცხრალა, ქალიშვილი ჭაბუკს თვალებში უყურებს და მგზნებარედ პირდება: „დიდებული ცხოვრება გვექნება. საუკეთესო მეუღლე ვიქნები, მშვენიერ სახლს მოგიწყობ, უზადოდ შევინახავ, გემრიელ სადილებს გაგიმზადებთ შენ და ბავშვებს, ვიქნები ჯანსაღი, ჩავიცვამ მოდურად და ნებისმიერ დროს მზად ვიქნები შენი სიყვარულისთვის!“

ახალგაზრდა კაცი ფიქრობს: *ო! შესანიშნავია! ყველაზე იღ-ბლიანი კაცი ვარ ამ ქვეყანაზე!*

ამის შემდეგ ქალიშვილი კიდევ ერთ საყურადღებო გა-ნაცხადს აკეთებს: „რასაკვირველია, სხვა კარგი ბიჭებიც არი-ან, რომლებიც ჯერ კიდევ მომწონს, ამიტომ დროგამოშვებით მათაც შევხვდები“.

ელდანაცემი ჭაბუკი ენის ბორძიკით ამოთქვამს: „ასე არ გამოვა!“

„რატომ, ძვირფასო?“

ახალგაზრდას ენა ჩაუვარდა. განსაკუთრებული მომენ-ტი გაცამტვერდა. აღმაფრენა გაქრა. მისი გონება დაძაბული მუშაობს, *„ნუთუ ის ხუმრობს? ნუთუ შეიძლება ასეთ რამეზე ხუმრობა მას შემდეგ, რაც ხელი ვთხოვე?“*

უხერხული სიჩუმის შემდეგ, რომელიც მას საუკუნედ მოეჩვენა, ქალიშვილი ამაღლებული განწყობის დაბრუნებას ცდილობს და ენთუზიაზმით მიდის დათმობაზე: „კარგი, რახან ასეა, რას იტყვი, თუ წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს გავა-ტარებ ჩემს ძველ შეყვარებულებთან? მთელ 364 დღეს შენ მოგიძღვნი და მათ ერთადერთ დღეს დავუთმობ“.

ახალგაზრდა ყურებს არ უჯერებს. ახლა უკვე ცხადია, რომ აქ არავითარ ხუმრობას ადგილი არ აქვს და ქალიშვილი სრული სერიოზულობით ლაპარაკობს. ჭაბუკი ისევ პასუხობს: „არც ეს გამოდგება!“

ახალგაზრდა ქალი შეფიქრიანდა, მაგრამ ისეთი შეყვარებუ-ლია, რომ ცდილობს ჭაბუკს კიდევ უფრო უკეთესი გარიგება შესთავაზოს, „კარგი, რას იტყვი 4 საათზე წელიწადში? ძველ შეყვარებულებს მხოლოდ 4 საათს დავუთმობ“.

„არა!“ – ამჯერად უფრო მტკიცედ ამბობს ჭაბუკი.

ქალიშვილი არ ნებდება, – „რას იტყვი წელიწადში 20 წუთ-ზე? მხოლოდ ერთჯერადი სიამოვნება საწოლში სხვა შეყვარე-ბულთან!“

„არა!“

ქალიშვილი ვედრებაზე გადადის თანხმობის მიღწევის იმედით, „ძვირფასო, მე შენ მიყვარხარ! ფაქტობრივად, შენზე ვგიჟდები. ნებისმიერ მამაკაცზე მეტად მიყვარხარ. მაგრამ ეს საჭიროება მაქვს. სხვა კაცებთანაც მინდა, ვიყო. უბრალოდ, არ შემიძლია მხოლოდ ერთ კაცთან გართობა. გულწრფელად მინდა შენი ერთგულება დავიცვა და ისიც ვიცი, რომ სხვა ურთიერთობების გაწყვეტა მართებული საქციელია, მაგრამ რეალურად ვიმსჯელოთ. ირგვლივ რამდენი მაგარი ბიჭია და

მათი ყურადღება მსიამოვნებს. რატომ უნდა შევიკავო თავი? ნუთუ შეუძლებელია ორივეს მიღება?“

ახალგაზრდა კაცი იმდენად იმედგაცრუებულია, რომ ამ ჯერზე პასუხი საერთოდ არ გასცა. მან თავი ჩაქინდრა. რამდენიმე უხერხული წამის შემდეგ ქალიშვილი ნაზი ხმით ამბობს: „მინდოდა, გულწრფელი ვყოფილიყავი. ვფიქრობ, მეტისმეტს მოითხოვ. მინდა, სრული ცხოვრებით ვიცხოვრო!“

ჭაბუკმა უკვე საკმარისად უსმინა მას: „ეს უკვე აბსურდია! ჩვენ აღარ დავქორწინდებით! მე შენთან შეხვედრა აღარ მინდა!“

ისინი თავიანთ ცხოვრებისეულ გზებს დაადგნენ.

მოდი, ვიფიქროთ ამაზე. ჭაბუკი შესანიშნავი პიროვნული თვისებების მქონე მომხიბლავ ქალს შეხვდა. იგი შეუდარებელია ოჯახური ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში, უყვარს ის, მზადაა მისი მომსახურებისთვის და მისთვის საუკეთესო სურს. ქალიშვილი აღფრთოვანებულია მასზე გათხოვების პერსპექტივით. ეს ყველაფერი შესანიშნავად ერწყმის ერთმანეთს. ახალგაზრდა კაცმა წელიწადში მხოლოდ 20 წუთი უნდა დათმოს და ცოლი სხვა კაცთან გაუშვას! რატომ ეწინააღმდეგება იგი ქალის შემოთავაზებას?

რასაკვირველია, პასუხი ცხადია: ქალმა მას მთელი გული და ცხოვრება არ მიუძღვნა. მან იცის, რომ ეს კარგი საქციელი იქნებოდა და გარკვეულ დონეზე უნდა კიდეც, მაგრამ რეალურად, მეტისმეტად მიწებებულია სხვა ახალგაზრდებს. ერთია, გქონდეს სურვილი და მეორეა – განახორციელო იგი.

არც ერთი საღად მოაზროვნე კაცი არ დასთანხმდება ასეთ ქალზე დაქორწინებას. მაშ, რატომ გვგონია, რომ იესო ისეთი პატარძლის წასაყვანად დაბრუნდება, რომელიც ხსენებული ახალგაზრდა ქალის მსგავსად იქცევა? მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ უფლის სიტყვებს:

> „მოწაფეებთან ერთად ხალხსაც მოუხმო და უთხრა: „თუ ვინმეს სურს, გამომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს! რადგან, ვისაც სულის *შენარჩუნება სურს,* იგი დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი ანდა სახარების გულისთვის დაკარგავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას“. (მარკ. 8:34-35)

ყურადღება მიაქციეთ, რომ სიცოცხლის შენარჩუნების სურვილი ყველაფრის ფასად დაგვიჯდება. იესოს არ უთქვამს,

„ვისაც ჩემი გულისთვის სულის დაკარგვის სურვილი აქვს, ის შეინარჩუნებს მას“. სიცოცხლის გაწირვის სურვილი საკმარისი არ არის. ასეთ შემთხვევაში არავითარი განსხვავება არ იქნება თქვენსა და წელანდელ ამბავში მოყვანილ ქალიშვილს შორის.

სამყაროში ყველაზე შესანიშნავ პიროვნებასთან აღთქმით ურთიერთობაში შესასვლელად მთლიანად უარი უნდა თქვათ თქვენს ცხოვრებაზე, რაც თავისთავად გულისხმობს მის წინამძღოლობას ცხოვრების ყველა ასპექტში. საინტერესოა, რომ ბიბლია ღმერთთან ჩვენს ურთიერთობას ქალისა და მისი ქმრის ურთიერთობას ადარებს. პავლე წერს:

> „ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და დედას და მიეწებება თავის ცოლს, და ორივენი ერთ ხორცად იქნებიან. დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტესა და ეკლესიაზე“. (ეფეს. 5:31-32)

მიუხედავად იმისა, რომ პავლე ამ მითითებას ცოლ-ქმრის საყურადღებოდ ამბობს, ნათელს ჰფენს ამ თვალსაჩინოების ჭეშმარიტობას იესოსთან ურთიერთობაში. არც ერთი კაცი არ დაქორწინდება ქალზე, რომელიც მას ცხოვრების მიძღვნის დაპირებას მისცემს და რეალურად ასე არ მოიქცევა. როგორ ფიქრობთ, შეგვიძლია, ჩვენც ასე მოვექცეთ იესოს? სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ წერდა იაკობი:

> „მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?! ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება!“ (იაკ. 4:4)

აქაც ჩანს ძლიერი ხაზგასმა ორმაგი განცხადებით. ეს არ გახლავთ უბრალო საკითხი. ეს ღმერთთან ჭეშმარიტი ურთიერთობის არსებითი მხარეა.

მრუშია ადამიანი, რომელმაც აღთქმა ერთ ადამიანთან დადო, რეალურად კი არღვევს მას და სხვასთან კავშირს ეძებს. ასეთი პიროვნება დამავალდებულებელი შეთანხმების ერთგული არ არის.

აღთქმა, რომელსაც იესოსთან ვდებთ, საკუთარი თავის უარყოფას და ჩვენს ირგვლივ არსებული ამქვეყნიური სისტემისთვის ზურგშექცევას გულისხმობს. არ უნდა დავთანხმდეთ უფლისთვის ჩვენს სრულ ერთგულებასა და მორჩილებაზე ნაკლების შეთავაზებას. ეს ნიშნავს, რომ მის ნებას და

სურვილებს ჩვენსაზე მაღლა ვაყენებთ. ჩვენთვის თავის გაწირვის სანაცვლოდ იესოს საკუთარი ცხოვრება უნდა მივუძღვნათ. ეს მამაკაცსა და ქალს შორის ჯანსაღი ქორწინების მსგავსია.

მეძნელება სიცოცხლის დათმობა

ბევრი ადამიანი სიხარულით მიიღებდა გადარჩენის თანმხლებ სარგებელს, საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებაც რომ შეძლებოდა. საინტერესოა, რომ ისინი ხვდებიან თავის უარყოფის აუცილებლობას იმისათვის, რომ ღმერთს გაჰყვნენ, მაგრამ ფასის გადახდა ეძნელებათ. ისინი გულწრფელები არიან ღმერთთან და საკუთარ თავთან.

ერთი მეზობელი მყავდა (პირობითად, კევინს ვუწოდებ), რომელიც ზემოხსენებულ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა. იგი ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის წევრი, სპორტსმენი, ერთ-ერთი ვარსკვლავი გახლდათ. ის და მისი ოჯახი ჩვენგან სამი სახლის იქით ცხოვრობდნენ. როცა ისინი პირველად გადმოვიდნენ ჩვენს სამეზობლოში, ცოლმა კევინი გააფრთხილა ჩვენს შესახებ, ცოტა ახირებულები არიანო.

რამდენიმე თვის შემდეგ ინტენსიური პანიკის შეტევისგან გატანჯული ქალი დანებდა და ლიზას მკლავებში აქვითინდა. ამ შემთხვევამ ლიზას მასთან ურთიერთობის კარი გაუღო და მანაც იესოს სახარება გაუზიარა. მოჭიდავის ცოლმა დიდებული გადარჩენა მიიღო. მოკლე ხანში მათმა ორმა ბიჭმაც იესოს მიუძღვნა ცხოვრება.

თანდათან ერთმანეთს უფრო დავუახლოვდით ოჯახებით. მე და კევინი კარგი მეგობრები გავხდით. ერთად ბევრ დროს ვატარებდით. ერთმანეთს ხშირად ვურეკავდით და კალათბურთს, ბალახის ჰოკეის და გოლფს ვთამაშობდით ჩვენს ბიჭებთან ერთად.

ერთ საღამოს ღმერთმა მაჩვენა რამდენიმე მოვლენა, რომლებიც კევინის ცხოვრებაში მოხდებოდა. უკვე გვიანი იყო, საღამოს 10 საათი, მაგრამ მასთან ლაპარაკის საჭიროებას ვგრძნობდი. როცა ის კარებთან მოვიდა, სამი საკითხის შესახებ დაველაპარაკე, თუ რა უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში მომდევნო ცხრა თვის განმავლობაში.

სამივე ნამდვილად მოხდა. ვფიქრობდი, რომ *კევინი ახლა მაინც მიუძღვნიდა ცხოვრებას იესო ქრისტეს*, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა.

ღმერთმა ხუთი თვის შემდეგ სხვა მოვლენა მაჩვენა, რაც კევინის ცხოვრებაში მოხდებოდა. ისევ ველაპარაკე მას ამის შესახებ. ამჯერად უფრო შორს წავედი: „კევინ, ხომ დაინახე, როგორ აღსრულდა ღვთის მიერ წინასწარ ნათქვამი სამი რამ შენს ცხოვრებაში. ნათელია, რომ იგი გეძახის. რატომ არ უძღვნი მას შენს ცხოვრებას?“

კევინი 6 ფუტისა და 4 ინჩის (დაახლოებით 195 სმ) სიმაღლის გახლდათ და 240 ფუნტს (108 კგ) იწონიდა. აქედან მხოლოდ 4 % იყო ცხიმი. გარეგნობით დაგაფრთხობდათ. მან ზემოდან გადმომხედა და მითხრა: „იმიტომ, რომ ვიცი, რა საფასურის გადახდა მომიწევს. ვიცი, რომ მას უნდა ვუძღვნა მთელი ცხოვრება და დავემორჩილო, მე კი არ მინდა ჩემი ცხოვრების წესის მიტოვება“.

შემდეგ მან დაამატა: „ჯონ, ჩვენს ორგანიზაციაში ერთი ცნობილი მოჭიდავეა. იგი ამბობს, რომ ზეციდან შობილი ქრისტიანია და იგივე სატელევიზიო პროგრამაში გამოვიდა, სადაც შენ ინტერვიუ ჩამოგართვეს. მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ ნარკოტიკებს იყენებს და სქესობრივი ცხოვრებაც მოუწესრიგებელი აქვს. მოიცა რა, რით განსხვავდება ის ჩემგან? უბრალოდ, მე არ მინდა მასავით თვალთმაქცი ვიყო. სჯობს, დიდების მწვერვალზე ცხოვრებით და თანმხლები უპირატესობით დავტკბე, ვიდრე ყალბი ქრისტიანობის ფასადს ამოვეფარო“.

განადგურებული ვიყავი კევინის ნათქვამით, მაგრამ ის ერთადერთი არ არის. უამრავი ადამიანი დადის ეკლესიაში, იესოს მხსნელს უწოდებს და თავს ღვთის შვილად მიიჩნევს, მაგრამ მის უფლობას არ ემორჩილება. არიან კი ისინი გადარჩენილები?

შესაძლებელია თუ არა, ჩვენს ეკლესიაში იყვნენ მოქცეულები, რომლებიც სინამდვილეში ღვთის შვილები არ არიან? იესომ მაშინდელ წინამძღოლებს განუცხადა: „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომ შემოივლით ზღვასა და ხმელეთს, რათა ერთი ვინმე მაინც მოაქციოთ, და როცა მოაქცევთ, გეენის ძედ გადააქცევთ, თქვენზე ორჯერ უარესად!“ (მათ. 23:15). იმის თქმა არ მინდა, რომ დასავლეთის ეკლესიების ყველა წინამძღოლი გეენის ძეა. და მაინც, მინდა გკითხოთ, რა სახის მოქცეულებს შობს ჩვენი ეკლესიები?

ღვთის მაძიებელთათვის თავის უარყოფის საჭიროების დამალვის შედეგი გახლავთ გაუმჯობესებული ცხოვრების სტილი და იმქვეყნად ზეციური ცხოვრების დაპირება. როგორც კი

წარმოითქმება „ცოდვილის ლოცვა“, ახალმოქცეულის სინდისი მაშინვე მშვიდდება. თეორიულად, ასეთი ადამიანები ღვთისგან შორს არ არიან. ისინი თანამორწმუნეთა თემს ეკუთვნიან და საერთო უღელს იზიარებენ. რაც შეეხება გარეგნულ *სიკეთეს*, ისინი ღელავენ სოციალური უსამართლობის მსხვერპლთა, ღარიბთა და გაჭირვებულთა გამო და ზოგჯერ მონაწილეობენ კიდეც მათზე მზრუნველობაში. ამას დაუმატეთ მოტივაციის აღმძრავი სწავლებების მოსმენის და ზეცაში მოხვედრის დაპირებების პრივილეგია და თქვენ მიიღებთ მეტად მიმზიდველ პაკეტს, რომლით სარგებლობასაც მრავალი ისურვებდა.

საინტერესოა, ეს მოქცეულები გადარჩენილები არიან თუ მოტყუებულები, რაც მათ კიდევ უფრო გაუძნელებთ სიმართლის მოსმენას? იქნებ სწორედ ამგვარი ქადაგება წარმოშობს მათეს სახარების მე-7 თავში ნახსენებ გზასაცდენილ მორწმუნეებს, რომლებიც იესოსგან მოისმენენ: „გამშორდით, არასოდეს მიცვნიხართ თქვენ!“

არის თუ არა ჩვენი ქადაგება იესოს სიტყვის მსგავსი?

არის ეს ის გზა, რომლითაც იესო დაღუპულ ადამიანებთან მიდის? მოდი, დავუბრუნდეთ მდიდარ ახალგაზრდა წინამძღოლს, რომელიც ნახსენებია როგორც მდიდარი მთავარი!

რამდენიმე წლის წინ კონფერენციაზე სიტყვით გამოვედი ასეულობით მწყემსის წინაშე, რომლებიც შეერთებული შტატების უდიდეს ეკლესიებს ზედამხედველობდნენ. ამ ჯგუფს ვკითხე: „წარმოვიდგინოთ, რომ იესოს ახალგაზრდა მთავარი უახლოვდება. შეგიძლიათ, დაინახოთ, როგორ გადმოდის იგი როლს-როისის ეტლიდან არმანის მოსასხამით და როლექსის მზის საათით მაჯაზე? რამდენიმე პირადი მხლებელი უკან მოჰყვება, როცა ის იესოსკენ მოემართება. ჭაბუკი ცივი, თავშეკავებული, ცოტაოდენ ქედმაღლური ხმით კითხულობს: „კეთილო მოძღვარო, რა უნდა გავაკეთო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“

„შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ მსგავსი სურათი დღესდღეობით?“ – ვკითხე მწყემსებს. სამწუხაროდ, მათმა უმრავლესობამ ხელი ასწია თანხმობის ნიშნად.

„წმ. წერილი კი ასე არ გადმოგვცემს!“ – განვაცხადე მე. შემდეგ ამ ამბის მომცველი ეპიზოდი წავიკითხე:

„გზაზე რომ გამოვიდა, ვიღაც კაცმა *მიირბინა, მუხლი მოიყარა მის წინაშე* და შეევედრა: „კეთილო მოძღვარო, რა უნდა გავაკეთო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ (მარკ. 10:17)

ამ კაცმა უამრავი ხალხის წინაშე *მიირბინა* იესოსთან, *მუხლი მოიყარა* და შეევედრა, რომ ესწავლებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო გადასარჩენად. მასში არავითარი სიამაყე არ ჩანს.

ვფიქრობ, ამბის გაგრძელების საუკეთესო თვალსაჩინოება ასეთი იქნებოდა. ერთ-ერთ წინამძღოლს დიდი სცენის მეორე მხარეს დადგომა ვთხოვე. შემდეგ მისკენ გავქანდი მთელი სისწრაფით და როცა რამდენიმე ნაბიჯი დამრჩა მასთან მისასვლელად, მუხლებზე დავემხე, მისი პერანგის ბოლოს ჩავებღაუჭე და თან ხმამაღლა და მთელი გრძნობით ვეხვეწებოდი: „რა გავაკეთო, რომ გადავრჩე? რა გავაკეთო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“

აქამდე არც ჩემს პირად ცხოვრებაში და არც მსახურებაში არ მინახავს ადამიანი, მდიდარი თუ ღარიბი, რომელიც გამომედევნებოდა, მუხლებზე დაეცემოდა და შემევედრებოდა: „მითხარი, როგორ ვიშვა ხელახლა?“ ეჭვგარეშეა, ახალგაზრდა მმართველი ენთუზიაზმით და სიწრფელით სავსე იყო!

ამრიგად, იესომ ჰკითხა მას: „რატომ მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ერთისა, ღვთისა“ (მარკ. 10:18).

როგორც ადრე აღვნიშნე, ეს კაცი იესოს კეთილგანწყობას ეძებდა „კეთილი მოძღვრის“ საპატიო სახელის წოდებით. მიუხედავად ამისა, იესომ ამ პირფერობას გარჩევის მისთვის ჩვეული უნარის ჩახშობის საშუალება არ მისცა. გადარჩენა არ უნდა დაკნინებულიყო მდიდარი ახალგაზრდის შეფასებით კეთილისა და ბოროტის შესახებ.

მეორე მხრივ, ამ კაცს საკმაო რაოდენობით ჰქონდა შინაგანი სიწრფელე. მას არც უცდია იესოსთვის უფალი ან მეფე ეწოდებინა. მან იცოდა, რომ იესოსთვის უფლის წოდებით ზუსტად იმის გაკეთება მოუხდებოდა, რასაც მოსთხოვდა! რამდენ ადამიანს აქვს დღეს ასეთი ბუნება? ისინი, შესაძლოა, იესოს უფალს უწოდებენ, ბიბლიის რწმენას აღიარებენ და მაინც, ცხოვრებისეულ არჩევანს კეთილისა და ბოროტის საკუთარი შეფასების საფუძველზე აკეთებენ ნაცვლად იმისა, რომ გულმოდგინედ შეასრულონ ყველაფერი, რასაც უფალი წმ. წერილში სთხოვს. ისინი იღიმებიან და *ამინს* ამბობენ ბიბ-

ლიურ სწავლებაზე, მაგრამ თუ ის მათ საკუთარ მიზნებს არ შეესაბამება, მარტივად გადახაზავენ, რადგან ცხოვრებაში არ გამოადგებათ. მათ ესმით, მაგრამ სულიწმიდის ნათქვამს არ ითვალისწინებენ. ასეთებს ხშირად ჰგონიათ, რომ მოსმენილი სიტყვა საჭიროა მათზე უარეს მდგომარეობაში მყოფთათვის.

მოისმინეთ, როგორ პასუხობს იესო კაცს, რომელსაც მთელი გულით სურდა საუკუნო სიცოცხლის მოპოვება:

> „იცი მცნებანი: არ იმრუშო, არ კლა, არ იპარო, ცრუმოწმე ნუ იქნები, ნუ იცრუებ, პატივი ეცი შენს მამას და დედას!“ მან მიუგო: „მოძღვარო, ყოველივე ამას სიჭაბუკიდან ვიცავ!“ (მარკ. 10:19-20)

იესომ ათი მცნებიდან ბოლო ექვსი ჩამოთვალა, რომლებიც ადამიანებთან ურთიერთობას ეხება. მდიდარმა ჭაბუკმა ენთუზიაზმით უპასუხა, რომ ყველა მათგანს იცავდა მთელი ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, ასეც იყო. ამ სტანდარტების მიხედვით ვასკვნით, რომ ის კარგი, პატიოსანი და მართალი კაცი გახლდათ. იგი ხასიათის ამ კარგ თვისებებს ეყრდნობოდა და იმედოვნებდა, რომ ეს საკმარისი იქნებოდა ღვთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

და მაინც, იესომ წინასწარი განზრახვით გამოტოვა პირველი ოთხი მცნება, რომლებიც ადამიანისა და ღვთის ურთიერთობას შეეხება. მათგან პირველი ადამიანს უკრძალავდა კერპებისა და სხვა ღმერთების თაყვანისცემას ერთადერთი ყოვლისშემძლე შემოქმედის გარდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს ცხოვრებაში არ უნდა არსებობდეს ისეთი რამ, რაც ღმერთთან მოზაირეობაზე, მისდამი სიყვარულსა და მიძღვნაზე წინ იდგება. ეს ახალგაზრდა არ ასრულებდა ამ მცნებებს და არც მოუსურვებია ოდესმე მათი შესრულება. იესო აპირებდა მისი ცხოვრების ისეთი მხარის გამომზეურებას, რომელიც მას ხელს შეუშლიდა კეთილად დაგვირგვინებაში.

> „იესომ შეხედა მას, *შეუყვარდა* და უთხრა: „ერთი რამ გაკლია: წადი, რაც გაქვს, გაყიდე, ღარიბებს დაურიგე და გექნება საუნჯე ზეცაში! მერე მოდი და გამომყევი!“ (მარკ. 10:21)

ყურადღება მიაქციეთ, რომ იესოს შეუყვარდა ის! როგორ წარმოაჩინა მან სიყვარული მდიდარი მთავრისადმი? გააფრთხი-

ლა მაძიებელი. იესომ იცოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა ამ კაცს ქონება იესოს ძალაუფლების (უფლობის) მორჩილებიდან გადაახვევინებდა. მას უფრო მეტად აღელვებდა ჭაბუკის სწორ გზაზე დარჩენა, ვიდრე უბრალოდ, კარგი დასაწყისი.

ამ კაცისთვის ფული დაბრკოლებას წარმოადგენდა. სხვებისთვის ეს შეიძლება იყოს შეყვარებული, სპორტი, საყიდლებზე სიარული, ბიზნესი, ფილოსოფია, განათლება, ჭამის სიყვარული ან სქესობრივი მოთხოვნილებები. ფაქტობრივად, შებრკოლების ლოდი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც იესოზე მეტად გვიყვარს და მეტ ძალისხმევას ვახმართ.

უყვარდა თუ არა იესოს ჭაბუკი ისე, რომ ღვთის სიტყვა გაეფართოებინა მისი სხვა გატაცების ჩასართავად? დაამახინჯა მან ჭეშმარიტება, რომ მისთვის არ ეწყენინებინა? რატომ არ შესთავაზა ცოდვილის ლოცვა იმ იმედით, რომ ერთხელაც ახალგაზრდა კაცი ვერცხლისმოყვარეობას დათმობდა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის უპირველესი კანდიდატი იყო, რომელმაც ასე დიდი ინტერესი გამოხატა გადარჩენის საკითხისადმი. იესოს მხოლოდ ბადის მოქნევა დასჭირდებოდა და უმალვე დაიჭერდა მდიდარ, გულით მომსახურე, გამოჩენილ ქრისტიანს!

და მაინც, იესოს მართლა უყვარდა ეს ადამიანი. მან ჭაბუკს ჭეშმარიტება მიაწოდა, ძალზე ძლიერი სიტყვა – და ამით მისით აღტაცებული და ძალაუფლების მქონე ადამიანის დაკარგვის რისკზე წავიდა. იესომ მას თვალებში ჩახედა და მისი ნაკლოვანება დაანახა და ეს არ იყო დაშურება, არამედ გულისა და გონების მზადყოფნა, რომ ნებისმიერ ფასად დამორჩილებოდა მეფეთა მეფეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ კაცს იესო მხსნელად მიაჩნდა და ამ შემთხვევაში მისი მორჩილება არჩევითი იყო. თუ მისი შეფასებით იესოს რჩევა კარგი გამოდგებოდა, გაჰყვებოდა. თუ დაასკვნიდა, რომ იესოს რჩევა მისთვის არც ისე კარგი იყო, თავის გზას დაადგებოდა.

წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა უთხრა გულწრფელ მაძიებელს, რომ მას რაღაც აკლია და ეს საუკუნო სიცოცხლის მიღებაში დააბრკოლებს? მიუხედავად ამისა, თუ ნამდვილად გიყვართ ვინმე, ჭეშამრიტება არ უნდა დაუმალოთ, თუნდაც ხვდებოდეთ, რომ იგი უარყოფილი იქნება.

ბევრი ქრისტიანი და მსახური პირფერობს მსმენელთა მხრიდან უარყოფის შიშით. მათ ძალიან უნდათ, რომ მიღებულნი იყვნენ. გულწრფელად რომ ვაღიარო, მეც მქონდა ამის

სურვილი. ყველას მოვწონდი, ვისაც ვხვდებოდი, რადგან ყოველთვის მათთვის სასურველს ვლაპარაკობდი. ვერ ვიტანდი წინააღმდეგობას და უარყოფას და მინდოდა, ყველა ბედნიერი ყოფილიყო. შემდეგ ღმერთმა სინათლეზე გამოიტანა ჩემი დაუცველობა და ეგოისტური მოტივები. მან ჩემი სიყვარულის ცენტრი დამანახა – საკუთარი თავი და არა ის ხალხი, ვისაც ვუქადაგებდი.

გაცილებით სჯობს ჭეშმარიტების თქმა, ვიდრე კომპრომისზე წასვლა და ვიღაცის ტყუილში დარწმუნება. უკეთესია, ადამიანებმა ჭეშმარიტება მოისმინონ ახლა, ვიდრე დაიჯერონ, რომ სხვადასხვა კერპების შენარჩუნება შეუძლიათ თავიანთ ცხოვრებაში და ერთ დღეს, როცა უკვე ძალიან გვიან იქნება, ელდანაცემებმა მოისმინონ უფლის ნათქვამი: „გამშორდით, არასდროს მიცვნიხართ ურჯულოების მოქმედნო!“

ახლა დავაკვირდეთ ანთებული მაძიებლის პასუხს იესოს მიერ ნათქვამ სიტყვაზე:

> „მაგრამ *შეწუხდა* იგი ამ სიტყვებზე და *დანაღვლიანებული* წავიდა, ვინაიდან დიდძალი ქონება ჰქონდა. იესომ მიმოიხედა და უთხრა თავის მოწაფეებს: „რა ძნელი იქნება მდიდრებისთვის ღვთის სამეფოში შესვლა!“ (მარკ. 10:22-23)

ამრიგად, ენთუზიაზმით სავსე კაცი სახლში დამწუხრებული წავიდა!

„ოჰ, იესო, როგორ შეგეძლო ასე მოქცევა? როგორი ანთებული მოვიდა ახალგაზრდა და შენი ნათქვამის შემდეგ დანაღვლიანებულმა დატოვა აქაურობა! განა არ იცი, რომ მაძიებლებს პოზიტიური სიტყვა უნდა უთხრა? შენმა საუბრებმა და ქადაგებამ ადამიანები უნდა აამაღლოს და თავი კარგად აგრძნობინოს, დარდით კი არ უნდა აავსოს! მწყემსო იესო, თქვენს ეკლესიაში დასწრება საგრძნობლად იკლებს, თუ ანთებულ მამაკაცებსა და ქალებს, განსაკუთრებით კი, მდიდრებსა და გავლენიანებს ასე მოექცევი. წადი მასთან და შეარბილე შენი ნათქვამი; ჭაბუკი უეჭველად მიხვდება სრულ ჭეშმარიტებას მოგვიანებით!“

აი, რას გაიგონებდა იესო დღეს თავისი წინამძღოლთა გუნდისგან ან საბჭოს წევრებისგან დასავლურ ეკლესიებში! მას კარგად გაკიცხავდნენ და მისი გადაყენების საკითხს წამოჭრიდნენ.

როგორ ბედავს ის შესაძლო უხვი შემწირველის წყენინებას, რომელსაც ხელის ერთი მოსმით შეუძლია საბანკო ჩეკის გამოწერა ისეთ თანხაზე, რომელიც ეკლესიის ყველა გასვლით მსახურებას ეყოფა ერთი წლის განმავლობაში! იგი ერთ-ერთი იმათგანი იქნებოდა, რომელიც ჩვენი მშენებლობის ვალის რამდენიმე მილიონ დოლარს გადაიხდიდა. მწყემს იესოს წარმოდგენაც კი არ აქვს დიდი, ეფექტური მსახურების ჩამოყალიბების დინამიკაზე. შესაძლოა, დაავიწყდა კიდეც, როგორ უნდა მოახდინოს ადამიანებზე დადებითი ზეგავლენა. სასურველია, ტონი შეარბილოს და ბიძგის მიმცემი სწავლება წამოიწყოს – განწყობის გასაუმჯობესებელი ქადაგებები, რომლებიც თვითშეფასებას ამაღლებს.

ჰგავს ეს იმ დამოკიდებულებას, რაც დასავლურ ეკლესიებში სუფევს? ჩვენ ერთგვარ მახეში ვართ გაბმული, რომ ახალმოქცეულის მოსაპოვებლად ნებისმიერი რამ გავაკეთოთ და როგორმე მიმდევრები შევიძინოთ. მოვიგონეთ სხვადასხვა საშუალებები, თუ როგორ შევინარჩუნოთ დასწრება ეკლესიაში, მოვძებნოთ მიმდევრები ტვიტერზე, გავზარდოთ თაყვანისმცემელთა რიცხვი ფეისბუქზე ან ხალხს ჩვენი ბლოგები წავაკითხოთ. ეს სხვა არაფერია თუ არა გზავნილი ღვთისთვის, რომ ჩვენი სიბრძნე მისას სჯობს. აქ საქმე გვაქვს არჩევანის გაკეთებასთან კარგისა და მისაღების სასარგებლოდ და არა ღვთისთვის სასურველის გამო.

ერთი რამ სწორია: საჭიროა ხალხისთვის მოწოდება, რომ ქრისტე აირჩიონ, მაგრამ ეს არჩევანი ჭეშმარიტებას უნდა ეფუძნებოდეს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღმერთს არასოდეს მოუთხოვია ახალი აღთქმის სიტყვის გაფართოება და იმ ხალხისთვის საქმის გაადვილება, რომლებსაც ჯერ კიდევ დამოუკიდებლად სურთ გადარჩენის მოპოვება. სულის ხსნა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხით ანუ ჩვენი შეფასებით არ მიიღება. იგი მხოლოდ სიცოცხლის ხეშია ღვთის სიტყვის თანახმად. სხვა საყვარლები და კერპები მიტოვებულ უნდა იქნას, ისევე როგორც ხელის თხოვის და თანხმობის შემთხვევაში, ქალი სხვა კაცებთან ურთიერთობას უნდა დაემშვიდობოს. იესო უფლად უნდა მიიღოთ და არა მხოლოდ მხსნელად. ეს არის სიცოცხლის ხე!

ახლა განვიხილოთ, რა გააკეთა იესომ მდიდარი მთავრის წასვლის შემდეგ:

„იესომ მიმოიხედა და უთხრა თავის მოწაფეებს: „რა ძნელი იქნება მდიდრებისთვის ღვთის სამეფოში შეს-

ვლა!“ მოწაფეები განაცვიფრა მისმა სიტყვებმა. იესომ კი კვლავ მიუგო მათ და უთხრა: „შვილებო, რა ძნელი იქნება ღვთის სამეფოში შესვლა მათთვის, ვინც სიმდიდრეზეა დანდობილი!“ (მარკ. 10:23-24)

ერთხელ ამ მონაკვეთს ვარჩევდი და სულიწმიდამ ერთ მნიშვნელოვან მომენტს მიაპყრო ჩემი ყურადღება. წარმოვიდგინე, როგორ მიდის დამწუხრებული და თავჩაქინდრული ახალგაზრდა და თავის ერში პატივდებული მთავარი. მივხვდი, რომ უფალი არ გაეკიდებოდა, მხრებში ხელს არ ჩაავლებდა სათქმელად: „ერთი წუთით დამიცადე, მეგობარო! მინდა, სოლომონის სიბრძნე შეგახსენო! მან იგ. 19:17-ში დაწერა: „ღატაკის მწყალობელი უფალს სესხს აძლევს და ის გადაუხდის მას მისი კეთილი საქმისთვის“. მე გითხარი, რომ უნდა გაგეყიდა ყველაფერი, რაც გაქვს და ღარიბებისთვის დაგერიგებინა, მაგრამ გახსოვდეს, იგავების თანახმად, უფალი გადაგიხდის მათი დახმარებისთვის. არა მარტო აგინაზღაურებს, არამედ იმაზე ასჯერ მეტს მოგცემს, რაც გაეცი!“

ეს ახალგაზრდა მთავარი, სავარაუდოდ, კარგი ბიზნესმენი იყო. ამრიგად, იესოს მისი შესაძლო წარმატების შესახებ რომ ეთქვა, იგი ამ უპირატესობით დაინტერესდებოდა და იტყოდა: „მართლა?“

ამ შემთხვევაში იესოს შეეძლო ეთქვა: „დიახ! ახლა ხომ ხედავ, რომ შენთვის უფრო დიდი კურთხევა მინდოდა, ფაქტობრივად, ფინანსების მთელი მოსავალი! შენ არა თუ ამ საზოგადოების, არამედ ერის უმდიდრესი კაცი გახდები!“ ამ მომენტისთვის კაცი სიხარულით გაჰყვებოდა იესოს.

მართლაც ასე გვეუბნება ღვთის სიტყვა, რომ გაცემული მოგვეცემა, ისევე როგორც მიწათმოქმედს უბრუნდება დათესილზე გაცილებით დიდი მოსავალი. ეს ჭეშმარიტება მთავრის წასვლისთანავე დამტკიცდა, რადგან გაოგნებულმა და კითხვებით სავსე პეტრემ ძლივს ამოთქვა:

„დაუწყო პეტრემ ლაპარაკი: „აჰა, ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და შენ გამოგყევით!“ უთხრა იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არავინ არის, რომ ჩემი გულისთვის და სახარების გულისთვის მიატოვოს სახლი, ან ძმები, ან დები, ან მამა, ან დედა, ან ცოლი, ან შვილები, ან ყანა და ასწილად არ მიიღოს ახლა, ამჟამად: სახლები, ძმები, დები, მშობლები, შვილები და ყანები ამ დევნასთან ერთად, ხოლო მომავალ საუკუნეში – საუკუნო სიცოცხლე!“ (მარკ. 10:28-30)

იესომ გადახედა მათ, რომლებმაც უკვე მიატოვეს ყველაფერი, რომ მას გაჰყოლოდნენ და თქვა: „თქვენ ასჯერ მეტს მიიღებთ, ვიდრე ამ ცხოვრებაში დათმეთ – სახლებს და მიწებს დევნასთან ერთად, ხოლო მომავალში – საუკუნო სიცოცხლეს!“

რატომ არ თქვა იესომ ეს სიტყვები ან სოლომონის იგავი მაშინ, როცა მდიდარი ჭაბუკი გულით ევედრებოდა და საუკუნო სიცოცხლეს ითხოვდა? რატომ ჩანს ისე, თითქოს ჭაბუკს ეს ინფორმაცია დაუმალა? პასუხი მარტივია: იესოს არასოდეს გამოუყენებია: ცათა სამეფოს კურთხევა, შეღავათები, საზღაური ან რაიმე სარგებელი ხალხის მისაზიდად, რომ მას გაჰყოლოდნენ. როცა მან პეტრეს, იაკობს, იოანეს და სხვებს მოუწოდა, უბრალოდ უთხრა, „გამომყევი!“ ასე არ უთქვამს: „გამომყევი და მოგცემ კურთხევას, მშვიდობას, წარმატებას, უკეთეს ცხოვრებას და კიდევ უფრო მეტს!“ იქ არ ყოფილა: „გამომყევი იმისთვის, რისი გაკეთებაც შენთვის შემიძლია!“ ეს იყო: „გამომყევი იმისთვის, ვინც ვარ! მე ვარ იესო ქრისტე, შენი შემოქმედი, უფალი და სამყაროს მეფე!“

პეტრეს, იაკობის, იოანეს და ანდრიას მოწაფეობის მოტივი ფული რომ ყოფილიყო, ისინი არასოდეს მიატოვებდნენ თავიანთ საქმიანობას. ის დღე, როცა მეთევზეობა მიატოვეს, მათი კარიერის ყველაზე მომგებიანი დღე იყო. მადლობა იესოს, რომ მათ თევზით გადავსებული ორი ნავი მიიღეს! მაშინ მოწაფეებს წარმოდგენა არ ჰქონდათ „ასმაგად მეტის“ აღთქმაზე. ამ დღეს პირველად გაიგეს მის შესახებ. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იესოს სიცოცხლის სიტყვები ჰქონდა და ამის გამო ყველაფერი მიატოვეს. ფული არ იყო გადამწყვეტი ფაქტორი.

ღმერთი არასოდეს მოითხოვდა სრულყოფილებას ადამიანისგან იმისთვის, რომ იესოს გაჰყოლოდა. მას პიროვნების მხრიდან ნების გამოხატვა და ღვთის მორჩილებისთვის თავის მიძღვნა აინტერესებდა. შესაძლოა, ამ ახალგაზრდა მთავარს პეტრეზე დახვეწილი ხასიათის თვისებები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, პეტრე მზად იყო, გაეკეთებინა ნებისმიერ რამ, რასაც იესო მოსთხოვდა. იესო ახლაც ამას გულისხმობს, როცა მოგვიწოდებს: მივატოვოთ ყველაფერი და მას გავყვეთ!

ჩვენი გეგმა მისი გეგმის წინაალმდეგ

როცა იესო უფლად მივიღე 1979 წელს, ღმერთმა მაშინვე მსახურებაზე გამიმახვილა ყურადღება. მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი პერდიუს უნივერსიტეტში, როცა დეკანის სიაში, უნივერსიტეტის ჩოგბურთის გუნდში გახლდით

და სამომავლოდ ჰარვარდში სწავლას ვგეგმავდი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. ჩემი პირადი გეგმები მაგარ გოგოზე დაქორწინებას და საბოლოოდ, კორპორაციული გაყიდვების ან მენეჯმენტის სფეროში დამკვიდრებას უკავშირდებოდა. მსახურებაში არაფერი მესაქმებოდა. ყველა ის ღვთისმსახური, რომელიც აქამდე მენახა, ჩემი აზრით, სხვა არაფრისთვის იყო გამოსადეგი ცხოვრებაში. ასეთები სუნიან სახლებში ცხოვრობდნენ და უცნაური შვილები ჰყავდათ. თავად მე 3000-კაციან ქალაქში გავიზარდე და ასეთი იყო ჩემი შეზღუდული წარმოდგენა მსახურებაზე. არასოდეს შევხვედრივარ და მისაუბრია კარგ მსახურთან. ვიცი, რომ ასეთი ბევრია.

ერთხელაც სულიწმიდა ჩემზე გადმოვიდა საეკლესიო მსახურების დროს და მითხრა: „ჯონ, მე შენ მსახურებისთვის მოგიწოდე! რას აპირებ?“

ასე გავიფიქრე: *„ჩემი ოჯახი ჩემზე უარს იტყვის, რადგან ისინი კათოლიკეები არიან. ისე დავასრულებ ცხოვრებას, როგორც ყველა სხვა მსახური – სიღარიბესა და სიბინძურეში.* და მაინც, ღვთისადმი მორჩილებამ იმძლავრა ჩემში, თავი დავხარე და ვილოცე: „დიახ, უფალო! დაგემორჩილები და ვიქადაგებ, რადაც არ უნდა დამიჯდეს! წავალ, სადაც გამგზავნი და ვიტყვი იმას, რასაც ბაგეში ჩამიდებ!“

ამ გადაწყვეტილების რეალური განხორციელება სრულიად არ ჰგავდა იმას, რაც მაშინ წარმომედგინა, მაგრამ ღმერთს ჩემთვის არაფერი უჩვენებია. მას სურდა, სცოდნოდა, მზად ვიყავი თუ არა ყველაფრის მისატოვებლად.

თუ შეისწავლი პეტრეს, პავლეს და სხვა მოწაფეთა მსახურებას საქმეთა წიგნიდან, დაინახავთ, რომ მათი ქადაგება ზუსტად შეესაბამებოდა იმას, რაც იესომ მდიდარ მთავარს უთხრა. დღეს ჩვენ გადავუხვიეთ ამ გზიდან. სწორედ ეს არის ფესვი, რის გამოც ამერიკამ სულიერ სფეროში კრახი განიცადა. სწორედ ეს არის მიზეზი ბევრის შეხედულებისა, რომ ღმერთს ეკუთვნის, როცა სინამდვილეში ასე არ არის. ისევ უნდა დავუბრუნდეთ იესოს უფლობას, რომ სწორი საფუძველი გვქონდეს. ჩვენ ისევ არასწორი ხის ნაყოფს ვჭამთ. ის, რაც *კარგის* სახით მოდის, საუკეთესოსგან გვძარცვავს.

ღვთის მრავალ დიდებულ კურთხევას გამოვაკლდით იმის გამო, რომ წმ. წერილის თვალსაზრისით გამართული ქადაგება საზოგადოებაში მოთხოვნადი სიტყვით ჩავანაცვლეთ. მოდი,

პატიოსნად ვაღიაროთ, რომ ის ახალგაზრდა და მდიდარი მთავარი ჩვენს თანამედროვე ეკლესიებში „გადარჩენას“ აუცილებლად მიიღებდა, არცთუ დიდი ხნის შემდეგ საპატიო წევრად მიიჩნევდნენ და საეკლესიო საბჭოში ადგილსაც შესთავაზებდნენ.

დღეს მეტისმეტად ხშირად სთავაზობს ეკლესია საზოგადოებას გადარჩენის კარგ სიტყვას ქრისტეს უფლობის ხაზგასმის გარეშე. მათ გამო, რომლებიც ჯერ არ მოუტყუებიათ, ვინც სხვა შემთხვევაში ერთ დღესაც გაიგონებს საბედისწერო სიტყვას „გამშორდით“, ეკლესიის სიძლიერის და ღვთის კურთხევებში ჭეშმარიტად დარჩენილი ხალხის გულისთვის მივატოვოთ ჩვენი არაადეკვატური, ე. წ. „კარგი“ სახარება და დავუბრუნდეთ სიცოცხლის ხეს – გადარჩენის ბიბლიურ სიტყვას!

6

ჩვენი შინაგანი ჯი-პი-ესი

„მზერა მიპყობილი მაქვს მიზნისკენ –
წინსვლისთვის, საითაც ღმერთს მივყავარ ...“.
ფილ. 3:14 (The Message)

„ღვთის შეყვარება ყველაზე დიდი რომანის
დასაწყისია; მისი ძიება თავგადასავალია, ხოლო
მისი პოვნა ადამიანის უდიდესი მიღწევაა“.
ნეტარი ავგუსტინე

ჩვენი საძირკველი იესო ქრისტეს უფლობაა. ჩვენი ცხოვრების ყოველი ასპექტი ამ მყარ სადგომზე უნდა დაშენდეს. თუ ასე მოხდება, გაძლებს, თუ არა – საბოლოოდ, დაიშლება და გაქრება.

სახლის შენების მომდევნო ეტაპი კარკასის აგება გახლავთ და ამ ფაზის ყოველი მხარე საძირკველს ეყრდნობა. შენების პროცესის ეს ნაწილი ყველაფერს კრავს. იატაკს, კედლებს, ჭერს, სადენებს, მორთულობას, ფანჯრებს, სველ წერტილებს და დანარჩენ მასალას ძლიერი კედლები სჭირდება, რომ დიდხანს გაძლოს. მყარი საძირკვლისა და ძლიერი კარკასის გარეშე ვერ ავაგებთ გამძლე, წარმატებულ სახლს – *ჩვენს ცხოვრებას*.

თქვენი შინაგანი ჯი-პი-ესი

რწმენის ამაღელვებელი ცხოვრების მეორე ასპექტის წარმოსადგენად მშენებლობის ანალოგიიდან სხვა ტიპის თვალსაჩინოებაზე გადავალთ.

დავიწყოთ შეკითხვით: რა არის თქვენი საბოლოო მიზანი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელი სურვილი გადაწონის ყველა დანარჩენს? შეგიძლიათ იყოთ გულწრფელი? თუ ასეა, საბოლოოდ, არ აღმოჩნდებით ისეთ ადგილას, სადაც არ გინდათ, რომ მოხვდეთ.

ამას ასე შევხედოთ. თუ თქვენი სმარტფონის ჯიპიესი აეროპორტის მიმართულებაზეა დაყენებული, მაგრამ სინამდვილეში სავაჭრო მოლში წასვლა გინდათ, იმედგაცრუება დაგეუფლებათ, როცა ჯიპიესი გამოგიცხადებთ: „უახლოვდებით დანიშნულების ადგილს!“ თქვენ აეროპორტის ტერმინალთან აღმოჩნდებით და მის მოციმციმე შუქებს დაინახავთ მოლის ნაცვლად.

თვალს ვერ დაუჯერებთ და პროტესტს გამოხატავთ: „რა მოხდა? აქ როგორ აღმოვჩნდი?“ ეს სრულიად მარტივია. ჯიპიესმა იქით წაგიყვანათ, საითაც პროგრამამ უკარნახა.

პავლე მოციქულმა თავისი „ჯიპიესის“ პროგრამირებაზე ასე განაცხადა: „ვილტვი მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების პატივისკენ“ (ფილ. 3:14). მან იცოდა, საით მიდიოდა და ჯიპიესიც სათანადოდ მომართა. იგი წინააღმდეგობის, დაბრკოლებებისა და ძლიერი დაპირისპირების მიუხედავად გადიოდა ყველაფერს და გზას არ აცდენილა სხვა დანიშნულების პუნქტში აღმოჩენით.

რა მიზანზეა მომართული თქვენი შინაგანი ჯიპიესი? ეს ბევრი მეგობრის ყოლაა? პოპულარობაა? ეს ცხოვრების გარკვეული სტილით სიამოვნების მიღებაა? საუკეთესოთა რიგებში ჩადგომაა თქვენს სამუშაო ასპარეზზე? თუ ჯანმრთელობა და ბედნიერებაა?

შესაძლოა თქვათ: „ვისურვებდი, ეს ყველაფერი მქონოდა“. ბევრ ჩვენგანს სურს ზემოჩამოთვლილი საგნები, მაგრამ რომელი მათგანი წონის ყველა დანარჩენს? მნიშვნელოვანია ამ განსხვავების დანახვა, რადგან საბოლოო ჯამში, ეს განსაზღვრავს თქვენს ხვედრს მარადისობაში. სხვადასხვა მიზნებისკენ მიმავალი გზა, შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე ერთი ჩანდეს, მაგრამ უცილობლად დადგება მომენტი, როცა იგი გაიყოფა და ერთ-ერთის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება მოგიწევთ.

ამრიგად, რა არის თქვენი საზენიტო დანიშნულება? თუ თქვენი მიზანია ზნეობრივი სიწმიდის და ეთიკის დაცვა, კარგ პიროვნებად ჩამოყალიბება, ჯანმრთელობისა და ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნება, სავარაუდოდ, ისევე დაასრულებთ, როგორც მდიდარი ახალგაზრდა მთავარი: ეს

ყველაფერი გექნებათ, მაგრამ დაგაკლდებათ ყველაზე მნიშვნელოვანი.

თუ თქვენი საბოლოო მიზანი ბევრი მეგობრის ყოლაა, ალბათ, მოსეს ძმის, აარონის მდგომარეობაში აღმოჩნდებით: მთის ძირას აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმული, ყურადღების ცენტრში მყოფი და თემის დახმარების სურვილით ანთებული, მაგრამ ღვთის გულისგან დაშორებული. თქვენ მიერ ჩამოსხმული ოქროს ხბო მეგობრებსა და ნაცნობებს დააკმაყოფილებს, მაგრამ ბოლოს თქვენდა სამწუხაროდ აღმოაჩენთ, რომ ამან თქვენ და სხვებსაც საუკეთესო მოგპარათ.

თუ გსურთ გამოჩენილი ორატორი, მქადაგებელი, ხელოვანი ან წინამძღოლი იყოთ ან უბრალოდ, ტვიტერსა და ფეისბუქზე გარკვეული რაოდენობის მიმდევარი შეიძინოთ, ქრისტიანობაშიც მოახერხებთ ასეთი სტატუსის მოპოვებას, მაგრამ ისრაელის მეფე ყუზიას მსგავსად დაასრულებთ, რომელიც ერში ცნობილი პიროვნება გახლდათ, თუმცა სრულ იზოლაციაში გარდაიცვალა (იხ. 2 ნეშტთ. 26).

თქვენი შინაგანი ჯიპიესის დაყენება გაცილებით კეთილშობილური და საქველმოქმედო მიზნების მისაღწევადაც შეიძლება. იყავით გულუხვი ღარიბებისა და გაჭირვებულების მიმართ. ეს საქმიანობა დღეს ბევრისთვის მიმზიდველია და უნდა იყოს კიდეც! ადამიანები ინთებიან, როცა Messenger International-ის თანამშრომელთა ძალისხმევის შესახებ ანგარიშს წარვადგენთ, თუ როგორ ეხმარებიან: ღარიბებს, გაჭირვებულებსა და სოციალური უსამართლობის მსხვერპლებს. და მაინც, პავლე კორინთელთა ეკლესიას წერს, რომ შესაძლებელია ყველაფრის გაცემა ისე, რომ არავითარი სარგებელი არ გქონდეთ (1 კორ. 13:3).

შესაძლოა, შეეცადოთ, რომ საზოგადოების ყველაზე გულუხვი შემწირველი გახდეთ – საპატიო მიზანია. და მაინც, იყო ერთი კაცი, სახელად ანანია. ერთხელაც მან და მისმა ცოლმა საფირამ, იერუსალიმის მტკიცე ეკლესიის წევრებმა, ძვირად გაყიდული მიწის ნაკვეთიდან აღებული თანხის მეტი წილი ეკლესიას შეწირეს. მათ ღვთის სახლის მშენებლობაში თავიანთი ერთგულების დემონსტრირება მოისურვეს. ისინი დიდ პატივს მოელოდნენ, სანაცვლოდ კი სასჯელი მიიღეს (იხ. საქმ. 5). მათი დასასრული ტრაგიკულია.

იყო დრო, როცა საკუთარი თავი კეთილშობილ და ღვთისმოსავ ადამიანად მიმაჩნდა. ყოველდღე, 18 თვის განმავლობაში დილის 5 საათზე ვდგებოდი და 7 საათამდე ვლოცულობდი. ამ

დროის მეტი ნაწილი ღვთისადმი ღაღადს ეთმობოდა: „უფალო, გამომიყენე მრავალი ადამიანის მოსაყვანად მათი სულების გადასარჩენად, რომ ძალმოსილებით ვილაპარაკო ღვთის სიტყვა და ერები მოვიყვანო შენს სამეფოში სნეულთა განსაკურნავად და ადამიანთა გასათავისუფლებლად!“ გამუდმებით და დაჟინებით ვითხოვდი ამას ყოველ დილით.

თვეები გავიდა და ერთ დღესაც ღმერთი ჩემს გულს დაელაპარაკა: „შვილო, შენი ლოცვები მიზანს აცდენილია!“

გავშეშდი! რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე უკეთესი, კეთილშობილური და სასიამოვნო ჩემი შემოქმედისთვის, ვიდრე ეს სათხოვრები? ვიფიქრე, იქნებ შემეშალა და გულის ხმა არასწორად გავიგე-მეთქი. ნუთუ შესაძლებელი იყო, მიზანს აცდენოდა ყველა ეს მშვენიერი სულიერი სათხოვარი?

მყისვე ისევ გავიგონე ღვთის სულის ხმა: „იუდამ ყველაფერი მიატოვა და მე გამომყვა. ის ერთ-ერთი თორმეტთაგანი იყო. იგი ღვთის სამეფოზე ქადაგებდა, ავადმყოფებს კურნავდა, ღარიბებს ეხმარებოდა და ადამიანებს ათავისუფლებდა. იუდა ჯოჯოხეთშია“.

ელდანაცემს შემაჟრჟოლა და ენა ჩამივარდა. გავაცნობიერე, რომ იუდამ ყველაფერი მოიპოვა, რასაც მე ვითხოვდი, მაგრამ სამუდამოდ დაიღუპა. შინაგან ჯიპიესს მეტი ყურადღებით რომ მოჰკიდებოდა, მისი აღსასრული ასე კატასტროფული არ იქნებოდა.

მივხვდი, რომ გაუცნობიერებლად აღმოვჩნდი იუდასნაირთა კატეგორიაში. სრულიად გულწრფელად ვიკითხე: „აბა, რა უნდა იყოს ჩემი მიზანი?“

მეორე მდიდარი ახალგაზრდა მთავარი

ამჯერად ღმერთმა სხვა მდიდარი და ახალგაზრდა მთავარი მაჩვენა – არა ის, ვინც იესოსკენ გაიქცა, არამედ ეგვიპტის, იმ დროს დედამიწაზე ყველაზე ძალმოსილი სახელმწიფოს პრინცი. მას მოსე ერქვა.

წარმოიდგინეთ მოსეს ცხოვრება. იგი ისე გაიზარდა, რომ არც ფული დაჰკლებია და არც საჭმელი, ტანსაცმელი, მატერიალური ქონება ან განათლება. მას შესაშური მდგომარეობა ეკავა, რადგან ყველაფერი საუკეთესო ჰქონდა. მსოფლიოში არავინ ფლობდა რაიმე ისეთს, რაც მოსესთვის სანატრელი იქნებოდა. მას ყველაზე თანამედროვე დიზაინერთა სამოსი ეცვა, ნებისმიერ დროს შეეძლო რაიმეს შეძენა თავისი

განუსაზღვრელი ბიუჯეტით და ალბათ, იმ დროისთვის ცნობილი ყველა „სათამაშო“ მის განკარგულებაში იყო. მას ჰქონდა ეტლი, რომელიც დღეს მასერატის, ლამბორჯინის ან ფერარის გაუტოლდებოდა თავისი ჰარლეი-დევიდსონის ყველა მოდელითურთ. თუ მას ტარების სურვილი არ ექნებოდა, საკუთარი ლიმუზინის მძღოლი მუდმივ მზადყოფნაში იყო.

მოსეს არასოდეს დასჭირვებია ტუალეტისა და სააბაზანოს ხეხვა, გაზონების კრეჭა, მანქანის რეცხვა, ოთახის დალაგება, ჭურჭლის და სარეცხის რეცხვა ან სხვა საოჯახო საქმის კეთება, რადგან ამისთვის მოსამსახურეები და მხლებლები საკმარისად ჰყავდა.

მას სასახლის საუკეთესო მზარეულები ემსახურებოდნენ, რომლებიც სასწრაფოდ გაუმზადებდნენ იმას, რასაც მისი უმაღლესობა ინებებდა. ქვეყნის უგემრიელესი საკვები მის საამებლად კეთდებოდა.

სამუშაოც სახალისო ჰქონდა მოსეს. თუ მოისურვებდა, შეეძლო არმიას გაძღოლოდა, შენობები აეგო ან დიდებული ვახშამი დაეგეგმა. თუ თამაში მოუნდებოდა, დღისით ასპარეზობებში მიიღებდა მონაწილეობას, ხოლო საღამოს – სხვადასხვა გასართობში. ისე შეეძლო დღის გატარება, როგორც მოისურვებდა.

ის რჩეული მარტოხელა კაცი იყო. მას შეეძლო იმდენ გოგოს შეხვედროდა ან ცოლად მოეყვანა, რამდენსაც ინებებდა და არა მარტო ეგვიპტიდან. ფაქტობრივად, მოსე თუ მოისურვებდა, ცოლებისა და ხარჭების მთელ ჰარემს იყოლიებდა.

გულუხვობის მოძალების შემთხვევაში მას ძვირფასი საჩუქრების გაცემა შეეძლო. მოსეს არ გაუჭირდებოდა საიდუმლო სამსახურის აგენტების, პოლიციისა და მეომრების მობილიზება თავისი მეგობრების დასაცავად. მას შეეძლო ღარიბების დახმარება ან მათი უგულებელყოფა. მას შეეძლო ქვეყნის გართობის სფეროზე ზეგავლენის მოხდენა მის მოსახიბლად ყველაზე დახვეწილი შემსრულებლებისა და მსახიობების მოწვევით. მისთვის არაფერი იყო მიუწვდომელი სამეფო ტახტის გარდა. ბევრისთვის მისი მდგომარეობა სანატრელ უტოპიას ჰგავდა, მაგრამ ის მაინც არ იყო კმაყოფილი. ბიბლიაში ვკითხულობთ:

> „რწმენით თქვა უარი მოსემ, როცა წამოიზარდა, ფარაონის ასულის ძეობაზე. და ღვთის ხალხთან ერთად ტანჯვა ამჯობინა, დროებით განცხრომას ცოდვაში“. (ებრ. 11:24-25)

მოსემ უარი თქვა ყველაფერზე, რისი შემოთავაზებაც იმ დროის ყველაზე მდიდარ ერს შეეძლო. რატომ მიატოვა თავისი ცხოვრების სტილი? ნუთუ მას არ შეეძლო კმაყოფილება ეგრძნო ღვთისმსახურებით ფარაონის სასახლეში ცხოვრებისას? არა! მოსეს შინაგანი ჯიპიესი კარნახობდა, რომ გულის წრფელი სურვილი მიუღწევადი იყო მის ახლანდელ საცხოვრებელ ადგილას, რადგან ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი წერს:

„ქრისტესათვის ლანძღვა მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, ვინაიდან საზღაურს უყურებდა“. (ებრ. 11:26)

რა საზღაურს? როცა მსმენელებს ამ კითხვას ვუსვამდი, უმეტესობა მპასუხობდა, რომ ეს აღთქმული მიწა იყო. თუ ასეა, მეორე კითხვა წამოვჭრათ: რა ჰქონდა რძითა და თაფლით მდინარ ქვეყანას ისეთი, რაც არ ჰქონდა ეგვიპტის ნაყოფიერ მიწას? იმ ეპოქაში ეგვიპტე ყველაზე მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით და განვითარებული მიწათმოქმედებით. ნუთუ აღთქმული მიწა მას სჯობდა? შეეძლო თუ არა მოსეს იმაზე მშვენიერი სახლის აგება აღთქმულ მიწაზე, ვიდრე მისი ახლანდელი სასახლე იყო? ვფიქრობ, თამამად შეგვიძლია „არა!“ ვუპასუხოთ ამ კითხვებს.

მაშ, რა იყო ის საზღაური, რომელსაც მოსე ელოდებოდა? მან სასახლის დატოვების დღესაც კი არ იცოდა ეს, მაგრამ დარწმუნებული იყო რაღაც უფრო დიდის არსებობაში. იგი მისკენ მიმავალ გზაზე იდგა და მოგვიანებით აღმოაჩინა, რისკენ მიილტვოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ამას ასე შევხედოთ! თქვენ გიყვართ თბილი ამინდი და ზღვის სანაპირო და ვერ იტანთ თოვლსა და სიცივეს. შუა ზამთარში მოგიხდათ ვერმონტში ცხოვრება. აქ -20° -ია და გენატრებათ საყვარელი ამინდი. თქვენ იწყებთ მანქანით სვლას სამხრეთით, სითბოს მიმართულებით 95-ე შტატებსშორისი მაგისტრალის მეშვეობით. ჯერ კიდევ არ იცით, ზუსტად სად მიდიხართ, მაგრამ იმაში დარწმუნებული ხართ, რომ თოვლში გაყინვას ნამდვილად სჯობს. შუა მგზავრობისას, ბენზინგასამართ სადგურზე შენიშნეთ ფლაერი პალმ ბიჩის (ფლორიდის შტატი) სურათით. გაიღიმეთ და ჩაილაპარაკეთ: „ეს სწორედ ის არის!“ მაშინვე ჩააპროგრამეთ თქვენს ჯიპიესში ფლაერზე მითითებული მისამართი. ახლა უკვე მიემართებით თქვენი კონკრეტული ოცნების სანაპიროსკენ.

რაღაც ამის მსგავსი შეემთხვა მოსესაც. მან სასახლე ისე დატოვა, რომ დარწმუნებული იყო რაღაც უკეთესის არსებობაში, თუმცა საზღაური ვერ იპოვა, სანამ 40 წლის შემდეგ ღმერთს არ შეხვდა უდაბნოში და ალმოდებულ ბუჩქთან არ განიცადა მისი თანდასწრება. ამ შემთხვევის შემდეგ მოსეს შინაგანი ჯიპიესი მყარად დარეგულირდა. ღვთის თანდასწრება იყო მისი საზღაური, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ისრაელი ეგვიპტიდან უნდა გამოეყვანა.

ღვთის შეთავაზების უარყოფა

მოსესთვის ეს დრო რთული და დაძაბულობით სავსე იყო. უნაყოფო უდაბნომ, რომელიც მან და მისმა ხალხმა გადალახეს, უამრავი სირთულე წარმოშვა მათ წინაშე, რომლის დაძლევა მხოლოდ ღვთიური ჩარევით შეიძლებოდა. ზოგჯერ ისე ჩანდა, რომ ესეც იგვიანებდა. მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა ის ფაქტი, რომ ებრაელი ერი მთელი მისი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ნაკლებად აფასებდა საკუთარ წინამძღოლს. ამ არასტაბილურ პერიოდში ღმერთი მოსეს დაელაპარაკა:

> „უთხრა უფალმა მოსეს: „აიყარეთ ახლა აქედან და წადით, შენ და ხალხი, ეგვიპტის მიწიდან რომ გამოიყვანე, ქვეყანაში, რომელზეც შევფიცე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, ასე: 'შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი'! წაგიმძღვარებ წინ ანგელოზს და განვდევნი ქანაანელებს, ამორელებს, ხეთელებს, ფერიზელებს, ხიველებს და იებუსელებს. ქვეყნისკენ, სადაც მოედინება რძე და თაფლი; თვითონ მე კი აღარ ვივლი შენ შორის! ...“. (გამ. 33:1-3)

იფიქრეთ იმ გარემოებებზე, რომელთაც მოსე და ებრაელი ერი ყოველდღიურად აწყდებოდნენ. მათ არ ჰქონდათ ლანდშაფტების მრავალფეროვნება: არავითარი ლამაზი მინდვრები, ნაკადულები, ტყეები, ხეხილი, ანკარა წყლის წყაროები, ნაყოფიერი ნიადაგი ან საძოვრები პირუტყვისთვის. კარგა დიდი დრო გავიდა, სანამ ისინი რაიმე ბაზარს, მაღაზიას ან ახალ ტანსაცმელს ეღირსებოდნენ. მათი კვების რაციონი უცვლელი გახლდათ: უცნაური პური, რომელიც მიწაზე ეფინებოდა ექვსი დღის განმავლობაში და ზოგჯერ მწყერი ხორცის სახით. შედარებისთვის შეეცადეთ, რამდენიმე თვის განმავლობაში მხოლოდ პურით იკვებოთ. მაშინვე მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

ცხოვრება რთული იყო. ეგვიპტეში მონობა საშინელი გახლდათ, მაგრამ უკეთესი არც უდაბნოში ცხოვრება ჩანდა. და მაინც, ხალხს იმედი ასულდგმულებდა: მათი საკუთარი მიწა, აღთქმული ქვეყანა – ქანაანი. ღმერთმა წლების წინ უთხრა მათ, რომ ეს მდიდარი და ნაყოფიერი მიწა იყო, სადაც სიუხვე მოედინებოდა. აქამდე მათ მხოლოდ ის იცოდნენ, როგორ ემუშავათ მუხლჩაუხრელად, რომ მთელი ძალისხმევა ეგვიპტელთა ქალაქების შენებისთვის მოეხმარებინათ და არასასურველი შთამომავლობა დაეტოვებინათ. მალე მათ საკუთარი ლამაზი სახლების, დაბებისა და ქალაქების შენების შესაძლებლობა მიეცემოდათ. ეს იქნებოდა უნიკალური ახალი კულტურა თავისი ღირსშესანიშნავი მემკვიდრეობით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ახლა ღმერთმა მათ წინამძღოლს, მოსეს ასწავლა, როგორ მიეყვანა ისინი აღთქმულ მიწამდე. მან გამოაცხადა, რომ დადგებოდნენ გარკვეული არჩევანის წინაშე, ძლიერი ანგელოზი წაუძღვებოდა და დაიცავდა მათ. ეს მეომარი ანგელოზი დაამარცხებდა მათ ნებისმიერ მტერს. მიუხედავად ამისა, იყო ერთი პრობლემა: თავად ღმერთი არ წამოვიდოდა.

წარმოგიდგენიათ, როგორია ამ სიტყვების მოსმენა? ახლა თვითონ ღმერთი გთავაზობთ იმას, რასაც თქვენ და თქვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ელოდით. უსამშობლოდ, ტანჯვაში, თავის გატანასა და ნაკლოვანებებში ცხოვრების ოთხას ოცდაათი წელი ამ ახალი შემოთავაზებით სრულდება. რასაკვირველია, მოსე მიიღებს მას, მთისკენ გაეშურება და მთელს ერს გამოუცხადებს დიდებულ ახალ ამბავს. ბოლოს და ბოლოს, ადამიანები მას დიდ წინამძღოლად აღიარებენ და მისი შეფასება უჩვეულოდ მაღალ მაჩვენებელს მიაღწევს. ყველა იზეიმებს და დაიწყებს მოგზაურობას აღთქმული მიწისკენ.

ყველაფერი სწორედ ასე განვითარდებოდა, თუ დასახული მიზანი „მისაღები“ სიკეთე იქნებოდა. თუმცა მოუსმინეთ მოსეს პასუხს ღვთის შემოთავაზებაზე:

> „თუ თავად შენ არ წაგვიძღვები, *აქედან* ნუ გაგვიყვან!“. (გამ. 33:15)

ისე, შეხსენებისთვის, სად იყო *აქედან*? ეს იყო: უქონლობის, გაჭირვების, დაძაბულობისა და სირთულეების ადგილი – *უდაბნო*. მოსემ უფალს ძალზე რთული და რიგითი ადამიანისთვის წარმოუდგენელი პასუხი გასცა. არსებითად, მან

განაცხადა: „თუ შენს თანდასწრებასა და შენს კურთხევებს შორის არჩევანის გაკეთება მომიწევს, შენს თანდასწრებას ვარჩევ, თუნდაც ეს გაჭირვებისა და სიძნელეების ადგილი იყოს, ვიდრე შენს კურთხევას დიდებულ გარემოში“.

ხომ არ ბოდავდა მოსე? ნუთუ უდაბნოს მზემ განსჯის უნარი დააკარგვინა? არა! მისი შინაგანი ჯიპიესი ღვთისგან საუკეთესოზე იყო დაპროგრამებული. იგი მას საუკეთესო არჩევანის გაკეთებისკენ მიმართავდა მაშინაც კი, როცა თავად ღმერთი *კარგ* რჩევას სთავაზობდა. მოსე აუცილებლად მიიღებდა მას, გონების და მოუხერხებელი გარემოებების კარნახით რომ ემოქმედა.

მოსეს მიზანი, მისი საზღაური ღვთის ძალზე ახლოს გაცნობა იყო. ვერასოდეს შეძლებთ ვინმეს ნამდვილად გაცნობას, თუ მასთან ერთად დროს არ გაატარებთ. პიროვნების შესახებ გარკვეული ინფორმაციის ფლობა მასთან ერთად ყოფნის გარეშეც შეიძლება, მაგრამ ახლოს ვერასოდეს გაიცნობთ. ეს იყო მოსეს უმაღლესი ჯილდო. მისთვის არ არსებობდა სხვა, უფრო ძვირფასი რამ და ამ გზიდან ვერაფერი გადაახვევინებდა, თუნდაც ეს თავად ღვთის კარგი შემოთავაზება ყოფილიყო. წარმოგიდგენიათ, რა სიამოვნებას მიანიჭებდა ღმერთს მოსეს პასუხი?

შესაძლოა კითხვა დასვათ: „რატომ უნდა მოსწონებოდა შემოთავაზების უგულებელყოფა?“ ამაზე ჩემი ცხოვრებიდან მოყვანილი თვალსაჩინოებით გიპასუხებთ.

მე და ლიზა ვმოგზაურობდით და რამდენიმე თავისუფალი დღე გვქონდა ერთად გასატარებლად. მახლობლად საოცრად კარგი გოლფის მოედანი მეგულებოდა. გოლფი არაერთხელ მითამაშია და კარგი მოედნებიც მინახავს. რამდენიმე მეგობარმა გოლფის სათამაშოდ დამპატიჟა, მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმე დღე მქონდა ლიზასთან დროის გასატარებლად.

ჩემმა საოცარმა ცოლმა გულწრფელად განაცხადა: „ჯონ, წადი სათამაშოდ!“

მე ვუპასუხე: „არა, ძვირფასო, მირჩევნია შენთან ერთად ვიყო!“

ეს რამდენიმე დღე შესანიშნავად დასრულდა. ამის მიზეზი ლიზას კმაყოფილება გახლდათ, რომ გოლფის თამაშს მასთან დარჩენა ვამჯობინე. მან მშვენივრად იცოდა, როგორ მიყვარს თამაში და მეგობრებთან დროის გატარება. ლიზამ წასვლა გულწრფელად შემომთავაზა და აზრსაც არ შეიცვლიდა, ასე რომ მოვქცეულიყავი. თუმცა გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ გოლფის თამაშს მასთან დარჩენას ვამჯობინებდი.

ანალოგიური პრინციპი გამოვლინდა მოსეს შემთხვევაშიც. მან ღვთისგან შეთავაზება მიიღო, მხოლოდ იგი უკან დახევას აპირებდა. ანგელოზს გაგზავნიდა მოსესთან ერთად, რომელიც მას და მის ერს უსაფრთხოდ მიიყვანდა აღთქმულ მიწაზე. თუმცა ეს მოგზაურობა ღვთის თანდასწრების გარეშე ჩაივლიდა. დარწმუნებული ვარ, ღმერთმა ეს გულწრფელად შესთავაზა მოსეს იმ გამოუთქმელი სურვილით, რომ ეს უკანასკნელი მასთან ერთად ყოფნას არჩევდა უდაბნოდან სწრაფ თავდაღწევას და ადვილ ცხოვრებას მდიდარ და ლამაზ ქყვეყანაში.

მოსემ ორი რამ განაცხადა ღვთის შემოთავაზების უარყოფით. პირველი და ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ღვთის თანდასწრება გაცილებით ძვირფასია, ვიდრე მისგან მიღებული კურთხევა თანდასწრების გარეშე; და მეორე, რომ მოსეს ღვთის უნაკლო სრულყოფილების სჯეროდა. მართალია აღთქმულ ქვეყანაში შესვლა ყოვნდებოდა, მაგრამ მოსემ იცოდა, რომ საბოლოოდ, ღმერთი აუცილებლად მიიყვანდა მათ იქ. მან იცოდა, რომ შემოქმედი თავის სიტყვას არ უღალატებდა. მოსეს სწორად რომ არ ჰქონოდა მომართული შინაგანი ჯიპიესი, გარემოებების გავლენით სულ სხვა არჩევანს გააკეთებდა.

ჯიპიესის დაპროგრამება

რამ აიძულა მოსე, რომ ასე დაეპროგრამებინა შინაგანი ჯიპიესი მაშინ, როცა დანარჩენი ისრაელიანები სრულიად განსხვავებული მოტივებით იყვნენ ამოძრავებულნი? ამაზე პასუხს მათ მიერ ადრე გაკეთებული არჩევანი და ქცევის ნიმუშები გამოავლენს.

კითხვა, რომელსაც მსმენელს გარკვეული პერიოდულობით ვუსვამ, ასეთია: „რა მიმართულებით მიდიოდა მოსე, როცა ისრაელი ეგვიპტიდან გამოჰყავდა?“

უმრავლესობა თითქმის ყოველთვის მპასუხობს: „აღთქმული ქვეყნისკენ“.

სწორია ეს? ყოველთვის, როცა მოსე ფარაონის წინაშე წარდგებოდა, ამ სიტყვებს ეუბნებოდა ღვთისგან: „გაუშვი ჩემი ხალხი, რომ მემსახურონ *უდაბნოში*“ (გამ. 7:16; ასევე გამ. 5:1; 8:1,20; 9:1,13; 10:3). მოსემ შვიდივე შემთხვევაში, როცა ფარაონს განუცხადა, სადაც მიდიოდა ისრაელი, თაყვანისცემა და უდაბნო ერთმანეთს დააკავშირა. ერთხელაც არ უხსენებია აღთქმული ქვეყანა.

მოსეს მიზანი გახლდათ ისრაელის გაძღოლა ღმერთთან შესახვედრად და თაყვანსაცემად სინაის უდაბნოში. რატომ წაიყვანდა ისრაელიანებს ეგვიპტიდან პირდაპირ *აღთქმული ქვეყნისკენ*, სანამ თავდაპირველად, *აღმთქმელს* არ შეხვდებოდნენ? ასე რომ მოქცეულიყო მოსე, ღვთის დაპირებები მის თანდასწრებაზე აღმატებული გახდებოდა და ხალხის ჯიპიესები არასწორად მოიმართებოდა.

სამწუხაროა, რომ თანამედროვე მსახურები და მასწავლებლები აღთქმებს ზედმეტად წინ წამოსწევენ. ვიხსენებ 1980 და 1990-იანი წლების ქადაგებებს, სადაც ყურადღება მახვილდებოდა იმაზე, რისი გაკეთება შეუძლია იესოს ჩვენთვის და არა მის პიროვნებაზე. ამ ტიპის სწავლებამ ისეთი მოწაფეები წარმოშვა, რომელთა ჯიპიესები ღვთისგან მიღებულ კურთხევებს დაეძებდნენ და არა მის თანდასწრებას. ეს იმას ჰგავს, როცა ქალი კაცს ქონების გამო მიჰყვება ცოლად. შესაძლოა, კიდეც უყვარდეს ის, მაგრამ არასწორი მოტივის გამო.

ისრაელსა და მოსეს შორის საოცარი კონტრასტი აღმოვაჩინე. თუ გადავხედავთ ისრაელის ცხოვრებას ეგვიპტეში, რბილად რომ ვთქვათ, სასტიკ შეურაცხყოფას განიცდიდნენ. ისინი ჯურღმულებში ცხოვრობდნენ, ვადაგასულ საკვებს ჭამდნენ და გაცვეთილი სამოსი ეცვათ. მთელი მათი ცხოვრება სხვა ადამიანთა მემკვიდრეობის შენებას ხმარდებოდა. მათი ზურგი აჭრელებული იყო ზედამხედველთა მათრახის კვალით. მათ ძეებს ფარაონის მეომრები ხოცავდნენ.

ისრაელი სასწაულებრივად გათავისუფლდა ეგვიპტის მონობისგან, მაგრამ უდაბნოს მცირეხნიანი გამოცდილების შემდეგ ხშირად წუწუნებდა და არაერთხელ გამოთქვა უკან, ეგვიპტეში დაბრუნების სურვილი. მათგან ასეთი შენიშვნები ისმოდა: „განა უმჯობესი არ იქნება ჩვენთვის ეგვიპტეში დაბრუნება?“ (რიცხვ. 14:3) და „ეგვიპტელთა მონობა გვირჩევნია“. (გამ. 14:12).

ახლა გავიხსენოთ მოსეს კომფორტული და საოცნებო ეგვიპტური ცხოვრების სტილი, რომელიც ადრე აღვწერე. მანაც დატოვა ეგვიპტე და უდაბნოს იგივე მკაცრ პირობებს იზიარებდა დანარჩენებთან ერთად, მაგრამ არასოდეს დაუწუწუნია და არ გამოუხატავს ეგვიპტეში დაბრუნების სურვილი! რატომ? პასუხი მარტივია. მოსეს ჰქონდა ერთი შეხვედრა უფლის თანდასწრებაში მაყვლის ბუჩქთან. მას თავად შემოქმედისგან ერგო ღვთის სიტყვის მოსმენის უპირატესობა. ის-

რაელსაც მიეცა იგივე შესაძლებლობა, მაგრამ უკან დაიხია. ნება მომეცით, აგიხსნათ.

„ჩემთან მოგიყვანეთ“

ერთხელ, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, მოსემ ებრაელი ერი სინაის მთასთან მიიყვანა ზუსტად იმ ადგილას, სადაც თავად შეხვდა ღმერთს მაყვლოვანში. როცა ისრაელმა იმ ადგილს მიაღწია, უზენაესმა მოსეს დაავალა, რომ ხალხისთვის შემდეგი სიტყვები განეცხადებინა:

> „ხომ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს; არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და *ჩემთან მოგიყვანეთ!*“ (გამ. 19:4)

დააკვირდით ღვთის სიტყვებს: „ჩემთან მოგიყვანეთ“. იფიქრეთ ამ განცხადებაზე. ამაღელვებელია მისი ნამდვილი მნიშვნელობის ჩაწვდომა. სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა გააცხადა, რომ ისრაელის ეგვიპტის მონობიდან გამოყვანის ნამდვილი მიზანი ყველა ისრაელიანის მასთან მოყვანა გახლდათ. იგი მათთან პირად და ძალზე ახლო ურთიერთობას ესწრაფოდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი სიახლოვის მოსურნეა და მამის გული აქვს – ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება. უფალს სწყუროდა თავისი შვილების გაცნობა, ისევე როგორც მამას ან დედას სურს ახალშობილ ბავშვთან ურთიერთობის განვითარება.

ღმერთმა თავი გაუმჟღავნა მოსეს მაყვლის ბუჩქთან. მან მოსეს მისი თანდასწრების განცდის პრივილეგია მიანიჭა. იმ ერთმა განცდამ ისეთი წყურვილი აღუძრა მოსეს, რომ ეგვიპტეში დაბრუნების ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, თუნდაც ისეთი ბრწყინვალე ცხოვრება ჰქონოდა, როგორც ადრე. ამ შეხვედრამ მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა და მტკიცედ დაარეგულირა მისი შინაგანი ჯიპიესი.

მოსეს სურდა, რომ ისრაელსაც იგივე განეცადა და რაც კიდევ უფრო საოცარია, ღმერთსაც იგივე სურვილი ჰქონდა. ვინაიდან მან გარკვეული დრო დაჰყო მოსესთან, ამ უკანასკნელს შეეძლო ღმერთი ხალხისთვის წარედგინა და ხალხი უზენაესისთვის.

ასე იფიქრეთ ამ საკითხზე! არის სამი ადამიანი – ჯორდანი, აბიგაილი და სუზენი. თუ ჯორდანი და აბიგაილი ერთმანეთს შეხვდნენ და ჯორდანი და სუზენი ერთმანეთს იცნობენ, ჯორ-

დანია ის ადამიანი, ვინც აბიგაილი სუზენს უნდა წარუდგინოს. მოსე შეხვდა ღმერთს და გარკვეული დრო დაჰყო მასთან. იგი ასევე იცნობს ისრაელს. სწორედ ის უნდა იყოს ღვთისა და ადამიანების შეხვედრის მომწყობი. ღმერთმა მოსეს უთხრა, რომ წარდგენა ასეთი სიტყვით მოემზადებინა:

> „... გამოგარჩევთ ... ჩემს საკუთრებად. იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად. აჰა, სიტყვები, რომელთაც ეტყვი ისრაელის შვილებს!“ (გამ. 19:5-6)

ისინი ღვთისთვის განსაკუთრებულ ერს წარმოადგენდნენ და მას თითოეულის მღვდლობა სურდა – მასთან უშუალოდ მისვლის შემძლე და საკუთარი თავისა და სხვებისთვის მეოხი. არსებითად, შემოქმედი მათ ძალზე ახლო მეგობრობას, დაახლოებულთა წრეში ყოფნას სთავაზობდა. რა პატივია! შემდეგ ღმერთმა განაცხადა:

> „წადი ხალხთან და განწმიდე ისინი დღეს და ხვალ და გაირეცხონ სამოსელი! მზად იყვნენ მესამე დღისთვის, რადგან მესამე დღეს ჩამოვა უფალი მთელი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე“. (გამ. 19:10-11)

ღმერთი მესამე დღეს მთაზე ჩამოვიდა, მაგრამ ხალხის გამოხმაურება გულისმომკვლელი იყო. მათ უკან დაიხიეს ღმერთთან მიახლოების ნაცვლად და მოსეს შეჰღაღადეს: „შენ გველაპარაკე და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით!“ (გამ. 20:19)

ერმა ვერ აიტანა ღვთის თანდასწრება, რადგან ჯერ კიდევ გულში ჰქონდათ ეგვიპტე. ისინი საკუთარ ინტერესებს ამჯობინებდნენ ღვთის ნებას. მისი ძალზე ახლოს გაცნობა არ იყო უპირატესი ისრაელიანთათვის. ღვთის თანდასწრების გამოვლინებამ მაშინვე ცხადყო ხალხის შინაგანი ჯიპიესის მიმართულება, რომლის შეცვლაც მათ არ უნდოდათ.

ისევ გადახედეთ ღვთის მითითებებს, რომლებიც მოიცავს ბრძანებას სამოსელის გარცხვის შესახებ. ეს რას ნიშნავს? ნუთუ ღმერთი ჰიგიენის თავგამოდებული დამცველია? პასუხის გასაცემად ძველი აღთქმა უნდა გავიხსენოთ, სადაც გარეგნული მოქმედებები სულიერ რეალობებს გადმოსცემდა. ეგვიპტის ჭუჭყი ისევ ეკრობოდა ადამიანთა სამოსელს. ის უნდა მოშორებოდა, სანამ ხალხი ღვთის წმიდა თანდასწრებაში შევიდოდა.

ეგვიპტე დაცემული ქვეყნიერების სისტემის სიმბოლო გახლდათ. ამ ქვეყნის ადამიანები ხორცთან დათმობაზე მიდიოდნენ, თვალებს აამებდნენ და სტატუსის, რეპუტაციისა და გამორჩეული მდგომარეობისთვის – „ცხოვრების სიამაყისთვის“ იღწვოდნენ (იხ. 1 იოან. 2:16). ღვთის შეცნობა არ იყო მთავარი, არამედ დამოკიდებულება – „რა სარგებლობის მიღება შემიძლია?“

ღმერთი არ ეძებს ოქროს მაძიებლებს

ხშირად, მოგზაურობისას მხვდება ხანდაზმული, მდიდარი კაცი, რომელსაც საოცარი გარეგნობის ქალი ახლავს და დაახლოებით, თხუთმეტიდან ოცდახუთ წლამდე მასზე უმცროსია. უმეტეს შემთხვევაში კაცი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურება და შეცდომით ქალის მამადაც შეიძლება მიიჩნიოთ. რატომ ცხოვრობს ქალი ასეთ მამაკაცთან ან რატომ მიჰყვება ცოლად?

ძალზე იშვიათად, ამ ორს მართლაც უყვართ ერთმანეთი. ხშირად კი ასე სულაც არ არის – საქმე გვაქვს „ოქროს მაძიებელთან“. ეს გახლავთ ჟარგონი ანუ დამამცირებელი ტერმინი, რომელიც ქალის მიმართ გამოიყენება, როცა მამაკაცი არა პიროვნული ღირსებების, არამედ იმ ცხოვრების სტილის გამო აინტერესებს, რომლის შემოთავაზებაც მას შეუძლია. მას სურს მისადგომელის მოპოვება კაცის სიმდიდრესა და გავლენასთან. თუმცა ეს ცალმხრივი როდია. მამაკაცს ქალის პიროვნება არ აინტერესებს, არამედ ის, თუ რისი მოცემა შეუძლია მისი ეგოცენტრული ბუნების დასაკმაყოფილებლად. მას თავის ახალგაზრდად და ენერგიულად მოჩვენების განზრახვა აქვს და რასაკვირველია, კარგი სექსით სიამოვნების მიღებაც არ აწყენდა.

მარტივად რომ ვთქვათ, თითოეული ეგოისტურად ფიქრობს, რა მიიღოს მეორე მხარისგან და ერთმანეთზე ჭეშმარიტად არ ზრუნავენ. გარკვეულწილად, ორივემ იცის, რას აკეთებს მეორე, მაგრამ დათმობაზე მიდიან, საკუთარი გულისთქმებისა და სიამაყის დასაკმაყოფილებლად. მათი მამოძრავებელი ფაქტორი ხანგრძლივი ურთიერთობის ჩამოყალიბება არ გახლავთ, არამედ ეგოიზმის გამოკვება.

ამასწინათ მე და ჩემი მეუღლე ავეჯისა და სახლის ინვენტარის მაღაზიაში ვიყავით. გამყიდველი ქალის გარდა იქ კიდევ ერთი წყვილი იყო – ხანშიშესული კაცი და ახალგაზრდა ქალი. თავდაპირველად გავიფიქრე, რომ ისინი მამა-შვილი

იყვნენ, მაგრამ გამყიდველთან მათი საუბრის მოსმენის შემდეგ დავასკვენი, რომ ასე არ გახლდათ. ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ და ახალშეძენილი სახლისთვის ავეჯის ყიდვა უნდოდათ.

მათთან ერთად მაღაზიაში ოც წუთზე მეტ ხანს ვიყავით, რაც საკმარისი იყო მათზე დაკვირვებისთვის. ჩემი ყურადღება მათ შორის არსებულმა დაძაბულობამ და ზედაპირულმა ურთიერთობამ მიიპყრო. სრულიად ცხადად დავინახე, რომ მათ საერთო არაფერი ჰქონდათ და განსხვავებული იყო მათი ინტერესებიც. მათ ცხოვრებაში სიყვარულისა და სიხარულის ნაკლებობა მეტად თვალშისაცემი გახლდათ. ქალი ქმარს სახეზეც არ უყურებდა და კუშტი გამომეტყველებით დადიოდა. მას ძალზე მოტმასნილი ტანსაცმელი ეცვა და მაკიაჟის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდა. ქალს თავი ახალგაზრდული მანერით, თანამედროვედ ეჭირა და აზარტულ მოთამაშეს ჰგავდა. გამყიდველთან მისი ლაპარაკით ყველასთვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ ფული მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა.

ამ წყვილის დანახვაზე გავაცნობიერე, რამდენად განსაკუთრებული იყო ჩემი და ლიზას ურთიერთობა. მასზე მეტისმეტად ვზრუნავდი და ეს არ იყო მისი გარეგნობის გამო, თუმცა ლიზა ლამაზია. ასევე ლიზაც ზრუნავდა ჩემზე. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ და გვიყვარს დროის ერთად გატარება. დამადარდიანა მაღაზიაში დანახულმა წყვილმა, რადგან მათ ურთიერთობას აშკარად აკლდა სიყვარული. ეს მაგალითი მათ მსჯავრდასადებად არ მომიყვანია. ვიმედოვნებ, რომ ერთმანეთის მიმართ სიყვარულში გაიზრდებიან და ერთად ყოფნით ისიამოვნებენ. და მაინც, ასე არ ხდება ხოლმე, რადგან ურთიერთობა არასწორ საძირკველზე აშენდა.

ისრაელმა ამ ტიპის სიბინძურე მოიცხო ეგვიპტეში ცხოვრებისას და ღმერთს არ სურდა არაფერი ზედაპირული. მას ნამდვილი ურთიერთობები სწყუროდა და არა ოქროს მაძიებელთა კომპანია. ქვეყნიური მოტივები, რომლებიც ისრაელიანთა გულს ეკვროდა, ვერ უზრუნველყოფდა სწორი ურთიერთდამოკიდებულების წარმოქმნას მათი ეგოისტობის გამო. ისრაელი მხოლოდ მაშინ შეძლებდა ღვთის შეცნობას, თუ ამგვარი ჭუჭყისგან განიწმიდებოდა.

მიუხედავად ამისა, ისრაელიანებმა ვერ შეძლეს თავიანთი სურვილებისგან განთავისეუფლება მოსეს მსგავსად. იგი ღმერთთან წრფელი ურთიერთობისკენ ისწრაფოდა. ისრაელს კი ღვთისგან სარგებლობის მიღება უნდოდა. აი, ასე მარტივად იყო საქმე.

რა ხდება დღეს?

ახლა ახალი აღთქმის პერიოდში ვცხოვრობთ. შესაძლებელია ვინმეს გულში ედოს ქვეყნიური ჭუჭყი და ღმერთთან სწორი ურთიერთობა ჰქონდეს? გამორიცხავს თუ არა ქრისტეს მადლი ქვეყნიური სიბინძურისგან ჩვენი განბანის აუცილებლობას? სწორედ ამაზე ლაპარაკობენ წმიდა წერილის გარკვეული ადგილები, რომლებზეც დღეს იშვიათად მახვილდება ყურადღება:

> „როგორც თქვა ღმერთმა: „დავმკვიდრდები და ვივლი თქვენ შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი და იქნებით ჩემი ხალხი. ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! – ამბობს უფალი – უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ! ვიქნები თქვენთვის მამა, და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი – ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი... ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე!“ (2 კორ. 6:16-7:1)

რამდენი რამ არის გაცხადებული ამ პატარა მონაკვეთში. პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „როგორც თქვა ღმერთმა“. პირველად როდის წარმოთქვა ღმერთმა ეს სიტყვები და რა გარემოებაში? პავლეს მოჰყავს ღვთის ნათქვამი მოსეს მიმართ სინაის მთასთან მისი თანდასწრებისას:

> „დავივანებ ისრაელიანთა შორის და ღმერთი ვიქნები მათთვის. და შეიცნობენ, რომ მე ვარ უფალი, მათი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე ისინი, რათა დავივანო მათ შორის“. (გამ. 29:45-46)

ღმერთმა გაიმეორა ის, რაც გამ. 19-ში განაცხადა: ჭეშმარიტი ურთიერთობის სურვილი. ის ამისკენ ისწრაფოდა, მაგრამ ისრაელი არ გამოხმაურებია. მხოლოდ ზოგიერთებს, კერძოდ, მოსეს, დავითს, დანიელს, ესაიას და რამდენიმე სხვას ჰქონდა ღმერთთან ძალზე ახლო ურთიერთობა, რადგან მათ არჩიეს თავიდან მოეშორებინათ საკუთარი თავის დაკმაყოფილების ქვეყნიური მოტივები. ახლა პავლე ზუსტად ამ სიტყვებს იყენებს ჩვენ მიმართ, ვინც განვიწმიდეთ იესო ქრისტეს სისხლით და ღვთის მადლით გადარჩენა მივიღეთ.

და იგი კვლავ გვეუბნება: „დავმკვიდრდები და ვივლი თქვენ შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი და იქნებით ჩემი ხალხი ... უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ!“ ეს სიტყვები არაფრით განსხვავდება ისრაელის მიმართ ნათქვამისგან, მაგრამ ახლა ამას ახალ ერს ეუბნება – *ჩვენ*. მას არ დაკარგვია სიახლოვის სურვილი. თუმცა ეს არ მოხდება, თუ ქვეყნიერების ჭუჭყს ისევ შევინარჩუნებთ ტანსაცმელზე. იგი ახლო ურთიერთობის მოხარულია, მაგრამ ეს უპირობო არ გახლავთ. იგი კიდევ ერთხელ გვიცხადებს, რომ ოქროს მაძიებლურ ურთიერთობას არად მიიჩნევს.

ღმერთი თვალს არ ხუჭავს ჩვენს შინაგან მოტივებზე. იგი გვეუბნება, რომ თავი უნდა განვიწმიდოთ ყოველგვარი სიბილწისგან, არა მარტო ხორცის, არამედ გულისა და სულის ჭუჭყისგან. მან კარგად იცის, გვაქვს თუ არა ეგვიპტის ჭუჭყი სამოსელზე (საკუთარი თავისთვის ცხოვრება) თუ მოსეს მსგავსად, ღვთის სურვილებს ჩვენსაზე მაღლა ვაყენებთ. როგორც მოსემ მიუთითა ისრაელიანებს, რომ გაეწმინდათ სამოსელი ღმერთთან შეხვედრისა და ურთიერთობისთვის, ჩვენც იგივეს გვეუბნება პავლე მოციქული, „*განვიწმიდოთ* ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე!“ ქვეყნიური სისტემის ჭუჭყის მოშორება უზრუნველყოფს, რომ ჩვენი შინაგანი ჯიპიესი კომპრომისზე არ წავა და კარგს არ ამჯობინებს საუკეთესოს.

ჯიპიესის ყველაზე სასარგებლო პროგრამირების შესანარჩუნებლად – ღმერთთან ახლო ურთიერთობის მიმართულებით – სიტყვა „*სიწმიდე*“ საკვანძო ფაქტორი ჩანს. მომდევნო რამდენიმე თავში ამ საოცარ რეალობას გავაცხადებთ.

7

ჩვენთვის დაშურეგული

„და ვის მიმამსგავსებთ, რომ გავეტოლო?“ – ამბობს
წმიდა. მაღლა აღაპყარით თვალნი და შეხედეთ: ვინ
შექმნა ესენი? მან, ვისაც თვლით გამოჰყავს თავისი
ლაშქარი, ყველას თავ-თავის სახელს უწოდებს,
არავინ დააკლდება მისი ძალის ძლიერების გამო“.
ეს. 40:25-26

„ო, მორწმუნევ! შენს უფალს დაშურებით
სწადია შენი სიყვარული. მან აგირჩია?
ვერც კი აიტანს, რომ შენ სხვა აირჩიო“.
ჩარლზ სპერჯენი

არაფერია იმაზე აღმავსებელი და სასარგებლო, ვიდრე ღვთის თანდასწრებაში ყოფნა. ერთი წუთით დაფიქრდით: ეს არ გახლავთ რომელიმე ცნობილ სპორტსმენთან, გამოჩენილ მეცნიერთან, ცნობად ხელოვანთან, პოპულარულ მსახიობთან ან ძლიერ სახელმწიფო მოღვაწესთან ერთად ყოფნა, არამედ ყოველი ხილულისა და უხილავის შემოქმედთან მოზიარეობა. ეს არის მასთან ურთიერთობა, ვინც წარმოისახა და შექმნა უკიდეგანო სამყარო, რომლის ჩაწვდომაც ადამიანთა გონებას არ შეუძლია და მაინც, ისეთი მცირე საგნები, როგორებიცაა ატომები, ყოველგვარი ფიზიკური სიცოცხლისა და მატერიის სამშენებლო მასალას წარმოადგენენ. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მათი ზომა იმდენად მცირეა, რომ მილიარდი ატომია საჭირო ერთი ინჩის ტოლი ხაზის შესადგენად. საყოველთაო კვლევების მიუხედავად, მეცნიერები სრულად ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდნენ ამ საკითხს.

ღვთის გარეშე აბსოლუტურად არ არსებობს: სასარგებლო სიბრძნე, ცოდნა ან აღქმა. არაფერია ისეთი, რის სწავლაც მას სჭირდებოდეს, რადგან ნამდვილად იცის ყველაფერი დასაწ-

ყისიდან დასასრულამდე. ძლიერი ანგელოზები გამუდმებით დგანან მის წინაშე, სახეს იფარავენ და დიდი მოკრძალებით ღაღადებენ თანდათან მზარდი გამოცხადების გამო, თუ ვინ არის იგი. ეჭვგარეშეა, რომ წინა თაობების ყველაზე ბრძენი მამაკაცები და ქალები ეძებდნენ უფალთან ყოფნის სიხარულის პრივილეგიას.

საოცარია, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს ამ დიდებული პიროვნების თანდასწრებაში. და კიდევ უფრო გასაოცარი ის გახლავთ, რომ მას უფრო მეტად უნდა ჩვენთან ახლოს ყოფნა, ვიდრე ჩვენ გვინდა ეს. იაკობ მოციქული აცხადებს:

> „ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურს იწვევს ჩვენში დავანებული სულის *წადილი?!*“ (იაკ. 4:5)

წადილი ნიშნავს ინტენსიურ სურვილს და სწრაფვას რაღაცის მიმართ. როცა წარმოვიდგენ, რომ ამ დიდებულ პიროვნებას ჩემკენ სწრაფვა აქვს, მეც ვეთანხმები დავითის ნათქვამს: „რაოდენ ძვირფასია ჩემთვის შენი ზრახვანი, ღმერთო, და რაოდენ დიდია მათი რიცხვი! დავთვალო – ქვიშაზე უმრავლესია. ვიძინებ ამ ფიქრებში, ვიღვიძებ და, ისევ შენთან ვარ“ (ფს. 139:17-18). დავითი ლაპარაკობდა ღვთის ზრახვებზე ჩემსა და თქვენს მიმართ, როგორც ცალკეულ პიროვნებებზე და არა მთლიანად მის ერზე. მისი ზრახვები თქვენს მიმართ ჩვენს პლანეტაზე არსებულ ქვიშის მარცვლებზე მეტია! წარმოიდგინეთ, რამდენი ქვიშაა ყოველ სანაპიროზე, უდაბნოში, გოლფისა და სათამაშო მოედნებზე. ძალიან ბევრია ქვიშა და შესაბამისად, ბევრია ზრახვებიც.

ნება მიბოძეთ, ეს ყველაფერი პერსპექტივაში წარმოგიდგინოთ. ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი. ოცდაათ წელზე მეტია, რაც დაქორწინებული ვართ. ბევრი სიყვარულით სავსე ზრახვა მქონია მის მიმართ, ფაქტობრივად, უამრავი. და მაინც, რომ შემეძლოს ოცდაათი წლის მანძილზე ყველა ჩემი სურვილის დათვლა, ერთი ფეხსაცმლის ყუთისოდენა ქვიშაც არ გამოვიდოდა. მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ ზღვის სანაპირო ზოლის ერთ კუბურ ფუტზე (დაახლ. 30,5 სმ) საშუალოდ 1,8 მილიარდი ქვიშის მარცვალია!

მოდი, ცოტა უფრო შორს გავიხედოთ. როდისმე შეხვედრიხართ პიროვნებას, რომელიც ყველაფერს აზვიადებს? შესაძლოა, ის მეთევზე იყოს. კარგად იცით, რით გაგიბურღავთ

ტვინს. მისი განაცხადი ასეთია: „აი, ამხელა თევზი დავიჭირე!“ და ამ დროს ხელებს შლის თევზის ზომის საჩვენებლად. თუ ის თევზი ნანახი გყავთ, იცით, რომ საგრძნობლად პატარა იყო.

რას იტყვით კაცზე, რომელიც არარსებულ სტატისტიკას გთავაზობთ და რიცხვებს ასახელებს თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად. იგი თამამად აცხადებს: „მამაკაცების 99 % ვერ იტანს ჩიქფლიქს (ქალებისთვის მოსაწონ რომანტიული ჟანრის კინოს)“. მას არასოდეს უნახავს ოფიციალური კვლევა ან სტატისტიკური მაჩვენებლები ამის თაობაზე, მაგრამ ნათქვამს აზვიადებს ამ ჟანრისადმი ზიზღის გასამართლებლად.

ან შესაძლოა, პიროვნება გეუბნებათ: „თქვენთვის ვლოცულობ“. თუ ეს სიმართლეა, მან ალბათ, ერთხელ ილოცა და ისიც არა მთელი გულით. ვაკვირდები, რომ ყველა აზვიადებს – ახლაც და მაშინაც, მაგრამ ვიყოთ გულწრფელები: გაზვიადება ტყუილია. არსებობს ერთი წარმოუდგენელი ჭეშმარიტება: ღმერთი არასოდეს იტყუება! (იხ. რიცხვ. 23;19 და ტიტ. 1:2). ის რომ იტყუებოდეს, „სიცრუის მამის“ მორჩილებაში უნდა იყოს, რომელიც არის სატანა – და ეს არასოდეს მოხდება.

თუ ღმერთი ამბობს, რომ მისი ზრახვები თქვენს მიმართ პლანეტის ქვიშაზე მეტია, შეგიძლიათ, ენდოთ.

აცნობიერებთ, რამდენს ფიქრობს ის თქვენზე? წარმოიდგინეთ საკუთარი აზრები. ბევრს იფიქრებთ ადამიანზე, რომელიც თქვენთვის არასასურველია და რომელთან ყოფნაც არ გინდათ? ასე არავინ მოიქცევა! ჩვენში დავანებულ ღვთის სულს დაშურებით *სწადია* – მას ძალიან სურს ჩვენთან ერთად ყოფნა. მარტივად რომ ვთქვათ, ღმერთს სურს თქვენი ახლოს გაცნობა, როგორც საუკეთესო მეგობრისა.

ღვთის ეჭვიანობა

ისევ გადავხედოთ იაკობის სიტყვებს: „ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურს იწვევს ჩვენში დავანებული სულის წადილი?!“ საკვანძო სიტყვაა „შური“. რას ნიშნავს ეს? ნება მომეცით, აგიხსნათ. იქნებოდა თუ არა ჩემი ცოლი ჩემთან ძალიან ახლოს, გამიზიარებდა: საიდუმლოებებს, სწრაფვას და გულის სურვილებს, თუ მე სხვა ქალთან ურთიერთობის მცდელობაში ვიქნებოდი? არავითარ შემთხვევაში! თუ ამ მუხლის კონტექსტს გადავხედავთ, ცოტათი წინ შემდეგ სიტყვებს წავიკითხავთ:

„მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?!“ (იაკ. 4:4)

მისი აზრი ასეთია: „თქვენ ქვეყნიერებასთან მეგობრობას ეძებთ? თუ ასეა, მრუში ყოფილხართ!“

იაკობი მხოლოდ ქრისტიანებს წერდა, რადგან თავის წიგნში თხუთმეტჯერ ამბობს: „ჩემო ძმებო!“ მისი განაცხადი აშკარად მათ მიეკუთვნება, რომლებიც ღმერთთან ურთიერთობაში არიან და იესო ქრისტე მიიღეს საკუთარ ცხოვრებაში. აი, ჭეშმარიტება: თუ ქვეყნიერებას ვეარშიყებით, ღვთის წინაშე ვმრუშობთ.

გავაგრძელოთ თვალსაჩინოება. თუ მე სხვა ქალთან ურთიერთობას შევეცდები, ლიზა არა მარტო არ მოისურვებს ჩემთან სიახლოვეს, არამედ გაბრაზდება და იეჭვიანებს – და სრულიად სამართლიანადაც. მე აღთქმა დავდე, რომ მისი და მხოლოდ მისი ვიქნებოდი. ამით პირობას დავარღვევდი და ტყუილსაც დავურთავდი.

იაკობის განაცხადს წინ უძღვის წინადადება: „ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი...“. რეალურად, მას არა ერთი, არამედ რამდენიმე ადგილი მოჰყავს წმიდა წერილიდან. ღმერთი გამუდმებით გვიცხადებს თავს:

„...მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, ეჭვიანი ღმერთი...“. (გამ. 20:5)

„...ვინაიდან ეჭვიანია უფლის სახელი და ეჭვიანია იგი“. (გამ. 34:14)

„მშთანმთქმელი ცეცხლია უფალი – თქვენი ღმერთი, ეჭვიანი ღმერთია იგი“. (2 რჯ. 4:24)

მრავალი სხვა ადგილი ამოწმებს ღვთის ეჭვიანობაზე. საბოლოოდ, ყველა მათგანი მასთან ჩვენს ურთიერთობას ეხება.

სანამ კიდევ უფრო შორს წავიდოდეთ, ნება მომეცით, ერთი რამ განვმარტო: ღმერთი არ ამბობს, რომ ის თქვენზე ეჭვიანობს – ის თქვენ გამო ეჭვიანობს. აქ უზარმაზარი განსხვავებაა. მას სურს თქვენი წარმატება, სურს იყოთ დიდი, თქვენით ხარობს, როცა სიუხვე გაქვთ და მისი ნება არის, რომ ნაყოფიერი იყოთ. (იხ. ი. ნ. 1:8; იგ. 4:8; მათ. 25:29 და იოან. 15:8). მისი ეჭვიანობა მხოლოდ მის სურვილს შეეხება, რომ იყოს

თქვენთან ახლოს. მას არ სურს, თქვენი თავი სხვა საყვარელს გაუყოს, რომელიც არის ქვეყნიერება. იაკობი მარტივად ახსენებდა მორწმუნეებს, თუ როგორ უყურებს ღმერთი ღალატს. თუ მის წინააღმდეგ მრუშობას ჩავიდენთ, ეჭვიანობა მისი რისხვის ცეცხლში გამოვლინდება. ეს არ არის უბრალო ამბავი.

თუმცა რისხვა ღალატის თანმხლები ერთადერთი ემოცია არ გახლავთ. ხშირად გამიგია რომელიმე გულგატეხილი მეუღლისგან ელდის, იმედგაცრუების, უხერხულობის, დანაღვლიანების და ბოლოს, რისხვის ამბავი, რომელიც ამ ყველაფრის ზედაპირზე ტივტივებს. ისინი საბოლოოდ მიატოვეს. უღალატეს მათ, ვისაც ცხოვრება მიუძღვნეს. ემოციების მთელი გამა თავს ესხმის მათი სამშვინველის ღრმა ადგილებს. მომისმინია უკიდურესად დაბნეული ცოლის ამოძახილი: „რატომ გამიკეთა ეს ჩემმა ქმარმა, რომელსაც შვილები ვუშვი და ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შევწირე?“

წარმოგიდგენიათ, რას გრძნობს ღმერთი? წარმოგიდგენიათ, რა ემოციები ტრიალებს მის სულში, როცა მის მიმართ ერთგულებას არ ვიჩენთ? პავლე წერს: „ვინაიდან მოშურნე ვარ თქვენ მიმართ ღვთიური მოშურნეობით“ (2 კორ. 11:2).

პავლე, ღვთის სახელით ლაპარაკობს და ღვთის გრძნობებს გადმოსცემს, როცა მის ნაცვლად სხვა რაიმეს ან ვინმეს ვეძებთ. იერემიაც იგივეს ამბობს: „ჩემი მწუხარება უსაზღვროა, გული დამისუსტდა“ (იერ. 8:18). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღვთის ხატად ვართ შექმნილი და რა გრძნობებიც ჩვენ გვამოძრავებს, იგივეს გრძნობს ღმერთი!

უფალი ეჭვიანობს, რადგან ჩვენთვის სიცოცხლე გაწირა. მან ყველაფერი გაიღო მსხვერპლად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარება. მისი გული და სული რისხვით ივსება და ნაღვლიანდება, როცა მას ვღალატობთ. უსმინეთ მის სიტყვებს:

> „... ჩემმა ხალხმა კი დამივიწყა. რა კარგად გაგიმზადებია შენი გზა სიყვარულის საძებრად! ავხორცი ქალიც კი ისურვებდა შენი გზების სწავლას. მაინც ამბობ, ...არ შემიცოდავსო!“ (იერ. 2:32-33,35)

ხშირად, ვერც კი ვხვდებით, ვღალატობთ თუ არა მას, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი ღალატის სიმძიმეზე. თვალების ასახელად ჭეშმარიტება გვჭირდება. ჩვენი გულები სულ უფრო უგრძნობი ხდება მისი გულდაწყვეტილობისა და მწუხარე-

ბის მიმართ. ღმერთი კითხვას სვამს: „იმ სისაძაგლის გამო თუ რცხვენიათ, რომ სჩადიან? სულ არ რცხვენიათ, არც კი წითლდებიან!“ (იერ. 6:15). როგორც იერემიამ და სხვა წინასწარმეტყველებმა წამოსწიეს ისრაელის ორგულობის საკითხი, იგივეს აკეთებენ პავლე და იაკობი ახალ აღთქმაში.

ქვეყნიერება

იაკობის არსებითი განაცხადის განხილვისას დაგვჭირდება ორი ბერძნული სიტყვა – „*ფილოს*“ და „*ფილია*“, რომლებიც შეესაბამება ქართულ „*მეგობარს*“ და „*მეგობრობას*“. „*ფილოს*“ არის ის, ვინც მოსიყვარულე და „ურთიერთობის მქონეა“, ხოლო „*ფილია*“ აღნიშნავს „დამეგობრებას“, „მხარში დგომას“. უ. ი. ვაინსი თავის კომპლექსურ ლექსიკონში განმარტავს: „‚*ფილია*‘ მოიცავს სხვა ადამიანის სიყვარულის იდეას, როცა საპასუხოდაც იგივე გრძნობას იღებ“. იფიქრეთ ამაზე იესოს სიტყვების ფონზე:

> „თქვენ რომ *წუთისოფლისანი* ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არა ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ *სძულხართ წუთისოფელს*“. (იოან. 15:19)

თქვენ ქვეყნიერებას აღარ ეკუთვნით, თუმცა ადრე მისი იყავით. ახლა თქვენ ღმერთს ეკუთვნით. ძველი ადამიანი, რომელიც თქვენს სხეულში ცხოვრობდა, იესოს მიღებისთანავე მოკვდა. დაიბადა სრულიად ახალი ქმნილება. თქვენ ხელახლა იშვით მათ მსგავსად, ვისაც ღმერთთან აღთქმით ურთიერთობა აქვს.

იესომ თქვა, რომ ადამიანებს, რომლებიც მას ეკუთვნიან, ერთი უტყუარი ნიშანი ექნებათ – მათ შეიძულებს ქვეყნიერება. პატიოსნად ჰკითხეთ საკუთარ თავს: „ვძულვარ ქვეყნიერებას?“ თქვენ მიერ ცნობილი ქრისტიანები სძულთ ქვეყნიერებაზე? თუ ასეა, როგორ ვიცხოვრებთ და ვიმოქმედებთ, როგორ გამოვიღებთ ნაყოფებს ქვეყნიერებაზე? როგორ მივწვდებით დაღუპულ ქვეყნიერებას? უფრო მეტ გავლენას არ მოვახდენდით ადამიანებზე, ქვეყნიერებას რომ ვყვარებოდით? ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია, რასაც მომდევნო თავებში გავაკეთებთ.

იოანე მოციქული იესოს განაცხადის მეორე მხარეს ეხება. იგი გაბედულად მიგვითითებს: „ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს, ნურც იმას, რაც წუთისოფელშია! თუ ვინმეს წუთისოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული“ (1 იოან. 2:15).

იესო, იაკობი და იოანე მეტად მკაცრად მიმართავდნენ ღმერთთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანს, რომელიც ქვეყნიერებასთან კავშირს არ წყვეტს და პირიქით. ისინი მეგობრობის, ქვეყნიერების სიყვარულის და ქვეყნიერების მიერ ჩვენი სიყვარულის კონცეფციებს მრუშობასთან, სიძულვილთან, მტრობასა და ჩვენში ღვთის სიყვარულის არარსებობასთან აიგივებდნენ. სანამ ამ დაპირისპირებულ განცხადებებს განვმარტავთ და ქვეყნიერებასთან მეგობრობის არსს გამოვიკვლევთ, პირველ რიგში, თავად ქვეყნიერების რაობა უნდა განვიხილოთ.

ქვეყნიერების აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ *„კოსმოს“*. იგი აღნიშნავს „ახლანდელ წუთისოფელს, მის წყობას, რომელიც ქრისტეს სამეფოს ეწინააღმდეგება; და მაინც, ის ყოველთვის მოიცავს წარმავალობის, უფასურობისა და ... არასწორი სურვილების იდეას“. მოდი, ვიმსჯელოთ თითოეულზე ამ ტერმინთაგან.

„წარმავალობა“ განისაზღვრება როგორც „მოკლევადიანი, არამუდმივი, ხანმოკლე“. თუ ერთი ნაბიჯით უკან დავიხევთ და ჩვენი საზოგადოების წარსულს გადავხედავთ, დავინახავთ მის გამუდმებულ ცვალებადობას. ცვლილება, ზოგადად, ცუდი არ არის. ეს პროგრესს, განვითარებასა და ზრდას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ზნეობრიობა, უმეტესწილად, ღვთის ჭეშმარიტი სიკეთის გზას ცდება.

ჩვენს საზოგადოებაში *მორალურად გამართლებული* და *მისაღები, ხშირად, ზნეობრივად* და *სოციალურად არასწორი* და *მიუღებელი იყო წარსულში*. თვალსაჩინოებისთვის მივყვეთ ერთ აშკარა ტენდენციას. ავიღოთ მხატვრული ფილმები შეფასების სკალით „+13“. ყოველ ახალ ფილმზე სალაროსთან გრძელი რიგი დგას. უმეტეს შემთხვევაში, ახალი ბლოკბასტერი სავსეა აშკარა უზნეობის სცენებით. მასში შეხვდებით: გახრწნილებას, მამათმავლობას ან მრუშობას, სურვილისამებრ. ფილმი მოიცავს უხამს სცენებს, ქურდობას, მკვლელობას და ჯადოქრობასაც კი. და ამ ყველაფერში რომელიმე „ბოროტი“ პერსონაჟი კი არ მონაწილეობს, არამედ ფილმის გმირი და მისი თანამდგომები. ხშირად დიალოგები გაფორმებულია უხამსი ბილწსიტყვაობით და ღვთის სახელიც ფუჭად მოიხსენიება.

ამ ყველაფერს ვიღებთ და ველოდებით კიდეც, რომ ასე იქნება. და მაინც, ზუსტად იგივე ფილმი მე-20 საუკუნის 50-იან წლებში რომ ეჩვენებინათ, მთელი საზოგადოება ფეხზე დადგებოდა! ამერიკელები თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდნენ უხამსი ენის, სიშიშვლისა და ცხადი უზნეობის გამოვლინებით. მთელი ერი იღაღადებდა: „რატომ აჩვენებენ ამ ფილმში ორი დაუქორწინებელი ადამიანის ერთობლივ თანაცხოვრებას არა მარტო სახლში, არამედ საწოლშიც კი, როგორც მისაღებს? რატომ არის ეს წარმოჩენილი ცხოვრების ნორმალურ წესად? დაუჯერებელია! სამარცხვინოა! აღმაშფოთებელია!“ შემდეგ მთელი საზოგადოება ფილმს ბოიკოტს გამოუცხადებდა.

მაშ, რა მოხდა? ნუთუ ღმერთმა ნორმალურის, მისაღებისა და კარგის ახალი სტანდარტები წარმოგვიდგინა? საზღვრები შეიცვალა? უფრო მოწიფულები გავხდით? მეტისმეტად მკაცრები ხომ არ ვიყავით 50-იან წლებში? ნუთუ ამას ჰქვია პროგრესი?

თუ რეალურ ცხოვრებისეულ სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ფილმების ასეთი მკვეთრი ცვლილება საზოგადოების ზნეობრივი სტანდარტების ცვლილებას ასახავს. ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ საყვარლებთან ერთად მცხოვრები ახალგაზრდა გოგონების რიცხვი გასამმაგდა 1982 წლიდან მოყოლებული. *US News & World Report*-ის ანგარიშით, 2006-დან 2010 წლამდე თხუთმეტიდან ორმოცდაოთხი წლის ასაკის ქალების თითქმის ნახევარი (48 %) თავის პარტნიორთან დაქორწინებამდე ცხოვრობდა. ეს 11 %-იანი ნახტომია 2002 წლიდან მოყოლებული და 41 %-იანი – 1995 წლიდან მოყოლებული. ამგვარი სტატისტიკის გაგრძელება შემიძლია, რაც ქვეყნიური კულტურის *წარმავალობაზე* მეტყველებს, მაგრამ ეს ჩემი მიზანი არ გახლავთ.

ქვეყნიერება ასევე კვებავს *უფასურობას*. არსებობს საზოგადოებაში მომხდარი ისეთი მიმართულებები და ცვლილებები, რომლებიც ფასეულია. წინსვლა შეინიშნება მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში, კომუნიკაციის სფეროში, მედიცინასა და ბევრ სხვა ასპექტში, რასაც სარგებლობა მოაქვს კაცობრიობისთვის და ზრდის ჩვენი შრომის ნაყოფიერებას. ეს კარგად შეესაბამება ღვთის პირველ მცნებას – „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ!“ (დაბ. 1:22).

და მაინც, ფასეულია თუ არა ჩვენი ზნეობრივი ცვლილებები? თუ ისინი სიხარბეს, გულისთქმებსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას ემყარება? რა შევმატეთ ბავშვთა აღზრდის

სფეროს, როცა ეს საქმე ორი ქალის ან ორი მამაკაცის მზრუნველობას მივანდეთ, რომლებიც თავს ოჯახად მიიჩნევენ? ნუთუ ასეთი წესრიგი უკეთესია ბავშვისთვის, ვიდრე მოსიყვარულე დედისა და ვაჟკაცური მამის ყოლა? თუ ეს ცვლილებები *უწესო სურვილების* (კოსმოსის განსაზღვრების ჩვენი ბოლო მახასიათებელი) დასაკმაყოფილებლად განხორციელდა?

ქორწინების გარეშე ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას თუ ეს მშობლების ეგოისტურ სურვილებს და მიძღვნის უგულებელყოფას ემსახურება? ნუთუ ჭეშმარიტების გამრუდებას და გაყიდვების გასაზრდელად ცრუ ხერხების გამოყენებას სარგებლობა მოაქვს მყიდველისთვის? თუ ეს გამყიდველის სიხარბეს აკმაყოფილებს? იქნებ მარიხუანის ლეგალიზაცია ტვინის უჯრედების აქტივობას აძლიერებს? განა გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევები ერთხმად არ აცხადებენ ტვინის უჯრედების გადაგვარებაზე ამ ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად? ნუთუ ეს საყოველთაოდ მიღებული უწესო სურვილები ჩვენს შემოქმედთან გვაახლოებს?

წმ. წერილი გვეუბნება, რომ ქვეყნიერების წესი დადგენილია ურჯულო სულთა მიერ, რომლებიც ცბიერებით მოქმედებენ ჩვენი თაობის მოქალაქეთა მეშვეობით (იხ. ეფეს. 2:2). მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნიერება (*კოსმოსი*) ბნელი გონების მიერ შექმნილი კულტურა გახლავთ. იოანე მოციქული არავითარ კითხვის ნიშანს არ ტოვებს, როცა წერს, რომ „მთელი ქვეყნიერება ბოროტებაში წევს“ (1 იოან. 5:19). იგი უფრო და უფრო შორდება ღვთის გულსა და ძალაუფლებას. უმეტეს შემთხვევაში, მისი გარეგნული მხარე აშკარად წინააღმდეგობრივი ან ბოროტი არ ჩანს; უფრო შეიძლება ითქვას, რომ მისი ცვლილებები *პროგრესის* ან *სიკეთის* საფარქვეშ მიმდინარეობს. თუმცა სამწუხარო სიმართლე ის გახლავთ, რომ ქვეყნიერებას მისი მკვიდრნი შორს მიჰყავს მათი შემოქმედის გულისგან.

New International Encyclopedia of Bible Words უფრო სიღრმისეულ განმარტებას გვთავაზობს: „ქვეყნიერებასთან მეგობრობა არ ეხება მის საქმიანობაში ჩართულობას, რის შესახებაც ზოგიერთები კითხვებს სვამენ. ეს გახლავთ ჩვენი კულტურის თვალთახედვის, ფასეულობების და დამოკიდებულებების დაუფიქრებელი მიღება ღვთის სიტყვის შუქზე განსჯის გარეშე“. მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნიერებასთან მეგობრობის შემთხვევაში კეთილისა და ბოროტის განსაზღვრის წყარო

თავადვე ვხდებით. შეხედულებები, ფასეულობები და დამოკიდებულებები, რომლებიც გარკვეულ სტანდარტებს აწესებენ, ხორცის მიმართ შემწყნარებლობაზე, თვალთა გულისთქმასა და სტატუსის, რეპუტაციისა და წარჩინებული მდგომარეობის სიყვარულზეა დაფუძნებული:

> „ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს, ნურც იმას, რაც წუთისოფელშია! თუ ვინმეს წუთისოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული. *ვინაიდან ყოველივე, რაც წუთისოფელშია* – ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და ამაო დიდება ცხოვრებისა – მამისგან კი არა, წუთისოფლისგან არის“. (1 იოან. 2:15-16)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს – „რაც წუთისოფელშია“. ეს დასკვნის სახით გვაძლევს ქვეყნიერების ზეგავლენის ანუ იაკობის სიტყვების თანახმად, მრუშების ამოცნობის საშუალებას.

გთხოვ, მომისმინო, ძვირფასო ქრისტეს მიმდევარო: *ქვეყნიერება შენ დაგეძებს*! ქვეყნიერება ურთიერთობისთვის გიწვევს და ხშირად ეს მაცდუნებელი სიტყვის, ლოგიკის, თვალთმაქცობის, შესაძლებლობის, ძალაუფლების, გავლენის და ყოველთვის, პიროვნული სარგებლის ან სიამოვნების შემოთავაზებით ხდება. ეს არაფრით განსხვავდება გველის ცბიერი მიდგომისგან ევას მიმართ. ეს არაფრით განსხვავდება მეძავი ქალის დამოკიდებულებისგან, რომელიც მზერას სასურველ მამაკაცს აპყრობს. იგი თავს ისე აჩვენებს, თითქოს ყველაფერი ამ კაცის ირგვლივ ტრიალებს, სინამდვილეში კი თავის ბადეში ახვევს. ქსელი თანდათან იჭერს სამიზნე მსხვერპლს, რომ მერე მასთან თავისი გულისთქმა დაიკმაყოფილოს.

ქვეყნიერების ქსელი მალულად იჭერს მსხვერპლებს – ქრისტიანობის მაღიარებლებს, რომ მათთან თავისი სურვილები დაიკმაყოფილოს და თავისი საცდურით ღვთის თანდასწრებას, სიცოცხლესა და კურთხევას ჩამოაშოროს. იგავების ავტორი პირდაპირ აცხადებს, რომ ქვეყნიერების საწოლი ოთახი სიკვდილის ბუნაგია და მისი გზა ქვესკნელისკენ მიემართება. მას სურს, რომ *მრავალი ძლიერი მამაკაცი და ქალი დასცეს თავისი მაცდუნებელი ძალით* (იხ. იგ. 7:21-27).

რას არ წარმოადგენს ქვეყნიერება?

როცა საქმე ქვეყნიერების განმარტებაზე მიდგება, აქცენტი, ძირითადად მის ფორმაზე კეთდება და არა ზრახვებზე. ჩემს გულს მწუხარება იპყრობს, როცა გულწრფელი მორწმუნეების აზრთა მდინარებას ვუსმენ, რომლებიც *ლეგალიზმის* ჩარჩოებში აღიზარდნენ ან შემდგომში მოექცნენ. ლეგალიზმზე ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად მას ვიწრო გაგებით იყენებენ, ამიტომ მისი რაობა დავადგინოთ, სანამ გავაგრძელებდეთ. ლექსიკონში ლეგალიზმს ასე განმარტავენ: „კანონის ან წესდების მკაცრი დაცვა ... უფრო სიტყვა-სიტყვით, ვიდრე სულისმიერად“. და კიდევ: „ქცევის შეფასება კანონის ზუსტად დაცვის თვალსაზრისით“.

ბევრ ჩვენგანს სმენია ქრისტიანობის ამ უსიცოცხლო ფორმის თანამდევი საშინელი ისტორიების შესახებ. მწყემსები კათედრაზე აბრახუნებენ თავიანთ ბიბლიებს და მცნებებისა და წესების მკაცრი დაცვისა და მორჩილებისკენ მოგვიწოდებენ. ისინი ქალებს ამქვეყნიურებს უწოდებენ, თუ მათ შარვლები და მოდური სამოსი აცვიათ, სამკაულებსა და მაკიაჟს იყენებენ, პირსინგს იკეთებენ ან თუ მოკლე, თანამედროვე ვარცხნილობებს ამჯობინებენ და შეღებილ თმებს ატარებენ. ვერც მამაკაცები გაექცევიან პირადად მათთვის განკუთვნილ ქადაგებებს: დაწვრილებით არის გამოკვლეული მათი ტანსაცმელი, პირსინგის არსებობა თუ თმების სიგრძე.

ეს ყველაფერი ამით არ მთავრდება. მსჯავრდადება გარანტირებულია ცოდვილებთან ერთად საღამოზე წასვლისთვის. აკრიტიკებენ კინოთეატრებსა და გასართობ ღონისძიებებზე წამსვლელებს. დასაშვები წრის მიღმა მეგობრების ყოლას წარბშეკვრით უყურებენ, ხოლო დაღუპულ ადამიანებთან სახარების კრეატიული გზით მიტანის ნებისმიერ მცდელობას თითქმის განდგომილებად მიიჩნევენ. აკრძალულ ქმედებათა სიას ერთვის ასევე ცეკვა, გარკვეულ სოციალურ მოვლენებზე დასწრება, ყველა სახის საერო მუსიკა, ტელევიზორის და სასცენო მოწყობილობების გამოყენება შუქეფექტებისა და კვამლის მანქანების ჩათვლით – და ეს მხოლოდ მცირე სია გახლავთ ყველა იმ დებულებიდან, რაც „იესოს მიყოლისა და ქვეყნიერებისგან თავის შორს დასაჭერად“ აუცილებელია.

ამჯერად ლეგალისტების მხოლოდ რამდენიმე აშკარა სამიზნე ჩამოვთვალე. თუმცა ლეგალიზმს უფრო შეფარული ფორმებიც გააჩნია, რომლებიც ასევე საშიშია. ესენია თავსმოხ-

ვეული – და ხშირად საკუთარი თავის მიერ –კრიტერიუმები, რომლებიც ადამიანებმა მკაცრად უნდა დაიცვან გადარჩენის დამსახურების, სულიერი ზრდის ან სხვათა გარეგნული შესახედაობის განსასჯელად. ამის ნიმუშად გამოდგება ხანგრძლივი ლოცვა, მარხვა ან ბიბლიის დღიური საკითხავის დადგენა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი სასარგებლო საქმიანობებია, მაგრამ სულიერი უპირატესობის რაღაც ფორმის მიღწევის მიზნით არ უნდა კეთდებოდეს.

ასევე, ლეგალიზმს მიეკუთვნება პატიების დამსახურება, რისთვისაც ჩადენილი ცოდვის გადასაფარად გარკვეული საშუალებებით თავის დასჯის აზრს ვემორჩილებით. ამას ჩვენი ყურადღება საქმეებზე გადააქვს და ქრისტეს სისხლის გამწმენდ ძალას გვაშორებს.

შესაძლებელია, ლეგალიზმი გამოვლინდეს რწმენაში, რომ ღმერთთან დიდი სიახლოვე გვაქვს, რახან საეკლესიო მსახურებებში გულდასმით ვართ ჩართულნი. ან გვჯერა, რომ ჩვენი ლოცვები სწრაფად არის შესმენილი, რადგან ბოლო დროს რაიმე სერიოზული შეცდომა არ დაგვიშვია. გამოუთქმელი თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია ჩვენი სულიერი ანგარიში კარგი ქცევით, საქმეებით ან საშრომით შევავსოთ. ლეგალიზმი ადამიანს დასვენების ან ცხოვრებით სიამოვნების მიღების საშუალებას არ აძლევს, რადგან მასზე გამუდმებით ხორციელდება „ღვთისმსახურებისთვის“ დაკავებულობის ზეწოლა, იქნება ეს საეკლესიო მმართველობა, მოხალისეობა თუ ღარიბების დახმარება. აქ სიყვარული არ არის მთავარი მამოძრავებელი ძალა, არამედ ღვთის კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობა.

ამ ტიპის ლეგალიზმის კლასიკური მაგალითი გახლავთ ქალაქის ცნობილი ცოდვილის განმსჯელი ფარისევლის შემთხვევა, როცა ის საკუთარ ღვთისმოსაობას მებაჟის (თანამედროვე მაფიოზის ეკვივალენტი) ცოდვილ ცხოვრებას ადარებს. ფარისეველი ზერელედ მადლობს ღმერთს კარგი ქცევისთვის: ის არ სცოდავს, ხალხს არ ატყუებს მაფიოზივით, არ მრუშობს, რეგულარულად მარხულობს და ლოცულობს, უხვად გასცემს სინაგოგაში. ბედის ირონიით, ზუსტად ამ დროს, როცა ეს სულიერი წინამძღოლი საკუთარი ქცევით ტრაბახობდა და სინდიკატის ბოსის შეცდომებზე მიუთითებდა, ცნობილი ცოდვილი სინაგოგის კუთხეში მიყუჟულიყო და ღვთის მოწყალებას ითხოვდა. იესომ თქვა, რომ ეს უკანასკნელი გამართლდა და არა „სრულყოფილი“ კანონდამცველი წინამძღოლი.

ამგვარი ლეგალური დამოკიდებულება მყარად არის ფესვგადგმული ქვეყნიერების სისტემაში, რადგან ყურადღებას ამახვილებს სტატუსზე, სიამაყესა და თვითკმაყოფილებაზე, რასაც თან სდევს საკუთარი თავისა და სხვებისთვის წესების ერთობლიობის შემუშავება. მას ღვთის ძალაზე დამოკიდებულების გზიდან გადავყავართ და აქცენტს საკუთარ თავზე გვაკეთებინებს. იგი ასევე ღვთის თანდასწრების თანმხლები სიხარულისგან გვძარცვავს.

ერთი ჩემი მეგობარი ბიზნესმენი ძალზე ნაყოფიერია დაღუპულ ადამიანებთან შრომის საქმეში. იგი ლეგალისტურ ეკლესიაში გაიზარდა, მაგრამ შემდეგში მისგან განთავისუფლდა. ერთხელ მან მითხრა: „ჯონ, ვფიქრობდი, რომ სიცილის ან სიხარულის მომგვრელი ნებისმიერი რამ ამ ქვეყნიერებისგან იყო და ეს მკაცრ აკრძალვას ექვემდებარებოდა“. მისი მწყემსი და სხვა წინამძღოლები ყურადღებას ადამიანის გარეგნულ ფორმაზე ამახვილებდნენ და არა გულის შინაგან მდგომარეობაზე. მის ეკლესიას თითქმის არავისზე ჰქონდა ზეგავლენა მათი ჯგუფის გარეთ. სამწუხაროა, რომ ამ ეკლესიის წინამძღოლები კარგად არ ისმენდნენ პავლეს სიტყვებს: „ღვთის სამეფო საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში“ (რომ. 14:17).

როცა სულიწმიდაში ვართ დიდი და ხანგრძლივი სიხარული გვაქვს. სიხარული დაღუპულთათვის მიმზიდველია, რადგან ქვეყნიერება მას არ ფლობს. იესო ყველა გულწრფელ ადამიანს იზიდავდა, საზოგადოებაში გამორჩეულ ცოდვილებსაც კი. ნებისმიერს, ვინც გადარჩენის დამსახურებას ან ქრისტეში ლეგალისტური სწავლებით ან მრწამსით გაზრდას ცდილობს, არ აქვს ნამდვილი სიხარული. ისინი თავიანთ პატარა სამყაროში ცხოვრობენ, რადგან იქ ადგილს არ აძლევენ ადამიანებს, ვინც მათსავით არ ფიქრობს.

კარგი იქნებოდა, ამ ბიზნესმენის ხელმძღვანელებს უფრო მეტად ეფიქრათ პავლეს სიტყვებზე სხვა წერილიდან:

> „თუ ქრისტესთან ერთად მოუკვდით წუთისოფლის სტიქიებს, წუთისოფელში მცხოვრებთა მსგავსად რაღად ემორჩილებით მათ: – ნუ მიეკარები, ნუ იგემებ, ნუ შეეხები, – და რადგან ეს ყველაფერი კაცთა დადგენილებებისა და მოძღვრების მიხედვითაა, მათ გამოყენებას ხრწნილება მოაქვს, ყოველივე ამას მხოლოდ გარეგანი სახე აქვს სიბრძნისა; თვითნებურ მსახურებასა და თავ-

> მდაბლობაში, და სხეულის დაძაბუნებით. სინამდვილეში კი ისინი ხელს არ უწყობენ *პიროვნების ბოროტი სურვილების ძლევას*". (კოლ. 2:20-23 NLT)

საინტერესოა, რომ პავლემ ღვთისმოსაობის ლეგალისტური წესები, თვითუარყოფა და სხეულის მკაცრი წვრთნა ამ ქვეყნიერების ძალებს მიაკუთვნა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღვირახსნილობა, სქესობრივი უზნეობა, მკვლელობა, ქურდობა, ლოთობა და ასე შემდეგ, ცოდვა არ არის. უბრალოდ, ეს ქვეყნიურობის განსხვავებული ფორმაა. ლეგალიზმის ტყვეობაში მყოფები ხშირად ვერც კი აცნობიერებენ, რომ მათ მიერ ასე მკაცრად ნაქადაგები განდგომა ქვეყნიერებისგან, სინამდვილეში იგივე სისტემას წარმოადგენს, რომლის ბორკილებშიც თავად იმყოფებიან.

პავლეს განაცხადის გასაღებს შემდეგ სიტყვებში ვპოულობთ: „პიროვნების ბოროტი სურვილების ძლევა". ლეგალიზმი ადამიანის გულს არ წმედს, ხოლო გული ქვეყნიერების სამიზნეა, რადგან ამქვეყნიური ძალები მის დასნებოვნებას ცდილობენ. სწორედ ამიტომ გვეუბნებიან: „ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან ის განსაზღვრავს შენი ცხოვრების მიმდინარეობას!" (იგ. 4:23 NLT).

იესო აცხადებს: „კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან სიკეთე გამოაქვს; ბოროტ კაცს ბოროტი საგანძურიდან ბოროტება გამოაქვს" (მათ. 12:35). იქ არის ყველაფერი, რასაც ვინახავთ და ძვირფასად მიგვაჩნია. გაიწმიდეთ გული და თქვენი გარეგნული ცხოვრებაც მოწესრიგდება იმის შესაბამისად, რასაც ღმერთი კარგს უწოდებს.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ქვეყნიერების ძალაუფლება გარეგნული კი არა, შინაგანია. ის შეეხება გულისა და გონების სურვილებს, მიზნებსა და მოტივებს. ეს ბრძოლის ველია. აი, სად არის გაშლილი ბადე. გულში იწყება ქვეყნიერებასთან მეგობრობა ანუ მრუშობა და საბოლოოდ, სრულ სახეს იღებს. ეს ისევე ადვილად ემართება ადამიანს, რომელიც იშვიათად ესწრება საეკლესიო მსახურებებს, როგორც რეგულარულად მოსიარულეს და მსახურებებში ჩართულს.

უფრო უკეთ რომ აღვიქვათ, თუ რას წარმოადგენს ქვეყნიერება და რას არა, ჩვენი ყურადღება *მეგობრობას* მივაპყროთ. როგორ ვუმეგობრდებით ქვეყნიერებას? როგორ ვიწყებთ მასთან მრუშობას? ეს იქნება ჩვენი მთავარი განსახილველი საკითხი მომდევნო თავში.

მადლმა მისი ბუნება მოგვცა, როცა სულის ხსნა მივიღეთ, მაგრამ იგი უფრო და უფრო მეტად გვ-ჭირდება ჩვენი ბუნების **გასაძლიერებლად,** რომ იესოს მსგავსად ცხოვრება შევძლოთ.

– ჯონ გევირი *„სიკეთე თუ ღმერთი?“*

„იმისთვის რომ **შევიცვლაოთ,** ღვთის თანდასწრება გვჭირდება!“

– ჯონ ბევირი „სიკეთე თუ ღმერთი?“

CÂU CHUYỆN
HÔN NHÂN
JOHN & LISA
BEVERE

იესოს მცნებების
დაცვის **სარგებელი**...

...მისი

თანდასწრების დაპირება გახლავთ.

– ჯონ ბევირი *„სიკეთე თუ ღმერთი?“*

კვლავ უნდა დავუბრუნდეთ **იესოს უფლობას,** *რომ* **ჯანსაღი საფუძველი** *გვქონდეს!*

– ჯონ ბევირი *„სიკეთე თუ ღმერთი?“*

იცხოვრე დიდხანს,
მისდიე სიწმინდეს
და წარმატებული იყავი შენს
ძალისხმევაში! თუ ასე მოიქცევი,
ცვლილებას მოიტანენ.

– ჯონ ბევირი „სიკეთე თუ ღმერთი?“

უყურეთ ვიდეო გაკვეთილებს, ჩამოტვირთეთ წიგნები მრავალ ენაზე:

CloudLibrary.org

მეგობრობა

„...მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს...“.
რომ. 5:10

„რასაც თქვენი გული მიეწებება და მიენდობა,
ის არის რეალურად თქვენი ღმერთი“.
მარტინ ლუთერი

მეგობრები. ყველას გვყავს ისინი და ვხარობთ მათით. როცა ყმაწვილი ვიყავი, ორი ახლო მეგობარი მყავდა, დენი და გლენი. თავისუფალი დროის მეტ ნაწილს მათთან ერთად ვატარებდი. ჩვენ სპორტით ვერთობოდით, ველოსიპედებით დავჯირითობდით, ვიკვლევდით, თამაშებს ვიგონებდით, ქალაქში ვსეირნობდით ან უბრალოდ, ვისხედით და ვლაპარაკობდით. ჩვენი საუბრები ყოველთვის ჩვენთვის საინტერესო თემების ირგვლივ ტრიალებდა: სხვა მეგობრები, გოგონები, სასწავლებელი, სოციალური მოვლენები, ფიზიკური ვარჯიში, მომავალი კარიერის გეგმები და უამრავი სხვა. ჩვენი მეგობრობა, შეიძლება ითქვას, ჯანსაღი იყო. ერთმანეთს ვამხნევებდით, რომ ვყოფილიყავით უკეთესები, უფრო ძლიერები, გონიერები და მიგვეღწია ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმისთვის. ერთმანეთს ვიცავდით, კეთილგანწყობილი ვიყავით, ერთმანეთს ვეხმარებოდით სიძნელეების გადალახვაში. მოკლედ რომ ვთქვა, ისინი ჩემი უსაყვარლესი მეგობრები იყვნენ, რომლებთან ყოფნაც მახარებდა.

თქვენს შესახებ რას იტყვით? იფიქრეთ ძველ მეგობრებზე! ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა არის თქვენი მეგობრობის მნიშვნელოვანი მხარეები? დარწმუნებული ვარ, გიხაროდათ ერთად ყოფნა, ერთმანეთთან ურთიერთობა და ერთმანეთის გაგება, საერთო ინტერესების გაზიარება. სიყვარული, ნდობა, პატივისცემა, იუმორი და ორმხრივი მიზიდულობა ასევე

არსებითია. რასაკვირველია, ბევრი სხვადასხვა კომპონენტი არსებობს ცალკეულ პიროვნებებთან მიმართებაში, მაგრამ ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რომ ერთად ყოფნა გვიხაროდეს.

წმ. წერილი მეგობრობას იწონებს. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მუხლია: „ნელსაცხებელი და საკმეველი გულს ახარებს, ხოლო მეგობრის რჩევა უფრო ტკბილია“ (იგ. 27:9). ჩვენ მარტოობისთვის არ ვართ შექმნილი; მეგობრული ურთიერთობები გვაძლიერებს. ეს იყო უმთავრესი ელემენტი, რაც ღვთის თავდაპირველ ქმნილებას აკლდა. უფალმა ღმერთმა განაცხადა: „არ არის კარგი კაცის მარტოობა“ (დაბ.2:18). ჩვენ მის ხატად ვართ შექმნილი, რაც მეგობრობის სურვილს და ამით გახარებასაც მოიცავს.

თუმცა მეორე მხარეც არსებობს. იესო, იაკობი და იოანე *არაკეთილგანწყობით* ლაპარაკობდნენ გარკვეული სახის მეგობრობაზე. ისევ მოვუსმინოთ მოციქულის სიტყვებს: „მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება!?“ (იაკ. 4:4). მისი ტონი არა მარტო უარყოფითია, არამედ პირდაპირი, უხეში და მკაცრი. დავსვათ კითხვა: რა არის ქვეყნიერებასთან დამეგობრების წინასწარი ნიშნები?

კლასიკური სასიყვარულო ისტორია

წინა თავში ვისწავლეთ, რომ სიტყვა „*ფილია*“ „დამეგობრებას“ ნიშნავს და მოიცავს „სხვა ადამიანის სიყვარულის და ანალოგიური განწყობის მიღების“ იდეას. *Encyclopedia of Bible Words* შემდეგში აცხადებს: „ბერძნულ სამყაროში კარგად იყო განვითარებული მეგობრობის იდეა. ფილია ... „ნაცნობობის“ ყველაზე ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რომელიც ასევე გულისხმობდა „პირადი სიახლოვის და ღრმა ურთიერთკავშირების ჩამოყალიბების აზრსაც“. არსებითად, იაკობი ხსენებულ მუხლში იყენებს სიტყვას, რომელიც მეგობრობის ფართო სპექტრს მოიცავს. ყველამ ვიცით, რომ ურთიერთობის სხვადასხვა დონეები არსებობს და იაკობის მიერ გამოყენებული სიტყვა მრავლისმომცველია. შედეგად, მეგობრობის სრული სპექტრი უშუალოდ ღალატს უკავშირდება.

ღვთის წინააღმდეგ ჩადენილი მრუშობა ცოტათი განსხვავდება დაოჯახებული მამაკაცის ღალატის სცენარისგან.

მოდი, განვიხილოთ ჩვეულებრივი ღალატისკენ გადადგმული ნაბიჯები! უმრავლეს შემთხვევაში, ქმარი და მისი საყვარელი საწოლისკენ არ მიემართებიან პირველივე შეხვედრაზე. ყველაფერი არშიყობის ეტაპით იწყება. ეს შეიძლება იყოს წინასწარგანზრახულიც და უნებლიეც.

აუცილებელია უბრალო შეხვედრა და ერთმანეთის გაცნობა სოციალური ქსელის მეშვეობით ან უშუალოდ. ნაპერწკალი გაცნობით წარმოიშობა. ხშირად მამაკაცის დაინტერესების უკან საკუთარ მეუღლესთან შეუმდგარი სქესობრივი ურთიერთობა იმალება. შედარებით მცირე შემთხვევებში დაინტერესებას მეტი ფიზიკური და ემოციური კავშირების ძიების სურვილი წარმოშობს. თავდაპირველი შეხვედრები უვნებელი ჩანს, მაგრამ ყოველი მომდევნო ურთიერთობის შემდეგ ორივე მხარის დაინტერესება იზრდება. საბოლოოდ, ისინი მობილურების ნომრებს და ელ. ფოსტის მისამართებს ცვლიან.

მიზიდულობა ძლიერდება, როცა მამაკაცი ქალს შეტყობინებებს და წერილებს უგზავნის, ურეკავს ან უბრალოდ „შეეჩეხება“. ეს მათი საუბრის დონეს აღრმავებს. ისინი ერთმანეთისკენ ისწრაფვიან, მაგრამ ამას არც ერთი არ აღიარებს. გამოუთქმელი მიზიდულობა ახლად ჩასახულ ურთიერთობას მეტად აღაგზნებს. ისინი კარგა ხანია გასცდნენ მეგობრობის დასაშვებ ზღვარს.

საბოლოოდ, დგება გეგმები კიდევ უფრო შორს მიმავალი ნაბიჯების შესახებ: კაფეში წასვლა, ერთად სადილობა, დათქმულ ადგილას შეხვედრა. როგორც წესი, ასეთ დროს მათი გრძნობები გამომჟღავნებას იწყებს.

კაცის გონებაში გამუდმებით ქალი ტრიალებს და მასთან ყოფნა წარმოუდგენლად სურს. იგი ოცნებობს და ცოლისა და მეგობრებისგან მალულად მასთან შეხვედრის გეგმებს ადგენს. მისი გული ცოლისკენ აღარ ისწრაფვის, არამედ – სასურველი ქალისკენ. ფაქტობრივად, ის ცოლთან ერთად აღარც არის, რადგან მისი აზრები და წარმოსახვა მუდამ საყვარელ ქალს დასტრიალებს. მხოლოდ დროის ამბავია, როდის დასრულდება ეს ყველაფერი ერთმანეთის გვერდით საწოლში აღმოჩენით.

როდის დაიწყო ეს? ეს დაიწყო შეუფერებელი აზრებით და საუბრებით ნაცნობობის გაბმის ეტაპზე. რა დროს გახდა იგი მრუში? მაშინ, როცა პირადი ინფორმაციები გაცვალეს თუ მაშინ, როცა ერთმანეთს მარტო შეხვდნენ? იქნებ მაშინ, როცა ერთმანეთს შეეხნენ? პირველი კოცნისას? თუ მაშინ, როცა გაიხადეს და სქესობრივი აქტი შეასრულეს?

ეს ყველაფერი ზემოჩამოთვლილზე გაცილებით ადრე დაიწყო. იესო ნათელს ჰფენს ამ საკითხს, როცა მეტყველად აცხადებს: „ნუ იფიქრებთ, რომ სიწმიდეს შეინარჩუნებთ, თუ საქმე საწოლამდე ჯერ არ მისულა! თქვენს შინაგანს გულისთქმა უფრო სწრაფად გახრწნის, ვიდრე თქვენს სხეულს“ (მათ. 5:28 The Message). გული ის ადგილია, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. გარეგანი ქმედებები გულის ზრახვებს მოჰყვება. მრუშობა მაშინ იწყება, როცა კაცს ქალის მიმართ გული გაუწევს – სადღაც *ნაცნობობის* ეტაპზე.

ქვეყნიერებასთან მეგობრობა

ქვეყნიერება ზუსტად ასე გვაშორებს ჩვენს „პირველ სიყვარულს“. იგი ინტერესთა თანხვედრით იწყება. სავიზიტო ბარათად გამოდგება იუმორი, სიამოვნება, კომფორტი, აღფრთოვანება, ინტრიგა, წარმატება ან ნებისმიერი მიმზიდველი რამ. ჩემ მიერ ახლახან გადმოცემული მაგალითისგან არაფრით განსხვავდება განვითარების საფეხურები. მაგალითად, ყველაფერი ნაცნობობის სტადიით იწყება მედიის საშუალებით ან უშუალოდ. ეს ხშირად მაშინ ხდება, როცა ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა ნაკლოვანებას განიცდის. ჩვენ დავკარგეთ მასთან ახლო მეგობრობისთვის დამახასიათებელი სიხარულის თრთოლა. მოზიარეობის დრო გამომშრალი და ფერგადასული გახდა. მეგობრობის შინაგანი მოთხოვნილება სხვისი ძიებისკენ გვიბიძგებს.

ქვეყნიერების მიზიდულობა მასთან ურთიერთობისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისად იზრდება. მალე ჩვენი აზრები და ემოციები ანკესზე ეგება. თუ პავლეს სიტყვებს გამოვიკვლევთ ორი სხვადასხვა ეკლესიის მიმართ, საჭირო გაფრთხილებას ვიპოვით, მისი გათვალისწინების შემთხვევაში თავს დავიცავთ ქვეყნიერებასთან მრუშობისგან:

> „ამრიგად, თუ ქრისტესთან ერთად აღსდექით, *ეძიეთ* რაც მაღლაა, სადაც ქრისტე ზის ღვთის მარჯვნივ! ზეციერზე *იფიქრეთ* და არა მიწიერზე!“. (კოლ. 3:1-2)

ყურადღებით წაიკითხეთ თუ არა მისი სიტყვები? თუ არა, კიდევ ერთხელ გადახედეთ და დახრილი შრიფტით გამოყოფილ ორ სიტყვას დაუკვირდით: *ეძიეთ* და *იფიქრეთ*. ჩვენი გონება იმაზე *ფიქრისკენ* არის მომართული, რასაც *ვეძებთ*.

სანამ განმარტებას გავაგრძელებდეთ, რომაელთა მიმართ წერილში პავლეს სიტყვებს დავუკვირდეთ. ისევ გვხვდება სიტყვა *ფიქრი*:

> „ვინაიდან ისინი, რომლებიც ხორციელად არიან, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად არიან, სულიერზე. რადგან ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები – სიცოცხლე და მშვიდობა. იმიტომ, რომ ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა; ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს და არც შეუძლია". (რომ. 8:5-7)

საინტერესოა, სიტყვა *„მტრობის"* აღნიშვნა. ეს გახლავთ ზუსტად ის ბერძნული სიტყვა *„ეხთრა"*, რომელიც იაკ.4:4-შია გამოყენებული. სტრონგის ლექსიკონში იგი ასე განისაზღვრება: „მტრული დამოკიდებულება ... მიზეზი წინააღმდეგობისთვის". პავლე ისევ მორწმუნეს მიმართავს, რომელსაც ქვყენიერებასთან კავშირი აქვს.

მრუშობის ჩადენისგან მარტო ლიზას მიმართ სიყვარული კი არ მიცავს, ასევე ჩემი სურვილი, რომ მისი რისხვა არ დავინახო. ამ დროს მისი მტრობის სამიზნე ვხდები. არ მინდა, რომ საყვარელი პიროვნება ჩემს მიმართ მტრობას, რისხვას და იმედგაცრუებას გამოხატავდეს. და მაინც, ეს უსუსური შედარებაა იმასთან, რაზეც პავლე და იაკობი ლაპარაკობენ. არც ერთ საღად მოაზროვნე ქრისტიანს არ მოუნდება ღვთის მტრობის წინაშე აღმოჩენა (გახსოვდეთ, რომ იაკობი და პავლე მორწმუნეებს ელაპარაკებიან)!

თუ კიდევ უფრო მეტი მაგალითი გჭირდებათ, ახალ აღთქმაში იხილეთ იესოს შენიშვნები ეკლესიების მიმართ გამოცხადების წიგნიდან! ესენი რეალური ეკლესიები იყვნენ ხელახლა შობილი ქრისტიანებით. იგი ერთ-ერთ ეკლესიას, რომელიც ურთიერთობებში დათმობაზე წავიდა, სასანთლის გადაწევით დაემუქრა, რაც იყო მათი სინათლე (იხ. გამოცხ.2:5). მეორე ეკლესია გაფრთხილებულ იქნა, რომ ღმერთი „შეერკინებოდა" (იხ. გამოცხ.2:16). სხვა ეკლესიას „სარეცელი" და „შავი დღე" ელოდა (იხ. გამოცხ. 2:22). კიდევ ერთი გაფრთხილებულ იქნა, რომ მასთან „მოვიდოდა, როგორც ქურდი" (იხ. გამოცხ. 3:3), ხოლო მეორეს პირიდან „ამოანთხევდა" (გამოცხ. 3:16). დასკვნა ასეთია: სჯობს არ შეეჩეხო ღვთის მტრობას!

რომ. 8:5-ში არის ფრაზა: „ხორციელზე ფიქრობენ“. საკვანძო სიტყვა გახლავთ *ფიქრობენ*. მოდი, ეს სიტყვა განვიხილოთ! დავუშვათ, ზამთარია და სახლის თერმოსტატი დაყენებულია ფარენჰეიტით 70 გრადუსზე (21 გრადუსი ცელსიუსით). გარეთ ტემპერატურა გახლავთ –5 გრადუსი (–15 ცელსიუსით). თქვენი ოჯახის ერთ-ერთი წევრი სხვაგან მიდის და სიჩქარეში კარს მჭიდროდ არ ხურავს. იგი წავიდა და ერთი წუთის შემდეგ ქარმა კარი სრულიად გააღო. თქვენ სახლის მეორე ნაწილში ხართ და მალე ხვდებით, რომ ტემპერატურა საკმაოდ დაეცა. მიზეზის ძიებას წინა კართან მიჰყავხართ, რომელიც ღია გვხდებათ და იქედან გამჭოლი, ცივი ჰაერი შემოდის. თქვენ სასწრაფოდ ხურავთ კარს, მაგრამ ამ დროისთვის სახლის ტემპერატურა უკვე 60 გრადუსზე (15 გრადუსი ცელსიუსით) დაბლა ჩამოვიდა. მაშ რა ხდება? როცა ტემპერატურა დაბლა იწევს, თერმოსტატი ღუმელს რთავს, სანამ სახლში წინასწარ დაყენებული ტემპერატურული რეჟიმი არ აღდგება. თქვენი ჩარევა საჭირო სულაც არ არის, რომ სახლში პირვანდელი სითბო დატრიალდეს.

მოდი, დავუბრუნდეთ იმ კაცის მაგალითს, რომელმაც მრუშობა ჩაიდინა! წლების წინ, როცა თავის მომავალ ცოლს ეარშიყებოდა, მისი გრძნობები და სურვილები ამ ქალისკენ იყო მიმართული. იგი მასთან ყოფნაზე, მასთან სიახლოვეზე ოცნებობდა და საბოლოოდ, მისთვის ხელის თხოვნას აპირებდა. ეს ქალი აგონდებოდა გაღვიძებისას, სამუშაოზე, ქუჩის საცობებში, განსაკუთრებით კი, ღამით, საწოლში. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მისი გონება დაკავებული არ იყო რაიმე კონკრეტული მიზნით, ყოველთვის იმ საფიქრალს უბრუნდებოდა, რაზეც მომართული იყო – ქალს.

მისი მეგობრები ხედავდნენ, რომ დროგამოშვებით იგი საუბარს ეთიშებოდა. ეუბნებოდნენ კიდეც: „ეი, რა გჭირს, რა გემართება?!

შეცბუნებული კაცი სხვათა შორის პასუხობდა: „მაპატიეთ, ბიჭებო! თავში იმდენი რამ მიტრიალებს!“ იგი სიმართლის თქმას ერიდებოდა, რომ მეგობრებს არ გამოეჭირათ და არ ელაპარაკათ, ქალზე ფიქრობსო. მისი ფიქრები ერთი მიზნისკენ იყო მომართული.

წლები გავიდა ნიშნობის, ქორწილის, რამდენიმე ბავშვის დაბადების შემდეგ და კაცმა აღმოაჩინა, რომ იმრუშა და სხვა ქალი საყვარლად გაიხადა. ყველაფერი ანალოგიურად წარიმართა. თავში ყოველთვის საყვარელი უტრიალებდა. როცა რაი-

მეზე ფიქრი საჭირო არ იყო, აზრები კვლავ იმ პიროვნებას უბრუნდებოდა, რომლითაც გონება იყო მომართული. ცოლის გვერდით ყოფნაც კი არ უშლიდა ხელს საყვარელზე ფიქრში. მას ენატრებოდა და მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა, რადგან მისი გონება ამით იყო მართული. ისევე როგორც თერმოსტატი ავტომატურად აღადგენს იმ ტემპერატურულ რეჟიმს, რომელზეც დააყენეს, კაცის გონებაც ავტომატურად უბრუნდებოდა საყვარელ ქალზე ფიქრს, რადგან ამაზე იყო დაყენებული.

როგორ უკავშირდება ეს მორწმუნე ადამიანს? როცა თავდაპირველად გადარჩენა მივიღეთ, სიყვარული გვავსებდა. იესოზე ვფიქრობდით გაღვიძებისას, საუზმისას, მანქანაში, სამსახურში, სადილობისას, სამუშაოს შემდეგ, მარტო ყოფნისას და განსაკუთრებით, ღამით. ვესწრაფოდით სულიწმიდასთან მოზიარეობას. დიდი მოლოდინით ვესწრებოდით საეკლესიო მსახურებებს, ყველას ვუზიარებდით იესოს შესახებ ან თანამოძმე ქრისტიანებს ღვთიურ გზებზე ველაპარაკებოდით. ერთი სიტყვით, იესო იპყრობდა ჩვენს აზრებს და ემოციებიც ყოველთვის მისკენ იყო მიმართული.

დრო გავიდა. მივეჩვიეთ ეკლესიის მსახურებებზე სიარულს, მისი თანდასწრების განცდას, მის თაყვანისცემას და სიტყვის მოსმენას. ახლა ფიზიკურად იქ ვართ, მაგრამ შინაგანად – სხვაგან. ჩვენი აზრები ადვილად მიმოქრის საყვარელი გუნდის თამაშს, მახლობელ მაღაზიაში საყიდლებზე წასვლას, ახლო მომავალში აღსანიშნავ საზეიმო თარიღს, სამსახურში სასწრაფოდ მოსაგვარებელ საქმეს, ახლობელთან მიპატიჟებასა და უამრავ სხვა საგანს შორის. რა მოხდა? ჩვენმა გონებამ სხვა მიმართულება აიღო თუ იქეთკენ მიდის, საითაც მომართულია, რასაც გულით და დაშურებით ვეძებთ? უნებლიეთ სხვა საყვარლები ხომ არ გავიჩინეთ?

ჩემი ამბავი

ნება მიბოძეთ, ჩემი ისტორია გაგიზიაროთ! პერდიუს უნივერსიტეტში სწავლისას, მეორე კურსზე ვიყავი, როცა ჩვენი სტუდენტური საძმოს ორი წარმომადგენელი ჩემს ოთახში შემოვიდა და „კამპუს კრუსეიდის“ ოთხი სულიერი კანონი გამიზიარა. სულიერი თვალები ამეხილა და ჩემი ცხოვრება იესოს მივუძღვენი. არასდროს არ ვყოფილვარ ღვთისთვის ასე ანთებული. იგი ისე რეალური იყო და მეც მთელი გულით შევიყვარე. მეტად მადლიერი ვიყავი იმ თავისუფლების გამო,

რომელიც მან მომცა. ყველას ვუზიარებდი მის შესახებ, ვისაც მოსმენის სურვილი ჰქონდა და ვისაც არ ჰქონდა. ჩვენი საძმოს ბიჭებმა გამაშავეს (ძმობიდან გარიცხვას მიპირებდნენ), რადგან ადამიანებს იესოზე ველაპარაკებოდი ყველა ჩვენს საღამოზე.

საძმოს რამდენიმე შვილობილი გოგონა ჰყავდა, რომელთაც „პატარა დებს“ ვეძახდით. მათგან ორნი ბიოლოგიური დები იყვნენ და 60 ბიჭიდან თითქმის ნახევართან ეძინათ. თუ რომელიმე ძმათაგანს სექსი მოუნდებოდა, იცოდა, რომ ეს გოგონები სწრაფად და ადვილად ხელმისაწვდომი იყვნენ.

რამდენიმე ჩვენგანმა გოგონებიდან ერთ-ერთი იესოსთან მიიყვანა. ოცდაოთხი საათის განმავლობაში მან მეორე დაც მოიყვანა უფალთან. მათი ადრინდელი საქციელის უმსგავსობაზე არაფერი გვითქვამს, მაგრამ მაშინვე შეწყვიტეს სქეოსბრივი კავშირები საძმოს ბიჭებთან. ნაცვლად ამისა, უფლის შესახებ უმოწმებდნენ მათ, ვისთანაც ადრე წვებოდნენ. საძმოს წევრები გადაირივნენ. მე ამ საქმის მოთავედ ვითვლებოდი, რადგან იმ დროისთვის მთელი კამპუსის ბიბლიურ სწავლებას ვუძღვებოდი ჩვენი საძმოს სახლში.

ბოლოს, ჩემთან ვიცე-პრეზიდენტი მოვიდა და მითხრა: „ჯონ, შენს გაშავებას ვაპირებთ!“ შემდეგ ზუსტად ეს სიტყვები დაამატა: „რატომ არ შეგიძლია ამ საძმოს სხვა ქრისტიანებივით მოიქცე?“ ის იმ ბიჭებზე ლაპარაკობდა, რომლებიც კვირაობით ეკლესიის მსახურებებს ესწრებოდნენ, მაგრამ თავიანთ შეყვარებულებთან სცოდავდნენ, თვრებოდნენ ჩვენს საღამოებზე და არც სხვა უგვანო საქმეებზე ამბობდნენ უარს, რაც ჩვენს სტუდენტურ სახლში ნორმალურად ითვლებოდა.

რთული დრო დამიდგა, მაგრამ ჩვენი საძმოს რიგით მეორე წინამძღოლის მუქარის მიუხედავად, ვერ გამაძევეს. საინტერესოა, რომ ვერ მოაგროვეს საკმარისი ხმები ჩემს გასაშავებად. საკმაოდ ბევრი ადამიანი მოვიყვანეთ ქრისტესთან და მათ მხარი დამიჭირეს.

იესოსთან შეხვედრისა და მისი შეყვარებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საფეხბურთო სეზონი დაიწყო. ახლა უნივერსიტეტის დასრულებამდე ერთი წელი მრჩებოდა. წინა წლებში ამ თამაშების სეზონური ბილეთები უკვე შეძენილი მქონდა. ორი წლის განმავლობაში არც ერთი თამაში არ გამიცდენია, მაგრამ ამჯერად იესოთი ისე ვიყავი აღტაცებული, რომ მატჩებზე წასვლის ნაცვლად ბიბლიას ვსწავლობდი. საძმოს სახლში სიწყნარე იყო, რადგან ყველა ბიჭი თამაშს ესწრებოდა. ეს გახ-

ლდათ ლოცვისა და ღმერთთან მოზიარეობის დიდებული დრო. ჩემთვის არავის უთქვამს: „ფეხბურთის თამაშზე არ უნდა წახვიდე!“ არასოდეს მიფიქრია, რომ თამაშზე დასწრებაში რაიმე არასწორი იყო. ფაქტობრივად, მომდევნო წელს ბევრ მატჩზე წავედი. იმ წელს კი არსად წავსულვარ, რადგან ეს ღმერთთან ყოფნის შესაძლებლობა იყო. ძალიან მინდოდა მისი გაცნობა. ჩემი გონება ზემოთ ნათქვამი ამბებით იყო დაკავებული.

იმ დროისთვის, როცა პერდიუს უნივერსიტეტი მანქანათმშენებელი ინჟინრის დიპლომით დავასრულე, ჩვენი საძმოს ბევრმა წევრმა და სხვა სტუდენტებმაც გაიცნეს უფალი ჩემი მომავალი მეუღლის ჩათვლით. ლიზა კამპუსის ერთ-ერთ ყველაზე მაგარ გოგოდ ითვლებოდა. იესოს მიმართ ჩემი დაჟინებული სიყვარული გადამდები იყო. ამიტომ ადამიანებს ან ვუყვარდი, ან ვძულდი. აქ შუალედი არ არსებობდა: თუ ჯონ ბივერს შეხვდებოდით, მალევე დაადგენდით, რაზე იყო მომართული მისი გონება და გული, რადგან უფლის სიყვარული ჩემგან იღვრებოდა. არაფრით განვსხვავდებოდი სპორტული გუნდის თავგადაკლული ფანის ან გოგოზე ყურებამდე შეყვარებული ბიჭისგან.

დალასში გადავედი, ტექსასის შტატში. ექვსი თვის შემდეგ ლიზაც დალასში გადმოვიდა და მალევე დავქორწინდით. მაშინ Rockwell International-ში ინჟინრად ვმუშაობდი. კიდევ ერთხელ შევეჩეხე ბიჭებს, რომლებსაც იესოსადმი ჩემი სიყვარული არ მოსწონდათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მეტისმეტად გულწრფელი ვიყავი და არ შეეძლოთ გაგება, რატომ არ ვმონაწილებდი მათ უხამს იუმორში, მიუღებელ დისკუსიებსა და სამუშაოს შემდგომ სასიმოვნო დროსტარებაში. თუმცა ჩვენ პროფესიონალურ გარემოში ვიმყოფებოდით და ჩემს შეხედულებებს მეტი შემწყნარებლობით ეკიდებოდნენ, ვიდრე სტუდენტურ საძმოში.

ოცდაორი თვის შემდეგ ჩვენი ეკლესიის შტატში მუშაობა შემომთავაზეს. ეს ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი, ცნობილი და საერთაშორისო გავლენის მქონე ეკლესია გახლდათ. ეკლესიას 400-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდა მსახურების მხარდასაჭერად და იქ მუშაობის დაწყება ჩემთვის მეტისმეტად არარეალური იყო. მეჩვენებოდა, რომ ჩემს ცხოვრებაში მეორე საუკეთესო რამ მოვიდა ზეციდან! ვფიქრობდი, რომ ჩემი დევნა დამთავრდა, რადგან ახლა ქრისტიანებთან ვიმუშავებდი. მეტად აღარ დამჭირდებოდა ადრინდელი, მძაფრი ბრძოლების გამართვა, რომლებიც სტუდენტურ საძმოსა და Rockwell International-ში მქონდა.

„დალასის კოვბოები“ იმ დროისთვის ეროვნული საფეხბურთო ლიგის საუკეთესო გუნდად ითვლებოდა. გამოგიტყდებით, რომ მისი დიდი ფანი არ ვყოფილვარ, რადგან მიჩიგანში გავიზარდე, მაგრამ თანამშრომლები ყოველ ორშაბათს „კოვბოებზე“ ლაპარაკობდნენ. ისინი ყავის ფინჯნებით იკრიბებოდნენ და აღტაცებით იხსენებდნენ წინა დღის თამაშის სტატისტიკას, კარგ მომენტებს და გამარჯვებას თუ დამარცხებას.

ცნობისმოყვარეობის გამო მეც დავიწყე ტელევიზიით „კოვბოების“ თამაშის ყურება. თავდაპირველად მატჩის ერთ ან ორ მეოთხედს ვუყურებდი. მომწონდა „კოვბოების“ საინტერესო თამაში. ამას კიდევ ერთი სარგებელი ემატებოდა: ეკლესიის ოფისის ბიჭებთან ინტელექტუალურ მსჯელობაში ჩაბმის შესაძლებლობა მეძლეოდა.

ერთი შეხედვით, ყველაფერი უმანკოდ და უვნებლად გამოიყურებოდა. გარკვეული დროის შემდეგ „კოვბოების“ მიმართ ჩემი ინტერესი გაძლიერდა და მთლიანი მატჩების ყურება დავიწყე. აღმოვაჩინე, რომ ტელევიზორის წინ დიდი მონდომებით ვლაპარაკობდი, ტაშს ვუკრავდი და ზოგჯერ სპორტსმენებს ვუყვიროდი კიდეც. საბოლოოდ, იქამდე მივედი, რომ არათუ ერთ თამაშს, მის ერთ ნაწილსაც კი არ ვტოვებდი. მე და ჩემი თანამშრომლები სეზონის დასრულების შემდეგაც ვაგრძელებდით საუბრებს დრაფტზე და „კოვბოების“ მომდევნო წლის დიდებულ თამაშზე. საკმაოდ ხშირად ვფიქრობდი გუნდზე, მაშინაც კი, როცა ბიჭებთან ერთად მატჩის სტატისტიკას არ განვიხილავდით. ერთი სიტყვით, თავგამოდებული ფანი გავხდი.

როგორც კი მომდევნო სეზონი დგებოდა, აღტაცება მიპყრობდა. ყოველ კვირას, მსახურების შემდეგ სახლისკენ მივიჩქაროდი, რომ ტელევიზორს მივვარდნილიყავი. ზოგჯერ საეკლესიო სამოსის გამოცვლაც კი მავიწყდებოდა. ეკრანს ვეწებებოდი მიუხედავად იმისა, რომ მოუხერხებელი ტანსაცმელი მეცვა (პიჯაკი და ჰალსტუხი) და შხაპიც არ მიმეღო. ერთი თამაშის გაცდენაც კი არ მინდოდა.

მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ ჩემს ოთახში ავდიოდი და ვიცვლიდი. თუ ლიზას ჩემი დახმარება სჭირდებოდა, თხოვნა ამაო იყო – „ძვირფასო, ხომ იცი, რომ კოვბოები თამაშობენ!“ სადილს მატჩის შუაში ან უფრო ხშირად, მატჩის შემდეგ მივირთმევდით – თამაშის დროს ჭამა გამორიცხული იყო.

ახლა უკვე ყველა სტატისტიკური მაჩვენებელი ვიცოდი. მათ გულმოდგინედ ვიკვლევდი და გამუდმებით იმაზე

ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა „კოვბოებს“ უკეთ გაეკეთებინათ. სამუშაოზე პირველი ვიყავი, ვინც ამ თემაზე საუბრებს წარმართავდა. ვტრაბახობდი სხვადასხვა ფეხბურთელთა საუცხოო გამოსვლით თამაშის დღეს. საუბრები მარტო ორშაბათობით კი არა, მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ზოგიერთებს ჩემს ეკლესიაში სეზონის აბონემენტი ჰქონდა და მეც მატჩზე დასასწრებად ყველა მიპატიჟებას ვეჭიდებოდი.

მოდი, მომდევნო პერიოდზე გადავიდეთ! ერთი წლის შემდეგ, ცოტა ადრე რაღაც საკითხზე ვილოცე, რომელიც საკმაოდ მარტივი და უმნიშვნელო მეჩვენებოდა. და მაინც, ვერ გავაცნობიერე, რომ ეს ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა. ჩემი ლოცვა ასეთი გახლდათ: „უფალო, გთხოვ, გაწმიდო ჩემი გული. მინდა ვიყო წმიდა, შენთვის გამოყოფილი, რომ ნებისმიერი რამ, რაც შენ არ მოგწონს ჩემი ცხოვრებიდან, იყოს გამოვლენილი და მოშორებული!“. წარმოდგენა არ მქონდა ამ ლოცვის შედეგების მასშტაბსა და იმაზე, თუ რა უნდა გამოვლენილიყო.

საფეხბურთო სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. პლეიოფის ჯერი დგებოდა. ეს გადამწყვეტი თამაშის დღე იყო. „კოვბოები“ „ფილადელფიის არწივებს“ ეთამაშებოდნენ. გამარჯვებული პლეიოფზე გავიდოდა, ხოლო დამარცხებული ასპარეზობას ეთიშებოდა. ტელევიზორს მივეკარი, მაგრამ ტახტზე კი არ ვიჯექი, ფეხზე ვიდექი. თამაში მეტად მნიშვნელოვანი იყო დასაჯდომად. ბოლო მეოთხედი მიმდინარეობდა და თამაშის დასრულებას 8 წუთი აკლდა. „კოვბოები“ მეტოქეს ოთხი ქულით ჩამორჩებოდნენ და გამთამაშებელს გუნდი დაუნისკენ მიჰყავდა მოედანზე. ახლა ეპიზოდებს შორის იატაკზე სიარული დავიწყე და ცუდი ჩაწოდების გამო იმედგაცრუებული ვყვიროდი ან კარგი თამაშისას მეტისმეტი სიხარული მიპყრობდა. ეს მოლოდინი ამაღელვებელი იყო.

მოულოდნელად, ვერც კი შევნიშნე ისე, სულიწმიდამ ლოცვისკენ მომიწოდა. გადაუდებელმა საჭიროებამ მომიცვა: *ლოცვა, ლოცვა, ლოცვა*! ეს ტვირთი გახლდათ, ძლიერი და მძიმე გრძნობა, რომელიც ჩემს გულს ავსებდა. გავაცნობიერე, რომ ლოცვის ასეთი მოწოდება მაშინ ხდება, როცა სულიწმიდას სურს, ყველაფერს გამოეთიშო და ილოცო.

ლიზა ახლოს არ იმყოფებოდა, ამიტომ ხმამაღლა წამოვიძახე: „უფალო, მხოლოდ რვა წუთი დარჩა შეხვედრის დასრულებამდე! ვილოცებ, როცა დამთავრდება!“ შინაგანი საჭიროება შესუსტების ნაცვლად უფრო მძაფრდებოდა.

რამდენიმე წუთი გავიდა. შვების მოლოდინში წამოვიყვირე: „უფალო, ხუთ საათს ვილოცებ თამაშის დამთავრების შემდეგ, მხოლოდ ექვსი წუთი დარჩა!“

გუნდს ბურთი დაუნისკენ მიჰქონდა. ვიცოდი, რომ ისინი დაბრუნდებოდნენ და ამ მნიშვნელოვან თამაშს მოიგებდნენ. მიუხედავად ამისა, ლოცვის საჭიროების სიმძიმე არ მშორდებოდა. ფაქტობრივად, ის კიდევ უფრო გაძლიერდა. იმედი გამიცრუვდა. არ მინდოდა თამაშს მოვშორებოდი. ხმამაღლა წარმოვთქვი: „უფალო, ვილოცებ დარჩენილი დღის განმავლობაში, მთელი ღამითაც ვილოცებ, თუ ასეთია შენი ნება!“

თამაშს ბოლომდე ვუყურე. „კოვბოებმა“ გაიმარჯვეს და სტადიონი აღტაცებამ მოიცვა. ბრბოს ზეიმს მეც შევუერთდი. მახსოვდა, რომ ღმერთს ლოცვას შევპირდი. ტელევიზორი სასწრაფოდ გამოვრთე, კიბეებით მეორე სართულზე ავედი ჩემს კაბინეტში, კარი გამოვიხურე და ხალიჩაზე დავიჩოქე ლოცვისთვის, მაგრამ გულში სიმძიმეს აღარ ვგრძნობდი. ტვირთი გაქრა. მცირეოდენი შეგრძნებაც კი არ დარჩა. სრულიად აღარაფერი იყო.

შევეცადე ჩემით გამომეწვია ლოცვა, მაგრამ მხოლოდ მშრალი და მკვდარი სიტყვები ამომდიოდა. დიდი ხანი არ დამჭირვებია იმის მისახვედრად, თუ რა მოხდა. თავი ხალიჩას დავადე და ამოვიკვნესე: „ღმერთო, ჩემთვის ვინმეს რომ ეკითხა: „ვინ უფრო მნიშვნელოვანია შენთვის – ღმერთი თუ „დალასის კოვბოები?“, უყოყმანოდ ვუპასუხებდი: „რასაკვირველია, ღმერთი!“ ახლა ვაჩვენე, ვინ უფრო მნიშვნელოვანი იყო. შენ მე გჭირდებოდი, მე კი ფეხბურთის მატჩი ვამჯობინე. გთხოვ, მაპატიე!“

მაშინვე გავიგონე გულში: „შვილო, არ მჭირდება ხუთსაათიანი ლოცვის მსხვერპლი! მე შენი მორჩილება მჭირდება!“

გაყოფილი ერთგულება

მწუხარებამ ამავსო ჩემი ორგულობის გამო იმის მიმართ, ვინც ჩემთვის სიცოცხლე გაწირა. ეს ყველაფერი ეხებოდა რაღაც ამქვეყნიურს – რა კვებავს იმ ადამიანთა გულებს, სამშვინველსა და აზრებს, რომელთაც სიცოცხლის სხვა წყარო არ გააჩნიათ? ჩემი გრძნობები აშკარად ფეხბურთის გუნდს ეკუთვნოდა.

ამის გათვალისწინებით, ისევ გადავხედოთ იაკობის სიტყვებს:

„მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?! ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება! „შურს იწვევს ჩვენში დავანებული სულის წადილი“ – ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი?! თუმცა, უფრო მეტ მადლსაც იძლევა; ამიტომაც ამბობს: „ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს“. ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, წინ აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან. ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ. დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განიწმიდეთ გულები, ორგულნო!“ (იაკ. 4:4-5,8)

ჩემი გული გაიყო. ერთგულება მიღებული გადაწყვეტილებებით ფასდება და არა წარმოთქმული სიტყვებით. უამრავი კაცი და ქალი ამტკიცებს თავის ერთგულებას, მაგრამ მათი მოქმედებები საპირისპიროზე მეტყველებს. ამიტომ ხომ არ ამბობს ღმერთი: „ბევრს მოაქვს თავი ერთგულ ადამიანად, მაგრამ სანდო კაცს ვინ იპოვის?“ (იგ. 20:6).

ამ შემთხვევამდე სრული დარწმუნებით ვიტყოდი: „იესო ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს ცხოვრებაში, ვიდრე სხვა ვინმე ან რამე!“ თუმცა ჩემმა არჩევანმა საწინააღმდეგო გამოავლინა. საქმეები უფრო ხმამაღლა მეტყველებს, ვიდრე ჩვენი სიტყვები.

იოანე მოციქული იგ. 20:6-ის ახალაღთქმისეულ ვერსიას გვთავაზობს: „შვილებო, გვიყვარდეთ არა სიტყვით და არა ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით!“ (1 იოან. 3:18). ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობდა, რომ „დალასის კოვბოები“ ჩემი პირველი სიყვარულის ადგილს იკავებდა. მე ვუბიძგე ჩემში დამკვიდრებულ სულიწმიდას, რომ ეეჭვიანა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული სიტყვები წაკითხული მქონდა, თვალები დავიბრმავე, რომ არ დამენახა. ღმერთმა წყალობა გამოიჩინა და ჩემს შეცოდმაზე მიმითითა.

იაკობი ასევე წერს:

„შვილებო, დაიცავით თქვენი თავი კერპთაგან, რომლებიც ღვთისადგილსიკავებენთქვენსგულებში!“ (1იოან.5:21NLT)

ამაზე იაკობი კი არა, იესოს საყვარელი მოწაფე, იოანე გვაფრთხილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამ გრძელი წერილის ბოლო სიტყვებია. იმ დღეებში მოციქულებს არ შეეძლოთ

მათი საყვარელი ადამიანებისთვის დაერეკათ, შეტყობინება გაეგზავნათ, ფეისბუქით ან ღამის ფოსტით მიეწერათ. წერილები იშვიათი იყო და ადრესატამდე მათ მიტანას დიდი დრო სჭირდებოდა. თუ თქვენ სულიწმიდისგან შთაგონებულ წერილს გზავნიდით, აუცილებლად მიაწერდით ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას.

პავლეც უერთდება იაკობსა და იოანეს და გვაფრთხილებს, რომ ქვეყნიერებას არ მივცეთ ის ადგილი, რომელიც იესოსადმი ერთგულებას უნდა ეკავოს. იგი ამბობს:

> „არ შეგიძლიათ უფლის სუფრასაც ეზიაროთ ერთ დღეს და ეშმაკთა სუფრასაც – მეორე დღეს! ნუთუ ვბედავთ უფლის გამოწვევას? მას მთლიანად ვუნდივართ – ყველაფერი ან არაფერი. ნუთუ გგონიათ რომ ამაზე ნაკლებით გამოძვრებით? ერთი მხრივ შეიძლება თქვათ: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის ღვთის წყალობისა და მადლის გამო და ხომ ვერ გავაანალიზებ და ჩავუკვირდები ყოველ მოქმედებას, უფლისთვის მისაღებია თუ არა?“ აქ მთავარი როგორმე გაძვრომა კი არა არის, არამედ სწორად ცხოვრება...“. (1კორ. 10:21-24 The Message)

ვთრთი ამ მუხლების კითხვისას. ისინი ძალიან კარგად ერგებიან დღევანდელობას. ასევე მომწონს ჩვეულებრივი თარგმანიც: „ნუთუ ვბედავთ უფლის გამოწვევას? განა მასზე ძლიერები ვართ? ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“ (მმ. 22-23). კიდევ ერთხელ ვისმენთ, როგორ ეჭვიანობს ღმერთი ჩვენს გამო.

ფეხბურთი უგულებელვყოთ?

ახლა შეიძლება წარმოიშვას კითხვა, ნუთუ აღარ უნდა ვუყურო სპორტულ თამაშებს? არაფერს არ უნდა გავეკარო, რასაც ქვეყნიერება მთავაზობს? თუ ასეა, როგორ უნდა ვიცხოვრო და ვიმოქმედო ამ ქვეყანაზე?

ნება მიბოძეთ, პასუხი ამგვარად ჩამოვაყალიბო! მე, როგორც დაოჯახებულმა მამაკაცმა, უნდა გავწყვიტო თუ არა კონტაქტი ყველა ქალთან ჩემი ცოლის გარდა? პასუხია: „არა“. მე გამუდმებით ვიმყოფები ქალების წრეში. თვითმფრინავში მათთან ერთად ვზივარ და ახლა, როცა ამ წიგნს ვბეჭდავ, ქალბატონი ზის ჩემს გვერდით ფრენისას. ქალებთან ერთად ვმუშაობ. მათთან ურთიერთობა მიწევს ბევრ ადგილას და გარემოებაში.

ცოლიანი მამაკაცი ვარ, მაგრამ ვცდილობ მეგობრული ვიყო ქალების მიმართ, რადგან ბევრი მათგანი მამაკაცთა მხრიდან უხეშობასა და ძალადობას აწყდება. ძალიან ხშირად, ქალები ხორცის ნაჭრამდე არიან დამცირებული, რომ მამაკაცთა გულისთქმები დააკმაყოფილონ ან მათ მამაკაცთა თანასწორად არ აღიქვამენ. ეს მაცოფებს, რადგან ვიცი, რომ ღმერთმა როგორც კაცი, ისე ქალი მის ხატად შექმნა. იგი ნიჭებით აჯილდოვებს კაცებსაც და ქალებსაც. იგი ქრისტეს აზრს ერთნაირად აძლევს მასთან აღთქმაში მყოფ მამაკაცებსა და ქალებს. უფალი მიკერძოებული არ არის, რომ მამაკაცი ქალს ამჯობინოს და ჩვენ რატომ უნდა მოვიქცეთ სხვაგვარად ეკლესიაში?

და მაინც, მე სიფრთხილეს ვიჩენ, რომ ჩემი გული და თბილი გრძნობები არ გამოვამჟღავნო რომელიმე ქალთან რომანტიკული ან შეუფერებელი გზით. მე აღთქმა დავდე ლიზასთან. როცა მასზე დავქორწინდი, ამ პლანეტის ყველა ქალს დავემშვიდობე სასიყვარულო ურთიერთობის თვალსაზრისით. ამრიგად, დანარჩენ ქალებთან ურთიერთობის მართებული გზა გამაჩნია.

მოდი, ეს მაგალითი ქვეყნიერებასთან მეგობრობას შევადაროთ! ისევ მომწონს ფეხბურთის ყურება, მხოლოდ ახლა დიდი ინტერესით არ ვარ ჩართული, რომ მთელ თამაშს ვუყურო. ის დაჟინება გაქრა, რომელიც წლების წინ მქონდა, როცა ჩემი გონება „კოვბოებისკენ“ იყო მიმართული. ჩემი გრძნობები უფლის სურვილების შესრულებას ესწრაფვის. ოჯახის სიყვარული და მასზე ზრუნვა, სხვების დახმარება, მსახურების გაწევა და ღვთის სიბრძნისა და რჩევის მიყოლა ის სფეროებია, რომლებიც მთელს ჩემს ყურადღებას და გრძნობებს იპყრობს.

იყო დრო, როცა რაღაც საგნები არასწორ ადგილს იკავებდნენ ჩემს ცხოვრებაში? რა თქმა უნდა! თუმცა სულიწმიდას ვთხოვე და იგი დამეხმარა მათ ამოცნობაში. გოლფი, საკვები, კინოები და მსახურებაც კი შედის იმ ჩამონათვალში, რომელთა მოგვარება და ზოგჯერ გარკვეული პერიოდით უარყოფა მომიხდა, რომ ჩემი გრძნობებისთვის სწორი ადგილი მიმეჩინა.

როცა გოლფისადმი სიყვარულმა დაძლია ჩემი გული, სულიწმიდამ მიმითითა, რომ გოლფის ყვანჭების (ჯოხები) მთელი ნაკრები სხვა მწყემსისთვის მიმეცა. რატომ მიმითითა ამაზე სულიწმიდამ? მარტივად რომ ვთქვათ, გოლფს სწორი ადგილი ეკავა იმ მწყემსის ცხოვრებაში, მაგრამ ჩემს გულში ღვთის ერთგულების ადგილი დაიჭირა.

წელიწადნახევრის განმავლობაში გოლფი არ მითამაშია. ამის შემდეგ უფალმა გულში ჩაუდო ერთ პროფესიონალ გოლფის მოთამაშეს, რომ ჩემთვის ათასობით დოლარის ღირებულების გოლფის სათამაშო მოწყობილობა გადმოეცა. საგონებელში ჩავვარდი. ეს კაცი მლოცველი იყო. მან ასე მითხრა: „ჯონ, ვიცი რომ ასე უნდა მოვიქცე!"

რამდენიმე თვის შემდეგ ერთმა მწყემსმა, რომელიც სამხრეთ კორეაში მსოფლიოს უდიდესი ეკლესიის ჩამოყალიბების თანამონაწილე იყო, ყვანჭების ნაკრები მაჩუქა ღვთის შთაგონებით. ამჯერად მართლა შევფიქრიანდი! უფალს ვკითხე:

– რა უნდა ვუყო ამ ნაკრებს?

– წადი, გოლფი ითამაშე! – მიპასუხა მან.

– შენ ხომ ჩემი ყვანჭების ნაკრები სხვისთვის გადამაცემინე წელიწადნახევრის წინ?

– გოლფს სწორი ადგილი უჭირავს შენს გულში. ახლა ეს თამაში შენთვის დასვენებისა და გახარების წყაროა, – გავიგონე ღვთის ნათქვამი.

მას შემდეგ გოლფს ვთამაშობ. ღმერთი შესანიშნავად იყენებს მას როგორც ჩემი დასვენებისა და განახლებისთვის, ისე ჩემს ბიჭებთან, ეკლესიის სხვა წინამძღოლებსა და მსახურებაში თანამშრომლებთან ურთიერთობის საშუალებად. ფაქტობრივად, ამ წიგნის დაწერამდე სამი წლით ადრე მისიონერული მსახურებისთვის საჭირო სამ მილიონ დოლარზე მეტი ***Messenger International***-ს გოლფის თამაშისას შეძენილმა მეგობრებმა და პარტნიორებმა, ასევე ჩვენი ***Messenger Cup***-ის გოლფის ტურნირებმა მოუტანეს. სრული უარი რომ მეთქვა გოლფის თამაშზე მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა.

არასოდეს არ უნდა შეგვეშინდეს, როცა უფალი მორჩილებას გვთხოვს. ადვილია დამორჩილება მაშინ, როცა მისი მოთხოვნა ჩვენი ინტერესის სფეროს ემთხვევა. სხვა შემთხვევაში ეს მძიმე შრომაა.

ღვთის გულისთვის დანაღვლიანება

იაკობი ნათლად გადმოგვცემს, რა წარმოშობს ეჭვიანობას ღვთის სულიწმიდაში: ქვეყნიერებასთან მეგობრობა. მე მხოლოდ ერთი ასპექტი წარმოგიდგინეთ, თუ რას გულისხმობს მასთან მეგობრობა, მაგრამ სხვა სფეროებიც არსებობს. მომდევნო თავში მის ფესვზე ვისაუბრებ, მაგრამ ახლა მნიშვნელო-

ვანია ჩვენი რეაგირების განხილვა, როცა გულში გარკვეულ საგნებს არასწორი ადგილი უკავია. მოდი, გამოვიკვლიოთ იაკობის რჩევა მორწმუნეებისადმი, რომლებიც ქვეყნიერებასთან შეუფერებულ ურთიერთობაში ჩაებნენ:

> „დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განიწმიდეთ გულები, ორგულნო! დანაღვლიანდით, იგლოვეთ და იტირეთ! თქვენი სიცილი გლოვად იქცეს, სიხარული კი – მწუხარებად!“ (იაკ. 4:8-9)

როცა ღმერთმა გამიცხადა, რა გავაკეთე „კოვბოების“ არჩევით, ნაღველმა და ღრმა მწუხარებამ მომიცვა. გავაცნობიერე, რომ შეუფერებელი „ურთიერთობით“ გული ვატკინე მას, ვინც ჩემთვის სიცოცხლე არ დაიშურა.

ამას წინათ ერთ კაცს ვესაუბრე, რომელმაც იმრუშა და შემდეგ ისევ მიიღო სულიერი განახლება. მან გამიზიარა, როგორ მოქმედებდა საცდური ექვსი თვის განმავლობაში და როცა ამას მიამბობდა, ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა. იგი ძლიერი მამაკაცია, ყოფილი კოლეჯის ფეხბურთელი და წარმატებული ბიზმესმენი და არა ვიღაც „მტირალა“ ტიპი. განვცვიფრდი, როცა „კაცური კაცის“ მოთქმა გავიგონე. იგი იმიტომ არ ტიროდა, რომ ღვთის ან მისი ცოლის პატიებაში დარწმუნებული არ იყო. ფაქტობრივად, მისი ქორწინება ახლა უფრო მყარი გახლდათ, ვიდრე ოდესმე. კაცი მოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ მისთვის ძალზე საყვარელ ადამიანს ასეთი რამ გაუკეთა და დიდი ტკივილი მიაყენა. აღფრთოვანების ღირსი იყო მისი ემოციების სიღრმე და ცოლზე ზრუნვა.

კაცის საქციელმა ჭეშმარიტება გამოავლინა. ეს სწორედ ის რეაქციაა, რომელიც ნამდვილმა მორწმუნემ უნდა გამოხატოს ქვეყნიერებასთან არასწორი ურთიერთობის გამო. როგორც იაკობი წერდა: „დანაღვლიანდით, იგლოვეთ და იტირეთ!“

ეს კაცი ცოლს არ ადანაშაულებდა და მართლაც წუხდა. შვების მომგვრელი იყო მისი თავის დამდაბლება. სხვა მრუშობის ჩამდენებთანაც მილაპარაკია, მაგრამ მათი რეაქცია სრულიად განსხვავებული იყო. ასეთების „აღიარებაში“ ან „დამოწმებაში“ ერეოდა ხოლმე შენიშვნები მათი მეუღლეების მხრიდან ყურადღების ნაკლებობაზე ან რაიმე სხვა შეცდომაზე, რამაც მათ მრუშობის ჩადენისკენ უბიძგა.

წმ. წერილი ლაპარაკობს *ღვთის გულისთვის დანაღვლიანებასა* და *ქვეყნიერების ნაღველ*ზე (იხ. 2კორ.7:10). მეფე დავითი

ღვთიური მონანიების ნიმუშს გვაჩვენებს. იგი ღრმა მწუხარებამ მოიცვა, რადგან ჩადენილი მრუშობისა და მკვლელობის გამო საყვარელ უფალს გული ატკინა. იგი მოთქვამს: „შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში!“ (ფს. 51:4). დავითი თავჩარგული ტიროდა და ნაღვლობდა დღეების განმავლობაში და სულაც არ ადარდებდა, რას იფიქრებდნენ მისი მსახურები. იგი არ ცდილობდა გარეგნული სახის შენარჩუნებას. დავითი გულმოკლული იყო და ამის შემდეგ ღმერთმა განაახლა იგი.

მეფე საულის საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ. მანაც ატკინა გული ღმერთს, როცა ქვეყნიერების საკვებით კვება არჩია – სიხარბესა და სიამაყეს მისცა ადგილი, ნაცვლად იმისა, რომ ღვთის სიტყვას დამორჩილებოდა. ისიც წუხდა ჩადენილზე, მაგრამ მისი ნაღველი იმ ფაქტსაც მოიცავდა, რომ საჯაროდ გამოააშკარავეს და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს მისი პატივისმცემელი მსახურების წინაშე და თან, მისი მომავალი მმართველობაც საფრთხის ქვეშ დადგა. საულის მწუხარება ქვეყნიური იყო. იგი ნაღველმა არ გაწმიდა, როგორც დავითი ან ყოფილი ფეხბურთელი. საული აზროვნებაშიც მოტყუებული და დაბინძურებული იყო. მცირე ხნით შეიცვალა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იჩინა თავი მისმა ზრახვებმა: სიამაყემ და მოხვეჭის სურვილმა. მისი თვალსაზრისი არასოდეს შეცვლილა.

პავლე მოციქულმა განაცხადა: „ღვთის გულისთვის დანაღვლიანება წარმოშობს მონანიებას გადასარჩენად“ (2 კორ. 7:10). ამგვარი მწუხარება ღვთისგან მოდის და მის მიმართ ჩვენს სიყვარულს ეფუძნება. თუ ის უფრო მეტად გვიყვარს, რას გააკეთებს ჩვენთვის უფალი, ვიდრე თავად მისი პიროვნება, ჩვენი ქცევა არაფრით განსხვავდება საულის დამოკიდებულებისგან.

მომდევნო ორ თავში დავინახავთ, რა გავლენას ახდენს ქვეყნიერებასთან მეგობრობა ღმერთთან ურთიერთობაზე, რომელიც გამოცდილებას ეფუძნება. ფარდას ავხდით, თუ რა ძვირი გვიჯდება მისაღები სიკეთით ღვთის ჩანაცვლება, როგორც პიროვნულად, ისე კოლექტიურად, ეკლესიის მასშტაბით. სანამ ამ საკითხებზე გადავიდოდეთ, კარგი იქნება თუ ლოცვისთვის დროს გამოყოფთ და ღმერთს დახმარებას სთხოვთ თქვენს ცხოვრებაში ქვეყნიერებასთან ნებისმიერი არასასურველი ურთიერთობის ამოცნობაში.

ზეციერო მამა, იესოს სახელით გთხოვ, რომ გამომცადო და გამომიკვლიო, შეამოწმო ჩემი გზები და მოტივები! თუ არის რაიმე ჩემს ცხოვრებაში, რასაც შენდამი ჩემი გრძნობებისა და სიყვარულის ადგილი უჭირავს, გთხოვ, გამოავლინე შენი წმიდა სულით! არ მინდა, რაიმე დაფარული იყოს! მინდა, ნამდვილად გავხდე და ბოლომდე დავრჩე შენი მოყვარული და საკუთარი თავის უარმყოფელი ჩემი უფლის, იესოს ქრისტეს გაყოლისა და მსახურების მიზნით! ამას გთხოვ იესოს სახელით, ამინ!

9

უგულებელყოფილი ჭეშმარიტება

„... ეცადეთ ... სიწმიდე იქონიოთ, ურომლისოდაც
ვერავინ იხილავს უფალს!“
ებრ. 12:14 (NLT)

„რა მცირეა იმ ხალხის ცოდნა, ვინც ფიქრობს,
რომ სიწმიდე მოსაწყენია. როცა ადამიანი პირისპირ
შეხვდება მას ... საბოლოოდ ძლეულია“.
ქ. ს. ლუისი

სიწმიდე. ახსენეთ ეს სიტყვა და დააკვირდით ადამიანებს, როგორ აიბზუებენ ტუჩებს და მაშინვე შეცვლიან საუბრის თემას. ბევრისთვის ის ცუდი გემოვნების ნიშანია, რადგან „მაგარი“ არ არის და ცხოვრებაში ხელს შეგიშლის. სიწმიდე მეტისმეტად ხშირად განიხილება გადარჩენის საქმეებით დამსახურების სინონიმად ან ლეგალიზმის მახასიათებელ ნიშნად. თუ ლაპარაკი სიწმიდეზე ჩამოვარდება, შეგეწინააღმდეგებიან ამგვარი მოსაზრებით: „მე თავისუფალი ვარ და ღვთის მადლის ქვეშ ვცხოვრობ. ნუ ცდილობ რჯულის ქვეშ ჩემს მოქცევას!“

მიუხედავად ამისა, ახალი აღთქმის სიწმიდე მცირედითაც არ უკავშირდება რჯულის საქმეებს ან ლეგალისტური ცხოვრების წესს. სინამდვილეში იგი ცხოვრების დიდებული გზა გახლავთ, რომელიც მრავალმხრივ სასურველია. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენს დროში მისი რაობა სრულიად არ ესმით.

რატომ არ ვლაპარაკობთ ამ საკითხზე?

რატომ უნდა ცდილობდეს ღვთის შვილი სიწმიდეზე საუბრისგან თავის არიდებას, როცა მრავლისმეტყველად არის ნათქვამი: „მისდიე ... სიწმიდეს, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს!“ (ებრ.12;14). ხვდებით ამ ნათქვამის პირდაპირობას?

სიწმიდისთვის „არას“ თქმა ნიშნავს უფლისთვის „არას“ თქმას! ეს აზრი მთლიანად იპყრობს ჩემს ყურადღებას; თქვენი საქმე როგორაა?

წარმოიდგინეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. მე აშშ-ს მოქალაქე ვარ და ის ჩემი ერის წინამძღოლია. ჩემზე ზეგავლენას ახდენს მისი გადაწყვეტილებები, ისევე როგორც დანარჩენ 320 მილიონ ამერიკელზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ურთიერთობა მაქვს პრეზიდენტთან, აქამდე არ მქონია მასთან პირადად შეხვედრის პატივი. ფაქტობრივად, ორმოცდაათს გადავცდი, მაგრამ ამერიკის არც ერთი პრეზიდენტი პირადად არ მინახავს.

მეორე მხრივ, არიან ამერიკელები, რომლებიც რეგულარულად ხვდებიან პრეზიდენტს; ისინი მისი მეგობრები ან მასთან მომუშავე პირები არიან. ნებისმიერ შემთხვევაში, „უაით ჰაუზის“ მთავარ პიროვნებას ჩემზე გაცილებით კარგად იცნობენ.

ანალოგიურად, მილიონობით ქრისტიანი იმყოფება იესო ქრისტეს მმართველობის ქვეშ. ის არის მათი აღიარებული მეფე. იგი იცავს მათ, ზრუნავს და უყვარს ისინი და მათ სათხოვრებს პასუხობს. და მაინც, ისმის კითხვა: ხედავენ თუ არა ისინი თავიანთ მეფეს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განიცდიან თუ არა მის თანდასწრებას? წერილის თანახმად, ამას ყველა ჩვენგანი უნდა გრძნობდეს. ებრაელთა მიმართ წერილი აცხადებს: „ჩვენ შეგვიძლია იესოს დანახვა“ (2:9 AMP). პავლე კიდევ უფრო ავითარებს ამ პრივილეგიას:

> „ჩვენ კი, ყველანი რიდე ახდილი სახის მსგავსად ვხედავთ უფლის დიდებას“. (2 კორ. 3:18)

„უფლის დიდება“ გახლავთ არასწორად გაგებული ფრაზა და ჩვენ, როგორც წესი, მას არ ვიყენებთ. მის არსს, ალბათ, ასე გამოვთქვამდით: „უფლის სიდიადე“. გასაგებად რომ ვთქვათ, პავლე ამბობს: „ყველას, ვინც რიდე მოვიძრეთ, შეგვიძლია უფლის სიდიადის დანახვა“.

ასევე იესოც ცნობს მათ, ვინც მის თანდასწრებას ხედავს ან განიცდის. უკანასკნელი სერობისას ასეთი იყო მისი სიტყვები: „კიდევ ცოტაც და წუთისოფელი ვეღარ მიხილავს, თქვენ კი მიხილავთ; რადგან მე ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ!“ (იოან. 14:19).

აქ მოყვანილია ორი ცხადი ფაქტი. პირველი, ქრისტიანობის მეტად რეალური ასპექტი, რაც არის უფლის დანახვა. მეორე, ჩვენ შეგვიძლია მისი დანახვა ისე, როგორი სახითაც ვერ ხედავს ქვეყნიერება.

რატომ არის მნიშვნელოვანი ღვთის დანახვა? პირველი, ისევე როგორც პრეზიდენტის შემთხვევაში, ვერ გავიცნობთ იესოს, თუ მას არ ვნახავთ. ნახვის გარეშე მასზე მხოლოდ გარკვეული ინფორმაცია გვექნება.

არსებობს მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზიც. მისი ნახვის გარეშე ვერ შევიცვლებით და მის მსგავსად ვერ გარდავიქმნებით. ზემომოყვანილ მუხლში პავლე ახსენებს რომ ვუმზერთ „ამ ხატებას და გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ (2 კორ. 3:18). გარდაქმნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მორწმუნის ცხოვრებაში.

ოდესმე გინახავთ პიროვნება, რომელიც აღიარებს, რომ იესო ქრისტეს იცნობს და ასე იქცევა გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ ისე ცხოვრობს, თითქოს არასდროს შეხვედრია მას? ასე რატომ ხდება? მიზეზი მარტივია: ამ პიროვნებას არასოდეს გაუვლია გარდაქმნის პროცესი. ასეთები არ იცვლებიან მისი ხატების მსგავსად.

პავლე წინასწარმეტყველებდა, რომ ჩვენი დრო რთული იქნებოდა. საინტერესოა, რომ მისი წერილის თანახმად, ეს დაძაბული პერიოდი რწმენის გამო დევნას კი არ მოჰყვება, როგორც მის ეპოქაში ხდებოდა, არამედ მაღიარებელ ქრისტიანთა დამოკიდებულებას, რომლებიც იესოს სიტყვებს არ იცავენ. ისინი კვლავაც ისე მოიქცევიან, თითქოს ღმერთთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდეთ. მათ ისევ ეყვარებათ საკუთარი თავი და ფული, არ დაემორჩილებიან მშობლებს, უხეშად მოექცევიან გარშემო მყოფებს, უარს იტყვიან პატიებაზე, დაინტერესდებიან დიდებისა და სახელის მოხვეჭით, გასცემენ მეგობრებს და სიამოვნების მიღებას ამჯობინებენ ღვთის სიყვარულს. ეს არასრული ჩამონათვალია და სია ისევ გრძელდება. პავლე ნათლად აცხადებს: „ისინი გარეგნულად ღვთისმოსაობის სახეს იღებენ, სინამდვილეში კი ღვთის ძალას უარყოფენ“ (2 ტიმ. 3:5 TEV). ძალა, რომელსაც ისინი უარყოფენ, მადლის გარდამქმნელი უნარია – ჭეშმარიტი ქრისტიანობის ძირეული რეალობა. ბიბლიის გაფართოებული თარგმანი აცხადებს: „მათი ქცევა მათივე აღიარების ჭეშმარიტობას ეწინააღმდეგება“.

ეს მაღიარებელი ქრისტიანები მოტყუებულნი არიან, რადგან „მუდამ სწავლობენ, თუმცა ვერასოდეს აღწევენ ჭეშმარიტების შემეცნებას“ (2 ტიმ. 3:7). როგორც ადრე ვთქვი, ტყუილს ერთი მთავარი პრობლემა აქვს: ის მაცდურია! შესაძლოა, სრულიად დარწმუნებული ვიყოთ, რომ ღმერთთან საქმე მოგვარებული

გვაქვს, როცა რეალურად ასე არ არის. ბევრი ასეთი „მორწმუნე“ ეკლესიის მსახურებებს, კონფერენციებს, თაყვანისცემის საღამოებს, ბიბლიის სკოლებს და ერთობებს ესწრება. მათ სწავლა უყვართ, მაგრამ არ იცვლიან ბუნებას და ქცევებს.

დასკვნა

დასკვნა ასეთია: მხოლოდ სიწმიდეში მოსიარულეებს შეუძლიათ ღვთის დანახვა – *მის თანდასწრებაში შესვლა.* იესოს ამაზე ნათლად არ შეეძლო ხსენებული აზრის გამოხატვა: „კიდევ ცოტაც და წუთისოფელი ვეღარ მიხილავს, თქვენ კი მიხილავთ; რადგან მე ცოცხალი ვარ, თქვენც იცოცხლებთ! ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული, ჩემს მოყვარულს ... მეც შევიყვარებ და მე თვითონ გამოვეცხადები!“ (იოან. 14:19,21).

სიტყვა „*გამოცხადება*“ ნიშნავს „თვალისა და გაგებისთვის ხილულს, ნათელს; ადვილად წარმოჩენილს“. *The Complete Word Study Dictionary* ამ სიტყვას „*ემფანიზო*“, შემდეგნაირად განმარტავს: „დანახვება, ხილული სახით წარმოჩენა, ჩვენება“. ის კიდევ უფრო კონკრეტული ხდება შემდეგი განაცხადით: „პიროვნებისა ... რომ მავანს მისი ახლოს გაცნობის და გაგების საშუალება მიეცეს“.

იესომ თქვა, რომ მხოლოდ იმ ადამიანებს გამოეცხადებოდა, რომლებიც მის მცნებებს იცავენ. ესენი იქნებიან ადამიანები, რომლებიც მას ხედავენ, მის თანდასწრებაში შედიან და ამით მას უფრო ახლოს ეცნობიან. *ეს პრივილეგია ყველა მორწმუნეს არ აქვს აღთქმული,* არამედ მხოლოდ მათ, ვინც მისი სიტყვის შესრულებას ესწრაფვის – ვინც სიწმიდეს მისდევს.

1980-იან წლებში მსოფლიოს უდიდესი ეკლესიის უფროსი მწყემსის დახვედრა და მომსახურება დამავალეს. მისი სახელია დ-რი დევიდ იონგი ჩო და სეულიდან, სამხრეთ კორეის დედაქალაქიდან გახლავთ. იმ დროისთვის მის ეკლესიაში 750 000 ადამიანი ირიცხებოდა. მე მევალებოდა მისი ტარება სასტუმროდან ჩვენი ეკლესიის მსახურებებზე. მხოლოდ რამდენიმე წლის მორწმუნე ვიყავი და ეს ჩემთვის მეტისმეტად დიდი პატივი იყო.

დ-რი ჩო მისი ეკლესიის, დაახლოებით, თხუთმეტ ბიზნესმენთან ერთად მოგზაურობდა. ერთხელ, შეკრების დღეს წამყვანი ბიზნესმენი მომიახლოვდა და მითხრა:

– მისტერ ბივერ, თქვენ უნდა წაიყვანოთ დ-რი ჩო მსახურებაზე, არა?!

– დიახ, სერ!

მან დაჟინებული მზერით მითხრა:

– მისტერ ბივერ, თქვენთან მნიშვნელოვან საკითხებზე გასაუბრება მსურს! პირველი და ყველაზე მთავარი, ნუ დაელაპარაკებით დ-რ ჩოს მანქანაში მსახურებისკენ მიმავალ გზაზე! მას არ უყვარს მსახურების წინ ლაპარაკი. – ეს არ იყო ერთადერთი მითითება, მაგრამ ყველაზე მთავარი გახლდათ.

იმ საღამოს მანქანა სასტუმროსთან გავაჩერე და დავიცადე, სანამ დ-რ ჩოს თანმხლები ავტომობილის კარს გამოაღებდა. დ-რი ჩო ჩემს გვერდით დაჯდა წინა სავარძელზე და მანქანა ღვთის თანდასწრებამ აავსო. ეს საოცარი გახლდათ. ღვთის დიდებულება და სიყვარული მეტად რეალურად და ცხადად იგრძნობოდა.

გზაზე ცრემლები მომდიოდა, თუმცა მტირალათა კატეგორიას არ მივეკუთვნები. შეკრების ადგილამდე ნახევარი გზა რომ გავიარეთ, შუქნიშანთან შევჩერდით. მეტს ვეღარ გავუძელი და ის გავაკეთე, რაც მისმა მთავარმა თანაშემწემ ამიკრძალა. მოკრძალებით ვუთხარი ჩემს თანამგზავრს:

– დ-რო ჩო, ღვთის თანდასწრება აქ არის, მანქანაში!

მან შემომხედა და მითხრა:

– დიახ, ვიცი!

ამ ადამიანთან დიდი დრო დავყავი მისი ვიზიტისას – გოლფს ერთად ვთამაშობდით. მანქანით ვატარებდი სხვადასხვა ღონისძიებებზე, მასთან ერთად ვჭამდი, აერპორტში მიმყავდა და ვხვდებოდი. დ-რი ჩო ყველა ვითარებაში, საჯაროდ თუ ჩემთან მარტო დარჩენილი, ღვთისმოსავი, მოკრძალებული, წრფელი და თავმდაბალი რჩებოდა დამოკიდებულებებსა და საქციელში. ვფიქრობდი: რამდენ საათს ატარებდა ყოველდღიურად უფალთან? ცხადი ხდებოდა, რატომ იგრძნობოდა ღვთის თანდასწრება ასე ძალუმად მის ცხოვრებაში. იგი მართლაც ერთგულად მიჰყვებოდა ღვთის სიტყვას.

ხშირად მიგრძვნია უფლის ამგვარი თანდასწრება მსახურებებზე, ლოცვისა და ღვთის სიტყვის კითხვისას ან უბრალოდ, დღის განმავლობაში. ვაცნობიერებ, რატომ მიატოვა მოსემ ყველაფერი ამ დიდებული თანდასწრების გამო. ჩემს ცხოვრებაში იყო დრო, როცა მისი თანაყოფნა არ იგრძნობოდა – ზოგჯერ ჩემი მიზეზით, რადგან მის სიტყვას არ ვიცავდი. სხვა შემთხვევებში განსაცდელში გავდიოდი. ვხვდები, რომ ამ უკანასკნელის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ პირველი მიზეზის აღმოფხვრა აუცილებელია.

თანდასწრების *გამოვლინება* მხოლოდ „დანახვას“ არ ნიშნავს, არამედ ყველაფერს, რასაც მისი არსება მოიცავს. გამოვლინება უხილავი სამყაროდან რაღაცის ხილულში გადმოტანას, გაუგონარის გაგონებას, უცნობის გაცხადებას გულისხმობს. ეს მაშინ ხდება, როცა ღმერთი საკუთარ თავს ჩვენს გონებას და გრძნობებს აცნობს. იგი იძლევა მისი პიროვნებისა და გზების სიღრმისეული გაგებისა და მასთან დაახლოების საშუალებას. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი იმ პრივილეგირებულ ადამიანებს წარმოგვიდგენს, რომლებმაც „მიიღეს ზეციური ნიჭი და სულიწმიდის მოზიარენი გახდნენ“ (ებრ. 6:4). მიუხედავად იმისა, რომ ღვთის თანდასწრების გამოვლინება უფლის ყოველი შვილისთვის ხელმისაწვდომია, ამ უპირატესობას მხოლოდ მისი სიტყვის მორჩილნი (მის სიწმიდეში მოსიარულენი) იგემებენ.

პავლე მოსეს მიმართ ღვთის მკაფიო ნათქვამის ციტირებას ახდენს. ეს გახლავთ მარადიული ჭეშმარიტების განაცხადი, რომელიც არა მხოლოდ ძველ, არამედ ახალ აღთქმასაც წვდება. იგი ეხება მათ, რომლებიც უკვე ღმერთს ეკუთვნიან:

> „ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით!“ – ამბობს უფალი – „უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ!“ (2 კორ. 6:17)

ეს ნათელია. ღვთის თანდასწრებაში ჩვენი მიღება პირობითია და არა თავისთავად გამომდინარე. სანამ მის თანდასწრებაში მიღების პატივი გვერგება, გარკვეული მოთხოვნა უნდა შევასრულოთ. პავლეს განაცხადი სრულყოფილად ეხამება იესოს სიტყვებს. *The Message* ბიბლია ხსენებული მუხლის ასეთ თარგმანს გვთავაზობს:

> „მიატოვეთ ხრწნილება და დათმობაზე წასვლა; მიატოვეთ კარგისთვის!“, – ამბობს უფალი. „ნუ დაუკავშირდებით მათ, რომლებიც გაბინძურებენ! მინდა, მთლიანად მე მეკუთვნოდეთ!“

ამის შემდეგ, პავლე ღვთის პირობით აღთქმაზე შესაფერის გამოხმაურებას გვთავაზობს:

> „...განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე!“ (2კორ.7:1)

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ნამდვილი სიწმიდის მიყოლა ღვთის ხილულ თანდასწრებაში მიღების პატივს ნიშნავს.

სასიამოვნო ატმოსფერო თუ თანდასწრება?

ახალ აღთქმაში მოციქულების, იესოს და ზეციერი მამის მიერ ნათქვამი ყველა ამ მუხლის განხილვის შემდეგ უნდა დავსვათ კითხვა: რატომ არ იქადაგება, ისწავლება ან ცხადდება ახალი აღთქმის ქრისტიანობის ეს მნიშვნელოვანი ასპექტი უფრო ხშირად? იქნებ მტერმა გონივრული გეგმა მოიფიქრა ჩვენი წახალისებისთვის, რომ გადარჩენა ნამდვილი სიწმიდის გარეშე მიგვეღო, რაც ღვთის ხილვაში ხელს შეგვიშლიდა და შესაბამისად, ჩვენს გარდაქმნას დააბრკოლებდა? ეს მტრის მოხერხებული სტრატეგიაა, რომელიც არა მარტო ცალკეული მორწმუნის ცხოვრებაში, არამედ კოლექტიურადაც მოქმედებს. რაც შეეხება ჩვენს შეკრებებს, იქნებ *ღვთის თანდასწრება საამო ატმოსფეროთი* ჩავანაცვლეთ?

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინსვლა, რომელიც ეკლესიას უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჰქონდა, გახლავთ თაყვანისცემის მსახურებებზე. წლების წინ ტიპიურ ეკლესიაში შესვლისას ხშირად ნახავდით არასტანდარტულ შენობებს, გაცვეთილ დეკორაციებს და დამღლელ მსახურებებს. ჩვენი მუსიკა ხალხს განიზიდავდა, ქადაგებები უცნაური და შეუსაბამო გახლდათ, ხოლო სამოსი, სულ მცირე, კარგა ხნის მოძველებული იყო. ჩვენ, პრაქტიკულად, ყველაფრის გალობისა და ქადაგების უფლებას ვაძლევდით მრევლს, ოღონდ კი ეს „უფლის სახელით“ გაკეთებულიყო. გულახდილად რომ ვთქვათ, საზოგადოებაზე მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას ვახდენდით. არსებობდნენ გამონაკლისებიც, მაგრამ ზოგადი მდგომარეობა ასეთი იყო რამდენიმე ათწლეულის წინ.

გონივრული წინამძღოლობის მეშვეობით ეს ნიმუში შევცვალეთ. ახლა ჩვენ გამორჩეულ მუსიკას ვუკრავთ, რომელიც ნამდვილად შთაგონებული და მისაღებია. საეკლესიო შენობები უფრო მოხერხებული გავხადეთ თანამედროვე გახმოვანებითა და განათებით. ჩვენი მსახურებები შეკრული და მართებულია. საბავშვო განყოფილებები და მოზარდთა აუდიტორიები მიმზიდველი და მხიარულია. ბევრი ეკლესიის ფოიეში ახლა ყავის ბარები, ადამიანებთან ურთიერთობისთვის მოწყობილი ტერიტორიები და კარგად მომარაგებული წიგნის მაღაზიები შეგხვდებათ. ჩვენს ახლანდელ მსახურებებს დაღუპუ-

ლი ადამიანები ვერაფრით დაიწუნებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, დიდებული ატმოსფერო შევქმენით მსახურებებისთვის და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი კმაყოფილია ამგვარი განვითარებით.

და მაინც, გარეგნული მხარის მოგვარება ხომ არ დავისახეთ საბოლოო მიზნად? სასურველი ატმოსფეროს შექმნა კარგია მართლაც მნიშვნელოვანი ასპექტის წარსადგენად, რაც არის ღვთის თანდასწრება. ატმოსფეროს ადამიანები ქმნიან. ჰოლივუდი, ლას ვეგასი, დისნეი, ბროდვეი და სხვა გასართობი ინდუსტრიები სასიამოვნო გრძნობების აღძვრის ოსტატები არიან. ნუთუ ამგვარი მეთოდები მათგან გადავიღეთ? ნუთუ მსახურებებზე დამსწრე ადამიანების ემოციების სტიმულირებით ვკმაყოფილდებით? ავსებს თუ არა ჩვენს საწმიდარს ღვთის ჭეშმარიტი თანდასწრება თუ ქრისტიანულ სამყაროში იმას ვაკეთებთ, რაც სხვებსაც მშვენივრად გამოსდით სხვა სფეროებში?

აი, როგორია რეალობა: *შესაცვლელად ღვთის თანდასწრება გვჭირდება*!

შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რომ გვყავს ქრისტიანობით აღფრთოვანებული ადამიანები, რომლებსაც უყვართ თაყვანისცემა და აგრძელებენ სწავლას, მაგრამ არ იცვლებიან. თუ ასეა, შედეგები ძვირად დაგვიჯდება. ასეთი ადამიანები არ გარდაიქმნებიან იესოს ხატად. წლების წინ ჩვენ არასახარბიელო გარემოებებს ვიტანდით, მაგრამ მახსენდება, რომ მსახურებებზე ხშირად ვივსებოდით ღვთის საოცარი თანდასწრებით. სიტყვებით ვერ გამოვხატავ, ეს როგორ ხდებოდა, მაგრამ მე ნამდვილად შევიცვალე.

ისმის კითხვა: რატომ არ შეიძლება სასიამოვნო ატმოსფეროც შევქმნათ და ღვთის თანდასწრებაც იყოს? საქმე ასარჩევად არ უნდა გვქონდეს! და მაინც, ღვთის თანდასწრებისთვის სიწმიდეს უნდა მივდიოთ.

მეორე მხრივ, მტრის მოხერხებული გეგმა, რომ ქრისტიანობას სიწმიდე შემოაძარცვოს, იესო ქრისტეს სახარებას უძალო რელიგიად წარმოაჩენს დაღუპული ადამიანების თვალში, რაც მათ იესოს გაყოლის სურვილს უკარგავს მაშინ, როცა რეალურად ეს არის ყველაზე საოცარი ცხოვრება, რომელიც კი ადამიანმა შეიძლება ნახოს.

რა არის სიწმიდე?

მაშ, რა არის ნამდვილი სიწმიდე? ეს გახლავთ ბერძნული

სიტყვა *„ჰაგიოს“*. თაიერის ლექსიკონი – *Greek–English Lexicon of the New Testament* – შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: „ღვთისთვის გამოყოფა, გამორჩეულად მის საკუთრებაში ყოფნა“. ნება მიბოძეთ, ამ განმარტების ფონზე ისევ მოვიშველიო ღვთის სიტყვები: „ნუ დაუკავშირდებით მათ, რომლებიც გაგაბინძურებენ! მინდა, მთლიანად მე მეკუთვნოდეთ!“ (2 კორ. 6:17 The Message).

როცა მე და ლიზა დავქორწინდით, იგი გამორჩეულად ჩემი გახდა, ხოლო მე – მისი. მან თავი მომიძღვნა, რომ ეცხოვრა ჩემთვის, მე კი – მისთვის. ლიზას შეხვედრამდე და დაქორწინებამდე არ მაღელვებდა მისი სურვილები და ოცნებები. უბრალოდ, მას არ ვიცნობდი. ლიზას არ უყვარს მუქი ფერის ავეჯი, პროფესიული სპორტის ან გარკვეული ტიპის ფილმების ყურება, ჯაზის ან ბიგ ბენდის მოსმენა, „ათასი კუნძულის“ სოუსი, დაობებული ყველი და კიდევ ბევრი სხვა რამ. მე ზემოთ ჩამოთვლილიდან თითქმის ყველაფერი მომწონს, ვაკეთებ და ვუსმენ! და მაინც, ქორწინების შემდეგ ვცდილობდი ამ საგნებს მოვრიდებოდი, რადგან ვიცოდი, რომ მას ეს არ სიამოვნებდა. კიდევ ბევრი რამ არსებობს, რაც ორივეს მოგვწონს და მისი ერთად კეთება გვახარებს. უფრო მეტიც, მე თავს ვიკავებ სხვა ქალებთან შეუფერებელი ურთიერთობისგან. დაქორწინებამდე უამრავი მეგობარი მყავდა, მათ შორის გოგონებიც და ეს ნორმალური იყო ჩემთვის. მათთან ერთად ვერთობოდი, ტელეფონზე ვლაპარაკობდი და ვხვდებოდი კიდეც. თუმცა იმ დღეს, როცა ლიზას ვუთხარი „თანახმა ვარ“, სხვა ქალებთან ჩემი ურთიერთობა სამუდამოდ შეიცვალა.

ერთი სიტყვით, ლიზა მთელი გულით შემიყვარდა. ახლა ჩემთვის სიამოვნება არის მისი სურვილების გათვალისწინება და არა მარტო ჩემი საკუთარის შესრულება.

ვაკვირდები ქმრებს, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებთ თავიანთი ცოლების სურვილები. ისინი ეგოისტები არიან. მათ ოჯახები შექმნეს ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ ასეთ ქმრებსა და ცოლებს არ აქვთ ნამდვილად ახლო ურთიერთობის გამოცდილება. როცა ქორწინების აღთქმაში შევდივართ, ხელს ვაწერთ გადაწყვეტილებას, რომ ჩვენს მეუღლეებს მოვემსახურებით დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. კარგ ქორწინებაში ეგოისტურ დამოკიდებულებას ადგილი არ აქვს.

სანამ იესოსთან აღთქმას დავდებდით, ქვეყნიერებას ვეკუთვნოდით და მასაც მოვწონდით. ჩვენთვის სრულიად ნორმალური იყო ხორცის მოთხოვნილებებისა და თვალთა გულისთქმის

დაკმაყოფილება. ველტვოდით კარგ მდგომარეობას, სახელს და ყველაფერ იმას, რაც ჩვენს სიამაყესა და ეგოიზმს მოემსახურებოდა.

ახლა, როცა უკვე შევხვდით იესოს და მასთან ურთიერთობა გვაქვს, დავსვათ კითხვა გულწრფელი პასუხის მოლოდინში: მისთვის ვცხოვრობთ თუ საკუთარი თავისთვის? შესაძლოა, იესოსთან „კავშირში" ვართ, მაგრამ მასთან სიახლოვე არ გვაქვს (გვაკლია მისი თანდასწრება). ასეთი შემთხვევა არაფრით განსხვავდება ზემოხსენებული დამოკიდებულებისგან, როცა ქმარი ეგოიზმით სავსე ცხოვრობს ოჯახში.

პავლე წერს: „ქრისტე კი ყველასთვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა" (2 კორ. 5:15). ეს ერთადერთი გზაა მასთან ჯანსაღი ურთიერთობის (ანუ ქორწინების) დამყარებისთვის.

თუ გადავხედავთ ქცევის წესს, რომელსაც იაკობი ქვეყნიერებასთან მრუშობას უწოდებს, დავინახავთ, როგორ უპირისპირდება მოციქული მორწმუნეებს, რომლებიც კვლავ *ეგოისტურად* ცხოვრობენ:

„მაგრამ თუ გული ... *ეგოიზმით* გაქვთ სავსე, ნუ ტრაბახობთ და ნუ ცრუობთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ. ეს არ არის მაღლიდან ჩამომავალი სიბრძნე, არამედ მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკური. რადგან, სადაც შურიანი და *ეგოისტი* ადამიანები ცხოვრობენ, იქ შფოთი და ყოველგვარი ბოროტმოქმედებაა.

> ...საიდან მომდინარეობს ბრძოლები და შეხლა-შემოხლანი თქვენს შორის, თუ არა თქვენივე *ეგოისტურ* გულისთქმათაგან, რომლებიც თქვენ ასოებს შორის იბრძვიან? გწადიათ ის, რაც არ გაგაჩნიათ, და ყველაფერს აკეთებთ ამისთვის, მაგრამ ვერ აღწევთ საწადელს. ამიტომ იბრძვით და ომობთ, მაგრამ არ გაქვთ, რადგან არ ითხოვთ ლოცვაში. თუ ითხოვთ კიდეც, ვერ იღებთ, რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი *ეგოისტური* გულისთქმებისთვის გაფლანგოთ. *ღვთის მოღალატენო* [მრუშნო], განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება!" (იაკ. 3:14-16; 4:1-4 CEV)

ყურადღება მიაქციეთ, რამდენად ხშირად იხმარება სიტყვა *„ეგოისტური"* ამ მუხლში? იაკობმა ასე იმიტომ დაწერა, რომ ქცევის ორი ნიმუში არსებობს: *გაცემა* და *მიღება*. სულ ეს

არის. მიღება ეგოისტური, ქვეყნიური და ღვთისადმი მოღალატეობრივია. მორწმუნე, რომელიც ამგვარი პრინციპით ცხოვრობს, მრუშად იწოდება. იესოს მცნებები მისთვის პრიორიტეტული არ არის. მას მხოლოდ საკუთარი სურვილების შესრულება სწადია.

ქვეყნიერება ეგოიზმმა წალეკა და იგივე მდგომარეობაშია არაწმიდა მორწმუნეც. იგი სრულად არ უძღვნის ღმერთს თავს, არამედ ქცევებში ეგოცენტრულია. სწორედ ამიტომ, მას ხორცისა და თვალთა გულისთქმა აცდუნებს და სახელისა და მდგომარეობის მოხვეჭას ლამობს.

ცოდვის უკან მდგარი მოტივი სწორედ ეგოიზმია. ქურდი საკუთარი თავისთვის იპარავს. ცრუ საკუთარი სარგებლობის ან თავის დაცვის მიზნით იტყუება. მრუში კაცი არ ფიქრობს ცოლსა და შვილებზე, არამედ საკუთარ ვნებებზე. მკვლელი საკუთარი ინტერესებისთვის კლავს. ძალაუფლების მოწინააღმდეგე კაცი ასე იმიტომ იქცევა, რომ დარწმუნებულია საკუთარ უპირატესობაში და სარგებლობას მოელის. პოპულარობისა და სახელის მომხვეჭი ადამიანი ამით შინაგან დაუცველობასა და სიამაყეს იკმაყოფილებს. როცა ფეხბურთის მატჩის ყურება ვამჯობინე და ღვთის სიტყვას არ დავემორჩილე ნაცვლად იმისა, რომ ტელევიზორი გამომერთო და მელოცა, საკუთარი თავისთვის გავაკეთე.

ახალი ქმნილება

ამ ქვეყნიერების მოქალაქეებს ეგოისტური ქცევები ახასიათებთ, რადგან მათ ხორციელი (ეგოისტური) მოტივები და სურვილები მართავთ. მორწმუნეები ამგვარი მონობისგან გათავისუფლებულნი არიან (იხ. რომ. 6:11-14). ღვთის ძემ ჭეშმარიტად გაგვათავისუფლა!

ღვთის ერი გაფრთხილებული იყო ძველ აღთქმაში, რომ ცოდვა არ ჩაედინა, მაგრამ ამის შესრულება არ შეეძლო ცოდვილი (ეგოისტური) ბუნების გამო. ძველი აღთქმა გადაჭრით ამტკიცებს, რომ ადამიანი საკუთარი ძალებით ვერასოდეს გახდება *კარგი* ღვთის თვალში. ადამიანი მიჯაჭვულია თავის ხორციელ გულისთქმებსა და ჟინს და ღვთის სურვილებს ეწინააღმდეგება.

ჩვენ, როგორც ახალ ქმნილებებს, ახალი ბუნება გვაქვს. შიგნით ცოცხლები ვართ და იესოს ხატებად გარდავიქმნებით ჭეშმარიტად კარგი სიცოცხლით ცხოვრების თანდაყოლილი

უნარის მეშვეობით. დააკვირდით პავლეს სიტყვებს:

> „ამიტომ ამას ვამბობ და ვმოწმობ უფალში, რათა აღარ დავდიოდეთ ისე, როგორც სხვა წარმართნი დადიან თავიანთი გონების ამაოებაში, დაბნელებულნი აზროვნებაში და ღვთის სიცოცხლისგან გაუცხოებულნი, თავიანთი უმეცრებისა და გულქვაობის გამო, ისინი, რომელთაც *სირცხვილის* გრძნობა დაკარგეს და გარყვნილებას მიეცნენ, რათა ყოველგვარი უწმიდურება ჩაიდინონ გაუმაძღრობით“. (ეფეს. 4:17-19)

ურწმუნო ხორცის სურვილების მონაა. მისი სული მკვდარია და უსიცოცხლო. მას არ აქვს ღვთის წინაშე *კარგად* ცხოვრების თანდაყოლილი უნარი. აღმოვაჩინე, რომ ქრისტიანებს საგონებელში აგდებს ურწმუნოთა ქცევები. ისინი ვერ ხვდებიან, რომ განუახლებელი ადამიანი მხოლოდ იმას სჩადის, რაც მისი ბუნებისთვის სრულიად ნორმალურია. ურწმუნო სცოდავს. იგი ეგოისტია. თუ მას მტკიცე ნებისყოფა აქვს, შეუძლია თავი უკეთესად წარმოაჩინოს და არაეგოისტურიც ჩანდეს. თუმცა ამან არ უნდა შეგაცდინოთ. იგი თავისი დაცემული ბუნების ტყვეა.

პავლე აგრძელებს, თუ როგორ უნდა გავარჩიოთ ნამდვილი მორწმუნე:

> „რადგან მოგისმენიათ მისთვის და მასში ხართ განსწავლულნი, ვინაიდან იესოშია ჭეშმარიტება, რათა განიშოროთ ძველი კაცის წინანდელი ცხოვრება, მაცდური გულისთქმებით რომ იხრწნება, და განიახლოთ თქვენი გონება სულით, და შეიმოსოთ ახალი კაცით, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, ჭეშმარიტების სიმართლესა და სიწმიდეში“. (ეფეს. 4:21:24)

დაღუპული ადამიანისგან განსხვავებით, მორწმუნეს ახალი შინაგანი ბუნება მიეცა. ჩვენ მიგვითითეს, რომ მას უნდა დავემორჩილოთ და წმიდა ცხოვრებით ვიცხოვროთ. ქრისტიანს აქვს არჩევანის საშუალება, რომელიც ურწმუნოს არ გააჩნია. ქრისტიანს შეუძლია დანებდეს ახალი ქმნილების შინაგანი ბუნების ძალას ან გააგრძელოს ხორცის სურვილების მორჩილება. გადაწყვეტილებას ჩვენ ვიღებთ.

მდგომარეობა და ქცევები

ამ მომენტში აუცილებელია სიცხადის შემოტანა. სიწმიდეს ორი მნიშვნელოვანი მხარე აქვს და ახალი აღთქმა ორივე მათგანზე ლაპარაკობს. გაურკვევლობა მათი ერთმანეთში არევით იწყება.

პირველი შეეხება ჩვენს *მდგომარეობას* ქრისტეში. პავლე წერდა: „როგორც ამოგვირჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით“ (ეფეს. 1:4). ამ სახის სიწმიდე მხოლოდ და მხოლოდ იესოს ღვაწლის შედეგია და ქრისტეში ჩვენს მდგომარეობაზე მეტყველებს. ამგვარ პოზიციას ჩვენი ქცევებით ვერასოდეს დავიკავებდით. ეს მისი საჩუქარია ჩვენთვის.

როცა ლიზა ჩემი ცოლი გახდა, ამ მდგომარეობის მოსაპოვებლად არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ მიიღო ჩემი გულისა და ხელის შეთავაზება. ჩვენი აღთქმის დადებისას მანაც მომიძღვნა თავისი გული.

სიწმიდის მეორე ასპექტი გახლავთ *ქცევა*, რომელიც ზემოთხსენებული მდგომარეობის დაკავების შედეგია. რაკი ლიზა ჩემი ცოლი გახდა, მისმა ქცევამ ჩემს მიმართ ერთგულება გამოხატა. იგი თავს აღარ აწონებდა სხვა მამაკაცებს და არ ცდილობდა მათთან ურთიერთობის გაბმას. მისი მოქმედებები სრულიად შეესაბამებოდა ცოლის ურყევ დამოკიდებულებას. და რასაკვირველია, მეც, როგორც მისი ქმარი, ანალოგიურად ვიქცეოდი.

ღმერთთან ჩვენი ურთიერთობის სწორედ ამ ასპექტს აღვწერ. ამას პეტრე ამოწმებს:

> „როგორც გამგონე შვილები, ნუ აჰყვებით უმეცრების დროინდელ გულისთქმებს, არამედ ისეთი წმიდანი იყავით ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ! ვინაიდან დაწერილია: „იყავით წმიდანი, რადგან წმიდა ვარ მე!“ თუ მამას უწოდებთ იმას, ვინც მიუკერძოებლად, ყველას საქმეთა მიხედვით განიკითხავს, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის დრო!“ (1 პეტრ. 1:14-17)

აშკარაა, რომ პეტრე ღვთის შვილებზე ლაპარაკობს და არა დაღუპულ ადამიანებზე. ვიცით, რომ ღმერთი განგვსჯის ან დაგვაჯილდოვებს ჩვენი *ნამოქმედარის* მიხედვით, რაც

ჩვენს *მოქმედებებს* უკავშირდება და არა ჩვენს *მდგომარეობას* ქრისტეში. ქრისტეს სისხლი ცოდვებს გვპატიებს, მაგრამ არსებობს ღვთის შვილთა სამსჯავრო, სადაც მოგვეგება ჩვენი *ნამოქმედარის* მიხედვით. პავლე ამას 2 კორ. 5:9-11-ში ამოწმებს. თვითნებურად და დაუმორჩილებლობაში ცხოვრება უბრალო საკითხი როდია. თუ ნამდვილად მას ვეკუთვნით, მთელი გულით უნდა ვესწრაფოდეთ, რომ უფალს გული არ ვატკინოთ ცოდვაში ცხოვრებით.

როგორც იაკობი და პავლე, ისე პეტრეც ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრების ძველი წესი ეგოისტური სურვილებით იყო მოტივირებული და გვაფრთხილებს, რომ წმიდები ვიყოთ ყველა ჩვენს *ნამოქმედარში*. ნება მიბოძეთ, გავიმეორო: იგი ლაპარაკობს ჩვენს *ქცევასა* და *ცხოვრების წესზე* და არა ქრისტეში ჩვენს *პოზიციაზე*. იგივე მუხლი სხვა თარგმანში ასე არის წარმოდგენილი: „იყავით წმიდები ყველა ქცევასა და ცხოვრების წესში!“ (მ. 15 AMP). აქ არ ჩანს შუალედური გაგება და გაურკვევლობა. პეტრე ყველაფერზე ნათლად ლაპარაკობს. იგი პავლეს ეთანხმება და მარტივად გვეუბნება, რომ მადლით ვართ გადარჩენილნი, ამიტომ ჩვენი ახალი ბუნების ძალით შეგვიძლია ქვეყნიერებისგან განსხვავებულად – წმიდად ცხოვრება.

გაიხსენეთ ებრ. 12:14, რომელიც სიწმიდეში სიარულს გვავალდებულებს. ამას წინათ ხსენებულ მუხლზე ჩარლზ სპერჯენის ქადაგება აღმოვაჩინე, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო. აი, ამონარიდი:

> „ზოგიერთი ანტინომიანელი (ზნეობრივი სიწმიდის მოწინააღმდეგე) დაჟინებით ცდილობს ამ აკრძალვისგან [სიწმიდის მიყოლისგან] თავის არიდებას, რომელიც თავად სულიწმიდამ გამოკვეთა. ისინი ამბობენ, რომ ეს გახლავთ თავსმოხვეული ქრისტესეული სიწმიდე. ნუთუ მათ არ იციან ასე ლაპარაკისას, რომ სიცრუეს ამბობენ? ... ჩვენ უნდა მივდიოთ სიწმიდეს – ეს იქნება პარქტიკული სიწმიდე; უწმიდურობის საპირისპირო, როგორც დაწერილია: „ღმერთმა მოგვიწოდა სიწმიდისკენ და არა უწმიდურობისკენ“. ... ეს სხვა სახის ცხოვრებაა. ფაქტობრივად, ეს არის ... რეალური, ცოცხალი სიწმიდე, რომელიც ამ გაფრთხილების მოწმობას წარმოადგენს. იგი ღვთის ნებას ადასტურებს და უფლის მცნების მორჩილებას გამოხატავს“.

საოცარია! აშკარაა, რომ ეკლესია პირველად არ შესჯახებია სიწმიდის გაიოლებულ ფორმას, რადგან სპერჯენი ამის შესახებ ჯერ კიდევ 1800-იან წლებში ასწავლიდა. როცა ჩვენი შემეცნება ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას ეყრდნობა, ვხედავთ, რომ სიწმიდე შეეხება როგორც ჩვენს პოზიციას ქრისტეში, ასევე ჩვენს ცხოვრებას ღვთის საამებლად.

აი, მნიშვნელოვანი პუნქტი: არც ჩვენი *მდგომარეობა* ქრისტეში და არც ჩვენი *ქცევები* არ მომდინარეობს საკუთარი დამსახურებისა და ძალისგან. ორივე სახის სიწმიდე უსასყიდლოდ მოგვეცა. და მაინც, ღვთიური ცხოვრება მოითხოვს, რომ კეთილი ქცევების მისაღებად ვითანამშრომლოთ ახალ ქმნილებასთან ანუ დავემორჩილოთ ჩვენს ახალ შინაგან ბუნებას.

სიწმიდის სხვა განსაზღვრება

როგორც ახლა ვნახეთ, სიწმიდე ღვთის საკუთრებად ყოფნაზე ბევრად მეტს ნიშნავს. აქ ლაპარაკია ქცევაზე, რომელიც ღვთისთვის ზნეობრივი თვალსაზრისით მისაღებია. ამას სიწმიდის მეორე განსაზღვრებამდე მივყავართ. ბერძნული სიტყვა „*ჰაგიოს*“ ასევე აღნიშნავს „წმიდა, უმწიკვლო, მართებულ“ ქცევას. სიტყვის ამგვარი განმარტება ბევრს აფრთხობს, მაგრამ ასე არ უნდა იყოს. ამის ახსნა შემიძლია საოცარი ისტორიის მოყოლით, რომელიც ჩემს ბავშვობაში მოხდა.

ჩვენი ოჯახის ექვსი ბავშვიდან ერთადერთი ბიჭი ვიყავი, ამიტომ ყოველგვარი რუტინული გარე სამუშაო ჩემი გასაკეთებელი გახლდათ: მანქანის რეცხვა, გაზონების კრეჭა, ფოთლების გატანა, თოვლის გადახვეტა და ა. შ. ვინაიდან მე და ჩემი მეგობრები სპორტით ვიყავით გატაცებული, ჩვეულებრივ, ზემოხსენებული საქმეების საჩქაროდ დასრულებას ვცდილობდით, რომ მერე გვეთამაშა.

გაზაფხული იყო და ბალახი ისევ ამოიზარდა გრძელი ზამთრის შემდეგ. მე და ჩემმა მეგობრებმა გაკვეთილების შემდეგ თამაში დავგეგმეთ. გაზონები უყურადღებოდ დავტოვე და ბალახი საკმაოდ გაიზარდა. წინა საღამოს მამამ მითითება მომცა, რომ, სანამ მეგობრებთან სათამაშოდ წავიდოდი, გაზონი უნდა გამეკრიჭა და ეზოს მოწესრიგება მანამ უნდა დამესრულებინა, სანამ ის სამსახურიდან დაბრუნდებოდა.

გაკვეთილების დამთავრებისთანავე სახლისკენ გამოვქანდი. ტანსაცმელი გამოვიცვალე და საკრეჭი მანქანა ავტოფარეხიდან პირველად გამოვათრიე იმ გაზაფხულზე. ვიცოდი, რომ

სწრაფად უნდა მემოქმედა, რადგან ჩემი მეგობრები მალევე მოემზადებოდნენ სათამაშოდ. საკრეჭის ზონარი ერთზე მეტ-ჯერ გამოვწიე დასაქოქად, მაგრამ ძრავი არაფრით არ ჩაირთო. ბენზინის გამომშვებ ღილაკს ხელი რამდენჯერმე დავაჭირე კარბურატორის კამერისთვის მეტი საწვავის მისაწოდებლად. ისევ არაერთხელ გამოვქაჩე ზონარი, მაგრამ ამაოდ.

ვიფიქრე, რომ *კარბურატორი მთლიანად გავავსე და რამ-დენიმე წუთი უნდა დამეცადა, სანამ არ ჩამოიწურებოდა.*

ლოდინის მომენტში ზეთი შევამოწმე. შემდეგ ყველა ჩამ-რთველი ხელახლა გადავამოწმე, რომ საკრეჭი სასტარტო პოზიციაზე ყოფილიყო. თითქოს ყველაფერი რიგზე გახლდათ. უბრალოდ, რამდენიმე წუთი კიდევ უნდა დამეცადა. ასეც მო-ვიქეცი და ხელახლა ვცადე, მაგრამ ძრავი არც ახლა ამუშავდა.

აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა, ამიტომ აალების სანთელი შევამოწმე, ჭუჭყიანი ხომ არ იყო. ის მშვენივრად გამოიყურე-ბოდა. *„რა ხდება?“* – ვფიქრობდი მე. თანდათან ვღიზიანდებო-დი. საკრეჭი რომ არ ჩაირთოს, გაზონებს ვერ გავკრეჭ, მამა უკმაყოფილო დარჩება და მეგობრებთან ვეღარ ვითამაშებ.

„რა უნდა ვქნა?“ – გამალებული ვფიქრობდი, – *საკრეჭი მაღაზიაში რომ წავიღო შესაკეთებლად, გვიანობამდე მზად არ იქნება და თამაშს მაინც გამოვტოვებ. შეიძლებოდა ვინ-მესთვის მეთხოვა მანქანა, მაგრამ ესეც ბევრ დროს წაიღებს.* რამდენიმე ხელის ნამგალიც გვქონდა, მაგრამ თითოეული ამოწვერილი ბალახი ხელით რომ მომეჭრა, გვიან ღამემდე ვერ მოვრჩებოდი. ასეც რომ გამეკეთებინა, არათანაბარი გამომი-ვიდოდა და ეზო საშინელ სახეს მიიღებდა. ეს განუხორციელე-ბელი იდეა ჩანდა.

გავბრაზდი ამ ჯართის ნაგლეჯზე. *დღეს გართობას უნდა დავემშვიდობო,* – გავიფიქრე მე. საკრეჭი გაფუჭდა და ამას მშვენივრად ვხვდებოდი. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი. არ არსებობდა გაზონის გაკრეჭის და მეგობრებთან შეერთების სხვა გზა.

ამ დროს ჩემი მეგობარი მოვიდა, ვისთან ერთადაც უნდა მეთამაშა და მკითხა:

– მზად ხარ, ჯონ?

– არა, მამამ მითხრა, რომ სათამაშოდ წასვლამდე გაზონი უნდა გამეკრიჭა, მაგრამ მანქანა არ იქოქება – ვუპასუხე მე. არც მისი შეკეთების დროა და არც სხვისგან თხოვების ან ხე-ლით მოთიბვის. დღეს სათამაშოდ ვერ წამოვალ.

ჩემი მეგობარი ცოტათი ჩემზე გონიერი იყო და მითხრა:

– აბა, მაჩვენე!

– რა თქმა უნდა, მიდი! – ვუპასუხე სასოწარკვეთილმა.

პირველ რიგში, მან ბენზინის რეზერვუარი გააღო, შიგ ჩაიხედა და სიცილი აუტყდა:

– ეს შენი პრობლემაა, ჯონ! ბენზინი საერთოდ არ ასხია.

გაოცებული დავრჩი, მაგრამ გულზე მომეშვა.

– *შე გამოთაყვანებულო,* – გავიფიქრე მე, – *პირველად სწორედ ეს უნდა გენახა!* რეზერვუარი საწვავით ავავსე და საკრეჭმა ჩვეულებრივ დაიწყო მუშაობა. სასწრაფოდ გავკრიჭე გაზონები და მეგობრებთან სათამაშოდ გავემართეთ.

რით უკავშირდება სიწმიდეს ეს ისტორია? როცა ვხვდებით სიტყვებს *„წმიდა“, „უმწიკვლო“, „მართებული“*, რომლებიც სიწმიდის განსაზღვრებებს წარმოადგენენ, შეცბუნებული ვფიქრობთ: *ეს შეუძლებელია*! ეს იმიტომ, რომ ამგვარად ცხოვრება ჩვენი საკუთარი ძალების ხარჯზე წარმოგვიდგენია. ეს იგივეა, რომ მთლიანი ეზოს ბალახის გაკრეჭას ხელის ნამგლით შეეცადოთ სწორედ მაშინ, როცა თამაშის დროა: სრულიად გამორიცხულია! გარეთ ჩამოღამდება, სანამ ეზოს ერთ ნაწილს მორჩებოდეთ.

თუმცა ჩვენ ახალი ბუნება გვაქვს, რომელიც შეიძლება საკრეჭ მანქანას შევადაროთ. და მაინც, თუ რეზერვუარში საწვავი არ ასხია, მანქანის ქონაში არაფერი სარგებელია. მის ასამუშავებლად საჭიროა ბენზინი.

მომდევნო თავში აღმოვაჩენთ, თუ რა საწვავი სჭირდება ჩვენს ახალ ბუნებას – რა გვაძლევს ღვთის წინაშე წმიდად სიარულის ძალას.

საწვავი

„...და აჰა, გაუწყებთ ძმებო, ღვთის მადლის შესახებ, რომელიც მაკედონიის ეკლესიებს მიეცა ... თავიანთი ძალის შესაბამისად და უფრო მეტადაც ....“.
2 კორ. 8:1-3

„... „იყავით სრულყოფილი!“, არ ნიშნავს ... შეუძლებლის კეთების მცნებას. [ღმერთი] ისეთ ქმნილებებად გვაქცევს, რომელთაც შეუძლიათ ამ მცნების დამორჩილება“.
ქ. ს. ლუისი

სიწმიდის მიყოლა თავისთავად არ გახლავთ საბოლოო მიზანი. ის არის შესასვლელი იესოს თანდასწრებაში. უფალი ამას ნათლად აცხადებს: „ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული, ... მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები [ჩემს თავს ცხადად დავანახებ და მისთვის რეალური ვიქნები]“ (იოან. 14:21). ჩვენ ძალზე ახლოს გავიცნობთ უფალს, როცა მის სიტყვებს დავიცავთ.

ამას ამოწმებს ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი: „მისდიეთ სიწმიდეს, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს!“ (ებრ. 12:14). ყველაფერი მარტივია: არ არის სიწმიდე, არ არის უფლის ხილვა – ვერ შედიხართ მის თანასწრებაში!

სიწმიდე გამორჩეულად მის საკუთრებაში ყოფნას, მისთვის გამოყოფას ნიშნავს. მას ასევე აქვს „სუფთას, უცოდველისა და სწორის“ მნიშვნელობა. ორივე განმარტება ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას. ეკუთვნოდე უფალს, ნიშნავს, ცხოვრობდე მისთვის და ქცევით აამებდე. კოლ. 1:10-ის თანახმად, უფალს სურს, რომ „მის ღირსად იაროთ (იცხოვროთ და იქცეოდეთ) და ყოველნაირად აამოთ მას“. ამის შემდეგ, იგი დიდებული

ეკლესიისთვის დაბრუნდება, რომელსაც „არა აქვს ლაქა, არც მანკი, ან რაიმე მსგავსი, არამედ პირიქით, წმიდა და უბიწოა“ (ეფეს. 5:27).

საინტერესოა, რომ ეს გახლავთ ერთადერთი აღწერა, ვის გამოც ბრუნდება იგი. იფიქრეთ ამაზე. წმ. წერილი ქრისტეს საპატარძლოს ძლიერს, შესაფერისს, ორგანიზებულს, კარგი წინამძღოლობის მქონეს, შეკრულს, თაყვანისცემით ან სიხარულით სავსეს არ უწოდებს. ყველა ეს თვისება კარგია, მაგრამ მას ყველაზე მეტად „სიწმიდისა და უმანკოების“ დანახვა სურს თავის საპატარძლოში.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ის გახლავთ, რომ სიწმიდე თავად ღვთის უმთავრესი თვისებაა. წინასწარმეტყველი ესაია და მოციქული იოანე წერდნენ ღვთის სატახტო დარბაზის შესახებ. ორივემ შენიშნა ღვთის ირგვლივ მყოფი ძლიერი ანგელოზები, რომლებიც ღაღადებდნენ: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა“ (იხ. ეს. 6:3 და გამოცხ. 4:8). ისინი არ შესძახოდნენ „ერთგულია“ ან „მოსიყვარულეა“ ან „კეთილია“ ან კიდევ „უხვია“. მას აქვს ყველა ეს შესანიშნავი თვისება, მაგრამ სიწმიდე ყველა მათგანზე აღმატებულია.

ორი ვარიანტი

წმიდად, უმანკოდ და *მართლად* ყოფნის დავალება ძველისძველ კითხვას წამოჭრის: „როგორ ვიცხოვროთ ასე?“ ჩვენი საკუთარი ძალებით ვეცადეთ და საშინლად დავმარცხდით. გვინდოდა ღვთის რჯულს დავმორჩილებოდით სინდისის დამოწმებით (იხ. რომ. 2:14-15), მაგრამ არაერთხელ დავიხიეთ უკან.

შემდეგ მოვიდა *მადლი*. არასდროს შეგვეძლო მისი დამსახურება კარგი ქცევით და არც ახლა შეგვიძლია. არასდროს ვყოფილვართ მისი ღირსი და არც ახლა ვართ. ღვთის ნიჭი სრულად გვპატიებს და იგივეს გააგრძელებს მაშინაც, როცა ვმარცხდებით. ჩვენი ცოდვებისგან დახსნილი ვართ!

მიუხედავად იმისა, რომ ეს შესანიშნავი ცოდნა გვაქვს, იმედგაცრუებული ვრჩებით მისი მითითებების დაცვის უუნარობის გამო. რატომ გვაქვს ასეთი ბრძოლები? ჩვენ ხომ ახალ ქმნილებებად ვიშვით? მაშ, რატომ ვმარცხდებით?

ამ მომენტში ვიწყებთ ფიქრს, რომ სხვა არჩევანი და გასამართლებელი მიზეზი გვაქვს. შეგვიძლია, ვასწავლოთ, რომ სიწმიდე შეეხება მხოლოდ ჩვენს მდგომარეობას ქრისტეში

და ამით სრულიად უგულებელვყოთ ღვთის სიტყვის მოწოდება წმიდა ქცევისაკენ. ასე მსჯავრდადებასაც თავიდან ვიცილებთ. ჩვენს ცხოვრებაში გარდაქმნა არ ხდება, რასაც იმით ვხსნით, რომ ადამიანები ვართ და შეცდომების დაშვებას ვაგრძელებთ. ჩვენი ყურადღება მადლის მოძღვრების შემოკლებულ ვერსიაზე მახვილდება: როგორ მოიცავს იგი ყველა ცოდვას წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში. თუ მხოლოდ ამას ვასწავლით და ეს გვწამს, ცრუ უსაფრთხოების გრძნობას ვაღვივებთ, რადგან სინდისი გავაჩუმეთ. თუ ჩვენს გულს მეტი ყურადღებით მოვუსმენთ, მის ამოძახილს გავიგებთ: „აქ რაღაც უფრო მეტი უნდა იყოს!“

სამწუხაროა, რომ ამ აზრში დამკვიდრებით და შესაბამისად მოქცევით ახალი აღთქმის სრულ თვალსაზრისს უარვყოფთ, რომელიც ღვთიური ცხოვრების წესისკენ მოგვიწოდებს. ამ თემაზე უამრავი ადგილის მოყვანა შემიძლია, მაგრამ ნება მიბოძეთ, ერთი მონაკვეთით დავიწყო:

> „შვილებო, ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ! ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე – მართალი იესო ქრისტე. იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს, შევიცანიო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში. ხოლო ვინც მის სიტყვას იცავს, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიყვარული; ამით ვიგებთ, რომ მასში ვართ. ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, მოვალეა ისევე მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა!“ (1 იოან. 2:1,3-6)

იოანეს არ უთქვამს, „ნუ ინერვიულებ, თუ შესცოდავ, რადგან ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს!“ არა, იგი ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვაფრთხილებს, რომ „არ შევცოდოთ!“ ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი. თუ მას ავცდებით, ქრისტეს სისხლი გაგვწმედს. თუმცა ჩვენი მიზანი იესოს მსგავსად ცხოვრება უნდა იყოს. წერილის თანახმად, ეს შეუძლებელი სულაც არ არის. ამრიგად, ჩვენი არჩევანი, რომ „ადამიანური ბუნების“ გამო ყურადღება არ მივაქციოთ არაერთხელ განმეორებულ ცოდვას, არ შეესაბამება იოანეს სიტყვებს ან ახალი აღთქმის მრავალ სხვა მონაკვეთს.

რომელიღაც რგოლი ხომ არ გვაკლია? ნუთუ ღმერთმა არ გაითვალისწინა ჩვენი დილემა და გეგმა არ შეადგინა? ფაქტო-

ბრივად, ასეც არის! ეს ის არჩევანია, რომელზეც ნაკლებად ლაპარაკობენ, მაგრამ სრულყოფილად ერგება მთელი ახალი აღთქმის თვალსაზრისს. ეს მადლის ის მხარეა, რომელზეც ბევრს წარმოდგენაც არ აქვს. ეს გახლავთ საწვავი, რომელიც ჩვენს ახალ ქმნილებას ანთებს. მარტივად რომ ვთქვათ, მადლი ღვთისთვის სათნო ცხოვრების ძალას გვაძლევს.

მადლის უცნობი ჭეშმარიტება

2009 წელს ამერიკის ათასობით ქრისტიანის გამოკითხვა ჩატარდა. გამოკითხულები სხვადასხვა ეკლესიების ზეციდან შობილი, ბიბლიური მორწმუნეები იყვნენ. კვლევაში მოცემული იყო შემდეგი კითხვა: „ჩამოთვალეთ ღვთიური მადლის სამი ან მეტი განსაზღვრება ან აღწერილობა!“ პასუხების უმრავლესობა ასეთი გახლდათ: *გადარჩენა, დაუმსახურებელი საჩუქარი და ცოდვების პატიება*.

კარგია, რომ ამერიკელი ქრისტიანები იცნობენ მხოლოდ და მხოლოდ მადლით გადარჩენის მოძღვრებას. გადარჩენა არ მოდის წყლის პკურებით, რომელიმე ეკლესიის კუთვნილებით, რელიგიური კანონების დაცვით, კეთილი საქმეების კეთებით, რომლებიც ცუდ საქმეებს აღემატება და ა. შ. ამერიკელ სახარების რწმენის ქრისტიანთა უმრავლესობა ღვთის მადლის ამ ფუნდამენტურ ჭეშმარიტებებშია დამკვიდრებული, რადგან ამ საკითხებზე კათედრებიდან იქადაგება და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს ეს მოსწონს.

და მაინც, ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ათასობით გამოკითხულის მხოლოდ 2 %-მა იცის, რომ მადლი ღვთიური *გაძლიერებაა*. აი, როგორ განმარტავს და აღწერს ღმერთი მადლს. იგი ამბობს:

> „ჩემი მადლია ის, რაც შენ გჭირდება, ვინაიდან შენს უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“. (2 კორ. 12:9 TEV და NLT)

ღმერთი მადლს მის ძალას უწოდებს. სიტყვა „*უძლურება*“ „უუნარობას“ ნიშნავს. ღმერთი ამბობს: „ჩემი მადლი არის ჩემი ძალა და ის საუკეთესოდ ვლინდება ვითარებებში, სადაც შენ უღონო ხარ“.

პეტრე მოციქული ღვთის მადლს იგივენაირად განსაზღვრავს. ის წერს: „მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ! ...

როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ [*მადლმა*] მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება...“ (2 პეტრ. 1:2-3). კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ მადლი იგივეა, რაც „ღვთიური ძალა“. პეტრე აცხადებს, რომ ყოველგვარი რესურსი ანუ უნარი, რაც წმიდა, ღვთისმოსაობით ცხოვრებისთვის არის საჭირო, მადლის ძალით ხდება.

ის ფაქტი, რომ ხსენებული ჭეშმარიტება გამოკითხულ ქრისტიანთა მხოლოდ 2 %-მა იცის, უზარმაზარ პრობლემას წარმოადგენს. ნება მიბოძეთ, აგიხსნათ. ღვთისგან რომ მიიღოთ, უნდა ირწმუნოთ. სწორედ ამიტომ, ახალი აღთქმის წერილს „რწმენის სიტყვა“ (იხ. რომ. 10:8) ეწოდება. მარტივად რომ ვთქვათ, ვერ მივიღებთ, თუ არ გვწამს.

აი, ერთი საფუძვლიანი მაგალითი! იესო მთელი მსოფლიოს ცოდვებისთვის მოკვდა. და მაინც, გადარჩება ის, ვინც ირწმუნებს. აი, აქ ვხვდებით დიდ პრობლემას: არ შეგვიძლია ვირწმუნოთ ის, რაც არ ვიცით. თუ ქრისტიანთა 98 %-მა არ იცის, რომ ღვთის მადლი მისი ძალაა, მაშინ ეს 98 % საკუთარი ძალებით ცდილობს წმიდად ცხოვრებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეზერვუარში საწვავი არ ასხია!

მოდით, ერთი ნაბიჯით წინ წავიდეთ ბერძნული ენის დახმარებით! ახალ აღთქმაში მადლის აღსანიშნავად ყველაზე ხშირად გამოიყენება სიტყვა „*ხარის*“. *Strong's Exhaustive Concordance*-ში ის თარგმნილია, როგორც „ნიჭი, სარგებელი, კეთილგანწყობა, წყალობა და სიუხვე“.

თუ ამ საწყის განსაზღვრებას აიღებთ და რომაელთა, გალატელთა და ეფესელთა მიმართ წერილების საჭირო მონაკვეთებს შეუსაბამებთ, მიიღებთ მადლის განმარტებას, რომელიც მთელმა ამერიკამ იცის. მიუხედავად ამისა, სტრონგის საძიებელი ამით არ ასრულებს: „ღვთიური ზეგავლენა გულზე და მისი ასახვა ცხოვრებაში“. ამრიგად, ვხედავთ, რომ გულში მომხდარს გარეგნული გამოხატულებაც აქვს და ეს მადლის ძალის შედეგია.

საქმეთა წიგნში ბარნაბა ანტიოქიის ეკლესიას ესტუმრა და იქ „იხილა ღვთის მადლი“ (საქმ. 11:23). მას მადლის შესახებ არ მოუსმენია, არამედ მისი არსებობა იხილა. ადამიანთა გარეგნულმა ქცევებმა ბარნაბა დაარწმუნა, რომ მათ გულებში მადლი მოქმედებდა.

სწორედ ამიტომ წერს იაკობ მოციქული: „მაჩვენე შენი რწმენა [მადლი] საქმეთა გარეშე და გაჩვენებ ჩემს რწმენას [მადლს] ჩემს საქმეთაგან!“ (იაკ.2:18). აქ გამიზნულად ჩავსვი

სიტყვა *მადლი რწმენის* შესატყვისად, რადგან სწორედ რწმენით (ღვთის სიტყვის დაჯერებით) გვაქვს მისადგომი ღვთის მადლთან: „რწმენით მოვიპოვეთ მისადგომი იმ მადლთან“ (რომ. 5:2). რწმენის – ღვთის სიტყვაზე მინდობის, გარეშე ძალა (ანუ მადლი) არ მოდის. იაკობი მეტყველად აცხადებს: „მაჩვენე შენი ძალის დადასტურება“. ეს გახლავთ ნამდვილი მანიშნებელი, რომ მადლი რწმენის მეშვეობით მივიღეთ.

მადლი ნიჭია. მოდი, ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განვავრცოთ იმით, რაც აქამდე განვიხილეთ! გადარჩენა *მადლის ნიჭია*. პატიება *მადლის ნიჭია*. განკურნება *მადლის ნიჭია*. წინასწარ განჭვრეტა *მადლის ნიჭია*. ღვთიური ბუნების მიღება *მადლის ნიჭია*. ძალით შემოსვა *მადლის ნიჭია*. ყველა ეს გამოვლინება ჩვენს ცხოვრებაში ღვთის კეთილგანწყობის მაუწყებელია, რომლებიც არ დაგვიმსახურებია და ამისთვის არც არაფერი გაგვიკეთებია.

რაც შეეხება გაძლიერებას. *მადლი გვაძლევს უნარს, რომ წინ წავიწიოთ ჩვენი ბუნებრივი შესაძლებლობების მიღმა*. ჩვენ თავად არ გაგვაჩნია ჯოჯოხეთისგან თავის დახსნის საშუალება; მადლს აქვს. არ შეგვიძლია თავისუფლებაში ცხოვრება, მაგრამ მადლი ამის ძალას გვაძლევს. საკუთარ ბუნებას ვერ ვცვლით, მაგრამ მადლი გვეხმარება. არ გვაქვს წმიდად ცხოვრების უნარი, მაგრამ მადლი ძალას გვმატებს. გასაკვირი არ არის, რომ მას საოცარს ვუწოდებთ!

ჩასაფიქრებელი კითხვა

ამას წინათ, ლოცვაში უფალმა მკითხა: „შვილო, როგორ წარმოვადგინე *მადლი* ჩემს წიგნში, ახალ აღთქმაში?“

თორმეტზე მეტი წიგნის ავტორისთვის ამ კითხვას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ნება მიბოძეთ, აგიხსნათ! როცა ჩემს წიგნში ახალი ტერმინი შემომაქვს, რომელიც მკითხველთა უმრავლესობისთვის შედარებით უცნობია, ვცდილობ, პირველადი მნიშვნელობა დავურთო, როცა მას გამოვიყენებ. მოგვიანებით, იგივე წიგნში შეიძლება მისი სხვა მნიშვნელობებიც შემოგთავაზოთ. ამრიგად, გამოცდილი ავტორის წიგნში წარმოდგენილი ახალი ტერმინი, ჩემი აზრით, მისი მთავარი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

უფლის კითხვაზე ჩემი პასუხი ასეთი იყო: „არ ვიცი“.

დაუყოვნებლივ მივმართე ბიბლიურ საძიებელს და ვიპოვე, როგორ შემოიტანა ღმერთმა სიტყვა „*მადლი*“ ახალ აღთქმაში.

აი, რა აღმოვაჩინე: „მისი სისავსიდან მივიღეთ ყველამ მადლი მადლისა წილ“ (იოან. 1:6).

ყურადღება მიაქციეთ, რომ იოანემ დაწერა: „მადლი მადლის წინ“. ერთი ჩემი მეგობარი ათენში, საბერძნეთში ცხოვრობს. ის იქ დაიბადა და არა მარტო თანამედროვე ბერძნულით ლაპარაკობს, რომელიც მისი მშობლიური ენაა, არამედ ძველი ბერძნულიც შეისწავლა. როცა ბერძნულ ენაზე რაიმეს გარკვევა დამჭირდება, სწორედ მას მივმართავ ხოლმე. ჩემმა მეგობარმა გამიზიარა, რომ რეალურად, მოციქულს უნდოდა შემდეგი აზრის გადმოცემა: „ღმერთმა მეტისმეტად უხვად მოგვცა მადლი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იოანე მოციქულის ნათქვამისამებრ, სიუხვე, რომელსაც მადლი გვაძლევს, სხვა არაფერია, თუ არა იესო ქრისტეს სისავსე! გაიგონეთ? *თავად იესო ქრისტეს სისავსე!* ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, განსაკუთრებით ბუნებაზე, შესაძლებლობასა და ძალაზე!

მოდი, რამდენიმე მაგალითის მეშვეობით გამოვკვეთოთ ამ განცხადების მასშტაბი. დავუშვათ, მივდივარ სკოლის კალათბურთის უფროსკლასელ მოთამაშესთან. იგი არ არის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი სპორტსმენი ამ გუნდში. ფაქტობრივად, იგი სათადარიგო სკამზე ზის მანამ, სანამ თამაშის დამთავრებამდე 2 წუთი რჩება და გუნდი ან ოცი ქულით უსწრებს მოწინააღმდეგეს ან ოცი ქულით ჩამორჩება.

მე ეს კალათბურთელი გვერდზე გამყავს და ვეუბნები: „ჩვენ გვაქვს მეცნიერულად დადასტურებული საშუალება, რომლითაც ლებრონ ჯეიმსის სისავსეს შეგძენთ“. ის რასაკვირველია, უდიდესი სპორტსმენია კალათბურთის ისტორიაში.

თქვენი აზრით, როგორი იქნება მისი რეაქცია? იგი ასე იტყვის: „დიახ, ახლავე! რა უნდა გავაკეთო?“

როცა ამ საშუალებას გამოვიყენებთ, ალბათ, მიხვდებით, რომ ხსენებული უფროსკლასელი არა მარტო თავის გუნდში იქნება ლიდერი, არამედ მისი გუნდი შტატის ჩემპიონატსაც მოიგებს. იგი სრულ დაფინანსებას მიიღებს უნივერისტეტში და საბოლოოდ, პირველი იქნება NBA-ს დრაფტის შემადგენლობაში.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითი. დავუშვათ, ფინანსურ კრიზისში მყოფ ბიზნესმენს ვთავაზობ შემდეგ წინადადებას: „ახალი სამეცნიერო მიღწევების გამოყენებით შეგვიძლია, თქვენში გავაერთიანოთ დონალდ ტრამპის, სტივ ჯობსისა და ბილ გეიტსის უნარები“.

როგორი იქნება მისი გამოხმაურება? „მინდა! მოდი, გავაკეთოთ!“, – აღფრთოვანებით შეჰყვირებს იგი. რას გააკეთებს ის ამ სამი ადამიანის გაერთიანებული ძალებით? იგი დაიწყებს ისეთ კაპიტალდაბანდებებს, რომლებზეც ადრე არასოდეს უფიქრია და ძალზე წარმატებული გახდება.

მადლს ჩვენთვის ლებრონ ჯეიმსის, სტივ ჯობსის, დონალდ ტრამპის, ბილ გეიტსის ან ალბერტ აინშტაინის, იოჰან სებასტიან ბახის, როჟე ფედერერის ანუ კაცობრიობის ისტორიაში გამორჩეული რომელიმე მამაკაცისა და ქალის სისავსე არ მოუცია. არა, ის თავად იესო ქრისტეს სისავსეს გვაძლევს! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ამ განაცხადის სიდიადე და მნიშვნელობა?

შესაძლოა ეს თქვენთვის გასაოცარი იყოს, მაგრამ ახალ აღთქმაში ღმერთს მადლი უსასყიდლო საჩუქრის, სულის გადარჩენის ან ცოდვების პატიების სახით არ შემოუტანია! ნება მიბოძეთ, აგიხსნათ! საუკუნოდ მადლიერი ვარ ამ საოცარი ნიჭებისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით გამოჩნდა ახალ აღთქმაში. ღმერთმა მადლი იესო ქრისტეს სრული სისავსის გაზიარების სახით წარმოგვიდგინა. ეს მისი ბუნებისა და ძალის ფლობაზე მეტყველებს! სწორედ ამიტომ აცხადებს იოანე ასე გაბედულად: „როგორიც ისაა, ჩვენც ისეთივე ვართ ამ ქვეყნიერებაზე“ (1 იოან. 4:17).

ოდესმე მოგისმენიათ მქადაგებლის ნათქვამი: „არაფრით განვსხვავდებით ცოდვილებისგან. უბრალოდ, ჩვენ პატიება მივიღეთ“ ან „ჩვენ უღირსი მატლები ვართ“ ან „ჩვენ ცოდვილი ბუნების მატარებელი ადამიანები ვართ და ამით ვართ შებორკილი“? როგორ შეიძლება ბიბლიის მკითხველ ადამიანს ასეთი აზრი მოუვიდეს თავში?! ქვეყნიერებაც კი ამაზე კარგს გვასწავლის.

ოდესმე გსმენიათ, რომ ლომს ციყვი გაეჩინოს? გაგიგონიათ, რომ დოღის წმინდა სისხლის ცხენს მატლი ეშვას? წმ. წერილი აცხადებს, რომ მისი ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანი ვართ (იხ. ეფეს. 5:30). ჩვენ გვეუბნებიან: „საყვარელნო, ღვთის შვილები ვართ!“ (1 იოან. 3:2). არა *მოგვიანებით*, როცა ზეცას მივაღწევთ, არამედ *ახლა* ვართ ღვთის ძეები და ასულები. როგორ შეეძლო ღმერთს უღირსი მატლის შობა? ჩვენ ღვთისგან ვიშვით – ჩვენში მისი უხრწნელი თესლია და მისი ღვთიური ბუნების ზიარი ვართ. როგორიც ის არის, ჩვენც ისეთივე ვართ ამ წუთისოფელში! არა მომავალ ცხოვრებაში, არამედ *ამ ქვეყანაზე*.

მოდი, ისევ გადავხედოთ პეტრეს სიტყვებს:

„მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ! ... როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ [*მადლმა*] მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება...“. (2 პეტრ. 1:2-3)

როცა საქმე გაძლიერებაზე მიდგება, მადლის ნიჭი ერთ-ჯერადი მოვლენა არ გახლავთ გადარჩენის მომენტში. ეს ისეთი რამაა, რაც განუწყვეტლივ გვჭირდება. აუცილებელია „უფრო და უფრო მეტი“ მადლი. სწორედ ამიტომ გვეუბნებიან: „გაბედულად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ ... ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის!“ (ებრ. 4:16). ეს ის საწვავია, რომელიც ჩვენი რეზერვუარისთვის გვჭირდება!

ახლა მოუსმინეთ, რას ეუბნება იაკობი მორწმუნეებს მათი თვითნებური, მოღალატეობრივი ცხოვრების სტილის გამო:

„მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?! ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება! ... თუმცა, უფრო *მეტ მადლსაც* იძლევა; ამიტომაც ... დაიმდაბლეთ თავი ღვთის წინაშე!“ (იაკ. 4:4-6 NLT)

კიდევ ერთხელ დაკვირვებით წაიკითხეთ ეს სიტყვები: „უფრო მეტ მადლსაც იძლევა“ ეგოისტური სურვილების წინააღმდეგ. გაფართოებული ბიბლია ასეთ ვერსიას გვთავაზობს: „იგი უფრო და უფრო მეტ მადლს გვაძლევს“. ეს დაუმსახურებელი ძალა ისეთ უნარს გვძენს, რომელსაც ადრე არ ვფლობდით: წმიდად ცხოვრების შესაძლებლობას.

მადლი, რომელიც თავის დამამდაბლებელ ადამიანებზე ვრცელდება ღვთის სიტყვის რწმენის მეშვეობით, თქვენს არსებაში ღვთიური ბუნების *ძალას* ნერგავს. სიამაყე ყურადღებას საკუთარ შესაძლებლობებზე ამახვილებს, ხოლო თავმდაბლობა ღვთიურ გაძლიერებას ეყრდნობა. დავითის უფროსი ძმა, ელიაბი ამაყი კაცი იყო, რომელიც ღვთიურ ძალას არ მიენდო და გოლიათს საკუთარი შესაძლებლობების ფონზე აფასებდა (იხ. 1 სამ. 16-17). დავითი თავმდაბალი კაცი გახლდათ, რომელიც გოლიათს ღვთის ძალის იმედად შეერკინა. ჩვენ ვიცით, რა შედეგი მოჰყვა თითოეულ შემთხვევას.

იესო ღვთის მადლზე დაყრდნობის მაგალითია. გეთსემანიის ბაღში იგი მძაფრ ბრძოლაში იყო. მის ხორცს მამის ნების წინააღმდეგ წასვლა სურდა, მაგრამ იესომ თავი დაიმდაბლა ლოცვაში, სანამ მის მოწაფეებს ეძინათ. მან ამ მძიმე ბრძოლაში გასამარჯვებლად საწვავი ითხოვა ეგოისტური სურვილისთვის დასაპირისპირებლად. ეს იყო საჭიროების ჟამი და იგი თამამად წარდგა ზეციერი მამის გამაძლიერებელი მადლის მისაღებად, რაც ბრძოლაში სჭირდებოდა. მოწაფეები დამარცხდნენ, მაგრამ არა იესოს გაფრთხილების გარეშე: „სული მხნეა, ხორცი კი – უძლური!“ (მათ. 26:41).

ბურთის თამაშამდე გაზონების გაკრეჭის შესახებ მოყვანილ მაგალითში არც საკრეჭი მიყიდია ან რაიმეთი მომიპოვებია და არც ბენზინი. ორივე მათგანი მამამ მომცა. საკრეჭი შეიძლება შევადაროთ ჩვენს სრულიად ახალ ბუნებას, რომელიც მხოლოდ ერთხელ მოგვეცემა. მისმა ფლობამ გაზონის გაკრეჭის უნარი შემძინა. თუმცა ბენზინის გარეშე ისეთივე უმწეო ვიყავი, როგორიც საკრეჭის გარეშე ვიქნებოდი. ბენზინი *გამაძლიერებელ* მადლს წარმოადგენს. ბენზინი არ არის ერთჯერადი საჩუქარი – ის ყოველთვის დამჭირდება, როცა კი გაზონების კრეჭას შევუდგები.

მადლმა ღვთიური ბუნება მოგვცა გადარჩენის მომენტში, მაგრამ ის ისევ და ისევ გვჭირდება ჩვენი ბუნების გასაძლიერებლად, რომ იესოს მსგავსად ცხოვრება შევძლოთ.

„შეიძლება“ და „არ შეიძლება“

მოდი, ისევ გადავხედოთ პავლეს სიტყვებს ეფესელთა მიმართ წერილიდან! ზემომოყვანილი მსჯელობის შემდეგ ისინი უფრო ღრმა აზრს შეიძენენ.

> „ამიტომ ამას ვამბობ და ვმოწმობ უფალში, რათა აღარ დავდიოდეთ ისე, როგორც სხვა წარმართნი დადიან თავიანთი გონების ამაოებაში, დაბნელებულნი აზროვნებაში და ღვთის სიცოცხლისგან გაუცხოებულნი, თავიანთი უმეცრებისა და გულქვაობის გამო, ისინი, რომელთაც *სირცხვილის* გრძნობა დაკარგეს და გარყვნილებას მიეცნენ, რათა ყოველგვარი უწმიდურება ჩაიდინონ გაუმაძღრობით. ... შეიმოსეთ ახალი კაცით, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ ჭეშმარიტების სიმართლესა და სიწმიდეში!“ (ეფეს. 4:17-19, 24)

დაღუპულ ადამიანებსა და მორწმუნეებს შორის საგრძნობი განსხვავება უნდა იყოს, არა მარტო რწმენის საკითხებში, არამედ ცხოვრების წესშიც. სწორედ ამიტომ გვაქვს ახალი ბუნება. აუცილებელია, მისით შემოსვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავი უნდა დავიმდაბლოთ მისი რწმენით და მადლის ძალას დავემორჩილოთ. ამას ასე შეხედეთ. მამაჩემს შეეძლო ჩემთვის საკრეჭის მოცემა, მაგრამ მისგან არაფერი სარგებელი არ იქნებოდა, თუ ბენზინით არ გავმართავდი და არ გამოვიყენებდი. სწორედ ეს არის ახალი ბუნებით შემოსვა. *ჩვენ მას ვიყენებთ*!

პავლე განაგრძობს აღწერას, თუ როგორ გამოიყურება ეს ყველაფერი პრაქტიკული კუთხით:

> „ამიტომ განიშორეთ სიცრუე და თითოეულმა ჭეშმარიტება ელაპარაკოს თავის მოყვასს, ვინაიდან ერთიმეორის ნაწილები ვართ! განრისხდით და ნუ შესცოდავთ; მზე ნუ ჩავა თქვენს რისხვაზე! ადგილი არ მისცეთ ეშმაკს! მომპარავი ნუღარ მოიპარავს, არამედ იშრომოს და თავისი ხელით აკეთოს სიკეთე, რათა ჰქონდეს გაჭირვებულისთვის მისაცემი! არავითარი უშვერი სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან, არამედ მხოლოდ კეთილი – საჭიროებისამებრ ასაშენებლად, რათა მადლი მიანიჭოს მსმენელთ!“ (ეფეს. 4:25-29)

ასეთი ნათქვამი მომისმენია: „ძველი აღთქმა სავსეა რაიმეს აკრძალვით ან ნების დართვით, მაგრამ ახალ აღთქმაში ყველაფერი მადლითაა“. ახლა კონფერენციებსა და ეკლესიებშიც ისწავლება, რომ ღვთის მადლმა გაგვათავისუფლა მცნებებისგან და ბევრს ეს მტკიცედ სჯერა. თუმცა იესო ამბობს, რომ მის სახეს მხოლოდ *მცნების* მომსმენები და დამცველები იხილავენ. ეს მასწავლებლები ფიქრობენ, რომ აუდიტორიებს აავსებენ, თუმცა, სინამდვილეში, ადამიანებს ართმევენ იმას, რაც მათ ღვთის თანდასწრებაში შეიყვანს. ეს გულისმომკვლელი ფაქტია.

რეალურად, იესო მცნებებს გვაძლევს. მისი დავალება ასეთია: „ამიტომ წადით და დაიმოწაფეთ ყველა ხალხი ... ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ!“ (მათ. 28:19-20). აქ არ არის ნათქვამი, „ყოველივე, რაც მე გირჩიეთ“.

იმ დღეებში ბევრს მოსწონდა მისი სიტყვები, რომლებიც უზენაესობას შეეხებოდა, მაგრამ ზედაპირულად ეკიდებოდ-

ნენ ღვთიური ბუნების შეძენის მოწოდებას. ღმერთი მართლაც უზენაესია, მაგრამ კაცობრიობისთვის მინიჭებული თავისუფალი არჩევნის გაცნობიერების გარეშე, შესაძლოა, იქამდე მივიდეთ, რომ ღვთიური ქცევის მცნება უბრალო რჩევად მივიჩნიოთ.

მცნებები

მოციქულებმა იესოს მცნებები ჩვენ გადმოგვცეს. ნება მიბოძეთ, იოანეს სიტყვები გავიმეორო: „იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს“ (1 იოან. 2:3). შემდეგ ის აგრძელებს: „ღვთის სიყვარული მისი მცნებების დაცვას ნიშნავს“ (1 იოან. 5:3 NLT).

პავლე წერს: „რადგან იცით, რაც დაგავალეთ თქვენ უფალ იესოსგან“ (1 თეს. 4:2). მომდევნო მუხლი ასეთია: „ღვთის ნებაა თქვენი განწმედა“ (1 თეს. 4:3). საჭიროა, დავიცვათ იესოს მცნებები, რომ წმიდად ვიცხოვროთ.

პეტრე სრულიად გამჭვირვალედ გვამცნობს წმიდა ცხოვრების აუცილებლობაზე. იგი ტრაგიკულ რეალობას გადმოგვცემს, რომ უკანასკნელ დღეებში მრავალი განუდგება რწმენას. მოციქული წერს, რომ ისინი „უკუიქცნენ მათთვის გადაცემული წმიდა მცნებისგან“ (2 პეტრ. 2:21). ჩვენ არა მარტო მოგვეცა მცნებები ახალ აღთქმაში, არამედ ისინი „წმიდა ცხოვრების“ კატეგორიას შეადგენენ.

თუ ეფეს. 4:25-29-ში პავლე მოციქულის სიტყვებს გამოვიკვლევთ, ცხადად დავინახავთ წმიდა ცხოვრების უშაულო მცნებებს:

ნუ იცრუებთ!

ნუ შესცოდავთ იმით, რომ რისხვას თავის მართვის საშუალება მისცეთ!

ნუ მოიპარავთ!

ნუ გამოიყენებთ უწმაწურ ან აბუჩად ამგდებ სიტყვებს!

შეგვიძლია თამამად გამოვაცხადოთ, რომ ახალ აღთქმაში არ გვხვდება „შეიძლება/არ შეიძლება“? ზემოჩამოთვლილი ჩემთვის სწორედ რომ აკრძალვას ნიშნავს. თქვენ რას ფიქრობთ?

ამას ასე შეხედეთ. როცა ბავშვი ვიყავი, მამამ მითხრა: „ქუჩაში არ გაიქცე ბურთის ასაღებად ისე, რომ ორივე მხარეს არ გაიხედო!“ ეს იყო აკრძალვა, მაგრამ არ იყო ძალიან მკაცრი ან უარყოფითი ნათქვამი. იგი უბრალოდ მცნებას მიწესებდა, რომელიც მოულოდნელი სიკვდილისგან დამიფარავდა და მისი დაცვით დიდხანს ვიცოცხლებდი.

ღმერთი მარტივად გვეუბნება, რა არ უნდა გავაკეთოთ, რომ სავსე, ნაყოფიერი და ხანგრძლივი ცხოვრებით ვიცხოვროთ. და რაც ყველაზე უკეთესია, გვაქვს ღვთიური ბუნება და მადლის საწვავი მისი მცნებების შესასრულებლად.

შეწყვიტეთ ტყუილის თქმა!

მოდი, განვიხილოთ თითოეული ზემოჩამოთვლილი აკრძალვა!

ჩემი მოგზაურობების განმავლობაში ქრისტიანთა უპატიოსნობის არაერთი გულსატკენი შემთხვევის შესახებ გავიგე ან მათი უშუალო მოწმე გავხდი. ამას წინათ საწარმოთა მფლობელი თხუთმეტი ბიზნესმენი წავიყვანე მაჩუ პიქჩუსკენ ინკების კვალზე ოთხდღიან ლაშქრობაში. ეს გახლდათ საოცარი დრო სანახაობრივი და მსახურების თვალსაზრისით და რბილად რომ ვთქვათ, გამოწვევებით სავსე ვარჯიშიც გამოდგა.

თითოეულ მათგანთან რამდენიმესაათიანი სიარულისას სხვა ქრისტიან ბიზნესმენებთან მათი ურთიერთობის ამსახველი ამბები მოვისმინე, რომლებიც ტყუილსაც არ ერიდებოდნენ გაყიდვების გასაუმჯობესებლად ან რაიმე საქმის მოსაგვარებლად. აღმოვაჩინე, რომ ცარიელი დაპირებები და შეუსრულებელი ვალდებულებები გამონაკლისი კი არა, მიღებული პრაქტიკა ყოფილა რწმენისმიერ ძმებთან საქმის ქონისას. მოვისმინე ქრისტიანების შესახებ, რომლებიც არასტანდარტულ მასალებს, გატეხილ კოდებს, ძალისმიერ მეთოდებს იყენებდნენ, არ ასრულებდნენ შეპირებულ მომსახურებებს, უგულებელყოფდნენ გარანტიებს და ა. შ.

ერთმა ბიზნესმენმა ნაცნობი მშენებლის ამბავი გამანდო. ორი ადამიანი ერთი და იგივე მშენებლობაზე მუშაობდა. ერთმა, ე. წ. „ძმამ“ სამშენებლო ნარჩენის ჩასაყრელად ორმოები ამოთხარა სხვა მფლობელთა ნაკვეთებზე, რომელთაგან ორი კაცი ჩემთან ერთად მოგზაურობდა. მან ორმოები ამოავსო და გადაფარა, ნაცვლად იმისა, რომ ფული გადაეხადა ნაგვის გადასაყრელად. მაშინ ამაზე უარესი ამბებიც მოვისმინე, მაგრამ ეს ისტორია იმიტომ გამოვყავი, რომ ხსენებული „ძმა“ იმ დასახლების ევანგელური ეკლესიის თაყვანისცემის წინამძღოლიც გახლდათ.

ტყუილი მხოლოდ სავაჭრო სფეროში არ შეგხვდებათ. იგი გავრცელებულია ხელისუფლებაში, განათლების სისტემაში, მსახურებასა და სამედიცინო სფეროში, ოჯახის წევრებსა და

მეგობრებს შორის. ჩვენ ვიტყუებით სახელისთვის, რეპუტაციის დასაცავად, საკუთარი თავის წასაწევად სასურველ პოზიციაზე ან სასურველი დასასრულის მოსაახლოებლად. სიცრუე მიმზიდველია. მას შეუძლია იმ პროცესის დაჩქარება, რომლის განხორციელებისთვის ღმერთს უნდა მივნდობოდით.

რამდენად ხშირად ვეუბნებით ადამიანებს, რომ მათთვის ვლოცულობთ, როცა სინამდვილეში ამას არ ვაკეთებთ? რაღაცას ვპირდებით შვილებს და შემდეგ ვივიწყებთ. ვარღვევთ შეთანხმებებს სიტყვის მიცემის შემდეგ. ზოგჯერ სათქმელს ვაზვიადებთ შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით. ეს ყველაფერი ტყუილია და საბოლოოდ, ადამიანთა გულისტკენა მოჰყვება.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ამ მნიშვნელოვან პუნქტს: იესოს მცნებების დაცვის სარგებელი გახლავთ *მისი თანდასწრების აღთქმა*. მეფსალმუნემ ეს ჭეშმარიტება შემდეგი კითხვით დაამოწმა: „ვინ დაისადგურებს [ღვთის] კარავში?“ (ფს. 15:1). იგი პასუხსაც იძლევა: „ვინც ... დაიფიცებს თავის საზიანოდ“ (მ. 4). *The Message* ბიბლია ასეთ თარგმანს გვთავაზობს: „დაიცავი ნათქვამი სიტყვა, თუნდაც ამით ზიანი ნახო!“

თუ გამოგვეპარა პავლეს მცნება სიცრუის აკრძალვის შესახებ ეფესელთა წერილიდან, შეგვიძლია იაკობის მცნებას მივუბრუნდეთ. იგი წერს: „ნუ ტრაბახობთ და ნუ ცრუობთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ!“ (3:14). პავლემაც მსგავსი მითითება მისცა კოლოსელებს: „ნუ იცრუებთ ერთიმეორის მიმართ!“ (3:9). წარმოიდგინეთ! პავლე, ვინც ღმერთმა მადლის შესახებ უდიდესი გამოცხადების გადმოსაცემად გამოიყენა, აკრძალვაზე მიგვითითებს. თუ ახალი აღთქმის ცალკეულ განაცხადებს ამოვიღებთ, როგორც პავლეს, ისე სხვა მოციქულთა წერილებიდან, შესაძლებელია ისინი მადლის მოწინააღმდეგეებადაც მოგვეჩვენონ, როცა სინამდვილეში ასე არ არის.

თუ მთელი მსჯელობა მხოლოდ მადლისმიერ მფარველობაზე იქნება კონცენტრირებული ისე, რომ მორწმუნეებს არაფერს ვასწავლით მადლის თანმხლებ წმიდად ცხოვრების ძალაზე, კერძოდ, ტყუილის მოშორებაზე, აუცილებლად მივიღებთ ეკლესიას, რომელიც გაამართლებს სასურველი მიზნის ნებისმიერ ფასად მიღწევის იდეას. განა ამისკენ არ გვიბიძგებს დაუბალანსებელი სწავლება და რწმენა მადლზე, რომელსაც სიწმიდისკენ მოწოდება ჩამოშორებული აქვს? განა ეს არ გვასწავლის სინდისის ხმის ჩახშობას?

არ მისცეთ რისხვას თქვენი მართვის საშუალება!

სიაში მომდევნო არის: *ნუ განრისხდებით*! წარმომიდგენია ქალებისა და კაცების სახეები, რომლებიც ბრაზიან მეუღლეებთან ცხოვრობენ. მომისმენია, რამხელა შიში ავსებს სახლებს, როცა ეს მაღიარებელი მორწმუნეები რისხვის შემოტევას ექვემდებარებიან. რა უნდა ვთქვათ დამანგრეველი და ძალადობრივი რისხვის მქონე მშობლებთან ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ბავშვების შესახებ? ამგვარ აფეთქებებს მატერიალური ზარალი და ფიზიკური დაზიანებაც მოჰყვება ხოლმე. მსხვერპლები მომდევნო რისხვის ფრქვევის შიშით ცხოვრობენ. სიბრაზე ოჯახურ ატმოსფეროს ანადგურებს და ის უსაფრთხო კერა აღარ არის. კვირას ასეთი ოჯახის გარეგნული იერი ყველასთვის მისაღებია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სამწუხაროდ, ამ მცნებას ზედაპირულად ვეკიდებით ან საერთოდ უგულებელვყოფთ.

ეს ერთადერთი ასეთი მცნება როდია. მოციქულები კიდევ მრავლად მიგვითითებენ რისხვის მიტოვებაზე. პავლე კიდევ უფრო პირდაპირ წერს: „ყოველგვარი სიმწარე, სიბრაზე, რისხვა, ყვირილი და გმობა განიშორეთ!“ (ეფეს.4:31). იაკობი გვამცნობს: „ძმებო, ყოველი ადამიანი ... იყოს ... რისხვაში – ნელი! რადგან ადამიანის რისხვა არ წარმოქმნის ღვთისთვის სასურველ სიმართლეს!“ (იაკ.1:19-20). პავლე კოლასელებს მიუთითებს: „განიშორეთ ... რისხვა, მძვინვარება!“ (3:8).

კიდევ ერთხელ მინდა გკითხოთ. ნუთუ ეს ყველაფერი აკრძალვა არ არის იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ღვთის მადლის გამოცხადება მიიღეს? რამე ხომ არ გამოგვრჩა?

ნუ მოიპარავთ!

აღარ მოიპაროთ! რამდენად ხშირად ვიღებთ სესხს და შემდეგ არ ვაბრუნებთ? რამდენად ხშირად ვვარდებით უზარმაზარ ვალში? დარწმუნებული ვართ, რომ ღვთის კურთხევა ბოლოს მაინც გამოვლინდება და კიდევ უფრო მეტ ვალს ვიღებთ სიბრძნის უგულებელმყოფელები. საბოლოოდ, შესაძლებელია თავი ბანკროტად გამოვაცხადოთ. ეს მიღებული გზაა, რომელიც გვათავისუფლებს სხვებისთვის სესხის დაბრუნების ვალდებულებისგან.

რამდენჯერ გამოგვიყენებია ჩვენი საწარმოს რესურსები პირადი საჭიროებისთვის? ამას ფულის მითვისება ჰქვია. ამის

შემდეგ თამამად ვაცხადებთ: „მე ღვთის მადლით გადარჩენილი ქრისტიანი ვარ“, თუმცა იესოს მიერ მოციქულების ხელით გადმოცემულ მცნებებს არ ვემორჩილებით.

ერთი მწყემსი, რომელთან ერთადაც ვმსახურობდი, ყოველ საეკლესიო შეკრებას ესწრებოდა, სასწაულებიც უნახავს და ჩემთან იკვეხნიდა, თუ რაოდენ ადვილი იყო მისთვის ხანგრძლივი მარხვის დროს ლოცვა. იგი ათასობით დოლარს იყენებდა ეკლესიის ფონდიდან მთელი იმ პერიოდის განმავლობაში. საბოლოოდ, იგი გამოიჭირეს. ეს ქრისტიანთა მხრიდან ქურდობისა და შემდეგ მისი გამართლების მხოლოდ ერთი მაგალითია.

რამდენ ჩვენგანს არ დაუწერია სიმართლე საგადასახადო დეკლარაციაში და დაუმალავს რეალური შემოსავალი? ამ შემთხვევაში პავლეს სხვა მცნებას უგულებელყოფენ: „სწორედ ამისათვის იხდით ხარკს“ (რომ.13:6). ამგვარ ქურდობას ქვეყნის საერო ხელისუფლების „ცუდი მუშაობით“ ვამართლებთ. როდის ვისწავლით, რომ ორი არასწორი ქმედების ჯამი არასოდეს გაუტოლდება სიმართლეს?

მოიშორეთ ბილწსიტყვაობა და დაცინვა!

ეს მცნება გაფართოებულ ბიბლიაში შემდეგნაირად არის თარგმნილი: „არავითარი უშვერი და უსარგებლო სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან!“ (ეფეს. 4:29). მეტისმეტად ხშირად მიწევს იმ ადამიანთა მომსახურება, რომლებსაც სხვა მორწმუნეებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ისინი განადგურებული იყვნენ გულის დამჭრელი და მტკივნეული სიტყვებით. მათ განკურნებას დრო დასჭირდა.

არაერთხელ მომისმენია უსარგებლო საუბრები მორწმუნეთა შორის, შეუსაბამო ისტორიები და ხუმრობები მსახურთა შორისაც კი. კათედრიდან უხამსი ლაპარაკის მოსმენა უკვე გასაკვირი აღარ არის.

ამას წინათ, ერთ ახალგაზრდა ცოლ-ქმართან ერთად ვსადილობდი. ისინი დიდ ეკლესიას ზედამხედველობდნენ. წყვილი აღფრთოვანებული იყო ერთ-ერთი გლობალური მსახურების საქმიანობით. მათ ამ ორგანიზაციის ცნობილ წინამძღოლთან სადილობის საშუალება მიეცათ. ამ უკანასკნელმა საუბრისას რამდენჯერმე ისეთი უხამსი და ბილწი სიტყვები გამოიყენა, რომ ახალგაზრდები რამდენიმე თვის შემდეგაც ელდანაცემი იყვნენ.

მადლი გავაუფასურეთ

რა მოხდა? ძალიან „მაგრები“ გავხდით და მოვიშორეთ ღვთიური ქცევები? ჩვენი მოწმობა მსხვერპლად შევწირეთ საზოგადოებისთვის მისაღებად ყოფნას? მთელი 100 %-ით მხარს ვუჭერ პროგრესსა და წინსვლას ჩვენს აზროვნებაში, მაგრამ არა ღვთის სიტყვის უგულებელყოფის ხარჯზე.

ასეთი კითხვა უნდა დავსვათ: თუ მოციქულებმა დაინახეს ღვთიური ქცევისთვის საჭირო მცნებების გადმოცემის აუცილებლობა, რატომ არ გვინდა მათი გახმოვანება? ნუთუ მათზე მეტი ვიცით? იესოზე ბრძენები ვართ?

იქნებ მტერმა ევასავით გვაცდუნა? ეს დრო ცოტათი განსხვავებულია. ევამ კარგად იცოდა მცნება, რომ კეთილისა და ბოროტის ხის ნაყოფიდან არ უნდა ეჭამა. მტერს თავის გამჟღავნების რისკზე წასვლა მოუხდა ღვთის სიტყვის უშუალო დაპირისპირებით. ეს მისთვის დელიკატური სამუშაო იყო.

ჩვენ კი ეშმაკს საქმე გავუადვილეთ. საკუთარი კომფორტისთვის უარვყავით ზოგი რამ ღვთის სიტყვიდან. გახსოვთ ღვთის მცნება: „ბაღის ყოველი ხისგან შეგიძლია ჭამო, ოღონდ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისგან არ შეჭამო, რადგან რა დღესაც შეჭამ, სიკვდილით მოკვდები!“ (დაბ. 2:16-17)? შედარებისთვის, ზოგიერთი მორწმუნე დღეს ასე იტყოდა: „ბაღის ყოველი ხიდან შეგიძლიათ თავისუფლად ჭამოთ“. წერტილი! ამბის დასასრული! ისინი შეგნებულად გამოტოვებენ „არ ჭამო“-ს – აკრძალვას, რომელიც უღვთო ქცევას უკავშირდება.

არსებითად, ღვთის მადლი გავაუფასურეთ. სწორად ვაცხადებთ, რომ იგი გვიხსნის, გვპატიებს და ღვთიური სიყვარულიდან მომდინარე უსასყიდლო საჩუქარია, მაგრამ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მადლი ჩვენს ბუნებას ცვლის და ჩვეული ცხოვრებისგან განსხვავებული სიცოცხლის ძალას გვაძლევს. თავს ვარიდებთ ადამიანთათვის იმის თქმას, რომ ახლა გვაქვს უღვთო ქცევების მიტოვების ძალა. ამგვარი სიჩუმის მიზეზი ის გახლავთ, რომ მორწმუნეები უმეცრები არიან ღვთისმოსაობაში და ღვთის თანდასწრებას არ ესწრაფვიან.

ჩვენი ქმედებები მნიშვნელოვანია

ამას წინათ, დილით ბიბლიას ვკითხულობდი. იმ დროისთვის ჩემი საკითხავი წიგნები გახლდათ ფსალმუნები და ებრაელთა მიმართ წერილი. ფსალმუნების ნაწილის კითხვას მოვრჩი

და ის-ის იყო ებრაელთა წერილს მივუბრუნდი, რომ ძლიერად ვიგრძენი სულიწმიდის ნათქვამი: „არა, არ წაიკითხო ებრაელთა მიმართ წერილი. წაიკითხე გამოცხადების წიგნი!“

გამოცხადების კითხვა ორიოდე კვირის წინ დავიწყე სულიწმიდის მითითებით. უკვე რამდენიმე თავი მქონდა წაკითხული, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ ინტერესი დავკარგე. მომდევნო დღეს ისევ კითხვის გრაფიკს დავუბრუნდი. ახლა ორი კვირის შემდეგ შეწყვეტილი ადგილიდან განვაგრძე კითხვა. ჩამაფიქრა სარდეს ეკლესიის მიმართ ნათქვამმა იესოს სიტყვებმა:

> „ვიცი შენი საქმენი, რომ ცოცხალის სახელი გაქვს, შენ კი მკვდარი ხარ“. (გამოცხ. 3:1)

პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ იესოს სიტყვებს: „ვიცი შენი საქმენი“ და არა „ვიცი, რაც გწამს“. ის არ ამბობს: „ვიცი, შენი ზრახვები“. ნათელია, რომ იესო ლაპარაკობს, არა ამ ეკლესიის მდგომარეობაზე ქრისტეში, არამედ მის ცხოვრებისეულ სიწმიდეზე – საქმეებზე, ქცევაზე, გაკეთებულ არჩევანზე და ა.შ.

ის ეკლესიას ცოცხალის სახელის მქონეს უწოდებს. რა იძლევა ამის თქმის საშუალებას? იქნებ ის მზარდი და პოპულარული იყო აღსაფრთოვანებელი შეკრებებით და დამუხტული ატმოსფეროთი? გაიხსენეთ, რომ გაუცნობიერებლად შეგვიძლია ღვთის თანდასწრება კარგი ატმოსფეროთი ჩავანაცვლოთ. თუ პოპ-კონცერტს დაესწრებით, იქაც ნახავთ უამრავ ხალხს, გადამდებ ენთუზიაზმს და ზღაპრული საღამოს დიდ მოლოდინს, მაგრამ ესათნოება თუ არა ეს ყველაფერი ღვთის გულს?

კონკრეტული ეკლესიის სიცოცხლისა თუ სიკვდილის მდგომარეობის გასარჩევად საჭიროა დაისვას მნიშვნელოვანი კითხვა: იესოს სიტყვებს ვემორჩილებით თუ მტკიცედ შეკრულ თემს ვქმნით, რომელიც რეალურად შორს დგას მისი მცნებებისგან? არსებობს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი კითხვა: ვაცხადებთ იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ჩვენი გულის მდგომარეობას წარმოაჩენს, რომ შედეგად ჩვენი ქცევები შეიცვალოს თუ დადებითი ემოციების აღმძვრელ და ინტელექტის მასტიმულირებელ საკითხებზე ვქადაგებთ?

ამ შესავლის შემდეგ იესო ასე განაგრძობს:

„გამოფხიზლდი და განამტკიცე ის, რაც დაგრჩა და სიკვდილის პირასაა: ვინაიდან ვერ ვხედავ,რომ შენი საქმენი ღვთის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს!“ (მუხლი 2 NLT)

იესო აქაც საქმეებს აღნიშნავს და არა მათ რწმენას. როგორც ადრე ვთქვით, ახალ აღთქმაში არის „შეიძლება“ და „არ შეიძლება“; ამგვარი მითითებები ჩვენს ქცევებს შეეხება. იესოს სიტყვების თანახმად ეს ეკლესია არ მისდევდა წმიდად ცხოვრების წესს. ამის შემდეგ იგი აცხადებს:

„გაიხსენე, რაც მიიღე და მოისმინე, და დაიცავი და მოინანიე! თუ არ იფხიზლებ, მოვალ, როგორც ქურდი, და ვერ გაიგებ, რა დროს მოგივალ!“ (გამოცხ. 3:3)

გაიხსენეთ, რომ იესო სარდეს ეკლესიას მიმართავდა და არა თვითონ ქალაქს. თუმცა ეს სიტყვები, რომ მხოლოდ ისტორიულ ეკლესიას შეეხებოდეს, წმ. წერილში არ მოხვდებოდა. მათი წერილში არსებობა წინასწარმეტყველური გაგების შესაძლებლობას ნიშნავს. ეს სიტყვები დღევანდელ მორწმუნეებსაც ეკუთვნის, ისევე როგორც მაშინ, როცა პირველად წარმოითქვა. ამ სიტყვებით ჩვენ მოგვმართავენ, რადგან ღვთის სიტყვა მარად ცოცხალია. ამრიგად, იესოს სიტყვებს სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავ.

იესო მიგვითითებს, რომ უკან დავბრუნდეთ იმისკენ, რაც პირველად ვირწმუნეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ წმიდა ცხოვრებიდან გადავუხვიეთ. მადლის ისეთი დოქტრინა შევიმუშავეთ, რომელიც ჩვენი საზოგადოების არამორწმუნე ადამიანების საქმეებისგან არაფრით განსხვავებულ ცხოვრების წესს გვინარჩუნებს. ეს გახლავთ ერთი შეხედვით კარგი სწავლება, მაგრამ არის კი ღვთის სიტყვის შესაბამისი?

იესო ეკლესიას ეუბნება, რომ მოინანიოს და ღვთის სიტყვებს დაუბრუნდეს. არიან თანამედროვე მასწავლებლები, რომლებიც აცხადებენ, რომ ჩვენი წარსული, ახლანდელი და მომავალი შეცოდებები ავტომატურად ნაპატიებია და მონანიებაც საჭირო აღარ არის მას შემდეგ, რაც ქრისტიანები გვეწოდა. თუ ეს ასეა, რატომ ეუბნება იესო თავის ეკლესიას, რომ მოინანიოს და უკან დაუბრუნდეს?

თუ „დაუბალანსებელ“ მადლის სწავლებებს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ისინი მრავალ ადამიანს იზიდავენ. ბევრ მათგანს იმ წინამძღოლთაგან გაიგონებთ, რომლებიც სიწ-

მიდეზე ლეგალისტური, დამახინჯებული მოძღვრების მქონე ეკლესიებში გაიზარდნენ. დიახ, სიწმიდე ხშირად არასწორად იყო წარმოდგენილი რელიგიურ წრეებში, მაგრამ ეს ვერ შეცვლის ფაქტს, რომ სიწმიდის საკითხი ფუნდამენტურია ქრისტიანობისთვის. წმიდა ცხოვრებისკენ მოწოდება ჩვენი საერთო მისიისა და პირადი დავალებების არსებითი შემადგენელი ნაწილია. კვლავ უნდა დავუბრუნდეთ საფუძვლებს: „რაც მიიღე და მოისმინე“.

იესო აგრძელებს:

> „თუმცა გყავს სარდეში რამდენიმე კაცი, სამოსი რომ არ წაუბილწავთ; ისინი ჩემთან ერთად ივლიან თეთრებში, რადგან ღირსნი არიან“. (გამოცხ. 3:4)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს: „სამოსი რომ არ წაუბილწავთ“. გავიხსენოთ პავლეს დარიგება, რომელიც ღვთის თანდასწრებისთვის გვამზადებს: „განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე!“ (2 კორ. 7:1). იესო ეკლესიას მიმართულებას უსწორებს წმიდა ცხოვრებისკენ დაბრუნების მოწოდებით, რომ არ გაიუწმიდუროს სამოსი ხორციელი სიბილწეებით და სული – უღვთო ცხოვრების სტილით. ეს მისი თანდასწრებისა და დაბრუნების მზადყოფნას გვინარჩუნებს, რადგან მოგვიანებით იგი აცხადებს: „ნეტარია, ვინც ფხიზლობს და იცავს თავის სამოსელს“ (გამოცხ. 16:15). შემდეგ იესო ასკვნის:

> „გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრ სამოსელს, მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამისა და მისი ანგელოზების წინაშე“. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს!“ (გამოცხ. 3:5-6)

სიცოცხლის წიგნიდან თქვენი სახელის ამოშლა საკმაოდ სერიოზული საკითხია. მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები სწორედ ჩვენი მხსნელის ბაგიდან გამოვიდა. მნიშვნელოვანია, რომ ვისმენდეთ და ყურადღებით ვეკიდებოდეთ სულიწმიდის ნათქვამს ღვთის სიტყვაში და არ უარვყოთ განცხადებები, რომლებიც განსხვავდება იმისგან, რაც ადრე გვწამდა ან რასაც გვიქადაგებენ.

ღმერთმა გაგვამართლა. ვერაფერს მოვიმოქმედებთ ისეთს, რომ ქრისტეში ეს მდგომარეობა დავიკავოთ. და მაინც, მისი

შესაბამისი წმიდა ცხოვრება ძალზე მნიშვნელოვანია ღვთის თვალში.

პავლე წერს: „ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთობა და ამქვეყნიური გულისთქმანი, და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში“ (ტიტ. 2:11-12). ეს გახლავთ ნათელი მითითება. მაშ, რატომ არ ვაცხადებთ მას ხმამაღლა ჩვენი კათედრებიდან?

დაე, არასოდეს შეწყდეს სწავლება, რომ ღვთის კეთილგანწყობას, პატიებას ან გადარჩენას საკუთარი ძალებით ვერასოდეს დავიმსახურებთ! დაე, კვლავ გავაგრძელოთ სახარების ხმამაღლა უწყება! ამასთან ერთად, შევწყვიტოთ ღვთის მადლის გაუფასურება. დაე, ვაღიაროთ სრული ჭეშმარიტება!

11

კარგი თუ სასარგებლო?

„ამბობ, „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის“,
მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“.
1 კორ. 10:23

„... სრული გაწმედა არა მარტო ზეცაში მოსახვედრად
არის არსებითი, არამედ ... იგი აუცილებელია
დედამიწაზე ქრისტიანული ცხოვრების
უდიდესი შედეგის მისაღებად“.
დოგან კლარკი

ჩემთვის, როგორც მსახურისთვის, რომელიც ხშირად ქადაგებს და „გაცემს“, განსაკუთრებით წამახალისებელია ღვთის სხვა მამაკაცებისა და ქალებისგან მოსმენილი სიტყვა. ამას წინათ ამგვარი შემთხვევით გავიხარე. სიტყვით გამოსული მწყემსი ჩვენს ერში საყოველთაოდ პატივცემულია, დიდ ეკლესიას ხელმძღვანელობს და ცნობილია თავისი შინაგანი მიგნებებით ადგილობრივი ეკლესიის განვითარების საქმეში. მისი სიტყვა საინტერესო, გამამხნევებელი და თვალის ამხელი იყო. ათასობით ადამიანი გულისყურით უსმენდა აუდიტორიაში.

რაღაც მომენტში მან კომენტარი გააკეთა, რომელიც კარგი, ბრძნული და თავმდაბლური ჩანდა, მაგრამ მისი მოსმენა მაინცდამაინც არ მეამა. მან თქვა: „რასაც ახლა ვიტყვი, შესაძლოა, უარყოფითად აღიქვათ. როგორც წესი, ასე არ ვლაპარაკობ, რადგან არ მიყვარს ადამიანთა მხილება ჩემი ქადაგებებით. ყოველგვარ მხილებას სულიწმიდას ვანდობ“.

შევეცადე ამ ნათქვამის სულში შეტანა, მაგრამ ვერ შევძელი. წარსულში სხვა წინამძღოლებისგანაც მომისმენია მსგავსი სიტყვები. ლოგიკურად გამართული იყო, მაგრამ მე ასე რატომ ვწუხდი? შემდეგ გამახსენდა პავლე მოციქულის სიტყვები მისი ახალგაზრდა მოსწავლის, ტიმოთეს მიმართ. მსახურების დასრულების შემდეგ მუხლი მოვძებნე:

„გიმოწმებ, რომ ... იქადაგო სიტყვა მოსახერხებელ და მოუხერხებელ დროს, ამხილო, შერისხო, შეაგონო!...“ (2 ტიმ. 4:2)

ნება მიბოძეთ, თავდაპირველად ამ მუხლის კონტექსტზე ვილაპარაკო! ამ წერილის დაწერის დროისთვის ტიმოთე ეფესოს დიდ ეკლესიას ხელმძღვანელობდა. ახალი აღთქმის ეს თავი პავლეს უკანასკნელ სიტყვებს მოიცავს, რომლებიც არა მარტო მის ახალგაზრდა მოწაფეს ეკუთვნის, არამედ ყველა ჩვენგანსაც. წარმომიდგენია, როგორ გრძნობდა იგი აღსასრულის მოახლოებას და თემას და სიტყვებს ფრთხილად არჩევდა.

არ მინდოდა, რომ პავლეს ნათქვამი ფრაზის, „ამხილე, შერისხე, შეაგონე!“, ზედაპირული ცოდნა მქონოდა, ამიტომ კვლევას შევუდექი. ჯერ ბიბლიის გაფართოებულ თარგმანს მივადექი, მაგრამ სანამ ზემოთ მოყვანილ მუხლს წავიკითხავდი, ჩემი ყურადღება წინა მუხლმა მიიპყრო:

„ᲒᲘᲛᲝᲬᲛᲔᲑ ღვთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელიც განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი მოსვლითა და თავისი სამეფოთი ...“. (2 ტიმ. 4:1)

სიტყვა „*გიმოწმებ*“ დიდი ასოებით არის თარგმნილი. შეცდომა არ დამიშვია. ამას განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა. ჩემს მეგობარს, რიკ რენერს დავუკავშირდი, რომელიც დიდი ხანია ბერძნული ენის სპეციალისტად ითვლება და სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა ვკითხე. მან ასე მიპასუხა:

ბერძნულად „ᲒᲘᲛᲝᲬᲛᲔᲑ“ გახლავთ „*დიამარტურომაი*“ – სიტყვა, რომელიც ოფიციალური პირების მიერ ფიცის დასადებად გამოიყენებოდა საჯარო თანამდებობის დაკავებისას. პიროვნება, რომელიც მათ ფიცს ადებინებდა, ღმერთების მთელ პანთეონს მოუხმობდა მოსასმენად და დასაკვირვებლად. ეს მათთვის მეტისმეტად სერიოზული საკითხი იყო. თანამდებობრივი ფიცის დამდებებს „უმოწმებდნენ“, რომ სამუშაოს პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ და ყოველთვის ხსომებოდათ, რომ ღმერთები უყურებენ. ტიმოთეს შემთხვევაში პავლე ამას გულისხმობდა (პარაფრაზი): „ღმერთს მოვიხმობ მოწმედ, რომ შენ ისმენ სიტყვას, რომელიც ახლა უნდა გითხრა ...“. ეს გახლდათ საზეიმოდ ნათქვამი ტიმოთეს მიმართ, რომ სრული სერიოზულობით მოჰკიდებოდა მის სიტყვებს, რომელთაც ღმერთი აკვირდებოდა და უსმენდა. სწორედ ამიტომ ლაპა-

რაკობს მუხლის დანარჩენი ნაწილი განკითხვაზე ... პავლეს უნდოდა, რომ ტიმოთეს გაეაზრებინა მისი ნათქვამის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც მალე მოისმენდა. სიტყვა „გიმოწმებ“ მის მიმღებს დიდ პასუხიმგებლობას აკისრებდა.

პავლე ძალზე მკაცრი იყო ამ ახალგაზრდა მწყემსის (და ჩვენს) მიმართ, რათა მისი ნათქვამისგან განსხვავებული არჩევანის ალბათობა გამოერიცხა. როგორც რიკი ამბობს, პავლემ ეს მოწმობა ღვთისა და იესო ქრისტეს წინაშე გააკეთა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთი ტიმოთეს და ნებისმიერ სხვა მსახურს განიკითხავდა, თუ ამ მკაცრ მითითებას არ გაითვალისწინებდა. აი, მითითებაც:

> „გააცხადე და იქადაგე სიტყვა! [შეინარჩუნე მუდმივი მზადყოფნის განცდა] კარგი შესაძლებლობისა და არახელსაყრელ დროს [მოსახერხებელ და მოუხერხებელ დროს, კეთილად მიღებისა თუ უარყოფის დროს] შენ, როგორც სახარების მქადაგებელმა, ხალხს უნდა აჩვენო, რომ მათი ცხოვრების ზოგიერთი მხარე არასწორია]“. (2 ტიმ. 4:2 AMP)

სახარების მსახურმა „ხალხს უნდა აჩვენოს, რომ მათი ცხოვრების ზოგიერთი მხარე არასწორია“ ეს აშკარაა!

ზემოხსენებული ქადაგების მოსმენისას მაშინვე მომივიდა აზრი: *ეჭვგარეშეა, მწყემსის განცხადება არასწორია*. იგი კარგი ჩანდა, მაგრამ ჭეშმარიტება არ იყო. ნებსით თუ უნებლიეთ, მან კარგი ამჯობინა ღვთიურს. ამ წინამძღოლმა პასუხისმგებლობა სულიწმიდას დააკისრა, მაგრამ პავლე ნათლად აცხადებს, რომ ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა.

ამას წინათ ძალზე ცნობილი მწყემსისა და მისი მეუღლისგან ინტერვიუ აიღეს საერთაშორისო ამბების პროგრამაში. კორესპონდენტმა სქესობრივი უზნეობის საკითხი წამოწია და მათი პასუხი ასეთი გახლდათ: ჩვენი საქმე არ არის ადამიანთათვის მითითება, თუ როგორ უნდა იცხოვრონ“.

ვიცი, რომ ამ წყვილს ღმერთი უყვარს. მათ უნდათ იმის ხილვა, როგორ ისმენენ დაღუპული ადამიანები ღვთის სახარებას და იესოსთან მოდიან. მათი ხედვები დიდებულია – შესანიშნავი იქნებოდა, რომ ყველა მსახურს ჰქონოდა მსგავსი მოშურნეობა. და მაინც, ხომ არ ჩავანაცვლეთ *ღვთის* პირდაპირი მითითება, რომ „ვაჩვენოთ ადამიანებს მათი ცხოვრების

ნაკლოვანი მხარეები“ ჩვენი *კარგი* ფილოსოფიით – „არ ვუთხრათ ადამიანებს, როგორ უნდა იცხოვრონ?“

ნუთუ ასეთი იყო მოციქულთა ტაქტიკა? ერთხელ პავლე მოციქულმა მისი სტრატეგია დაღუპულ მეფეს გაუცხადა:

> „ამიტომ, არ ვეურჩე ზეციურ ჩვენებას, მეფე აგრიპავ! პირველად დამასკოსა და იერუსალიმის მკვიდრთ, მერე კი იუდეის მთელ ქვეყანას და აგრეთვე წარმართებს ვუქადაგებდი მონანიებას, ღვთისკენ მოქცევას და მონანიების ღირსი საქმეების აღსრულებას“. (საქმ. 26:19-20)

დაღუპული ადამიანებისთვის იმის თქმა, რომ *ცოდვები მოინანიონ* და მოქცევის შემდეგ *დაამტკიცონ მათში მომხდარი ცვლილება*, უშუალოდ ეხება საკითხს, *თუ როგორ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა*. სამწუხაროა, რომ პავლეს მახარებლური ფილოსოფია სრულიად განსხვავდება იმ წყვილის მოსაზრებისგან, რომელსაც ინტერვიუ ჩამოართვეს. პირველი *ღვთისგანაა*, მეორე კი – *კარგია*.

პავლემ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი გადაწყვეტილება, რომ ღვთიურ სტრატეგიას მიჰყოლოდა, როცა მეორე ცნობილ და ასევე წარმართ წინამძღოლსა და მის მეუღლესთან ლაპარაკის შესაძლებლობა მიეცა. გამოვიკვლიოთ მისი ტაქტიკა განხილული საკითხებიდან:

> „რამდენიმე დღის შემდეგ ფელიქსი მოვიდა, თან თავისი იუდეველი მეუღლე დრუსილა ახლდა. მოუხმო პავლეს და ქრისტე იესოში რწმენის შესახებ გამოკითხა. პავლემ ღვთისა და მის ერთან სწორ დამოკიდებულებაზე, ცხოვრებასა და ზნეობრივ პრინციპებზე, ასევე მომავალ განკითხვაზე ილაპარაკა, ამიტომ ფელიქსი შეშინდა და უთხრა: „ახლა წადი და როცა მოვიცლი, დაგიძახებ!“ (საქმ. 24:24-25 The Message)

ფელიქსმა პავლე იმიტომ მოიხმო, რომ ის და მისი მეუღლე დაინტერესებული იყვნენ მარადიული სიცოცხლის სიტყვის მოსმენით. ამ დასაღუპავად განწირულ წყვილთან განხილული მთავარი საკითხებიდან ორი შეეხებოდა ზნეობრივ წვრთნას და მომავალ განკითხვას. პავლეს სიტყვები იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ თავი უხერხულად იგრძნეს. შეიძლება ამ ტაქტიკის შედარება დაღუპულთა მომსახურების თანამედროვე

მეთოდებთან? არიან ეკლესიების წინამძღოლები, რომელთა უმთავრესი მიზანია, მომდევნო კვირა დღეს უკან დაიბრუნონ უფლის მაძიებლები. რასაკვირველია, ხალხის ეკლესიაში მოსვლის მოლოდინი მოსაწონია, მაგრამ ეს არ არის საბოლოო მიზანი. პავლე სულაც არ ფიქრობდა იმაზე, ვინ მოვიდოდა მომდევნო ღვთისმსახურებაზე. მას სურდა ერთგულად გადაეცა ჭეშმარიტება.

ამას წინათ, ერთი პოპულარული ახალგაზრდა მწყემსის მსახურებას დავესწარი. იგი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა და ღვთის სიყვარულის თემაზე ქადაგებდა. მის მოსასმენად ათასობით ადამიანი შეიკრიბა აუდიტორიაში, სადაც ტევა აღარ იყო. ატმოსფერო დამუხტული გახლდათ და ხალხი აღფრთოვანებით ელოდებოდა ახალგაზრდა წინამძღოლის სიტყვებს. მის გამოსვლამდე მსმენელი ორჯერ გააფრთხილეს წინამძღოლის მენეჯერმა და თავად წინამძღოლმა, ერთადერთი რამ, რასაც ისინი გაიგონებდნენ, იქნებოდა „სახარება“ და იმ საღამოს „უარყოფითს“ ვერაფერს მოისმენდნენ. „კეთილი უწყება“ სიტყვა „უარყოფითის“ საპირისპიროდ იქნა გამოყენებული. თუმცა ზოგჯერ სახარება თავიდან უარყოფითიც კი ჩანს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენს ცხოვრებაში შესწორებები შემოაქვს. და თუ ცხოვრების წესის ამგვარი შეცვლა სიკვდილისგან გვიხსნის, როგორ უნდა აღვიქვათ იგი?

კათედრასთან დადგომიდან პირველი ოცი წუთის განმავლობაში მწყემსმა გონივრული იუმორით მოახერხა მსმენელთან დაკავშირება. შემდეგ ჩვენს მიმართ იესოს დაშურებულ სიყვარულზე გვიამბო. ეს იყო გულში სითბოს ჩამღვრელი და გამამხნევებელი სიტყვა. შემდეგ მან ხალხს გადარჩენის შესაძლებლობა შესთავაზა ისე, რომ არაფერი უთქვამს ცხოვრების მიმართულების შეცვლაზე ანუ ქვეყნიერების სიყვარულის მიტოვებასა და ღვთისადმი მორჩილების აუცილებლობაზე. არც ერთი სიტყვა ცოდვების მონანიებაზე, საბაზისო სწავლებებზე, რაც გადარჩენას უნდა ახლდეს (იხ. ებრ. 6:1). იმ საღამოს ბევრი გამოეხმაურა მის მოწოდებას.

შეესაბამებოდა ამ მწყემსის ქადაგება პავლეს სიტყვას მეფე აგრიპას ან ფელიქსისა და დრუსილასადმი? ჰგავდა მისი ქადაგება პეტრეს მკაცრ მხილებას ხსნის მაძიებელი ადამიანებისადმი, „მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წარიხოცოს თქვენი ცოდვები!“ (საქმ. 3:19). როგორ ფიქრობთ, ის შეკრება ღვთის მაძიებლებმა სულის ხსნის მიღებით დატოვეს?

მეორე უკიდურესობა

ისევ დავსვათ კითხვა, რატომ არის ასე ადვილი ქანქარის გადახრა სრულიად საწინააღმდეგო მხარეს? ისე ვშორდებით ლეგალისტურ ქრისტიანობას, რომ ახლა სახარების საკვანძო მომენტებს საერთოდ უგულებელვყოფთ.

ბევრი თანამედროვე წინამძღოლი, როგორც ახლა ვთვლით, ეკლესიის მკაცრი მამების მიერ აღიზარდა. მათ ადამიანებთან დაპირისპირების და ცოდვაში მხილების არ ეშინოდათ მე-20 საუკუნეში. ისინი წმიდა ცხოვრებისკენ მოგვიწოდებდნენ. მაშინ არ იყო იმდენი მეგაეკლესია, რამდენიც ახლა გვაქვს. მტკიცე, მამხილებელ წმ. წერილისეულ ქადაგებებს ბევრი არაგულწრფელი მაძიებელი უკან გაუბრუნებია.

რაღაც დროის შემდეგ სტრატეგია შეიცვალა. ზოგიერთმა მწყემსმა გადაწყვიტა, რომ დიდი რაოდენობრივი გამოხმაურება მხოლოდ მაშინ მიიღებოდა, როცა გამორჩეულად *დადებით და წამახალისებელ სიტყვას* იქადაგებდნენ. უარვყავით მხილება, საყვედური და შესწორება და ბიბლიაში გამამხნევებელი სიტყვების ძიება დავიწყეთ. ადამიანებს აღარ ვეუბნებოდით, რამდენად შორს იყო მათი ცხოვრება ღვთის მორჩილებისგან. ასეთი გახდა ჩვენი სტრატეგია 21-ე საუკუნეში. ახლა კი მოისმინეთ პავლეს მითითება ტიმოთესადმი:

> „გიმოწმებ, რომ ... [... შენ, როგორც სახარების მქადაგებელმა ხალხს უნდა აჩვენო, რომ მათი ცხოვრების ზოგიერთი მხარე არასწორია] ამხილო, შერისხო, შეაგონო მთელი სულგრძელობითა და სწავლებით!“ (2 ტიმ. 4:2 AMP)

აი, რას ნიშნავს სამი მნიშვნელოვანი ბერძნული სიტყვა ამ მონაკვეთში – *„ელეგჩო“, „ეპიტიმაო“, „პარაკალეო“*. სტრონგის განმარტებით *„ელეგჩო“* ითარგმნება, როგორც „მხილება, შეცდომაზე მითითება, საყვედური, შესწორება“. *The Complete Word Study Dictionary* უფრო კონკრეტულ მნიშვნელობას გვთავაზობს: „ახალ აღთქმაში ნიშნავს მხილებას, არასწორ ქმედებაზე მითითებას და ამით ადამიანის შერცხვენას“. მკაცრი ნათქვამია!

მეორე სიტყვა, *„ეპიტიმაო“* განისაზღვრება როგორც „დადანაშაულება, საყვედური“. ეს ძალზე პირდაპირი ნათქვამია! მესამე სიტყვა *„პარაკალეო“* ნიშნავს „ნუგეშს, გამხნევებას“. ეს ამამაღლებელი და მეტად საჭირო ასპექტია!

პირველი ორ სიტყვის მეშვეობით პავლე მსახურებს მიუთითებდა, რომ ექადაგათ მამხილებელი სიტყვა, რომელიც მსმენელებს შეცდომებს დაანახებდა, უსაყვედურებდა და შეუსწორებდა. ამ სიტყვების განსაზღვრის შემდეგ პრეტენზია გვიჩნდება დასავლური ეკლესიის თანამედროვე წინამძღოლთა მოქმედების სტილის მიმართ. დღევანდელი სტრატეგია ღვთის სიბრძნიდან მომდინარეობს თუ *კარგის* ხაზგასმას წარმოადგნს? 45 წლის მანძილზე სრული დროით ვმსახურობ და ვმოგზაურობ ეკლესიებს შორის და სხვადასხვა კონფერენციებზე, ამიტომ გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ მეტისმეტად გადავიხარეთ *კარგის* მხარეს.

უამრავი ისტორია შემიძლია გიამბოთ ამ მიმართულებით, მაგრამ ნება მიბოძეთ მხოლოდ ერთი მათგანი გაგიზიაროთ. ერთხელ ძალზე დიდი ეკლესიის წინაშე გამოსვლა მთხოვეს აშშ-ს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. დიდ პატივს ვცემდი ამ თემის წინამძღოლს და მის მოღვაწეობას, ამიტომ მოუთმენლად ველოდი იმ დროს, რომელსაც მასთან, მის მეუღლესთან, ხელმძღვანელთა გუნდსა და ეკლესიასთან ერთად დავყოფდი.

ამ მოვლენამდე რამდენიმე კვირით ადრე მწყემსისგან ელექტრონული წერილი მივიღე, სადაც ნათქვამი იყო: „ჯონ, მოუთმენლად ველით შენს ჩამოსვლას და ჩვენი ეკლესიისთვის სასიკეთო სიტყვას! კარგი იქნება, თუ ქადაგებების მომზადებისას ჩვენს კულტურას გაითვალისწინებ, რომელსაც ახლა გაგაცნობ. ჩვენ პოზიტიური ეკლესია ვართ. ჩვენი ხალხი მიჩვეული არ გახლავს უარყოფითი სიტყვის მოსმენას. ამიტომ მრევლისთვის სიტყვის მომზადებისას, გთხოვ, მხედველობაში მიიღო ეს და გამამხნევებელ, დადებით საკითხებს შეეხო!“

ისევ წარმოიშვა კითხვა, რამდენად შეესატყვისება ამგვარი „სიბრძნე“ პავლეს დამოწმებას ტიმოთეს საკეთებელთან დაკავშირებით? შედარებისთვის ბერძნულ დედანში მოვიძიებ „დადებითის“ განსაზღვრებას და იმას, რასაც ჩვენ „უარყოფითს“ ვეძახით.

დადებითი: 1) *პარაკალეო*: ნუგეში, გამხნევება.
უარყოფითი: 1) *ელეგჩო*: მხილება, არასწორ ქმედებაზე მითითება, საყვედური, შესწორება; დამტკიცება, რომ ადამიანი არასწორად იქცევა.
2) *ეპიტიმაო:* (პირდაპირ) დადანაშაულება, საყვედური.

ასეთია პავლეს სამი მითითება. აქედან ორი „უარყოფითად“ ითვლება, ხოლო ერთი – „დადებითად“. ნება მიბოძეთ, სხვაგ-

ვარად აგიხსნათ: 67 % გახლავთ „შემასწორებელი“, ხოლო 33 % – „გამამხნევებელი“. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქადაგების 67 % მამხილებელი უნდა იყოს, მაგრამ აუცილებლად უნდა დავსვათ კითხვა: ვინარჩუნებთ თუ არა საჭირო წონასწორობას? თუ ეკლესიური სწავლებების 100 % გამამხნევებელი და ამამაღლებელია, გვყავს თუ არა უფრო და უფრო მეტი დადებითად განწყობილი ადამიანი, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ღვთის წინაშე დგანან, სინამდვილეში კი სულ უფრო მეტად შორდებიან მის ბუნებასა და თანდასწრებას?

ბრძანების არსი

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი წერს:

> „ყოველი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ ტკივილს გვგვრის, მაგრამ შემდგომში სიმართლით ცხოვრების მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც ასე განისწავლა“. (ებრ. 12:11 NLT)

აქ ორი მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა აღვნიშნოთ. პირველი, წვრთნა *მტკივნეულია*! გამხნევება მტკივნეული არ არის, მაგრამ საყვედური, შესწორება და შეცდომაში მხილება მტკივნეულია. მეორე, ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი წმიდა ცხოვრებისთვის წვრთნაზე ლაპარაკობს.

ახლა უნდა დავსვათ კითხვა: როგორ გვწვრთნის ღმერთი? თუ დავუბრუნდებით პავლეს ნათქვამს ტიმოთეს მიმართ, ყველაფერი გასაგები ხდება:

> „მთელი წერილი ღვთივსულიერია (ღვთის შთაგონებით მოგვეცა) და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, შეცდომების გამოსასწორებლად და დასარიგებლად მორჩილებაში, რათა *გამოიწვრთნას* ღვთის კაცი სიმართლეში (წმიდა ცხოვრებაში, ღვთის ნების მორჩილებაში აზრებით, მიზნებით და მოქმედებებით) და სრული, დახელოვნებული, შესაფერისი და აღჭურვილი გახდეს ყოველი კეთილი საქმისთვის. გიმოწმებ ღვთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელიც განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი მოსვლითა და თავისი სამეფოთი, რომ დაჟინებით იქადაგო სიტყვა!“ (2 ტიმ. 3:16-4:2 AMP)

და ისევ, შეამჩნიეთ თუ არა სიტყვები: *„შესწორება“, „ცოდვაში მხილება“, „გამოსწორება“* და *„წვრთნა მორჩილებაში“*? შენიშნეთ თუ არა, რომ წმ. წერილი წმიდა ცხოვრებისთვის გვწვრთნის და პავლე ტიმოთესა და ჩვენ *სიტყვის ქადაგებისკენ* მოგვიწოდებს? ყველაფერს რომ თავი მოვუყაროთ, პავლეს მითითების არსი ასეთი იქნება:

ტიმოთევ და სახარების ნებისმიერო მსახურო, აი, ასეთია რეალობა: ღვთიური წვრთნა მტკივნეულია, მაგრამ ჩვენ წმიდა ცხოვრებისთვის ვიწვრთნებით. ღმერთი ამას შთაგონებული წერილის მეშვეობით ახორციელებს, რათა სათანადოდ აღჭურვოს მისი სახელის მატარებელი ყველა მამაკაცი და ქალი. ამრიგად, იქადაგე სიტყვა – წმ. წერილი. შენ როგორც ღვთის წარგზავნილმა, ადამიანებს უნდა დაანახო, რა სფეროშია გამოსასწორებელი მათი ცხოვრება. ეს ღვთის სიტყვის მართებული გამოყენებით ხორციელდება, როცა სიყვარულით უსწორებ, ცოდვაში ამხილებ, საყვედურობ, მორჩილებაში წვრთნი და ამხნევებ. ასეთია მსმენელთა წვრთნის ღვთიური პროცესი წმიდა ცხოვრებისთვის. (პარაფრაზი)

ვაცნობიერებ, რომ ეს დიამეტრულად განსხვავდება ოცდამეერთე საუკუნის ეკლესიების კულტურისგან და შოკის მომგვრელია. როგორი ეკლესია გვინდა, ძლიერი თუ გზასაცდენილი? როგორ მორწმუნეებს ვზრდით, სულიერად ჯანსაღებს თუ მოტყუებულებს? ეს მითითებები იმიტომ მოგვეცა, რომ გაუცნობიერებლად არ დავშორდეთ ღვთის გულს. თუ იესოსთან ერთად დაცულად სიარული გვინდა, წმ. წერილს უნდა დავეფუძნოთ. შეუძლებელია ჩვენი თანამედროვე კულტურის შერიგება ახალი აღთქმის მითითებებთან. მოდი, წავიდეთ ამ ცვლილებებზე და გავხდეთ ჯანსაღი ეკლესიის გამობრწყინების მოწმე!

სასურველი თუ სასარგებლო?

პავლემ სულიწმიდის შინაგანი კარნახით იხილა მსახურები და სხვები, რომლებიც მის მითითებას უგულებელყოფდნენ და წინასწარ გააცხადა სამომავლო შედეგებზე:

„ვინაიდან დადგება დრო, როცა საღ მოძღვრებას ველარ

> აიტანენ, არამედ თავიანთი გულისთქმებისამებრ შემოიკრებენ ყურის მომქავებელ [მაამებელ და თავზე ხელის გადამსმელ] მასწავლებლებს, რომლებიც მათ შეცოდებებს შეიწყნარებენ“. (2 ტიმ.4:3 AMP)

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ზუსტად ამ დროში! მოდი, კითხვა დავსვათ! რა უფრო სასურველია? – წამახალისებელი, სასიხარულო, პოზიტიური, ზედაპირული ქადაგება თუ გაფრთხილება, საყვედური, შესწორება, შეცდომებზე მითითება და მხილება?

ყველა, ჩემი ჩათვლით, პირველი ტიპის ქადაგების მომხრე იქნება. ზოგადად, დადებითი პიროვნება ვარ და ბუნებრივად ვიხრები ოპტიმისტური ქადაგების მხარეს. არჩევანის უფლების მიცემისას, ნებისმიერი ადამიანი იგივეს გააკეთებდა.

თუ ერთმანეთის გვერდით ორი ეკლესია დგას და იცით, რომ ერთ-ერთ მათგანში თქვენი ცოდვილი ბუნების გამოსააშკარავებელ ქადაგებას მოისმენთ, ხოლო მეორეში – მხოლოდ გამამხნევებელ, ამამაღლებელ სიტყვას, რასაკვირველია, უკანასკნელს აირჩევთ. აი, სწორედ ამაზე იწინასწარმეტყველა პავლე მოციქულმა, ადამიანები *კარგსა* და ღმერთს შორის არჩევანს *კარგის* სასარგებლოდ გააკეთებენო. სწორი იქნებოდა უფრო სასურველის კი არა უფრო სასარგებლოს არჩევა.

ვიყოთ გულწრფელები! ადამიანთა უმეტესობას არ სურს ამ მნიშვნელოვანი არჩევნის გაკეთება. და მაინც, ვიფიქროთ შემდეგ მაგალითზე. ერთ კაცს, სახელად სტივს, სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. სნეულების ადრეული სტადიაა, ამიტომ შესაძლებელია მისი ამოჭრა ქირურგიული ჩარევით. ექიმი ამბობს, რომ „მის ამოკვეთას ერთი მარტივი პროცედურა სჭირდება“.

სტივს სხვა ექიმის აზრიც აინტერესებს. მეორე ექიმი არ აწარმოებს საჭირო გამოკვლევებს და არ ითვალისწინებს სტუდენტობისას მიღებულ მითითებებს. მას უყვარს ექიმობა და ხალხის დახმარება საკუთარი მეთოდებით. იგი სტივს ანუგეშებს და ეუბნება, რომ ყველაფერი რიგზე იქნება, რადგან მას წინ ხანგრძლივი სიცოცხლე ელოდება. ეს ექიმი ენთუზიაზმით აცხადებს: „სტივ, შენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება!“

სტივი მეორე ექიმს შვებამოგვრილი ტოვებს. ის ფიქრობს: *„რა მშვენიერი ექიმია! კარგად მელაპარაკა. გამამხნევა“.* ახლა ის, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულია, რომ პირველმა ექიმმა ცუდი დიაგნოზი დაუსვა და ისეთი პროცედურის გავლა

შესთავაზა, რომელიც მოუხერხებელი, მტკივნეული და ძვირი იქნებოდა. მან სტივს გააგებინა, რომ ამ უკანასკნელის ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშ იდგა. მისი ქცევის მანერა არცთუ თავაზიანი გახლდათ და პაციენტს მაინცდამაინც არ ახალისებდა.

მადლობა მეორე თვალსაზრისისთვის. სტივი დარწმუნებულია, რომ ასაღელვებელი არაფერი აქვს. თუმცა გადის ორი წელი და მას სნეულებამ დარია ხელი. იგი სიკვდილს ებრძვის, რადგან პატარა სიმსივნე მეტისმეტად გაიზარდა და მის სიცოცხლეს დაემუქრა. მან ბევრი მნიშვნელოვანი ორგანო დააზიანა. ახლა სტივს ვერანაირი მკურნალობა ვეღარ უშველის.

ორი წლის წინ ადვილი იყო დადებითად განწყობილი ექიმის მოსმენა, მაგრამ რა უფრო მნიშვნელოვანი იყო მაშინ: ჭეშმარიტება თუ პირმოთნეობა, გამომასწორებელი ზომები თუ პოზიტიური საუბარი? სტივს უთხრეს, რომ ჯანმრთელი იყო, როცა რეალურად, ვითარება სულ სხვაგვარი გახლდათ. უკან დაბრუნება მეტისმეტად გვიანია. ახლა ისურვებდა, რომ ჭეშმარიტება თავის დროზე მოესმინა.

შესაძლებელია თუ არა, სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყოს დასავლეთის ეკლესია, როგორც წინამძღოლები, ისე ეკლესიის წევრები?

ისრაელის ისტორიაშიც იყო დრო, როცა რელიგიურმა წინამძღოლებმა გამორჩეულად დადებითი მიდგომა გაითავისეს. ისინი ერიდებოდნენ დაპირისპირებას და მხოლოდ გასამხნევებლად ლაპარაკობდნენ. ღმერთმა ასე გამოაცხადა თავისი შეხედულება მათი ქადაგებების შესახებ: „ზერელედ კურნავენ ჩემი ხალხის ჭრილობებს; გაიძახიან: მშვიდობაა, მშვიდობაო! მაგრამ არ არის მშვიდობა“ (იერ. 8:11). საინტერესოა, რომ მათი ნათქვამი სიტყვა, არსებითად, არ განსხვავდებოდა სტივის მიმართ მეორე ექიმის „სანუგეშო“ სიტყვისგან.

„არ მომწონს მისი სიტყვები!“

ჭეშმარიტების გამომასწორებელი ზემოქმედების უგულებელყოფა ძველთაძველი პრობლემაა. იყო დრო, როცა ერთმა ისრაელის მეფემ გალაშქრება დაგეგმა. მან ასობით სულიერი მრჩეველი მოიწვია და ჰკითხა, წარმატებული იქნებოდა თუ არა მისი ჩანაფიქრი. მრჩევლებს მეფისთვის ჭეშმარიტების უწყების დიდებული საშუალება მიეცათ, მაგრამ ერთიმეორეს მიყოლებით განაცხადეს: „დიახ, მეფეო, გაიმარჯვებ!“ შემდეგ იწინასწარმეტყველეს, თუ რა სასიკეთო შედეგებს მოიტანდა მისი სარისკო წამოწყება.

იუდას მეფეც იქ იყო და მისი გული მგრძნობიარე გახლდათ ღვთის წინაშე. მას ჭეშმარიტება სწყუროდა, რამაც გარჩევის უნარი მიანიჭა. მეფემ ვერ შეიგრძნო ღვთის ხმა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სულიერი მრჩეველი ერთსა და იგივეს ამბობდა. იგი კვლავ აგრძელებდა ნამდვილი სიტყვის ძიებას, რომელიც მისი გულის სიმებს შეარხევდა.

ბოლოს იუდას მეფემ ისრაელის წინამძღოლს ჰკითხა: „აქ სხვა მრჩეველი არ არის, რომელიც სწორად ილაპარაკებს?“

ისრაელის მეფემ მიუგო: „მართალი გითხრა, არის ერთი კაცი, მაგრამ მძულს იგი, რადგან სასიკეთოს არასოდეს წინასწარმეტყველებს, მხოლოდ უბედურებას“ (1მეფ. 22:8 The Message). მიუხედავად ამისა, ისრაელის მეფემ მეგობარი მმართველის საამებლად ის „უარყოფითი“ მრჩეველიც მოიხმო სამეფო თავყრილობის წინაშე წარსადგომად.

ამ წინასწარმეტყველს მიქას ეძახდნენ. როცა მეფის წარგზავნილი მასთან მივიდა, ასე უთხრა: „წინასწარმეტყველნი, როგორც ერთი ისე წინასწარმეტყველებენ. ყველანი გამარჯვებას და კეთილს უქადიან მეფეს; შენი სიტყვაც მათი სიტყვისამებრ იყოს, შენც სასიკეთოდ ელაპარაკე!“ (1 მეფ. 22:13).

მიქამ ასე უპასუხა: „ცოცხალია უფალი, რასაც მეტყვის უფალი, იმას ვილაპარაკებ!“ (1 მეფ. 22:14). იგი ზუსტად ასე მოიქცა და თავისი მამხილებელი სიტყვით მეფე განარისხა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ყველა კეთილის მაუწყებელი მრჩეველი გამტყუნდა, ხოლო მიქას სიტყვები გამართლდა.

სად არიან დღეს მიქას მსგავსი მსახურები? რატომ ვერ ვისმენთ მათ დამცავ მხილებას და გაფრთხილებებს რეგულარულად? რატომ არ იწოდება ბესტსელერებად მათი სიწმიდისკენ მომხმობი წიგნები? რატომ არ არიან ისინი კონფერენციების ყველაზე სასურველი მქადაგებლები? რატომ არ უყურებენ მათ ყველაზე ხშირად YouTube-ზე?

ღმერთმა წინამძღოლობის მითითებები აშკარა გახადა პავლე მოციქულის მეშვეობით, თუმცა ჩვენ სხვაგვარად ვასწავლით. რეალურად, ერთმა ცნობილმა მწყემსმა ასე მითხრა სადილობისას: „ჯონ, თუ გადახედავ წარმატებული ეკლესიების მწყემსთა უმრავლესობას ჩვენს ქვეყანაში, ნახავ, რომ მათი ქადაგება იმედს, მადლსა და გამხნევებას მოიცავს.“ მისმა ერთ-ერთმა დამხმარემ კი ასე დაამატა: „ჯონ, შესაძლოა, მადლის საკითხზე შენი სწავლების გადახედვა დაგჭირდეს!“ იგი მაშინ მადლის გარდამქმნელ, ძალის მიმნიჭებელ ასპექტს იკვლევდა.

ჩვენ გვჭირდება იმედი და გამხნევება, მაგრამ ასევე გვჭირდება შესწორება, წვრთნა და მხილება. სწორედ ამაზე უმოწმებდა პავლე ტიმოთეს. რატომ გახდა ეს ყველაფერი ან არაფერი?

რატომ გადაიხარა ჩვენი ქანქარა სრულიად საწინააღმდეგო მხარეს? მოდი, შევთავაზოთ მსმენელს ყველაფერი, რაც პავლემ ტიმოთეს დაავალა!

საკვანძო ინგრედიენტი

ნება მიბოძეთ, სხვა თვალსაჩინოება შემოგთავაზოთ! ცბიერი და მრავლისმნახველი მეორადი მანქანების გამყიდველი იმას გეტყვით, რის გაგონებაც გსურთ. იგი გაგიღიმებთ, თქვენთან ერთად იცინებს, გამჭრიახობისთვის შეგაქებთ, რადგან საუკეთესო მანქანა შესანიშავ ფასად ჩაიგდეთ ხელში. შესაძლოა, იფიქროთ: *მაგარია! ასე ჩემს ცოლსაც კი არასოდეს გავუმხნევებივარ!* მიზეზი ის გახლავთ, რომ ცოლს *უყვარხართ*, ეს კაცი კი *გელაქუცებათ* თქვენგან ფულის მისაღებად. ამას ყველაზე მნიშვნელოვან ინგრედიენტთან მივყავართ, რომელიც ჩვენი ქადაგებების ღერძს წარმოადგენს: ეს არის *სიყვარული*. ქრისტეს სხეულში ჩვენი სიტყვა სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს და თანამგრძნობი გულიდან მოდიოდეს.

ერთხელ შეკრების შემდეგ ერთი ახალგაზრდა მომიახლოვდა რესურსების მაგიდასთან. მან გამიღიმა და მითხრა:

– თქვენს მსგავსად მეც წინასწარმეტყველური მსახურებისთვის ვარ მოწოდებული, რომ მხილების სიტყვა ვუთხრა ეკლესიას.

ამ სიტყვების წარმოთქმის მანერამ უხერხულობა მაგრძნობინა. მივხვდი, რომ მას გაცილებით მეტის თქმა სურდა ადამიანებისთვის, ვიდრე მათ კეთილდღეობაზე ჭეშმარიტი ზრუნვა ავალებდა.

– გინდათ, გაიგოთ წინასწარმეტყველური ლაპარაკის საიდუმლო? – ვკითხე მას.

იგი აენთო წამატებული მსახურების გასაღების მიღების მოლოდინში.

– ყოველთვის, როცა ადამიანთა სამხილებელ და გამოსაწვევ სიტყვას იქადაგებთ, – ვუთხარი მე, – მთელი გულით უნდა გიყვარდეთ ისინი, ვისაც მიმართავთ.

მან გაოცებული მზერით შემომხედა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ასე მიპასუხა:

– ვფიქრობ, ღმერთს ჩემს გულში სამუშაო აქვს.

ვამაყობდი მისით, რომ ეს აღიარა.

მეც ხშირად მქონია გარკვეული ჭიდილი მამხილებელი სიტყვის ქადაგებისას. მიყვარს ადამიანები, მიყვარს ეკლე-

სია და ღვთის წინამძღოლები. როცა ამ წიგნს ვწერ ან მათ ქადაგებაში ვსაყვედურობ, ჩემი გული იფერფლება, რადგან მათი გამხნევება და განმტკიცება მინდა. თუმცა მეორე მხრივ ვიცი, რომ ჭეშმარიტი სიყვარული არ თვალთმაქცობს, არამედ სიმართლეს ეძებს. იგი საჭიროებისამებრ ლაპარაკობს, რაც მსმენელის სულიერი ჯანმრთელობის საწინდარია. პავლე წერს, რომ ჭეშმარიტება სიყვარულით უნდა ვთქვათ და ეს ადამიანებს ქრისტეში ზრდისა და სულიერი მოწიფულობისკენ წაიყვანს (იხ. ეფეს. 4:15).

იყვნენ მსახურები, რომლებიც მამხილებელ ქადაგებას წარმოთქვამდნენ და სიწმიდეზე მადლმოკლებული და ძუნწი სიტყვებით ლაპარაკობდნენ. მათ არასოდეს ჰქონიათ თანაგრძნობა მსმენელთა მიმართ. ეს მეტად სამწუხაროა და ძვირად დაგვიჯდება. ყველა ჩვენგანი უნდა იყოს სიყვარულით მოტივირებული, ამოძრავებული და მოცული იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ველაპარაკებით ან საერთოდ არ უნდა ამოვიღოთ ხმა. მთელი დაშურებით უნდა ვილტვოდეთ მათი კეთილდღეობისთვის სხვა ყველაფერზე მეტად. მათ არ უნდა ველაპარაკოთ „ხომ გეუბნებოდი!“ ან „შენზე მეტი ვიცი!“ ან „შენზე უკეთესი ვარ!“ დამოკიდებულებით. გულმხურვალედ უნდა გადავცეთ სათქმელი მათთვის საუკეთესოს სურვილით. ჩვენი მსმენელი ან ისინი, ვისაც სხვადასხვა ვითარებაში ვხვდებით, საკუთარ თავზე უფრო მნიშვნელოვნად უნდა შევრაცხოთ. ასეთია ღვთის, იესო ქრისტესა და სულიწმიდის გული.

12

წმიდა ცხოვრებისთვის წვრთნა

„მეგობრისგან ჭრილობა ერთგულების ნიშანია,
მოძულე კი კოცნით აგავსებს“.
იგ. 27:6

„ნებისმიერი რამ, რაც ღვთის სიწმიდეს ამცირებს ან
ანადგურებს ღვთის სიყვარულზე ცრუ წარმოდგენის
მეშვეობით, მცდარია ღვთიური გამოცხადების
თვალსაზრისით, რომელიც იესო
ქრისტეში მოგვეცა“.
ოსვალდ ჩემბერსი

ვირადი მწვრთნელი გახლავთ ადამიანი, რომელიც კლიენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობს. გარკვეული თვალსაზრისით პავლე მოციქული სწორედ ასეთ სულიერ მწვრთნელობას გვირჩევს. ღვთის მიერ მითითებული გზებით სიარული აუმჯობესებს არა მარტო ჩვენი, არამედ იმ ადამიანების ცხოვრების ხარისხსაც, რომელთაც ვწვრთნით.

ჩვენ არ შეგვიძლია ღვთის გზების გაუმჯობესება. ამ მხრივ ადამისა და ევას მცდელობა კრახით დასრულდა. ისინი მრავალთაგან პირველები იყვნენ, რომელთაც ეს უგუნური საქმე წამოიწყეს. ამრიგად, ჩვენ, როგორც მწვრთნელებს, არა მხოლოდ მითითების მიცემა, არამედ საწვრთნელთა გაფრთხილება და გამოსწორებაც გვმართებს. თუ ასე არ მოვიქცევით, ამ ადამიანებს მწუხარებისა და ნგრევის დაღმართზე დაშვების უფლებას მივცემთ. სწორედ ამიტომ არიგებს პავლე ტიმოთეს: „შენ, როგორც სახარების მქადაგებელმა, ხალხს უნდა აჩვენო, რომ მათი ცხოვრების ზოგიერთი მხარე არასწორია!“ (2 ტიმ. 4:2 AMP).

ეფესელთა მიმართ პავლეს წერილის დასაწყისში იგი ჩვენს ახალ ბუნებაზე ლაპარაკობს, რომელიც გამაძლიერებელ მადლთან მჭიდრო კავშირშია. ამ ორი მახასიათებლის კომბინაცია მორწმუნეს გარდაქმნილი ცხოვრების მდგომარეობაში ამყოფებს, ქრისტესთან გაიგივების უნარს აძლევს და საზიანო გზებისგან იფარავს.

პავლე მითითებების ჩამონათვალს გვთავაზობს, რომელიც ასეთ ცხოვრებას განსაზღვრავს. ისინი მძიმე ან შეუძლებელი როდია ძველი აღთქმის მცნებების მსგავსად. ეს იმ ქცევათა ერთობლიობაა, რომელთაც ჩვენგან ელოდებიან ახალი ბუნების ფლობის კვალდაკვალ.

ახლა წავიკითხოთ მისი სია:

> „ოღონდ სიძვა, ყოველგვარი უწმიდურება და ანგარება აღარ იხსენებოდეს თქვენ შორის, როგორც წმიდათ შეშვენით! ასევე არ შეგფერით ბილწსიტყვაობა, ლაქლაქი და დაცინვა, არამედ, პირიქით, მადლიერება, ... ნუ დათვრებით ღვინით! ... “. (ეფეს. 5:3-4,18)

როგორც ჩანს, საქმე ისევ „შეიძლება – არ შეიძლებასთან“ გვაქვს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არ გახლავთ მცნებები, რომელთა დაცვითაც გადავრჩებით. ეს არის მითითებების სია, რომელიც ქვეყნიერებასთან მრუშობისგან გვიფარავს, რათა იესოს ცხად თანდასწრებაში დავრჩეთ. ნება მიბოძეთ, ხელახლა ჩამოვთვალო ყველა ეს ცოდვილი ქცევა.

წინა თავში განხილული მითითებები შემდეგია:

- ნუ იცრუებ!
- ნუ შესცოდავ მრისხანებისთვის ადგილის მიცემით!
- ნუ მოიპარავ!
- ნუ გამოიყენებ ბილწ და აბუჩად ამგდებ სიტყვებს!

აი, დარჩენილი მცნებებიც:

- ნუ იმრუშებ!
- ნუ იქნები უწმიდური!
- ნუ იქნები ხარბი და ანგარებიანი!
- ნუ მოყვები ბილწ ამბებს!
- ნუ ილაქლაქებ!
- ნუ მოყვები უხამს ხუმრობებს!
- ნუ დათვრები ღვინით!

ახალი აღთქმა მადლის სიტყვაა, რომელზეც მრავალი ამბობს, რომ არ შეიცავს აკრძალვებს, თუმცა ეს სია ახალი აღთქმის მხოლოდ ერთი წერილიდან საწინააღმდეგოზე მეტყველებს და მისი გაგრძელება შეიძლება! ბედის ირონიით, სწორედ იმ მოციქულმა შემოგვთავაზა ხსენებული ჩამონათვალი, რომელსაც მადლის სიღრმისეული გამოცხადება მიეცა! ნუთუ შეიძლება ამ მცნებების უგულებელყოფა ან ზერელედ მოკიდება?

„არა“ – სქესობრივ უწმიდურებას!

ჩვენი სიის პირველი მცნება გახლავთ „ნუ იმრუშებ!“ ჩვენ, როგორც ღვთის ძეებმა და ასულებმა, არ უნდა ვიმრუშოთ, არ უნდა ჩავერთოთ ჰომოსექსუალურ კავშირებში და მოვერიდოთ ყოველგვარ სქესობრივ ურთიერთობას ქორწინების ფარგლებს მიღმა.

მეტისმეტად ხშირად შევხვედრივარ ერთად მცხოვრებ წყვილებს, რომლებიც ქრისტიანობას აღიარებენ. ეს არ გახლავთ იშვიათობა – ფაქტობრივად, მეტისმეტად გავრცელებულიც კია ეკლესიებში. ბევრი მათგანი ევანგელურ მსახურებებს ესწრება. ისინი ხმამაღლა საუბრობენ თავიანთ რწმენაზე და დიდი ენაწყლიანობით გვიამბობენ, „რას აკეთებს ღმერთი“ მათ ცხოვრებაში. მათგან არ იგრძნობა არავითარი მინიშნება მხილებაზე, სინანულსა და ნაღველზე. მათ უბრალოდ არ სჯერათ, რომ დაუქორწინებელი წყვილის ერთად ცხოვრება ცოდვაა. რატომ? შესაძლოა, მათ არასოდეს სმენიათ კათედრიდან პავლეს, პეტრეს, იაკობის, იოანესა და იუდას მსგავსი მქადაგებლების სიტყვები ღვთისმოსაობითა და სიწმიდით ცხოვრებაზე. მათი მწყემსების საკვირაო ქადაგებები ამამაღლებელი და გამორჩეულია, მაგრამ არავის უპირისპირდება ან ამხელს. ისინი წმიდა ცხოვრებისთვის წვრთნის გარეშე არიან დარჩენილები.

ჩვენს საზოგადოებაში ეს მიღებულია. უფრო მეტიც, კარგ იდეად ითვლება ერთად ცხოვრება, სექსი ქორწინებამდე ან ჰომოსექსუალურ წყვილთა თანაცხოვრება. სამწუხაროა, რომ ჩვენი, ევანგელური ეკლესიების მორწმუნეების ცოდნა წმ. წერილის შესახებ ხშირად ზედაპირულია. ღვთის სიტყვის დაჟინებით კვლევის უარყოფამ მრავალი ჩვენგანი მიიყვანა ირგვლივ მყოფი საზოგადოების იდეების გათავისებამდე. უკვე დომინირებს აზრი: *თუ ერთმანეთი გვიყვარს, რატომ არ უნდა ვიცხოვროთ ერთად?*

რას ვიტყვით ჰომოსექსუალობაზე? ესეც მეტად გავრცელებულია და არა მარტო მათში, ვისაც ეკლესიაში ფეხიც არ შეუდგამს. ამას წინათ ერთი ქალბატონის ფოტოსურათები მაჩვენეს ფეისბუქზე, რომელიც ადრე საეკლესიო მსახურებაში განყოფილების მმართველი იყო. ახლა მას ერთი ქალი უყვარს და მასთან ერთად ქორწინების გეგმებს აწყობს. დიდი მწუხარებით ვუყურებდი მათი ნიშნობის და სხვა ახლო ურთიერთობის ამსახველ ფოტოებს.

ადრე ყველა ღვთისგან განდგომილმა იცოდა, რა მდგომარეობაშიც იყო. ახლა კი ეს ქალი ენთუზიაზმით ლაპარაკობს ღვთის სიყვარულზე და მისთვის თავის მიძღვნაზე. როგორ შეუძლია მას სხვა ქალზე დაქორწინება, როცა იესო ნათლად ამბობს: „ნუთუ არ წაგიკითხავთ, რომ დასაბამიდან შემოქმედმა მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი? ... რაკი ღმერთმა შეაუღლა ისინი ორგანული კავშირით, არავინ გაბედოს მისი ხელოვნების გაუწმიდურება!“ (მათ. 19:4,6 The Message). იესო ამბობს, რომ ქორწინება არის მამაკაცისა და დედაკაცისათვის – ორი განსხვავებული სქესისთვის. რატომ არ იცის იმ ქალმა, რომ ღვთის მიერ დაფუძნებულ ინსტიტუტს აუწმიდურებს? იქნებ ამის შესახებ საკმარისად ნათლად არ მოისმინა კათედრიდან?

მესმის, რომ საერო საზოგადოება შორდება ღვთის თავდაპირველ ჩანაფიქრს ქორწინებაზე. ურწმუნოებს ცოდვილი ბუნება აქვთ. დაღუპული მამაკაცები და ქალები უღმერთოდ ცხოვრობენ ქვეყნიერებაზე და მათი წარმოდგენა ნამდვილად კარგსა და ბოროტზე შეზღუდულია. მათმა ქცევამ არ უნდა დაგვთრგუნოს, რადგან იმას ფიქრობენ და აკეთებენ, რასაც ბუნება კარნახობს. გაცილებით რთულად არის საქმე მორწმუნეებთან დაკავშირებით, რომლებიც ქვეყნიერებისგან იღებენ ე. წ. კარგს და მას ღვთისთვის მისაღებად წარმოგვიდგენენ. სტატისტიკურად იზრდება ეკლესიების რიცხვი, რომლებიც ჰომოსექსუალური ცხოვრების სტილისა და ქორწინების წახალისებას ეწევიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიები ასე მარტო იმით როდი იქცევიან, როცა პირდაპირ მოუწოდებენ მრევლს, არამედ იმითაც, რომ სდუმან. ყურადღებით მოისმინეთ ეს სიტყვები:

> „როცა მართალი თავისი სიმართლისგან მიიქცევა და ურჯულოებას ჩაიდენს, დაბრკოლებას დავუდებ წინ და მოკვდება, რადგან არ გააფრთხილე. თავის ცოდვაში მოკვდება

ის და მართალ საქმეებს, მან რომ მოიმოქმედა, აღარ გაიხ-
სენებენ; მის სისხლს კი შენგან მოვიკითხავ!“ (ეზეკ. 3:20)

ეს გაფრთხილებაა მორწმუნის, მართალი კაცის მიმართ. თუ მორწმუნეებს თავიანთი ცოდვების შესახებ არ გავაფრთხილებთ, შედეგები სერიოზული იქნება.

შესაძლოა, შემეწინააღმდეგოთ: „ჯონ, ეს ხომ ძველი აღთქმიდანაა! როგორ შეიძლება ამის თქმა, რომ ახალი აღთქმის ეპოქაში მსახურის ხელიდან ვინმეს სისხლი მოიკითხება?!“

ერთხელ წინამძღოლობის კონფერენციაზე ვილაპარაკე, სადაც ერთი მწყემსი ამ საკითხზე შემეკამათა. იგი გაბრაზდა და ასე მითხრა: „როგორ ბედავ, რომ სხვის სისხლს ჩვენზე დებ! ეს ხომ ძველი აღთქმიდანაა“.

მე მას ვუთხარი: „ხომ არ გადაშლიდით ბიბლიას და საქმეთა წიგნის მე-20 თავის 26-ე და 27-ე მუხლებს ხომ არ წამიკითხავდით?“

აი, რა ამოიკითხა ზემოხსენებულმა მწყემსმა: „ამიტომ გიმოწმებთ თქვენ ამ დღეს, რომ უბრალო ვარ *ყველა თქვენგანის სისხლისგან*. რადგან არაფერი დამიკავებია და ღვთის სრული ნება, გეგმა და ჩანაფიქრი განგიცხადეთ“ (AMP).

მწყემსმა განცვიფრებით შემომხედა და მითხრა: „ჯონ, რამდენჯერ წამიკითხავს ეს ადგილი, მაგრამ მსგავსი არაფერი შემიმჩნევია!“ ჩვენი საუბრის ბოლოს მან თქვა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ბრალი დაგდე!“ მე ვაფასებ მის გულწრფელობას.

ამ მონაკვეთით მინდა, უშუალოდ ეკლესიის წინამძღოლებს დაველაპარაკო. ეს გახლავთ პავლეს სიტყვები ეფესელი უხუცესების მიმართ, მაგრამ ჩვენც დაგვედება მსჯავრი, თუ მასწავლებლები და მქადაგებლები ღვთის სრულ ნებას არ განვუცხადებთ მის ერს. თუ მხოლოდ „ამამაღლებელი“ სტილით ვილაპარაკებთ, ღვთის სრული ნების საკმაოდ დიდ ნაწილს დავმალავთ. შესაბამისად, ჩვენი ხალხი იქეთკენ გადაიხრება, რასაც ქვეყნიერება „კარგს“ უწოდებს, ისევე როგორც უწვრთნელი შვილი სჩადის უგუნურებას. დასკვნა ასეთია: მათი სისხლი ჩვენზე იქნება.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი მაგალითი მოგიყვანოთ! ვუყურებდი, როგორ გამოუცხადა ერთმა მწყემსმა ეკლესიას, რომ მამათმავალი იყო და ეს მოხდა მისი მეგაეკლესიის ვებგვერდზე მიმდინარე მსახურების გაშუქებისას. მან თქვა, როგორ დაღალა ამ ამბის დამალვამ. მას არ სურდა, რომ ამგვარი

ცხოვრების სტილის მიმდევრები კვლავ დატანჯულიყვნენ მხილებით (მან ამას „მსჯავრდადება“ უწოდა).

იგი სისტემატურად კითხულობდა ბიბლიის ყოველ მუხლს, რომელიც ჰომოსექსუალურ კავშირებზე ღვთის თვალსაზრისს აცხადებდა და არც ერთ მათგანს არ ითვალისწინებდა. შემდეგ გაბედულად უთხრა მაყურებლებს: „პავლე მოციქული ძლიერი იყო „ქრისტეს“ რეალობაში და მშიშარა – ურთიერთობებში“. და ამით ჩაახშო პავლეს გაფრთხილება ხსენებულ ცოდვაზე. მწყემსი განაგრძობდა ახსნას, რომ პავლემ რაღაცეები აურია რომაელთა მიმართ წერილის პირველ თავში, როცა შემდეგი აზრი გამოხატა: თუ ღმერთს თაყვანს არ ვცემთ, შესაძლოა ჰომოსექსუალობის ცოდვით დავასრულოთ (იხ. რომ. 1:21-27). ამ მწყემსის თანახმად, პავლეს სიტყვები არ შეიძლება ჭეშმარიტება იყოს, რადგან მისი აზრით, „ამერიკის თაყვანისცემის წინამძღოლთა ნახევარი ჰომოსექსუალია“. (მაინტერესებს, რა კვლევამ გამოავლინა ამგვარი სტატისტიკა). სანამ ეს კაცი ლაპარაკობდა, მრევლიდან რამდენიმე ადამიანის ოვაციები დავაფიქსირე, რომლებიც მას ფეხზე წამოუდგნენ.

როცა ამ მწყემსის დამახინჯებული აზრები მოვისმინე, ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა, „წაიკითხე რომაელთა მიმართ წერილის პირველი თავი!“ აი, რა ვიპოვე იქ:

> „ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი შეცვალეს ბუნებრივი ურთიერთობის წესი ბუნების საწინააღმდეგოთი. ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი ურთიერთობის წესი და ავხორცობით გახურდნენ ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს, და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისათვის ... იციან მათ ღვთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ; მაგრამ არა მარტო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებლებსაც უწონებენ“. (რომ. 1:26-27,32)

როგორ შეუძლია ამ მსახურს წმ. წერილის მუხლის უგულებელყოფა, რომელიც მამათმავლობას „სამარცხვინოს“ უწოდებს? სულიერად მოაზროვნე ადამიანისთვის ძნელი გასაგები არ არის, რომ ამგვარი სქესობრივი ქცევა არაბუნებრივია. ამას ცხოველებიც კი არ აკეთებენ. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთი ხსენებულ ცოდვას ყურადღებას არ აქცევს, იწონებს ან ახალისებს?

წარმოიდგინეთ, მაღიარებელი ქრისტიანები, რომლებიც ამ გულისთქმას ებრძვიან და ხსენებული მწყემსის სიტყვები მოისმინეს. გაუძლებენ კი მათ გულში არსებულ მწველ სურვილს და დათმობაზე არ წავლენ ცოდვილი ცხოვრების სტილთან? მათი სინდისი შიგნიდან ლაპარაკობს, *არასწორია ღვთის შვილისთვის ამის კეთება.* სამწუხარო იქნება, თუ ისინი მწყემსის სიტყვებს შინაგანი ხმის გასაჩუმებლად გამოიყენებენ. იგი არა მარტო თავად დაექვემდებარა მსჯავრდადებას, არამედ სხვებიც წაახალისა იგივეს საკეთებლად.

რას ვიტყვით იმ ადამიანებზე, რომლებიც ფეხზე წამომდგარი გამოხატავდნენ მოწონებას იმ ეკლესიაში? რომ. 1:32-ის გაფართოებული თარგმანი გვეუბნება, რომ ყველა, ვინც „გამკეთებლებს უწონებს“, მსჯავრდადებას ექვემდებარება.

რა ვუყოთ პავლეს სიტყვებს?

> „განა არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სამეფოს? თავი არ მოიტყუოთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც დადედლებულნი, ვერც მამათმავალნი, ვერც ქურდნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სამეფოს!“ (1 კორ. 6:9-10)

ცხადია, სხვა დამაზიანებელი ცოდვებიც არსებობს, მაგრამ არ უნდა უგულებელვყოთ ის, რასაც მოყვანილი მონაკვეთი გვეუბნება უკუღმართ სქესობრივ ცოდვებზე.

ქვეყნიერების სავალი გზა და მიმართულება მომწამვლელია. თუ ჩვენი კათედრებიდან არ გამოვაცხადებთ ჭეშმარიტებას სქესობრივი უზნეობის შესახებ, ადამიანებს არ ეცოდინებათ ღვთისთვის მოსაწონი ქცევები და ბოროტის მიერ იქნებიან გასულელებული. ისინი არა მარტო მიიღებენ იმას, რასაც ქვეყნიერება კარგს უწოდებს, არამედ ჩათვლიან, რომ ღმერთი ამას იწონებს.

ნუ იქნები უწმიდური!

აკრძალვების სიაში მომდევნო პუნქტია *„ნუ გაუწმიდურდები!“* თავი შორს უნდა დავიჭიროთ ყოველგვარი სახის პორნოგრაფიის, უხამსი ვიდეოების ან არაწმინდა აზრებისგან. იესომ თქვა: „ვინც ქალს გულისთქმით შეხედავს, მან უკვე იმრუშა გულში“ (მათ. 5:28). მეფსალმუნე წერს: „არ მივიტან თვალთან უკეთურ საგანს!“ (ფს. 101:3).

პორნოგრაფია ხანმოკლე სტიმულაციას და დაკმაყოფილებას გთავაზობთ, რადგან ჩვენს ხორციელ სურვილებს მართავს, მაგრამ იგი ამოჭამს ჩვენს უნარს, რომ ახლო ურთიერთობა ვიქონიოთ მეუღლესა და ღმერთთან. საბოლოო ჯამში, უკმაყოფილო ვრჩებით მეუღლით და საკუთარი თავით. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ პორნოგრაფია სასურველ ნაპერწკალს წარმოშობს, სინამდვილეში კი პატრუქს უკიდებს, რომელიც საბოლოოდ დაბნეულობის, დანაშაულის გრძნობის, სირცხვილისა და დაუცველობის აფეთქებას მოიტანს.

ბოლო დრომდე, პორნოგრაფიული ვებგვერდები ყველაზე პოპულარული გახლდათ მოსახლეობას შორის და სოციალური მედიასაიტების ნახვადობასაც აჭარბებდა. ყოველი 10 ვებგვერდიდან ერთზე მეტი პორნოგრაფიულია. 40 მილიონზე მეტი ამერიკელი რეგულარულად სტუმრობს მსგავს გვერდებს და ყოველ წამში 28,258 ინტერნეტმომხმარებელი პორნოს ათვალიერებს.

ეს არ გახლავთ მხოლოდ მამაკაცების საქმიანობა. ხუთიდან ერთი ქალი ყოველ კვირას უყურებს პორნოსაიტებს და მრავალი მათგანი თავის უმწეობას გამოხატავს მასტურბაციასთან გამკლავების საკითხში. როგორც მამაკაცები, ისე ქალები თავიანთ მავნე დამოკიდებულებას ინტერნეტის მიღმაც კვებავენ ჟურნალების თვალიერებისა და ეროტიკული წიგნების მეშვეობით. უკანასკნელი საშუალება განსაკუთრებით პოპულარულია ქალებს შორის.

რა შეიძლება ითქვას ეკლესიაზე? ჟურნალმა *Christianity Today* ჩაატარა გამოკითხვა, სადაც მწყემსებს ეკითხებოდნენ, დაათვალიერეს თუ არა პორნოგრაფიული გვერდები ბოლო ერთი წლის განმავლობაში. მათგან 54 %-მა კითხვას დადებითი პასუხი გასცა. ესენი ჩვენი ეკლესიების წინამძღოლები არიან! სხვა სტატისტიკური მაჩვენებლით ევანგელური რწმენის მამაკაცთა 50 % პორნოდამოკიდებულია, ხოლო CNN-ის გამოკითხვით, ქრისტიან მამაკაცთა 70 % ამ ცოდვით იტანჯება.

ახლა დავსვათ კითხვა: კათედრიდან მოსმენილი გამამხნევებელი ქადაგებები არის თუ არა პასუხი ამ ეპიდემიაზე, რომელმაც ახლა პიკს მიაღწია?

პორნოგრაფიის პრობლემა 27 წლის ასაკამდე მაწუხებდა და ეს პერიოდი ჩემი მსახურების საწყის ეტაპსაც მოიცავდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ლამაზ ქალზე დაქორწინებით ამ ცოდვას თავისთავად შევწყვეტდი. მოხდა პირიქით. ცოდვა არათუ შეწყდა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა. ამან ჩემ-

სა და ლიზას შორის ბარიერი აღმართა. ვერ გავთავისუფლდი 1984 წლის შემოდგომამდე, სანამ ერთ ღვთის კაცს არ ვუამბე ჩემი მიდრეკილების შესახებ. მან სრულიად გარკვევით მითხრა: „შეწყვიტე ამის კეთება!“ ამ მსახურმა მკაცრად მისაყვედურა. მისგან ვერ მივიღე გამამხნევებელი სიტყვა! სამაგიეროდ, მივიღე მტკიცე მითითებები და გაფრთხილება, რომ ჩემს ცხოვრებაში ადგილი მიმეცა ღვთის ჯანსაღი შიშისთვის.

იმ კაცის სიტყვებმა ღვთის ძიებისკენ მიბიძგა თავისუფლების მოსაპოვებლად. ცხრა თვის განმავლობაში სრულიად გავთავისუფლდი და დღემდე ასე ვარ. აღმოვაჩინე, რომ ღვთის მადლი მეტად ძლიერია! მას შეუძლია პორნოგრაფიაზე თერთმეტი წლის ასაკიდან მიჯაჭვული მამაკაცის განთავისუფლება. ეს ჩემი მწუხარების კიდევ ერთი მიზეზია, რომ მსახურები არ ფიქრობენ ღვთის მადლის სრულ სარგებელზე. ღვთის მადლი რომ არ მეპოვნა: არა მარტო უსასყიდლო კეთილგანწყობის, ცოდვების პატიებისა და გადარჩენის, არამედ ღვთიური გაძლიერების სახითაც, რომელიც ყოველგვარ ბუნებრივ უნარს აღემატება – დღემდე შებორკილი ვიქნებოდი.

ნუ იქნები ხარბი და ანგარებიანი!

სიხარბის განსაზღვრება ასეთია: „რაიმეს, განსაკუთრებით კი, სიმდიდრის, ძალაუფლებისა და საჭმლის ძლიერი და ეგოისტური ნდომა“. რაოდენ ხშირად ამახინჯებენ და სიხარბედ გადააქცევენ მორწმუნეები ღვთის დაპირებას კურთხეული, წარმატებული და ნაყოფიერი ცხოვრების შესახებ. მათი ყურადღება „მეობაზე“ კონცენტრირებულია და არ ფიქრობენ მსახურებისთვის აღჭურვასა და სხვებისთვის გაღებაზე. ანგარება გაუმაძღარია და ეს კერპთაყვანისცემაა (იხ. კოლ. 3:5). როცა სიხარბე გვძლევს, ჩვენი სურვილები, მისწრაფებები, გემოვნება, სახელი, სტატუსი, პოპულარობა და ფინანსური გულისთქმები ღმერთსა და სხვა ადამიანებზე მაღლა დგება.

უამრავი ამბავი გამიგია, რომლებიც მორწმუნეთა ცხოვრებაში მთვლემარე ანგარებაზე მეტყველებენ. ბილყამმა ღმერთთან ურთიერთობა მის გამო დაკარგა, ისევე როგორც კაენმა, კორახმა და ძველი აღთქმის ბევრმა მორწმუნემ, რომლებიც ერთ დროს ღვთის თანდასწრების წინაშე იდგნენ. სხვებს სიხარბეში სძინავთ, რადგან ისინი არავის გაუფრთხილებია. სწავლებასა და ქადაგებაში გაფრთხილება ნიშნავს ჩვეული დადებითი და გამამხნევებელი სიტყვისგან გადახვევას. თუ

გვსურს მამაკაცებსა და ქალებს მოწიფული სულიერი ასაკის მიღწევაში დავეხმაროთ, არა მხოლოდ უნდა *ვასწავლოთ*, არამედ უნდა *გავაფრთხილოთ* კიდეც (იხ. კოლ. 1:28).

ბავშვობაში მომწონდა ჩემი მშობლების სწავლება, მაგრამ მათ გაფრთხილებებს ყურად არ ვიღებდი. მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ ამ გაფრთხილებებს ჩემი სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო. მამას რომ არ ეთქვა, რა შედეგები მოჰყვება სახრახნისის შეყოფას დენის შესაერთებელში, ცნობისმოყვარეობის გამო გავაკეთებდი ამას და დენის დარტყმას მივიღებდი.

პავლემ ასე უთხრა ერთ-ერთ თავის საყვარელ ეკლესიას: „ამიტომ ფხიზლად იყავით, გახსოვდეთ, რომ სამ წელიწადს, დღე და ღამე, განუწყვეტლივ ცრემლით ვასწავლიდი თითოეულ თქვენგანს! (საქმ. 20:31). სამი წლის მანძილზე, დღე და ღამე! და ეს ყველაფერი ცრემლებით! ნუთუ ჩვენ ასე ვაფრთხილებთ ადამიანებს? რას ვიტყვით ყოველდღიურ ცხოვრებაზე? იქნებ ჩვენ, მასწავლებლებსა და მქადაგებლებს, უბრალოდ გვგონია, რომ გამამხნევებელი სიტყვა მსმენელებს სიხარბისგან იხსნის? ასე ვფიქრობთ? პირადად მე, წლებია, რაც არ მომისმენია სიტყვა ანგარებისგან თავის დაცვის შესახებ!

პავლე ერთ-ერთი პირველია, ვინც მადლზე ქადაგებდა და იგივე პავლე მთელი არსებით ევედრება ეფესელთა ეკლესიას და ჩვენც, რომ „თავი დავიცვათ ანგარებისგან“.

ასევე მოისმინეთ იაკობ მოციქულის სიტყვები:

> „საიდან მომდინარეობს ბრძოლები და შეხლა-შემოხლანი თქვენს შორის, თუ არა თქვენივე გულისთქმათაგან, რომლებიც თქვენ ასოებს შორის იბრძვიან? გწადიათ და არ გაგაჩნიათ, კლავთ და გშურთ, მაგრამ ვერ აღწევთ საწადელს. იბრძვით და ომობთ, მაგრამ არ გაქვთ, რადგან არ ითხოვთ. ითხოვთ და ვერ იღებთ, რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმებისთვის გაფლანგოთ. მრუშნო!...“ (იაკ.4:1-4)

კარგი რა, იაკობ, ნუ იქნები ასე ნეგატიური! ნუთუ მოციქული უბრალოდ ბუზღუნა, მკაცრი და უხეში იყო? თუ მართლა უყვარდა ის ხალხი, ვისაც სწერდა? იქნებ სწორედ ეს იყო მისი გამომაფხიზლებელი ქადაგების მიზეზი ხალხისთვის საამო და პოპულარული სწავლების ნაცვლად? ამიტომ ხომ არ მიანდო ღმერთმა მას ახალი აღთქმის ნაწილის დაწერა და ვინმე უფრო ხარიზმატული მქადაგებელი არ შეარჩია?

შორს იყავით შეუფერებელი საუბრებისგან!

სიაში შემდეგი გახლავთ: *ნუ ჩაერთვებით ლაქლაქსა და ბილწსიტყვაობაში*, ნუ იქნებით უხეში და უხამსი ანეგდოტებისა და ამბების მოლაპარაკე. ამაში იგივე შინაარსის მატარებელი ვიდეოების ყურება, მუსიკის მოსმენა და სხვა ამგვარიც შედის.

ერთხელ მთხოვეს, დავხმარებოდი მსახურებაში ჩართულ ახალგაზრდებს, რომლებიც საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი მათი წინამძღოლების მხრიდან უხეშობის, უხამსი ხუმრობების და ისეთი საუბრების მოსმენის გამო, რომლებიც ამქვეყნიური ადამიანის ლაპარაკის მანერისგან არაფრით განსხვავდებოდა. რატომ აკეთებენ ამას წინამძღოლები? ასე იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ღვთის ხალხსა და მათ წინამძღოლებს არ ვეუბნებით: „ეს არ არის ის ქცევა, რომელიც ცათა სამეფოს მოქალაქეს შეეფერება!“

პავლე კოლასელებს წერს: „ყოველთვის მადლიანი იყოს თქვენი სიტყვა, მარილით შეზავებული“ (4:6). ჩვენი საუბარი მადლით სავსე უნდა იყოს.

ნუ დათვრები!

შემდეგი – *ნუ დათვრები:* ნურც ლუდით, ნურც ღვინით ან ნებისმიერი სხვა ალკოჰოლური სასმელით (ეს მითითება ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ფსიქოტროპული წამლების მიმართ, იქნება ეს ლეგალური, არალეგალური თუ ექიმის მიერ გამოწერილი). კიდევ ერთხელ ვისმენთ *აკრძალვას* („ნუ“).

ალკოჰოლი მაცდუნებელია (იხ. იგ. 23:31-33). მას ადვილად შეუძლია შეტყუება, რომ უფრო მეტი დალიოთ და გაჩერების დრო გამოგეპაროთ. ალკოჰოლს საღი განსჯის უნარის შესუსტება და საბოლოოდ, გამოლევა ძალუძს. ადამიანი აკრძალვებთან დათმობაზე მიდის და გულისა და ტვინის ბუნებრივი დამცავი ფუნქციები აღარ მუშაობს. ეს კომპიუტერის სისტემიდან ვირუსებისგან დამცავი პროგრამის წაშლას ჰგავს. როცა კეთილგონიერება ქრება, საშიში აზროვნების პროცესში ვერთვებით. არსებითად, ალკოჰოლი ჩვენი ტვინის უსაფრთხოების სისტემას თიშავს. თუნდაც შეგვეძლოს და ვიცოდეთ, როდის უნდა შევწყვიტოთ სმა, ასეთი საქციელით, უნებლიეთ, სხვებსაც ვუბიძგებთ სმისკენ. ნება მიბოძეთ, ერთი ამბავი გაგიზიაროთ.

ერთი წამყვანი მწყემსი მშობლიური ქალაქის რესტორანში სვამდა. იქვე აღმოჩნდა მისი ეკლესიის ახალმოქცეული წევრი, მდიდარი ბიზმესმენი, რომელიც მოქცევამდე ალკოჰოლიზმით იტანჯებოდა. მოქცევის შემდეგ კაცი ყველანაირად თავს იკავებდა სმისგან და შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა კატეგორიისთვის, „რომლებიც ეს-ესაა ჩამოსცილდნენ ცდომილებაში მყოფთ“ (2 პეტრ. 2:18).

მოკლე ხანში, დაინახა რა თავისი მწყემსი, რომელიც რესტორანში სვამდა, ბიზნესმენი სამი დღით საქეიფოდ გაემგზავრა. იმ სამი დღის განმავლობაში მეტად უგუნური საქმიანი გადაწყვეტილებები მიიღო და ფინანსური თვალსაზრისით, კინაღამ ყველაფერი დაკარგა. კიდევ უფრო საშინელი ის გახლდათ, რომ ოჯახიც დაენგრა. როცა მოგვიანებით ჰკითხეს, რამ აიძულა სამდღიანი სმა, მან ასე უპასუხა: „დავინახე, როგორ სვამდა ჩემი მწყემსი და ვიფიქრე, *თუ მისთვის შეიძლება, ე. ი. ჩემთვისაც შეიძლება*“.

რასაკვირველია, ეს ადამიანი პასუხისმგებელია თავისი არასწორი არჩევანის გამო, მაგრამ ამ შემთხვევამ უნდა დაგვაფიქროს თუ არა ზეგავლენაზე, რომელსაც სხვა ადამიანებზე ვახდენთ?

უკანასკნელ ხანებში ბევრი მსახური თავისუფლად სვამს სახალხოდ. წმ. წერილში არის გარკვეული ადგილები, რომლებიც მათ მოჰყავთ თავიანთი საქციელის გასამართლებლად. ერთ-ერთია 1ტიმ.3:3, სადაც პავლე ტიმოთეს ეუბნება, რომ ეკლესიის მსახურები არ უნდა იყვნენ „ღვინოს მიძალებულნი“. აქ პავლე იყენებს ბერძნულ სიტყვას *„პაროინოუ“. The Complete Word Study Dictionary*-ის განსაზღვრება ასეთია: „ღვინოზე დამოკიდებული, მთვრალი. სიტყვა არ გულისხმობს ალკოჰოლის პასუხისმგებლობით და ზომიერი ოდენობით გამოყენებას, არამედ მის ბოროტად მოხმარებას. შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი, თუ როგორ უდევს პიროვნებას მაგიდაზე ღვინის ბოთლი (ან ტიკი) ყოველთვის, რაც მავნე მიდრეკილებაზე მიანიშნებს.“ NIT ვერსია ამ მუხლს ასე თარგმნის: ეკლესიის წინამძღოლი არ უნდა იყოს „ლოთი“! (1 ტიმ. 3:3).

სხვა წერილში პავლე ტიმოთეს ურჩევს: „ცოტა ღვინოც იხმარე შენი კუჭისა და შენი ხშირი უძლურების გამო!“ (1ტიმ.5:23). ტიმოთე წამყვან მწყემსად ითვლებოდა ეფესოს ეკლესიაში. დღეს მრავალი მსახური ასე ფიქრობს: *თუ ეკლესიის წინამძღოლი ღვინოს არ უნდა შეხებოდა მოწმიდართა ფიცის თანახმად, პავლე მწყემს ტიმოთეს არ ურჩევდა სამკურნალო მიზნებისთვის ღვინოს დალევას.*

ამგვარ კამათში ყველაზე ხშირად მოყვანილი ეპიზოდია, იესოს მიერ წყლის ღვინოდ გადაქცევა (იხ. იოან. 2:1-11). დედააზრი ასეთია: *იესო წყალს ღვინოდ არ გადააქცევდა სახალხოდ, სმა რომ არასწორი საქციელი ყოფილიყო.*

თუ მხოლოდ ზემომოყვანილ მონაკვეთებს მოვიშველიებთ, პიროვნებას შეუძლია ამტკიცოს, რომ რესტორანში მყოფ მწყემსს ცუდი არაფერი ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, სადაც ალკოჰოლიზმი ფართოდ მოდებულია. აშშ-ში ყოველწლიურად დაახლოებით 88 000 ადამიანი კვდება ალკოჰოლიზმით გამოწვეული დაავადებების გამო, და იგი მესამეა სიკვდილის მაპროვოცირებელ მიზეზებს შორის. 2007 წელს *ვაშინგტონ პოსტმა* განაცხადა, რომ ყოველ მესამე ამერიკელს აქვს ან ჰქონდა ალკოჰოლიზმის პრობლემა. ალკოჰოლიზმისა და ალკოჰოლური მიდრეკილების ეროვნულმა ინსტიტუტმა წარმოადგინა მონაცემები, რომ 2012 წელს 18 წლის და მასზე უფროსი მოქალაქეების 25 % გადაბმულად სვამდა ბოლო თვის განმავლობაში. შემაშფოთებელი რიცხვია – ოთხი ადამიანიდან ერთი მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში! გაცილებით მეტი სტატისტიკური მონაცემის მოყვანა შემიძლია, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამერიკელებს სასმელის ბოროტად გამოყენების მიდრეკილება აქვთ.

ლოთობა არა მარტო შტატებშია ფართოდ გავრცელებული. 2012 წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გარდაცვლილთა 6 % (3,3 მლნ.) ალკოჰოლის გადაჭარბებით მოხმარების გამო დაიღუპა. პლანეტაზე ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება რიგით მეხუთე რისკ-ფაქტორია ნაადრევი სიკვდილიანობისა და უუნარობის მხრივ. იგი პირველ ადგილზე დგას თხუთმეტიდან ორმოცდაცხრა წლის ასაკამდე ადამიანებს შორის!

ამ ეპიდემიიდან გამომდინარე, ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე მორწმუნეებმა ლოგიკა აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ ერთი ნაბიჯის წინ გადასადგმელად და კერპშენაწირის ხორცის ჭამაზე პავლეს მითითების მასშტაბები გამოვარკვიოთ. მონაკვეთში, „ამიტომ თუ საჭმელი აბრკოლებს ჩემს ძმას, უკუნისამდე აღარ შევჭამ ხორცს, რათა ჩემი ძმა არ დავაბრკოლო“ (კორ. 8:13), პავლემ ნათლად განაცხადა, რომ კერპშენაწირის ჭამა ცოდვა არ არის. მიუხედავად ამისა, თუ ეს სუსტ ძმას აბრკოლებს, იგი ამას არაფრით არ გააკეთებს.

შესაძლოა, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ზოგადად, ქრისტიანს მცირე რაოდენობით ალკოჰოლური სასმელის მიღების უფლება აქვს, მაგრამ ჩვენ, მორწმუნეებს და განსაკუთრებით

ეკლესიის წინამძღოლებს, გვინდა სხვათა დაბრკოლების ლოდად ვიქცეთ და ლოთობას ძლივძლივობით ჩამოშორებულები ვაცდუნოთ და კვლავ მძიმე მდგმარეობაში ჩავაგდოთ? ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ალკოჰოლიზმის საფრთხით გაჟღენთილ საზოგაოდებაში ვცხოვრობთ. ზემოხსენებულ მწყემსს ეს სიბრძნე რომ გაეთვალისწინებინა, იქნებ ის ბიზნესმენიც აცდენოდა ტრაგიკულ სამდღიან ლოთობას.

უნდა გავექცეთ ნებისმიერი ფორმის სიმთვრალეს. ეს არ გახლავთ ღვთის შვილისთვის შესაფერისი ქცევა და არც უმნიშვნელო საკითხია. ჩვენ მრავლისმეტყველად გვაფრთხილებენ: „განა არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სამეფოს? თავი არ მოიტყუოთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც დადედლებულნი, ვერც მამათმავალნი, ვერც ქურდნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სამეფოს“ (1 კორ. 6:9-10).

მსჯელობისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ სულიერ ასპარეზზე ვიღწვით და მწვრთნელი გვეუბნება, რომ „ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა!“ (ებრ.12:1). არსებობს ცოდვები, რომლებიც გაცილებით ხშირად გვახსენებენ თავს, ვიდრე სხვები. ზემომოყვანილი სტატისტიკიდან ჩანს, რომ ალკოჰოლიზმი ამ სიის სათავეში უნდა ვეძებოთ. რატომ უნდა ვეთამაშოთ ცოდვას, რომელსაც ამდენი ადამიანის სიცოცხლე დაუნგრევია?

და ბოლოს, კითხვა დავუსვათ საკუთარ თავს, რატომ მივმართავთ დამშვიდებისა და შვების მოგვრის ხელოვნურ საშუალებებს ჩვენ, ვისაც სულიწმიდით ავსების ჭეშმარიტი გამოცდილება გვაქვს? იქნებ სულიწმიდით ავსებულის სახელი გვაქვს მხოლოდ, მისი განცდა კი არასოდეს გვქონია და სწორედ ამიტომ გვჭირდება რაღაც ნივთიერებების დახმარება?

ნუ ცდუნდებით!

ჩვენ ეფესელთა მიმართ წერილის მხოლოდ ეს ერთი თავი განვიხილეთ. აქ ახალი აღთქმის სხვა უამრავი მცნებაა. კვლავ ვიმეორებ, რომ ეს არ გახლავთ მცნებები, რომლებითაც გადარჩენას მივიღებთ, არამედ ცხოვრების სტილია მათთვის, ვინც ღვთის ხილულ თანდასწრებაში იცხოვრებს.

დავაკვირდეთ, როგორ ასრულებს პავლე თავისი აკრძალვების სიას:

„არავინ გაცდუნოთ ცარიელი სიტყვებით, ვინაიდან ამისთვის ღვთის რისხვა ეწევა ურჩ შვილებს. ამიტომ ნუ იქნებით მათი თანაზიარნი. ... გამოსცადეთ, რა არის უფლის მოსაწონი! და ნუ ეზიარებით სიბნელის უნაყოფო საქმეებს, არამედ ამხილეთ! რადგან, რასაც ისინი ფარულად აკეთებენ, სალაპარაკოდაც კი სამარცხვინოა ... მაშ, ფრთხილად მოიქეცით – არა როგორც უგუნურნი, არამედ როგორც ბრძენნი!“. (ეფეს. 5:6-7, 10-12, 15)

ნუ გაგაბრიყვებენ ისინი, ვინც თავიანთი ცოდვების გამართლებას ცდილობენ! შედეგები მეტისმეტად არასასურველია. ჩვენ გულმოდგინედ და არა ზედაპირულად უნდა გამოვცადოთ, რა სიამოვნებს ღმერთს ჩვენი ცხოვრების წესიდან. ბევრი ჩვენგანი ისე იქცევა, თითქოს რეალურ ბრძოლის ველზე კი არა, სათამაშო მოედანზე იმყოფებოდეს. ჩვენ ომში ვართ ჩართული და მტრის სამიზნეს წარმოვადგენთ, რომელიც დაუღალავად ცდილობს ჩვენს დაცემას. თუ სინათლეში დავრჩებით, იგი დამარცხდება ღვთის საოცარი მადლის გამო, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში მოქმედებს.

მე მოგიწოდებთ: ესწრაფეთ წმიდა ცხოვრებას! დაეყრდენით მადლს, რომ ღვთისმოსავი, წმიდა ცხოვრებით იცხოვროთ გახრწნილ და მომაკვდავ ქვეყნიერებაზე! თქვენ ყველაფერი გაქვთ ამის გასაკეთებლად, რადგან ღმერთმა მისი ღვთიური ბუნება უსასყიდლოდ მოგცათ. ტყუილად ნუ გაფლანგავთ ან მიიღებთ ღვთის საოცარ მადლს!

ჩვენი მოტივაცია

„ამიტომ გამუდმებით შეგახსენებთ ამას, თუმცა იცით და
მტკიცედ დგახართ ახლანდელ ჭეშმარიტებაში. და
სწორად მიმაჩნია, სანამ ამ კარავში ვიმყოფები,
შეხსენებით გამოგაფხიზლოთ. რადგან ვიცი, რომ
მალე უნდა დავტოვო ჩემი კარავი, როგორც ჩვენმა
უფალმა, იესო ქრისტემ გამომიცხადა. ამიტომ
შევეცდები, რომ ჩემი წასვლის შემდეგაც
ყოველთვის იხსენებდეთ ამას“.
2 პეტრ. 1:12-15

„...ღვთის მეგობრობის დაკარგვას ერთადერთ
საშინელებად მივიჩნევთ და ღმერთთან დამეგობრებას
– ერთადერთ პატივის ღირს სურვილად“.
გრიგოლ ნისელი

წმიდად ცხოვრების მოწოდება არ გახლავთ რჩევა ან დარიგება. ეს არ არის მიუღწეველი სწრაფვა. ეს ბრძანებაა, რომლის შესრულებასაც ჩვენგან მოელიან.

პეტრე მოციქულმა ნათლად განაცხადა, რომ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ გადმოცემული მთავარი ჭეშმარიტებებისა და მცნებების არაერთგზის გამეორება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მათი გახსენების აუცილებლობა სამჯერ არის ხაზგასმული ზემომოყვანილ ოთხ მუხლში. პეტრეს წერილის მკითხველებმა უკვე იცოდნენ, რა იყო დაწერილი, მაგრამ მოციქული მოუწოდებდა, რომ მისი ზეცაში წასვლის შემდეგაც გამუდმებით გაეხსენებინათ ეს მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები. ჩვენთვისაც კარგი არ იქნება, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ ამ მნიშვნელოვან სიტყვებს?

პეტრე ასე ამბობს მისი ორი წერილის დასაწყისში: „წმიდანი იყავით ყოველ საქციელში!“ (1პეტრ.1:15). ამგვარ ბრძანებით კილოს ხშირად ვხვდებით წმ. წერილში. გონიერებას გამოვიჩენთ, თუ მათ გავითვალისწინებთ და ბრიყვები ვიქნებით, თუ მათ უგულებელვყოფთ!

მოციქული ნათლად ლაპარაკობს ამგვარი ცხოვრების სტილზე. ამან არ უნდა შეგვაშინოს, დაგვაფრთხოს და მხნეობა დაგვიკარგოს. ჩვენ გვაქვს აღთქმა: „მისი მცნებები მძიმე როდია“ (1იოან.5:3). ეს ნიშნავს, რომ იესოს მცნებების დაცვა შესაძლებელია და არარეალური სულაც არ არის.

პეტრე კვლავ განაგრძობს წმიდა ცხოვრების პრაქტიკულ ასპექტებზე მსჯელობას პირველი წერილის დარჩენილ ნაწილსა და უფრო მეტად – მეორე წერილში. მან ასეთი განაცხადი გააკეთა: „შეგაგონებთ, როგორც ხიზნებსა და მწირებს, განეშორენით ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც თქვენი სულის წინააღმდეგ იბრძვიან!“ (1პეტრ. 2:11).

ბრძოლის ველი ჩვენი გონება გახლავთ. სწორედ ჩვენი აზრები, ემოციები და ნება უნდა შემოწმდეს. ყოველგვარი ცოდვა ამ არენაზე იწყება. ბრძოლა სწორედ მაშინ მწვავდება, როცა ყველაზე ნაკლებად ველოდებით. ამ დროს, როგორც წესი, ურწმუნოებთან ან დათმობაზე წამსვლელ მორწმუნეებთან ვართ. პეტრე ცხადად წარმოაჩენს ამ რეალობას: „კეთილად მოიქეცით წარმართთა შორის! („ურწმუნო ნაცნობებს შორის“ NLT)“ (1 პეტრ. 2:12).

მოციქული ეხება ჩვენს წმიდა ქცევას მთავრობასთან, თანამშრომლებთან, ქორწინებასა და სხვა ურთიერთობებში. იგი ყველა ამ შემთხვევას სათითაოდ განიხილავს, მაგრამ განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჩვენს უდიდეს შესაძლებლობას ურწმუნო მეზობლებთან, თანამშრომლებთან და თანაკურსელებთან. წმიდა ქცევა ძლიერი დამოწმება გახლავთ უფრო მათთან, ვისთანაც ახლოს ვიყავით ქრისტესთან მოსვლამდე. იგი ამბობს:

> „რასაკვირველია, თქვენს ძველ მეგობრებს უკვირთ, რომ მათთან ერთად არ მისდევთ ამ უზომო გარყვნილებას. თქვენ არ ხართ ანგარიშვალდებული მათ წინაშე! ისინი თავად აგებენ პასუხს ღმერთთან“. (1 პეტრ. 4:4-5 The Message)

პეტრე მეორე წერილის დასაწყისში მიგვითითებს: „კიდევ უფრო გულმოდგინედ ეცადეთ, განამტკიცოთ თქვენი მოწოდება და რჩეულობა; თუ ასე მოიქცევით, არასოდეს წაიბორძიკებთ!“ (2 პეტრ. 1:10). ჩვენს ცხოვრებაში არსებობს ყოველდღიური საქმეები, რომლებითაც ჩვენს ნამდვილ მორწმუნეობას ვადასტურებთ. ამაში შედის: ზნეობრივი აღმატებულება, თავშეკავება, მოთმინება, გამძლეობა, ღვთისმოსაობა, სიკეთე და სიყვარული. ეს მადლის ნაყოფებია, რომელთაც რწმენის მეშვეობით ვავითარებთ. თუ ასე ცხოვრობთ, „უფრო ფართოდ გაიღება თქვენს წინაშე ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს საუკუნო სამეფოს კარი“ (მ. 11).

შემდეგ პეტრე გვაფრთხილებს მასწავლებლების შესახებ, რომლებიც „მოხერხებულად შემოიღებენ დამღუპველ მწვალებლობას“ (2 პეტრ. 2:1 NLT). ისინი უამრავ მსმენელს მიიზიდავენ: „მრავალნი მიჰყვებიან მათ ეშმაკეულ სწავლებას და სამარცხვინო თავაშვებულებას“ (მუხ. 2). *The Message* ბიბლია ასე ამბობს ამ ცრუ წინამძღოლებზე: „მათ თავიანთი თავი ნგრევისკენ სწრაფად მიმავალ დაღმართზე დააყენეს, მაგრამ იქამდე სხვადასხვა ტიპის მორწმუნეთა ბრბო შემოიკრიბეს, რომელთაც სწორისა და ბოროტის გარჩევა არ შეუძლიათ. ისინი ჭეშმარიტების გზას სახელს ულახავენ“ (მმ. 1-2).

ეს მოძღვრები „ჩვენს შორის“ იქნებიან: კონფერენციებზე, ეკლესიებში და სახლის ჯგუფებში. ჩვენ გვაფრთხილებენ, რომ „ეს ადამიანები თქვენთან ერთად ჭამენ სიყვარულის სერობებზე და უფლის სიყვარულს იხსენებენ“ (იუდ. 12 NLT; ასევე იხ. 2 პეტრ. 2:13). მათ მოძღვრებაში საკმარისად იქნება შერეული ჭეშმარიტება, რაც შედეგად ორ მოვლენას მოიტანს.

პირველი, ადამიანები ვეღარ გაარჩევენ ტყუილ-მართალს. ქცევები, რომლებიც ღვთის გულს დაგვაშორებს, მისაღებად და ზოგჯერ სიკეთედაც ჩაითვლება. ღვთის სიტყვის აღიარება და მასზე მიწებება ლეგალისტურ და სუბიექტურ საკითხად განიხილება.

„ქრისტიანული“ ცხოვრების სტილის დაღმავლობასთან ერთად მათი სწავლება გარჩევის უნარს გააქრობს. ეს მაცდური მსახურები და მოძღვრები ნიჭიერი, გამორჩეული ორატორები იქნებიან. ისინი ბევრს განაიარაღებენ და მრავალზე მოახდენენ ზეგავლენას. ვინაიდან ღვთის *სრული* ნება აღარ იქნება მიჩნეული საბოლოო სტანდარტად, მორწმუნეების დაუმორჩილებლობის ცდუნებაში შეტყუება ისტორიაში უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწევს.

მეორე შედეგი ის იქნება, რომ სახარებას სახელი გაუტყდება. ეს მაშინ მოხდება, როცა ცრუმოძღვრები საკმარისად გამოიყენებენ ჭეშმარიტებასთან მიმსგავსებულ ფრაზეოლოგიას:

„სწორი გზა მიატოვეს ...“. (2 პეტრ. 2:15)

ცრუ წინამძღოლები თავის დროზე ქრისტეს ღვთისმოსავი მიმდევრები იყვნენ, რასაც ხსნის მათ მიერ ქრისტიანული ენის ცოდნა მაგრამ არ იბეჯითეს და ქრისტიანული სიწრფელე ვერ შეინარჩუნეს.

პეტრე მიუთითებს, რომ წმიდა ცხოვრების მიყოლა დაცემისგან დაგვიცავს და არასოდეს წამოვეგებით ცრუ მოძღვართა მავნე ზეგავლენას. ჩვენი უსაფრთხოება წმიდა ცხოვრებაშია. შემდეგ ის პირდაპირ წერს მსხვერპლებზე, რომლებიც ცრუმოძღვრების საცდურში გაეხვივნენ და ზეგავლენის მომხდენთა ცხოვრების სტილით მოტყუვდნენ:

„თუ უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს შემეცნებით წუთისოფლის სიბილწეებს ჩამოცილებულნი კვლავ გაეხვევიან მათში და დაიძლევიან, უკანასკნელი პირველზე უარესი იქნება. უმჯობესი იქნებოდა არ შეეცნოთ სიმართლის გზა, ვიდრე შეეცნოთ და უკუქცეულიყვნენ *მათთვის გადაცემული წმიდა მცნებისგან*“. (2 პეტრ. 2:20-21)

ეს შემაშფოთებელი და ელდის მომგვრელი ინფორმაცია გახლავთ და ნამდვილად შეხსენების ღირსია. დიდებული მოციქული ლაპარაკობს ადამიანებზე, რომლებიც დაუსხლტნენ ცოდვის ბორკილებს იესო ქრისტეს მიღებით, მაგრამ არაჯანსაღი სწავლების, არასწორი რწმენის და გარჩევის უნარის დაკარგვის გამო უკან დაიხიეს უღვთო ცხოვრების გზისკენ. მოციქული ამბობს, რომ ახლა მათი მდგომარეობა უარესია, ვიდრე ქრისტეს მიღებამდე იყო და უმჯობესი იქნებოდა, საერთოდ არ შეეცნოთ ჭეშმარიტების გზა, ვიდრე უარი ეთქვათ წმიდა ცხოვრების მცნებაზე. ამ აზრმა მართლაც უნდა გამოგვაფხიზლოს!

ისევ ვიმეორებ, რომ წმიდა ცხოვრება *მცნებაა* და თან – მეტად მნიშვნელოვანი!

ორი დაუმარცხებელი ძალა

უფლის მცნებები მძიმე როდია, რადგან ახალი ბუნება გვაქვს, რომელიც მადლით არის გაძლიერებული მათ დასაცავად. მოვლენებს რეალურად შევხედოთ. შესაძლოა ეს უნარი გვქონდეს, მაგრამ რა გვიბიძგებს წმიდა ცხოვრებისკენ შუაგულ ბრძოლაში? პასუხია ორი უძლეველი ძალა.

ნება მიბოძეთ, რომ პირველი ძალის განმარტება ერთი ისტორიის მოყვანით დავიწყო. როცა 1980-იან წლებში ახალგაზრდების მწყემსი ვიყავი, საკვირაო მსახურებისთვის სიტყვას ვამზადებდი. ვიგრძენი, რომ უფალს ჩემთან ლაპარაკი უნდოდა. დავწყნარდი და გულს მოვუსმინე. გავიგონე ხმა: „წაიკითხე იოან. 14:15!“.

წარმოდგენა არ მქონდა, რას ამბობდა იოან. 14:15, ამიტომ სწრაფად გადავშალე და ვნახე, რომ ამ მუხლით ჩემს ბიბლიაში ახალი აბზაცი იწყებოდა. წავიკითხე იესოს სიტყვები: „თუ გიყვარვართ, ჩემი მცნებები დაიცავით! ...“.

შემდეგ მე-15 მუხლიდან 24-ე მუხლამდე მონაკვეთი ჩავიკითხე. ათივე მუხლი მე-15-ს უკავშირდებოდა. მისი თემა იესოს სიტყვების დაცვა გახლავთ. აქედან მარტივი დასკვნა გამოვიტანე: „ჩემი მცნებების დაცვით დაამტკიცებ, რომ გიყვარვარ“. ბოლო მუხლი რომ წავიკითხე, უფალი ჩემს გულს დაელაპარაკა: „ვერ მიხვდი. ხელახლა წაიკითხე!“

კვლავ გადავიკითხე ეს მონაკვეთი და უფლის სათქმელი ისევ იგივე მომეჩვენა: „ჩემი მცნებების დაცვით დაამტკიცებ, რომ გიყვარვარ“. ისევ გავიგონე უფლის ხმა: „ვერ მიხვდი? ხელახლა წაიკითხე!“.

ამან მეტისმეტად აღძრა ჩემი ცნობისმოყვარეობა. ისევ წავიკითხე ათივე მუხლი მხოლოდ იმისთვის, რომ უფლისგან იგივე მომესმინა: „კიდევ წაიკითხე!“ შვიდი თუ რვა მცდელობის შემდეგ ჩემმა იმედგაცრუებამ პიკს მიაღწია.

გადავწყვიტე, სწრაფად აღარ წამეკითხა და ლოკოკინასავით ნელა მივყოლოდი ხსენებულ მუხლებს. წავიკითხე „*თუ*“, შემდეგ გავჩერდი და ხმამაღლა წარმოვთქვი. დავიწყე ფიქრი. შემდეგ მეორე სიტყვა ვთქვი „*თქვენ*“ და იგივე პროცესი გავიმეორე. ასე გავედი ბოლოში, რამაც საკმაო დრო წამართვა. სადღაც თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩავათავე ათივე მუხლი და მეყსეულად გავიგე სულიწმიდის ხმა: „ვერ გაიგე? ხელახლა წაიკითხე!“

მოთმინებიდან გამოსულმა ვიყვირე: „უფალო, მომიტევე ჩემი უგუნურება! ალბათ, სულელი ვარ. ამიხილე თვალები, რომ დავინახო, რის თქმა გინდა!“

შემდეგ ისევ წავიკითხე მე-15 მუხლი: „თუ გიყვარვარ, ჩემი მცნებები დაიცავი!“ უცებ შევნიშნე, რომ სიტყვასთან *დაიცავი,* ვარსკვლავის ნიშანი ესვა. მუხლების განმარტებებში პარალელური მუხლი მოვძებნე, სადაც ამოვიკითხე, რომ უფრო ზუსტი თარგმანი იყო „დაიცავთ“.

თუ მუხლიდან ერთადერთ სიტყვას (*დაიცავი*) ამოვიღებდი და მის ნაცვლად ახალმოძიებულს ჩავსვამდი, შემდეგ წინადადებას მივიღებდი: „თუ გიყვარვარ, ჩემს მცნებებს დაიცავ!“ როცა ასე წავიკითხე, შიგნით რაღაც აფეთქება მოხდა. ახლა ყველაფერს მივხვდი.

ამის შემდეგ ღვთის ხმა გავიგონე: „ჯონ, არ მითქვამს, რომ ჩემი მცნებების დაცვის შემთხვევაში ჩემდამი სიყვარულს დაამტკიცებდი. ისედაც ვიცი, გიყვარვარ თუ არა! მე ასე ვამბობდი: „თუ მთელი არსებით შემიყვარებ, ჩემი მცნებების დაცვა არ გაგიჭირდება!“ ჩემი თავდაპირველი გაგება ლეგალისტური იყო. ახლა კი ჩავწვდი სასიყვარულო ურთიერთობის ახლებურ ხედვას, რომელიც მორწმუნის მოტივაციის გასაღებია.

მხურვალე სიყვარული

ნება მიბოძეთ, თვალსაჩინოება წარმოგიდგინოთ. ოდესმე შეგყვარებიათ? როცა ჩემს ცოლზე, ლიზაზე დავინიშნე, ყურებამდე შეყვარებული ვიყავი. თავში გამუდმებით ლიზა მიტრიალებდა. რაღას არ ვცდილობდი, რომ დრო მასთან ერთად გამეტარებინა. ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა რამდენიმე საათის განმავლობაში ერთად ვიყავით. ბოლოს, როგორც იქნა, დავემშვიდობე, მაგრამ ცოტა ხანში ლიზამ დამიძახა: „ჯონ, ჩემს სახლში ჟაკეტი დაგრჩა!“ სიხარულმა ამიტანა, რომ მისი ხელახლა ნახვის შესაძლებლობა მომეცა.

ლიზას ასე ვუპასუხე: „კარგი, ესე იგი, უნდა ამოვიდე მის წასაღებად! ორივეს გაგვეცინა. ამას ერთად გატარებული კიდევ რამდენიმე საათი მოჰყვა.

თუ ლიზას რამე უნდოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად ძნელი იქნებოდა ეს – მე ყველაფერს ვაკეთებდი მისი სურვილის შესასრულებლად. შუაღამეზე რომ დაერეკა და ეთქვა: „ძვირფასო, ვაფლიანი ნაყინი მინდა!“, მაშინვე ვკითხავ-

დი, „რომელი გემოსი გირჩევნია? ხუთ წუთში შენთან გავჩნდები!“ ყველაფერს გავაკეთებდი, რომ მისი ნებისმიერი სურვილი ან მოთხოვნა დამეკმაყოფილებინა. აი, რაში მდგომარეობდა საქმის არსი: *მისი სურვილი ჩემთვის სიამოვნების მომტანი მცნება იყო.*

ლიზას მიმართ დიდი სიყვარული გახლდათ ის მიზეზი, რის გამოც მისი სურვილების ასრულება სიხარულს მანიჭებდა. რაც არ უნდა ეთხოვა, ჩემთვის საძნელო არაფერი იყო. იმიტომ კი არ ვასრულებდი მათ, რომ ლიზასთვის ჩემი სიყვარული დამემტკიცებინა; ყველაფერს იმიტომ ვაკეთებდი, რომ ძალიან მიყვარდა!

ეს მაგალითი ნათელს ჰფენს იესოს ნათქვამს. მის მიმართ დიდი სიყვარული მისი მცნებების შესრულების სიამოვნებას გვანიჭებს. მისი სიტყვა ამკრძალავი ან მძიმე აღარ არის, როცა ჩვენს გულში უფლის სიყვარული გიზგიზებს!

მოდი, ჩემი ქორწინების მომდევნო ხუთ წელს გადავხედოთ! მთლიანად ჩავეფლე მსახურების საქმეში და ვერც კი გავაცნობიერე, რომ ლიზას მიმართ სიყვარული თანდათან მინელდა. ახლა ლიზას სურვილები ჩემთვის ბრძანებას აღარ წარმოადგენდა. ზოგჯერ მათ გამო უხერხულობას ვგრძნობდი და ზოგჯერ, საერთოდ მემძიმებოდა. ლიზას მომსახურებაში სრულიად სხვა დამოკიდებულება შევიძინე. არაფერს ვაკეთებდი ნიშნობისდროინდელი აღფრთოვანებით. აღარ ისმოდა, „რომელი გემოსი? ახლავე მანდ ვარ!“ გაჩნდა ახალი ფრაზა, „მართლა? ძვირფასო, ყელამდე საქმეებში ვარ ჩაფლული!“ აღარ ვეძებდი მასთან დროის გატარების შესაძლებლობას და თუ ვიყავი კიდეც მასთან, ეს იმიტომ, რომ ასე მოქცევა სწორად მიმაჩნდა. ჩემი ახალი სიყვარული სამუშაო გახდა.

უსმინეთ, რას ეუბნება იესო ეკლესიას:

> „ვიცი შენი საქმეები, შენი შრომა და მოთმინება; ... მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული. ამიტომ გაიხსენე, სად დაეცი, მოინანიე და აკეთე პირვანდელი საქმეები! ...“. (გამოცხ. 2:2,4-5)

კიდევ ერთხელ გადავხედოთ იესოს განცხადებას: „ვიცი შენი საქმეები ... დაეცი; მოინანიე და აკეთე *პირვანდელი საქმეები*!“ აქ ლაპარაკია ორ სხვადასხვა საქმეზე. პირვანდელი საქმეები ეკლესიას იესოს დაშურებით სიყვარულისთვის აღძრავდა და არ განსხვავდებოდა ჩემი ლიზასადმი დამოკი-

დებულებისგან: „რომელი გემოსი? ხუთ წუთში შენთან ვარ!“ ახლა ეკლესია საქმეებს ვალდებულების გამო აკეთებდა და ეს იგივე მოტივი იყო, რაც მე შევიძინე: „მართლა? ძვირფასო, ახლა უამრავი საქმე მაქვს!“

ეს ყველაფერი იესოსთან დაკავშირებით შეიძლება ამგვარად ჩამოვაყალიბოთ: როცა პირველად შეგვიყვარდა, აღფრთოვანებული ვიყავით და მისთვის ყველაფერს გავაკეთებდით. ახლა ის გრძნობა მინელდა და მორჩილება მოვალეობად გვექცა.

როგორ უნდა გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანება? მეტი დრო უნდა გავატაროთ მასთან ერთად, მის სიტყვასთან მოზიარეობაში, ლოცვასა და თაყვანისცემაში. ჩვენი აზრები მისკენ უნდა მივმართოთ არა მარტო ეკლესიაში ყოფნის ან დილის ლოცვისას, არამედ განუწყვეტლივ, დღის განმავლობაში მისი თანდასწრების გაცნობიერებით. ასევე, სულიწმიდას, ჩვენს მუდმივ თანამგზავრს უნდა ვთხოვოთ, რომ ჩვენი გულები ხელახლა აავსოს ღვთის სიყვარულით ყოველდღიურად (იხ. რომ. 5:5).

შეუძლებელია, ღმერთი ზედმეტად გიყვარდეთ; ეს უფრო მეტ დაშურებას შემატებს თქვენს ცხოვრებას. არასოდეს დაივიწყოთ, რომ „სიყვარული არასოდეს მთავრდება!“ (1 კორ. 13:8).

წმიდა შიში

მეორე მამოძრავებელი ძალა ღვთის შიში გახლავთ. ამ სათნოებაზე პავლე განსაკუთრებით მიუთითებს, რადგან იგი სიწმიდის გზის მიტოვების საშუალებას არ გვაძლევს:

> „განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე!“ (2კორ.7:1)

სიწმიდე ღვთის შიშით იზრდება. ეს ჭეშმარიტება მთელს ახალ აღთქმაში ჩანს.

პავლე სხვა ეკლესიას წერს: „შიშითა და ძრწოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად!“ (ფილ. 2:12). ღვთის მცნებების შესრულებას დიდი მოკრძალება, თრთოლა და წმიდა შიში სჭირდება. პავლე ამას გვეუბნება წმიდა ცხოვრების მცნების დაცვასთან დაკავშირებით: „მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის დრო!“ (1 პეტრ.1:17).

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი სიწმიდის მიყოლას გვირჩევს: „ამიტომ ჩვენ, ვინც შეუძრავ სამეფოს ვღებულობთ, გამოვიჩინოთ მადლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მოწიწებითა და მოშიშებით!“ (ებრ. 12:28). ღვთის შიშის ქონა მისი მსახურების მისაღები გზაა.

ბევრს ვერ გაურკვევია უფლის შიშის რაობა. განა *შიშისგან* განთავისუფლებული არ ვართ? რა ადგილი უჭირავს ამ სიტყვას ჩვენს ლექსიკონში?

ღმერთი სიყვარულია. იგი ჩვენი მამაა. და მაინც, *შიშის* საკითხი უნდა განვიხილოთ, რადგან მასზე ხშირად არის ლაპარაკი ახალ აღთქმაში.

ზოგიერთმა მისი მნიშვნელობა დაამცირა ნათქვამით, „ეს მხოლოდ ღვთის თაყვანისცემას ნიშნავს“. ეს ერთმა მსოფლიოში სახელგანთქმულმა მასწავლებელმა მითხრა დასასვენებელ ოთახში ყოფნისას, სანამ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდოდი. ჩემი კითხვა ამ განსაზღვრების შესახებ ასეთი იყო: „რატომ აღნიშნავს პავლე უფლის შიშზე ოთხგან ახალ აღთქმაში თუ ეს მხოლოდ თაყვანისცემას ეხება?“ თრთოლვა რაღაც უფრო მეტია, ვიდრე თაყვანისცემა.

სტრონგის ლექსიკონი ბერძნულ სიტყვას „*ტრომოს*“ (ძრწოლა) შემდეგნაირად განმარტავს: „შიშისგან კანკალი“. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ გვირჩევენ, „შიშით და ძრწოლით ვიღვაწოთ გადასარჩენად!“. აქ იგულისხმება არა მარტო *ღრმა პატივისცემა,* არამედ *ჯანსაღი შიში*, რაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი გაგება ღვთის თაყვანისცემაზე.

შიშის რაობას თუ იკითხავთ, შესაძლოა, ასეთი პასუხი მოისმინოთ: „ეს ძველი აღთქმის სწავლებაა. ჩვენ ღვთის არ უნდა გვეშინოდეს, რადგან მან შიშის კი არა, სიყვარულის სული მოგვცა.“ ვინც ამას ამბობს, შიშის სულსა და უფლის მოშიშებას ერთმანეთში ურევს.

როცა მოსემ ისრაელი სინაისთან მიიყვანა და ღმერთმა თავისი თანდასწრება გამოავლინა, ხალხმა უკან დაიხია და შეშინებული სთხოვდა მოსეს, რომ ღმერთს შევედრებოდა, უარი ეთქვა მისი სიდიადის ჩვენებაზე. აი, რა უპასუხა მოსემ ისრაელიანებს:

> „ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ!“ (გამ. 20:20)

ისე ჩანს, თითქოს, მოსე თავის თავს ეწინააღმდეგება: „ნუ გეშინიათ ... მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ“. იგი უბრალოდ განასხვავებს ღვთისგან დაფრთხობას და უფლის შიშს. ამ ორ დამოკიდებულებას შორის უზარმაზარი სხვაობაა. რაში სჭირდება ღმერთს ჩვენი დაფრთხობა? შეუძლებელია ძალზე ახლო ურთიერთობის ქონა პიროვნებასთან, რომლისაც საშინლად გეშინიათ, ხოლო ღმერთს ჩვენთან ახლო ურთიერთობა სურს.

თუ ადამიანს ღმერთი აფრთხობს, მას რაღაც აქვს დასამალი და შედეგად ღმერთთან მიახლოების ეშინია. პირველი, რაც ადამმა და ევამ გააკეთეს შეცოდების შემდეგ, სწორედ ღვთის თანდასწრებისგან დამალვა გახლდათ (იხ. 3:8). მეორე მხრივ, ღვთის შიშის მქონე პიროვნებას, არაფერი აქვს დასამალი. ფაქტობრივად, მას სწორედ ღვთისგან დაშორება აფრთხობს!

ამრიგად, პირველი განსაზღვრება ღვთის შიშთან დაკავშირებით სწორედ *მისგან დაშორების შიშია*. ღვთის მოშიშება მის უაღრეს პატივისცემას ნიშნავს. ჩვენ მეტისმეტად დიდ პატივს ვცემთ, ვაფასებთ და ვეკრძალვით მას ნებისმიერ ვინმეზე ან რამეზე მეტად.

წმიდა შიში ღმერთს იმ დიდების ადგილს აძლევს, რომელსაც ის იმსახურებს; ჩვენ ვთრთით და ვკანკალებთ მის წინაშე ღრმა მოწიწების გრძნობის გამო. ღვთის გულს ვიგებთ, როცა მის სურვილებს ნებისმიერი სხვა პიროვნების და მათ შორის საკუთარი თავის სურვილებზე მაღლა ვაყენებთ. გვიყვარს ის, რაც მას უყვარს და გვძულს ის, რაც მას სძულს. რაც მისთვის მნიშვნელოვანია, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი ხდება. სწორედ ამიტომ გვეუბნება წმ. წერილი: „უფლის შიში ბოროტების სიძულვილია“ (იგ. 8:13).

გამ. 20:20 აცხადებს, რომ ღვთის შიში ცოდვისგან გვიცავს. იგივეს გვეუბნება შემდეგი მუხლი: „უფლის შიშით განერიდებიან ბოროტებას“ (იგ. 16:6). ასევე პავლე წერს, რომ უფლის შიში ის ძალაა, რომელიც ცოდვისგან შორს ყოფნისკენ გვიბიძგებს (იხ. 2 კორ. 7:1).

ეს მუხლები ჩემთვის რეალობად იქცა, როცა ციხეში ცნობილი ტელემახარებელი ვინახულე. იგი 1980-იან წლებში პლანეტის ყველაზე გამორჩეული მსახური გახლდათ. მან რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა ჩვენი ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ და იმრუშა კიდეც.

ეს კაცი სასჯელს თითქმის ხუთი წლის განმავლობაში იხდიდა, მაგრამ განაჩენის აღსრულების დასაწყისში იესოს შეხვდა

თავის საკანში, რამაც მისი ცხოვრება თავდაყირა ამოატრიალა. ჩემს ერთ-ერთ წიგნში მასზე დაწვრილებით ვისაუბრე და ამის გამო შეხვედრა მთხოვა.

არასდროს დამავიწყდება, როგორ სცემდა ბოლთას ეს ადამიანი ციხის შეხვედრების ოთახში. იგი ტირილით გადამეხვია და ასე იყო ერთ წუთზე მეტ ხანს. შემდეგ მხრებში ხელი ჩამავლო და მგზნებარედ მკითხა:

– ეს წიგნი შენ დაწერე თუ სხვა ვინმემ შენი სახელით?

– არა, სერ! მე დავწერე. მე მეკუთვნის ყოველი სიტყვა.

მან აღფრთოვანებით თქვა:

– რამდენ რამეზე გვაქვს სასაუბრო და ამისთვის მხოლოდ 90 წუთია გამოყოფილი.

იგი სწრაფად დაჯდა და თავისი ამბის მოყოლა დაიწყო.

მისი ერთ-ერთი პირველი განაცხადი ასეთი გახლდათ:

– ჯონ, ციხეში მოხვედრა ღვთის სასჯელი როდია! მან წყალობა გამოიჩინა, რადგან ისე რომ გამეგრძელებინა, როგორც ვცხოვრობდი, სამუდამო ჯოჯოხეთი იქნებოდა ჩემი დასასრული.

მისმა ნათქვამმა გამაოგნა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა პირდაპირობამ და თავმდაბლობამ.

ოციოდე წუთი ვუსმენდი ამ ადამიანს და შემდეგ მაპროვოცირებელი კითხვა დავუსვი. ვიცოდი, რომ იესო ძალიან უყვარდა მსახურების დასაწყისში და ანთებული იყო. მინდოდა მცოდნოდა, როგორ დაკარგა ეს აღმაფრენა.

ბოლოს, უბრალოდ ვკითხე:

– როდის დაკარგეთ ქრისტეს სიყვარული? რა მომენტში?

მაშინ ღვთისადმი სიყვარულის დაკარგვის ნიშნებს ვეძიებდი, განსაკუთრებით, მსახურთა ცხოვრებაში.

– არ დამიკარგავს, – მტკიცედ მიპასუხა მან.

გაოგნებული დავრჩი და ცოტათი აღვშფოთდი კიდეც. როგორ შეეძლო ამის თქმა?

საპასუხოდ ასე ვუთხარი:

– რას გულისხმობთ? თქვენ ხომ იმრუშეთ. სიყალბე ჩაიდინეთ და ამიტომაც ხართ ციხეში. როგორ შეგიძლიათ თქვათ, რომ იესოს სიყვარული არ დაგიკარგავთ?

მან თვალი გამისწორა და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მითხრა:

– ჯონ, იესო ყოველთვის მიყვარდა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ჩუმად ვიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სახე უზომო

დაბნეულობას გამოხატავდა. შემდეგ მან თქვა:

– ჯონ, იესო მიყვარდა, მაგრამ მისი შიში არ მქონდა.

რამდენი წუთით ისევ სიჩუმემ დაისადგურა. მან ნათქვამ სიტყვებს ჩემში შეღწევა დააცადა. ემოციებისგან ვდუღდი. სიჩუმე გამომაფხიზლებელმა განცხადებამ დაარღვია:

– ჯონ, მილიონობით ამერიკელია ჩემს მდგომარეობაში! მათ უყვართ იესო, მაგრამ ღვთის შიში არ აქვთ.

ფიქტიური იესო

ეს გადამწყვეტი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში, რადგან იმ მსახურთან შეხვედრამ მეტი პასუხის მიღების წყურვილი წარმოშვა ჩემში. როგორ შეეძლო ღვთის მოყვარულ ადამიანს ცოდვასთან შეჩვევა და მისი კიდევ უფრო გაზრდა? როგორ შეუძლია ღვთის მოყვარულ მილიონობით ადამიანს ურჯულო ცხოვრებაში დარჩენა? ისინი თაყვანს სცემენ ღმერთს, აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივი ეკლესიის საქმიანობაში და ეშურებიან ყველაფერს, რაც ღვთისაა. მიუხედავად ამისა, იგივე ადამიანები უწესოდ ცხოვრობენ, პორნოგრაფიაზე არიან დამოკიდებული, ხშირად ცრუობენ, ზედმეტად სვამენ, ოჯახს ანგრევენ არაბიბლიური მიზეზებით და ეს მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია. მათ იესო უყვართ იმ ადამიანის მსგავსად, რომელიც ციხეში მოვინახულე. მაშ, რატომ არ იცავენ მის სიტყვებს? იესომ თქვა, თუ გვეყვარებოდა, მისი მორჩილების ძალაც გვექნებოდა. რა გვრჩება მხედველობიდან?

შესაძლოა, მიზეზი ის იყოს, რომ ისინი სიყვარულს უცხადებენ პიროვნებას, რომელსაც კარგად არ იცნობენ? იქნებ იმ მახარებელმა და მის მიერ აღნიშნულმა უამრავმა სხვა ადამიანმა ისეთი იესოს სურათი შექმნეს, როგორიც სინამდვილეში არ არსებობს? შესაძლებელია თუ არა, რომ ეს ფიქტიური იესო აძლევდეს მათ ხორციელ ბუნებას გულისთქმების დაკმაყოფილების საშუალებას?

იფიქრეთ ამაზე: ჩვენს ერში ბევრი ადამიანია გატაცებული გამოჩენილი სპორტსმენებით და ჰოლივუდის მსახიობებით, რომელთა სახელებს ყველა ოჯახში იცნობენ. მედია უყურადღებოდ არ ტოვებს მათ პირად ცხოვრებას აურაცხელი სატელევიზიო ინტერვიუებისა და ჟურნალ-გაზეთების სტატიების მეშვეობით. მომისმენია თაყვანისმცემელთა ისეთი ლაპარაკი რომელიმე გამოჩენილ ადამიანზე, თითქოს ახლო მეგობრები ყოფილიყვნენ. მინახავს მათი ემოციური ჩართუ-

ლობა სელებრითების საოჯახო პრობლემების განხილვაში და მათი მწუხარებაც კი, როცა რომელიმე მათგანს თავს ტრაგედია ატყდება.

და მაინც, თუ ეს ფანები ცნობილ „მეგობარს“ ქუჩაში შეხვდებიან, თავის დაქნევასაც ვერ ეღირსებიან. თუ ისინი მაინც გაბედავენ მეგობრის შეჩერებას, აღმოაჩენენ, რომ რეალური პიროვნება საკმაოდ განსხვავდება მათ მიერ წარმოსახულისგან. ერთი სიტყვით, ეს ფიქტიური ურთიერთობაა.

ისრაელმა იგივე გააკეთა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ. მოსე მთაზე ავიდა და იქ ხალხისგან მოშორებით ორმოცი დღე გაატარა. ღმერთი ჩუმად იყო, მაგრამ არა მოსესთან, არამედ ხალხთან. დუმილის პერიოდში აჰარონმა და სხვა წინამძღოლებმა, რომლებიც ღვთის თანდასწრებისგან შორს იყვნენ, ე. წ. „ღვთის“ შექმნა დაიწყეს, რომელიც სრულად შეესაბამებოდა მათ გულისთქმებსა და ხორციელ სურვილებს.

ამ ამბიდან რაღაც მნიშვნელოვანი გამომრჩა, რადგან წლების მანძილზე ებრაულად არ წამიკითხავს. აჰარონმა ჩამოსხმულ ხბოს *იჰვჰ* ანუ *იაჰვე* უწოდა, რაც ღვთის საკუთარი სახელია (იხ. გამ.32:5). ამ შემთხვევის გარდა *იჰვჰ* ბიბლიაში არსად არ არის გამოყენებული ცრუ ღმერთის ან კერპის აღსანიშნავად. სახელი იმდენად წმიდაა, რომ ებრაელი ავტორები ხმოვნებსაც არ წერენ (ჩვენ ვწერთ და გამოვთქვამთ *იაჰვეს*).

ეს მხოლოდ აარონის ბრალი არ ყოფილა. ხალხმაც აღიარა ხბო: „ესაა შენი *ელოჰიმ*, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა!“ (იხ. გამ.32:4,8). ხსენებული ებრაული სიტყვა მხოლოდ დაბადების წიგნის პირველ თავში 32-ჯერ გამოიყენება. ბიბლიის პირველ მუხლში ნათქვამია: „დასაწყისში *ელოჰიმ* შექმნა ცანი და მიწა“.

იაჰვესგან განსხვავებით, შემთხვევათა 90 %-ში იგი ყოვლისშემძლე ღმერთს აღნიშნავს. დანარჩენ 10 %-ში კი – ცრუ ღმერთს. ვინაიდან აჰარონმა ხბოს *იაჰვე* უწოდა, გულდამშვიდებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ხალხიც უზენაეს ღმერთს გულისხმობდა.

აი, დედააზრი: მთელმა ერმა აღიარა, რომ ისინი *იაჰვემ* იხსნა, ბორკილებისგან გაათავისუფლა და ყველაფრით უზრუნველყო. მიუხედავად ამისა, მათ ფიქტიური იაჰვე შექმნეს, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მოსეს მიერ მთაზე ნანახისგან.

ბიბლია გვეუბნება, რომ „უფლის შიში ცოდნის სათავეა“. (იგ. 1:7). კარგი იქნება, თუ დავინტერესდებით, რა სახის ცო-

დნაზეა ლაპარაკი. ეს არ შეიძლება იყოს წმ. წერილის ცოდნა, რადგან ფარისევლები და სადუკევლები ამ საქმის ექსპერტები იყვნენ, მაგრამ შორს იდგნენ ღვთის თანდასწრებისგან და მას არ აამებდნენ. ამრიგად, რა სახის ცოდნა უნდა გვქონდეს? პასუხი იგ. 2:5-ში ჩანს: „ჩაწვდები უფლის მოშიშებას და *ღვთის შემეცნებას* მოიპოვებ“.

ნება მიბოძეთ, ეს აზრი ასე ჩამოვაყალიბო. უფლის მიმართ სწორი შიშით მას უფრო ახლოს გაიცნობთ. გეცოდინებათ, როგორია ნამდვილი ღმერთი – ნამდვილი და არა ფიქტიური იესო. პავლე შემდეგი ნათქვამით საყვედურობს კორინთელებს: „სიხარულით იწყნარებთ მათ, რომლებიც მოდიან და გიქადაგებენ სხვა იესოს, რომელიც ჩვენ არ გვიქადაგია“ (2 კორ. 11:4).

იმ ცნობილ ტელემახარებელს და ბევრ სხვა ადამიანს, რომლებზეც ის მიუთითებდა, არ უყვარდათ მამა ღმერთის მარჯვნივ მჯდარი იესო. ამის ნაცვლად, მათ ფიქტიური იესო შეიყვარეს, რომელიც ყურადღებას არ აქცევს მათი უმსგავსო ცხოვრების წესს და უფრო მეტიც, ამის ნებასაც კი რთავს. მათ უფალი არასოდეს ცნობიათ და შესაბამისად, არც არასოდეს გადაუხვევიათ მასთან ურთიერთობის გზიდან. თუ ასეა, საქმე გვაქვს იგივე შემთხვევასთან, როცა ორი მეგობრის სავალი გზები გაიყო და მხოლოდ წლების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ერთმანეთისგან ადრინდელზე მეტად განსხვავდებოდნენ. ფიქტიური იესოს სიყვარული არ გვაძლევს იმ სიტყვის დაცვის ძალას, რომელიც ნამდვილმა იესომ წარმოთქვა. არსებითად, ძნელია პიროვნების გულით შეყვარება, თუ მას კარგად არ იცნობ.

უფლის წმიდა შიშის გარეშე ღმერთს ვერ გავიცნობთ. მოსე მას ძალიან ახლოს იცნობდა. ღვთის ხმა და აზრები მისთვის ნათელი იყო. ისრაელმა ღმერთი მხოლოდ მისი საქმეებით გაიცნო – ლოცვებზე მიღებული პასუხებით. ისრაელისთვის ღვთის ხმა ჭექა-ქუხილს ჰგავდა. მოსეს კი მასთან ძალზე ახლოს მისვლის ნება მიეცა. ისრაელს უკან დახევა ებრძანა, რომ შემდეგ ეკლესიობანა ეთამაშათ (იხ. 2 რჯ. 5:29-30).

როგორ უნდა შევიძინოთ წმიდა მოშიშება?

ამრიგად, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა იქნება შემდეგი: როგორ უნდა ვიქონიოთ უფლის შიში? ადვილია კითხვის დასმა, მაგრამ ეს საქმე გულწრფელად უნდა გაკეთდეს.

იესო აცხადებს: „ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა იცით თქვენი შვილებისთვის კეთილ მისაცემთა მიცემა, მით უმეტეს ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“ (ლუკ. 11:13). ალბათ, იკითხავთ: „აქ ხომ იესო სულიწმიდაზე ლაპარაკობს და არა უფლის შიშზე?“ მოუსმინეთ, რას ამბობს ესაია იესოსა და სულიწმიდაზე:

> „გამოვა ყლორტი იესეს ღეროდან და რტო მისი ფესვისა ნაყოფს გამოიღებს. და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა. *უფლის მოშიშებით* აღივსება იგი ...“. (ეს. 11:1-3)

ღვთის სულის ბოლო აღწერილობით, ის არის „სული ... უფლის მოშიშებისა“. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რაც აუცილებლად უნდა ვითხოვოთ. ჩემს რწმენას ორი მიზეზი აქვს. პირველი, ჩვენ გვითხრეს, რომ უფლის შიში სიბრძნის, კეთილი რჩევის, გაგებისა და ცოდნის დასაბამია (იხ. ფს. 111:10; იგ. 1:7; იგ. 8 და 9). მეორე და ყველაზე დამაჯერებელი – თავად იესო აღივსო უფლის მოშიშებით და მასში პოულობდა სიამოვნებას. განა იგივე არ უნდა გვაამებდეს ჩვენც? ფაქტობრივად, იესო შესმენილ იქნა ღვთის მოშიშების გამო (იხ. ებრ. 5:7). ერთია *ლოცვა* და მეორეა, *შესმენილი* იქნება თუ არა ის.

უფლის შიშიც და უფლის სიყვარულიც სულიწმიდით ავსების თანამდევი მოვლენებია. პავლე წერს: „ღვთის სიყვარული ჩაისახა ჩვენს გულებში სულიწმიდის მეშვეობით“ (რომ. 5:5). გულწრფელად მოგიწოდებთ, რომ ითხოვოთ წმიდა მოშიშების სულით და ღვთის გულმხურვალე სიყვარულით ავსება.

ჭუჭყიანი ჭურჭლები

ამას ფართოდ გავრცელებულ კრიზისთან მივყავართ. ოცდამეერთე საუკუნის ეკლესიაში სერიოზული ნაკლოვანება გვაქვს. ვერ ვიტყვით, რომ ჭურჭლები არ არის – პრობლემა სუფთა ჭურჭლების არქონაშია, რომლებშიც ღმერთი სულიწმიდას გადმოღვრიდა. დავუბრუნდეთ პავლეს უკანასკნელად დაწერილ სიტყვებს დედამიწაზე. იგი გაბედულად აცხადებს:

„ღვთის მტკიცე საფუძველი კი ურყევი რჩება და აქვს ეს ბეჭედი: „იცნო უფალმა თავისიანები და განუდგეს უსამართლობას ყველა, ვინც აღიარებს უფლის სახელს!“ (2 ტიმ. 2:19)

პავლე მსჯელობს საკითხზე, თუ როგორ გავხდეთ შეურყევლები – ცალკეული ადამიანები და მთელი ეკლესია. იგი გვიზიარებს ორ განაცხადს, რომელიც საძირკველზეა დაწერილი. The New King James ვერსია ამბობს, რომ ეს სიტყვები „აღბეჭდილია“ საფუძველზე, ხოლო *The Message* ბიბლიის თანახმად – მასზე არის „ამოტვიფრული“.

უპირველეს ყოვლისა, უფალმა იცის, ვინ არის მისი. ეს მანუგეშებელი სიტყვაა. როცა მას სრულად ვუძღვნით თავს, იგი აღარასოდეს გვივიწყებს. ჩვენ მისი თვალისჩინი ვხდებით.

საფუძვლის მეორე წარწერა გახლავთ: „იცნო უფალმა თავისიანები და განუდგეს უსამართლობას ყველა, ვინც აღიარებს უფლის სახელს!“. აქაც ვხედავთ არა *რჩევას*, არამედ *ვალდებულებას*. ეს საკმაოდ მკაცრი ნათქვამია უღვთო ცხოვრების წესისგან განდგომის მნიშვნელობის საჩვენებლად. რატომ? პასუხი მომდევნო ორ მუხლშია:

„დიდ სახლში მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი არ არის, ასევეა ხისა და თიხისაც, ზოგი საპატიოდ სახმარი, ზოგიც – არასაპატიოდ. ამრიგად, ვინც ამათგან გასუფთავდება, ის იქნება პატივდებული ჭურჭელი, განწმედილი და ხელმწიფისთვის სახმარი, გამზადებული ყოველი კეთილი საქმისთვის“. (2 ტიმ. 2:20-21)

თუ ჩვენ, როგორც ჭურჭლები, გავსუფთავდებით, გამოვდგებით ოსტატის საქმის საკეთებლად. ამ შემთხვევაში ავივსებით მისი ძლიერი თანდასწრებით.

ყოველ დილით ერთსა და იმავე საუზმეს მივირთმევ, მნიშვნელობა არ აქვს, მსოფლიოს რომელ ნაწილში ვიმყოფები. ვიწყებ ერთი ჭიქა თბილი ლიმონიანი წყლით და ვაყოლებ ჟასმინის თეთრ ჩაის. თხუთმეტი წუთის შემდეგ პატარა თასით შვრიას, შიის თესლს, დაღერღილ სელს და კანაფის გულებს მივირთმევ, რომლებიც ნუშის რძესა და სუფთა ნეკერჩხლის სიროფშია არეული. ამ საუზმისთვის სხვადასხვა ჭურჭელი მჭირდება – ჩაის თერმოსი, ჭიქა, თასი. აი, რაში მდგომარეობს რეალობა: არასოდეს მიხმარია საუზმისთვის გაურეცხავი ჭურჭელი. ყოველთვის სუფთა და კარგად გარეცხილ ჭურჭელს

ვიღებ. მიყვარს ჩემი საუზმის გემო და არ მინდა მას რაღაც სიბინძურე შეერიოს. ფაქტია, რომ ჭურჭელზე არსებული ჭუჭყი – იქნება ეს თასი, თეფში თუ ჭიქა – ნებისმიერ კარგ შიგთავსს გააფუჭებს. რატომ ინებებს ღმერთი მისი წმიდა სულის გადმოღვრას ჭუჭყიან ჭურჭელში?

პავლეს სიტყვების თანახმად, საკუთარი თავის განწმედის პასუხისმგებლობა გვაკისრია. მას არ უთქვამს: „იესოს სისხლი გვწმენდს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ცოდვებისგან და ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩვევაში გადაზრდილ რომელიმე ცოდვას, რადგან ქრისტეს სისხლით ხართ დაფარული“. არა, მან ასე თქვა: „ვინც გასუფთავდება [იმისგან, რაც სამარცხვინო და უწმიდურია, ვინც თავს დაიცავს გამაბინძურებელი და გამხრწნელი ზეგავლენისგან] ის იქნება გამოყოფილი და გამოსადეგი ჭურჭელი“ (21-ე მუხლი AMP).

ყველანი უნდა განვიწმიდოთ. პავლე ქრისტეში ჩვენს მდგომარეობას არ გულისხმობდა, რომელიც უფალმა ჯვარცმით მოგვიტანა. იგი ჩვენს ქცევაზე მიუთითებდა. აი, მოისმინეთ მისი სიტყვები: „ვინც შეწყვეტს ბოროტის კეთებას და განიწმიდება, განსაკუთრებულად გამოსადეგი გახდება“.

კიდევ ერთხელ ვხედავთ ღვთის თანდასწრებას, მის სულს, რომელიც გადმოიღვრება არა უწმიდურ, არამედ წმიდა ჭურჭელში.

შედეგები

ვიცით, რომ ურჯულოება (ღვთის ურჩობა) საიდუმლოა და იგი უკვე მოქმედებს საზოგადოებაში. კარგი ამბავი ის არის, რომ არსებობს შემაკავებელი ძალა:

> „ვინაიდან ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს, ოღონდ ახლა არის შემკავებელი, სანამ გაყვანილ იქნება შუაგულიდან“. (2 თეს. 2:7)

ჩვენი კითხვა ასეთი იქნება: ვინ არის ურჯულოების შემკავებელი? ეს შეიძლება იყოს ორიდან ერთ-ერთი: სულიწმიდა ან ქრისტეს სხეული. მთარგმნელები დარწმუნებული არიან, რომ ეს სულიწმიდაა, რადგან სიტყვა დიდი ასოთია დაწერილი. ვივარაუდოთ, რომ ისინი მართლები არიან.

50 წლისაზე მეტის ვარ ახლა, ამ წიგნის წერისას და მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს ვყოფილვარ ჩვენს ერში ურჯულოების ამგვარი ზრდის მოწმე. არასოდეს მინახავს მთავრობის, მედიისა და საზოგადოების ასეთი ურყევი გადაწყვეტილება, რომ ურჯულო ქცევას კარგი უწოდონ. ამას თავისი მიზეზი აქვს. შემკავებელი ძალა, სულიწმიდა, არც ისე აღმატებულია დღეს. ღვთის თანდასწრება სწრაფად ქრება დასავლეთში, ოცდამეერთე საუკუნის პირველ ნახევარში.

რატომ არის ასე? თუ კიდევაც ვქადაგებთ სახარებას, ხაზს არ ვუსვამთ გარდაქმნის აუცილებლობას. ასეთი დამოკიდებულებით სუფთა ჭურჭლების დეფიციტი გარდაუვალია, რასაც შედეგად დედამიწაზე ღვთის ხილული თანდასწრების ნაკლებობა მოჰყვება. გახსოვდეთ, იესოს ჯვარცმისას ტაძრის ფარდა თავიდან ბოლომდე გაიხა. ღვთის თანდასწრებამ მაშინვე მოიშორა ადამიანის ხელთქმნილი ჭურჭელი და მალე არახელთქმნილ ჭურჭლებში უნდა გადმოღვრილიყო – ზეციდან შობილი მამაკაცებისა და ქალების გულებში.

ღვთის სული ტაძრიდან მზის ჩასვლაზე, ხეზე, ლამაზ ლანდშაფტზე, სიმღერაზე, ვიდეოზე ან რომელიმე სხვა საშუალებაზე არ გამოსულა. იგი სისხლისა და ხორცის ჭურჭლებში ჩაიღვარა. თუ ჭურჭელი უსუფთაოა, საზოგადოებაში ღვთის თანდასწრება ქრება და შედეგად, ურჯულოება ნაკლებად შეკავებულია.

ამ სწრაფი დაღმასვლის შეჩერებას კარგი კანდიდატისთვის მხარდაჭერით, ჩვენი მთავრობის ოპოზიციით, მედიის თანამშრომლებზე შეტევით, აბორტის კლინიკების საწინააღმდეგო პროტესტით ან სხვა რომელიმე მოქმედებით ვერ შევძლებთ. ურჯულოებასთან რეალური ბრძოლა ღვთის მადლის დამორჩილებით და წმიდა, ღვთისმოსავი ცხოვრებით არის შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში სულიწმიდის ხმას და საზოგადოებაზე მის გავლენას ვამაღლებთ.

ნამდვილ სიწმიდეზე ქადაგების ნაკლებობა ძვირად დაგვიჯდება პირად, კოლექტიურ და ეროვნულ დონეზე. ჩვენ შეგვიძლია ამის შეცვლა! მწყემსებო, წინამძღოლებო და ღვთის ერო, მოდი, ერთად დავდგეთ წმ. წერილიდან ღვთის სრული ნების გასაცხადებლად! მოდი, მყარი საძირკველი და კედლები ავაგოთ იმ ადამიანთა ცხოვრებაში, რომლებზეც გავლენას ვახდენთ! მოდი, შევაკავოთ ურჯულოება ჩვენს საზოგადოებაში სულიწმიდის ძალით, რასაც ღვთის სასუფევლისთვის გადარჩენილი სულების დიდი მოსავალი მოჰყვება!

14

ჩვენი პარამეტრები

„ვინაიდან ყოველ მქონებელს მიეცემა და
ჭარბად ექნება, ხოლო უქონელს ისიც
წაერთმევა, რაც აქვს“.
მათ. 25:29

„ღირებულია არა ჩემი შესაძლებლობა, არამედ ღვთის
შესაძლებლობაზე ჩემი გამოხმაურება“.
კორი ტენ ბლუმი

ადი, სახლის მშენებლობის ილუსტრაციას დავუბრუნდეთ!

თავდაპირველად განვიხილეთ იესოს უფლობა, როგორც ჩვენი საძირკველი. შემდეგ ვიმსჯელეთ კარკასზე ანუ სტრუქტურაზე, რომელიც წმიდა ცხოვრების წესია. ახლა მშენებლობის პროცესის ბოლო ეტაპზე გადავიდეთ. ეს ფაზა ჩვენი ნაშრომის უნიკალურობას განსაზღვრავს. იგი ჩვენს ნაყოფიერებას, ოცნებებს, გეგმებს, სტარტეგიებს და ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს მოიცავს. პავლე წერს:

„ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ“. (ეფეს. 2:10)

ჩვენ იესო ქრისტეში ვართ შექმნილი არა მარტო იმისთვის, რომ ღვთის შვილები ვყოფილიყავით, არამედ ცათა სამეფოს ნაყოფიერი მოქალაქეებიც.

რეალური მშენებლობის პროცესში ხის სამუშაოები, კარადები, ხალიჩებით მოგება, კერამიკის ფილები, მარმარილოს ზედაპირები და ბოლოს, განათება სახლის დამასრულებელ

ეტაპს წარმოადგენს. თუმცა ეს მხარე ლამაზად და გამძლედ მაშინ გამოიყურება, როცა შენების პირველი ორი საფეხურის საქმეები ხარისხიანად გაკეთდა.

ცხოვრებაში ხშირად ვდგებით არჩევანის წინაშე, რომელიც კარგი ჩანს, თუმცა ბევრჯერ ეს არ არის საუკეთესო ღვთის თვალსაზრისით. ხშირად ვფიქრობთ, რომ ჩვენი არჩევანი შეზღუდულია. აბრამმა და სარამ დაასკვნეს, რომ ვაჟის ყოლის ერთადერთი გზა აბრამის სარას მხევალზე, აგარზე დაქორწინება იყო. ამ გადაწყვეტილების შედეგად დაიბადა ისმაელი. თუმცა ღვთის სიტყვა სრულიად ნათელია: „ვინაიდან მხევლის ძე ვერ გახდება მემკვიდრე თავისუფლის ძესთან ერთად!“ (გალ. 4:30). ამ შემთხვევაში ღმერთმა გამოასწორა აბრამისა და სარას არჩევანი, თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. ხშირად ეს მცდარი გადაწყვეტილებები და გზები შესაძლებლობის მაქსიმუმს გვართმევს.

ძველი აღთქმის მრავალი ანალოგიური მაგალითიდან ერთ-ერთია საულის ამბავი, რომელმაც ზეწოლის შედეგად მსხვერპლის შეწირვის გადაწყვეტილება სამუელის მოსვლამდე მიიღო. აქ მისი შეცდომა არავის გამოუსწორებია; საულმა მეფობა დაკარგა (იხ. 1 სამ. 13).

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას ასე უნდა შეხედოთ! თუ თქვენ მოგზაურობთ და დაინახავთ გზას, რომელზეც მრავალი ადამიანი დადის, ბუნებრივი მიზიდულობა მისკენ წაგიყვანთ. მიუხედავად ამისა, თუ გამოცდილი მეგზური გახლავთ, შესაძლებელია, მისი დახმარებით გაცილებით ლამაზი პეიზაჟები ნახოთ და დანიშნულების პუნქტამდე უფრო სწრაფად მიხვიდეთ სხვა გზის არჩევის შემთხვევაში. გიდი უკეთესი არჩევანის გაკეთებაში გეხმარებათ.

წმ. წერილი ასე გვეუბნება: „ლამპარია ჩემს ფერხთათვის შენი სიტყვა და სინათლე – ჩემი ბილიკისთვის“ (ფს.119:105). ღვთის სიტყვაზე მტკიცედ დაფუძნება ჩვენი სავალი გზის ილუსტრაციას წარმოადგენს, რაც გადამწყვეტია ბრძნული ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებაში.

აბრამმა და სარამ ღმერთი შეზღუდეს, რაც ხშირად ხდება, როცა საკუთარი გზით სიარულს ვარჩევთ. მოდი, ღვთის სიტყვა გამოვიკვლიოთ, რომელიც სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგვეხმარება!

„შეუძლებელია თქვენი სახლისთვის“

ქორწინების პირველ წლებში მე და ლიზა ორ ქალაქში ვცხოვრობდით, დალასსა და ორლანდოში. გაჭირვებით მივეცით თავს ორ საკუთარ სახლში ცხოვრების უფლება. თავდაპირველად რამდენიმე წელი ბინაში ვიცხოვრეთ, რადგან სახლისთვის საკმარისი ფული არ გვქონდა. რეგულარულად ვათვალიერებდით ნიმუშად აგებულ სახლებს მხოლოდ იმისთვის, რომ გვეოცნება.

ბოლოს, როცა სახლის ყიდვის შესაძლებლობა მოგვეცა, გადამწყვეტი ფაქტორი მისი ღირებულება გახდა. მათი უმრავლესობა ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, რადგან დალასში ჩემი შემოსავალი წელიწადში 18 000 $-ს ძლივს აღწევდა, ხოლო ორლანდოში – 27 000 $-ს. ისევ ბინაში ცხოვრება შეუძლებლად გვეჩვენებოდა, რადგან უკვე ორი ბავშვი გვყავდა და მათ სათამაშოდ ეზო სჭირდებოდათ. ორივე ქალაქში კვირების განმავლობაში დავდიოდით და შესაფერის სახლს ვეძებდით, რომელიც ჩვენი ეკლესიიდან და სამუშაო ადგილიდან ხელსაყრელი სამანქანო მანძილით იქნებოდა დაშორებული. ორივე შემთხვევაში ყველაზე ეკონომიური სახლი დაბალხარისხიანი და ერთნაირი სახლების მწკრივში უნდა გვეყიდა. ორივე შემთხვევაში მშენებლებს ექვსიოდე სახლის გეგმა ჰქონდათ ასარჩევად, მაგრამ ჩვენ ყველაზე იაფიანს ვირჩევდით.

ერთ-ერთი სახლის ყიდვისას აღფრთოვანებამ მოგვიცვა, როცა ინტერიერის გაფორმების ჯერი დადგა. გაყიდვების აგენტმა საერთო საგამოფენო დარბაზში შეგვიყვანა, სადაც ბევრი ლამაზი მასალა იდო. აქ ნახავდით ყოველგვარი სახის მარმარილოსა და ტრავერტინის ფილებს, სხვადასხვა სახის ხის იატაკებს, ლამაზ კარადებს და უამრავ მდიდრულ ხალიჩას. ვნახეთ ულამაზესი ჭერის ლავგარდანები და უნიკალური საბუხრე ქვები.

შემდეგ აგენტმა იმ კუთხისკენ მიგვითითა, სადაც ჩვენი მასალების აღება შეგვეძლო. ამ კუთხეში არც მარმარილო იდო და არც ტრავერტინი. ფაქტობრივად, იქ საერთოდ არ იყო რაიმე სახის ფილა. აქ ვერც ნეკერჩხლის, მუხისა და ფიჭვის კარადებს ნახავდით. აქ არ იყო ლავგარდანები, ბუხრის ქვები ან ხის იატაკის მასალა ასარჩევად. ჩვენთვის ერთადერთი ვარიანტი გახლდათ დაბალხარისხიანი ხალიჩა, ლინოლეუმი და იაფფასიანი დაპრესილი ხის კარადები. გამუდმებით ვითხოვდით უკეთეს მასალებს, მაგრამ ორიდან ერთ-ერთ პასუხს

ვისმენდით: „შეუძლებელია თქვენი სახლისთვის“ ან „ეს მოდერნიზაციის ღირებულებაა“. როცა მოდერნიზაციის ფასი ვიკითხეთ, უზარმაზარი რიცხვი დაგვისახელეს, რის საშუალებაც ჩვენ, რაღა თქმა უნდა, არ გვქონდა. მე და ლიზა საგამოფენო დარბაზიდან წამოვედით და ერთმანეთის გამხნევებას ვცდილობდით, თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ჩაფუშულები ვიყავით.

მეტის კეთების შემძლე

ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, რომელიც მშენებელთა საგამოფენო დარბაზს ასახავს. ადამიანებს ხშირად ეუბნებიან: „ვერ შეძლებ!“, „დიდ იმედებს ნუ დაამყარებ!“, „ეს უკვე ოცნების სფეროდანაა!“, „იყავი, როგორც ყველა!“ ან „ეს ჩვენს ლიგას სცდება!“. ამგვარი ამკრძალავი შენიშვნების სია დაუსრულებელია. ხშირად ლოგიკა – გონივრული და რჩევა სასიკეთო ჩანს, მაგრამ ჭეშმარიტება რაში მდგომარეობს?

> „ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ“. (ეფეს. 3:20)

წერილის ეს მონაკვეთი განსხვავებულ სათქმელს გვთავაზობს, ვიდრე მე და ლიზას საგამოფენო დარბაზში გვქონდა. ღმერთი შეზღუდულ პარამეტრებს არ გვაძლევს. მისი საზღვრები დანახულის, ნაოცნებარის, წარმოდგენილის, იმედის და სათხოვრის მასშტაბების მიღმა წვდება.

ამ მუხლის საკვანძო სიტყვა გახლავთ *„შეუძლია“*. ნება მიბოძეთ, ვითარების ასახსნელად სცენარი მოვიშველიო!

მილიარდერი მიდის სამ ახალგაზრდა მეწარმესთან და მათ საქმიან წინადადებას სთავაზობს: „მინდა, თქვენი საოცნებო ბიზნესი დავაფინანსო! თქვენგან სანაცვლოდ არაფერს ვითხოვ; უბრალოდ, მინდა თქვენი წარმატება დავინახო! *შემიძლია,* იმდენი ფული ჩავდო, რამდენიც დასაწყისისთვის დაგჭირდებათ“.

პირველი ახალგაზრდა ქალი გახლდათ, რომელმაც საცხობის აგება მოინდომა. ამისთვის მას ქუჩაზე გამავალი ვიტრინიანი მაღაზია, რამდენიმე ღუმელი, საცხობი თუნუქები, საჭირო ჭურჭელი, სალარო აპარატი, ინგრედიენტები და კიდევ რამდენიმე ნივთი სჭირდებოდა. მან გეგმა მილიარდერს წარუდ-

გინა და $100.000 სთხოვა, რომელმაც მის ანგარიშზე ყოველ-გვარი ყოყმანის გარეშე გადარიცხა საჭირო თანხა.

მომდევნო გახლდათ ახალგაზრდა კაცი. მან რამდენიმე სახ-ლის აგება გადაწყვიტა. ამისთვის მიწის ნაკვეთები, მასალები, იარაღები და სატვირთო მანქანა სჭირდებოდა. ასევე აუცილე-ბელი იყო პატარა საოფისე სივრცე. იგი თავისი ბიზნეს-გეგ-მით მოვიდა და 250.000 $ მოითხოვა. მილიარდერი მასაც დაუყოვნებლივ ურიცხავს თანხას ანგარიშზე.

მესამე მეწარმე ახალგაზრდა ქალბატონი გახლავთ, რო-მელმაც ბიზნეს-კომპლექსის აგება მოისურვა მასზე მიბმული მოლით და თემატური პარკით. მან ათასაკრიანი (დაახლოებით 400 ჰა) მიწის ნაკვეთი მოიძია ქალაქის ფარგლებში, რომელიც ძვირადღირებულ ქონებას წარმოადგენდა და კარგა ხანი იყო, რაც ბაზარზე იყიდებოდა, თუმცა ბევრს არ შეეძლო თავის-თვის მისი ყიდვის უფლება მიეცა. ქალი თავის ფასს სთავა-ზობს და მისი წინადადება მიღებულია.

იგი არქიტექტორთა ჯგუფს ქირაობს თავისი ოცნების ხორცშესასხმელად. ქალი მათ ერთმანეთის გევრდიგვერდ მდებარე ორ უნიკალურ, თორმეტსართულიან საოფისე შე-ნობას აღუწერს შიდა ეზოთი. მეორე ნაწილში მას მშვენიერი ღია მოლის განთავსება სურს ძვირადღირებული პროდუქციით მოვაჭრე მაღაზიების რიგით და ხარისხიანი რესტორნებით. სა-ცალო მაღაზიების ზემოთ მდიდრული აპარტამენტებია გასა-ყიდად. იგი ითხოვს, რომ პროექტის შუაგულში ხუთვარსკვლა-ვიანი კომფორტული სასტუმრო აიგოს. ქალი მიწის ბოლო მონაკვეთს შესანიშნავი თემატური პარკისთვის ინახავს. იგი ქუჩებს ულამაზესი ხეებით ამშვენებს, გაჰყავს ველობილიკები და ამ ყველაფერს მოლის მახლობლად გაშენებული განსაც-ვიფრებელი ხეებითა და ყვავილებით მორთული პარკით აგ-ვირგვინებს.

მისი ხედვა წარმატებული ბიზნესმენების, ადგილობრივი მკვიდრების და სტუმრების მოზიდვას გულისხმობს. იგი მათ მაღალხარისხიან მაღაზიებს, დამამშვიდებელ გარემოს, უნი-კალურ თემატურ პარკს და შესანიშნავ რესტორნებს სთავა-ზობს. სასტუმროში ზღაპრული ნომრები განთავსდება ქალის ბიზნესმენთა სტუმრებისთვის. მას ასევე სურს, რომ მისი კომ-პლექსი ტურისტთათვის საბოლოო დანიშნულების პუნქტს წარმოადგენდეს. მას ადამიანების მოზიდვა სურს მთელი ქვეყ-ნის მასშტაბით, რომ აქ ჩამოფრინდნენ და დაისვენონ, ივაჭ-რონ, თემატური პარკით ისიამოვნონ და დახვეწილ სასტუმრო-ში ინებივრონ.

ქალი თავის გეგმას დეტალურად აცნობს არქიტექტორებს, სანამ უნაკლო, მართლაც რომ ხელოვნების ნიმუშს არ მიიღებენ. ამის შემდეგ იგი მილიარდერთან მიდის თავისი გეგმით და 245 მლნ. დოლარს სთხოვს. სხვა ორი მეწარმის მსგავსად, ისიც მაშინვე იღებს სასურველ თანხას.

სამი წლის შემდეგ მილიარდერი სამივე ახალგაზრდას შეხვედრაზე მოსვლას სთხოვს. მას სურს, გაიგოს თითოეულის საქმიანობის შედეგები. ისინი ერთიმეორეს მიყოლებით ანგარიშს წარადგენენ. საცხობს თვეში რამდენიმე ათასი დოლარის მოგება მოაქვს. მშენებელმა ოთხი სახლი ააგო და სამი წლის განმავლობაში 200.000 დოლარზე მეტი მოიგო.

მესამე ახალგაზრდა მეწარმე დგება და აგებული კომპლექსის შესახებ ანგარიშს წარმოადგენს. ახლა მისი სასტუმროს 90% და საოფისე სივრცის 87% დაკავებულია. აპარტამენტები გაიყიდა. მისი მოლის 98% მაღალხარისხიანი პროდუქციის მაღაზიებსა და რესტორნებს უკავია. მისი შემოსავალი თვეში მილიონობით დოლარს აღწევს. ქალის ანგარიშის თანახმად, ქალაქმა განსაკუთრებული დღე დააწესა მისი კომპლექსისთვის ჯილდოს გადასაცემად, რადგან მისი მეშვეობით საზოგადოებამ მრავალმხრივი სარგებელი მიიღო: ესთეტიკა, სამუშაო ადგილები, ტურიზმის ხელშეწყობა და შემოსავალი გადასახადებიდან. ქალი ასევე მოგების ნაწილსაც გასცემს უფასო სასადილოების გასახსნელად და დასაფინანსებლად ქალაქის გაჭირვებული მოსახლეობისთვის.

ამით ყველაფერი არ მთავრდება. მისი ანგარიშის თანახმად, მილიონობით მოგების დიდი ნაწილი სამ სხვა ქალაქში მსგავსი კომპლექსების აგებას მოხმარდება, რომლებიც მომდევნო წელიწადნახევრის განმავლობაში ექვსთვიანი შუალედებით გაიხსნება. იგი სამ მმართველ გუნდს წვრთნის ახალი კომპლექსების სამართავად. ქალი ვარაუდობს, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საინვესტიციო კაპიტალს დააგროვებს ხუთ ახალი კომპლექსის ასაგებად სხვა საკვანძო პუნქტებში.

მისი პრეზენტაციის შემდეგ დარჩენილი ორი მეწარმე ხმაგაკმენდილი და გაფითრებული იჯდა. მილიარდერმა მაშინვე შენიშნა ეს ცვლილება და მათი უხასიათობის მიზეზი იკითხა.

სიჩუმე პირველად, საცხობის მფლობელმა ახალგაზრდა ქალმა დაარღვია:

– იცით, სერ, რა თქმა უნდა, ის ჩვენზე გაცილებით უკეთ მუშაობს, რადგან თქვენგან მეტი თანხა მიიღო. მას მეტი შესაძლებლობა აქვს თქვენ მიერ მიცემული დიდი კაპიტალის გამო.

მილიარდერმა ახალგაზრდა მშენებელს გადახედა:

– თქვენც მას ეთანხმებით?

ახალგაზრდამ უპასუხა:

– სიმართლე რომ ვთქვა, დიახ! მას მეტი საშუალება აქვს სამუშაოდ.

მილიარდერმა პირად თანაშემწეს მათი პირველი შეხვედრის ჩანაწერების მოტანა სთხოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალი ოქმით დაბრუნდა.

ქველმოქმედმა თანაშემწეს უთხრა:

– გთხოვთ, წაიკითხოთ განცხადება, რომელიც ამ სამი მეწარმის წინაშე წარმოვთქვი სამი წლის წინ.

თანაშემწემ წაიკითხა: „მინდა, თქვენი საოცნებო საქმე დავაფინანსო! *შემიძლია,* იმდენი თანხა მივცე თითოეულს, რამდენიც დასაწყებად დაგჭირდებათ“.

მილიარდერმა ისევ გადახედა მათ დაღვრემილ სახეებს და ჰკითხა:

– რატომ გშურთ ის, რაც მან მიიღო? ხომ გითხარით, რომ თითოეული თქვენგანისთვის იმდენი თანხის მიცემა *შემეძლო,* რამდენიც თქვენი ოცნების ხორცშესხმისთვის იქნებოდა საჭირო? არავითარი ზღვარი არ დამიწესებია მოსაცემ თანხაზე და ზუსტად იმდენი მოგეცით, რამდენიც მთხოვეთ. რატომ არ მოინდომეთ, უფრო მეტზე გეფიქრათ და უფრო მასშტაბური გეგმა შეგედგინათ?

შემდეგ მილიარდერი საცხობის მფლობელ ქალს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– რატომ არ მოიტანე უფრო დიდი საცხობის გეგმა? საჭირო თანხას მიიღებდი. რატომ არ მოისურვე უფრო ნაყოფიერი მარკეტინგის ფონდი? ხალხს უყვარს შენი პროდუქცია და წარმატებული იქნებოდი. და მაინც, ჩემი მთავარი კითხვა ასეთია: რატომ არ დაგეგმე საცხობების ქსელის შექმნა მთელს ქალაქში და საბოლოოდ, შენი პროდუქციის ლიცენზიის მიღება, რომ შენს ბიზნესს მთელი ქვეყანა მოეცვა?

შემდეგ იგი ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა და ანალოგიური კითხვები დაუსვა:

– რატომ არ გამოზარდე რამდენიმე სამუშაოთა ზედამხედველი და არ დაიქირავე მშენებლები, რომლებიც წელიწადში ოც სახლს ააშენებდნენ შენ მიერ დაგეგმილი მცირე წლიური მოგების ნაცვლად? რამდენად მეტი სამუშაო ადგილის შექმნა შეგეძლო. რატომ არ იყიდე მეტი მიწა? რატომ არ მოახდინე ოფისის ფილიალების ორგანიზება მთელს შტატში, რომ

რამდენიმე ქალაქი ლამაზი სახლებით დაგემშვენებინა? შენს ხედვას დავაფინანსებდი, რადგან ამით ქალაქში მცხოვრებ ოჯახებს და საბოლოო ჯამში, შტატის მოსახლეობას დაეხმარებოდი. შენი შესაძლებლობები შეზღუდული აღმოჩნდა, რადგან შენი ხედვა იყო შეზღუდული.

სიუხვე

ჩვენ, ქრისტიანები ქვეცნობიერად ვფიქრობთ, რომ მეტი არ უნდა გვინდოდეს. ეთანხმება კი ამგვარი აზროვნება ღვთის სიტყვის სწავლებას? იესო აცხადებს:

> „ყოველ მქონებელს, რომელიც კარგად იყენებს მიცემულს, კიდევ მიეცემა და *ჭარბად* ექნება“. (მათ. 25:29 NLT)

ღმერთს სიუხვის პრობლემა არ აქვს. თუ ის რაიმეს წინააღმდეგია, ეს არის სიუხვის ხარბად ნდომა ჩვენი მხრიდან. რა განსხვავებაა? პიროვნება, რომელიც სიუხვის ნდომით არის შეპყრობილი, კურთხევას, ქონებას, ფინანსებს, შესაძლებლობებს ან ძალაუფლებას ეძებს თავისი ხორციელი გულისთქმების დასაკმაყოფილებლად ან შიშის გამო ამ რესურსებს იმარაგებს.

ბევრს მოუნდომებია სიმდიდრე თავისი გულისთქმების გამოსაკვებად, ვინც აყვავების სწავლებას ისმენდა მეოცე საუკუნის ბოლოს. ასეთების სიხარბემ მრავალი წინამძღოლი და მორწმუნე დააბრკოლა, რომ სიუხვის შესახებ ღვთიურ ჭეშმარიტებაზე თამამად ელაპარაკათ. ბევრს საერთოდ შესძულდა სიტყვა „*აყვავება*“. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ სიუხვე საჭიროა უფრო მასშტაბური და ნაყოფიერი საქმეებისთვის ცათა სამეფოს ასაშენებლად. იქნებ ამ მიზეზის გამო ამბობს ღმერთი: „საყვარელო, ვლოცულობ, რომ ჯანმრთელად იყო და მიაღწიო ისეთ წარმატებას, როგორ წარმატებასაც შენი სულით მიაღწიე!“ (3იოან. 2).

ჩვენს ილუსტრაციაში მილიარდერს თითოეული მეწარმისთვის 245 მილიონი დოლარი არ ჩაურიცხავს, როგორც ეს ბოლო ახალგაზრდა ქალმა მოითხოვა. ყველას მიეცა მისი ხედვის მიხედვით. თუ კარგად დააკვირდებით იგავებს, სადაც იესო სიუხვის შესახებ ლაპარაკობს, დაინახავთ, რომ ყველა მონას ერთნაირი საწყისი კაპიტალი არ ჰქონია. მათ სხვადასხვა თანხა მისცეს: „ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი

და სხვას – ერთი; თითოეულს მისი შეძლების მიხედვით, და წავიდა“ (მათ. 25:15). მათი შესაძლებლობები მათ მიერ წინასწარ დანახულს შეესაბამებოდა.

ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითში პირველმა გოგონამ პატარა საცხობი დაინახა. ახალგაზრდა კაცმა წელიწადში რამდენიმე სახლის მშენებლობის პერსპექტივა იხილა. მესამე ახალგაზრდა ქალის ხედვა რისი განჭვრეტაც მას შეეძლო, – გაცილებით მეტს მოითხოვდა.

დამხმარე ძალის სწორად გამოყენება ადამიანთა ცხოვრებისა და სასუფევლის შენებისთვის მის გამოყენებას ნიშნავს. თუ ამ იგავს კარგად გამოვიკვლევთ, საინტერესო ფაქტს წავაწყდებით. ორი მსახური ბატონის ერთგული აღმოჩნდა. მათ მიცემული გაამრავლეს. (ჩვენს ამბავშიც სამი მეწარმიდან მხოლოდ ერთმა გაამრავლა). იესოს იგავში ბატონმა მათ ნამოქმედარს *კარგი* უწოდა (იხ. მათ. 25:21,23).

მსახურს, რომელმაც მისთვის მინდობილი შეინარჩუნა, ზარმაცი დაუძახეს. ბატონმა მას ერთი ტალანტი წაართვა და იმას მისცა, ვისაც უხვად ჰქონდა. ბატონმა პირველი მსახურის ათ ტომარა ვერცხლს კიდევ ერთი დაუმატა. ეს შორს არის ე. წ. *სოციალისტური* მიდგომისგან; გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ეს უფრო *კაპიტალისტური* დამოკიდებულებაა თავისი არსით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კარგმა ქრისტიანმა, ასე ვთქვათ, „პოსტი უნდა შეინარჩუნოს“. სხვაგვარად რომ ავხსნათ, ისინი კმაყოფილი არიან იმდენით, რამდენითაც იოლად გავლენ, სინამდვილეში კი ეს *სიზარმაცეა*. ღვთის პირველი მცნება კაცობრიობის მიმართ იყო: „იმრავლეთ და ინაყოფიერეთ!“ (დაბ.1:22). იგი არ ლაპარაკობდა მხოლოდ ფიზიკურ გამრავლებაზე. ის ამას გულისხმობდა: „ველოდები, რომ ნებისმიერი რამ, რასაც მოგცემთ, უკან გამრავლებული დამიბრუნდება“.

ღმერთმა სწავლების ნიჭი მომანდო. მისი მადლით (ძალა, რომელიც მოქმედებს ჩვენს გუნდში, ჩვენს პარტნიორებში, ჩემსა და ჩემს ცოლში) ეს ნიჭი გამრავლდა და მასვე დაუბრუნდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით სწავლების, წიგნების წერის, ინტერნეტში ქადაგებების განთავსების, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მწყემსთა და წინამძღოლთათვის მილიონობით რესურსის მიწოდების, ბლოგების, სხვა მასწავლებლების გაზრდის სახით და ეს არ გახლავთ სრული ჩამონათვალი. აქამდე მან გაცილებით ბევრი გააკეთა ჩემს ცხოვრებაში, ვიდრე ახალგაზრდობაში შეიძლებოდა მეოცნება. მიუხედავად ამისა, ამ ყველაფერზე ორგვარი რეაქცია მაქვს.

პირველ რიგში, მაინტერესებს, რამეთი ხომ არ შევზღუდე ღმერთი? მეორე, ერთი სიამოვნებაა, გადავხედო, რა გააკეთა მისმა ძალამ! ეს ორი აზრი თავის დამდაბლებასა და ამავდროულად, მეტი დაჟინებულობის გამოჩენაში მეხმარება.

ჩვენი ჭურჭელი

მას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია თითოეული ჩვენგანის მეშვეობით. ნებსით თუ უნებლიეთ, ყველანი ვდებთ რაღაც დაბრკოლებებს. ეფეს.3:20-ის თანახმად, ეს დაბრკოლებები იმით განისაზღვრება, რასაც „ვითხოვთ ან ვფიქრობთ“ სხვების დასახმარებლად. ღმერთი ნათლად გვეუბნება: „თქვენში მოქმედ ჩემს მადლს შეუძლია განუზომლად მეტის კეთება“. იესო იგივე აზრს ასეთი სახით გადმოგვცემს: „მორწმუნისთვის ყველაფერი შესაძლებელია“ (მარკ. 9:23).

ჩვენი საზღვრები – რისი დატევაც შეგვიძლია – გადამწყვეტია უსასრულო მარაგიდან ჩვენი წილის მიღების საკითხში. მილიარდერსა და მეწარმეებზე ზემომოყვანილ ამბავში პირველი პიროვნების ჭურჭელს მხოლოდ 100 000 $-ის დატევა შეეძლო, მეორეს – 250 000 $-ის, ხოლო მესამემ 245 მლნ. მოითხოვა.

გულახდილად რომ გითხრათ, ღმერთს მხოლოდ ჩვენი ჭურჭლის მოცულობა ზღუდავს. იქნებ ღმერთი გვეკითხება: „რატომ ფიქრობთ იმ მინიმალურზე, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს? რატომ ფიქრობთ მხოლოდ თქვენზე და თქვენს ოჯახზე? რატომ არ იყენებთ თავისუფლად პოტენციალს, რომელიც თქვენში ჩავდე? ჩემი თვალსაზრისით ასეთი აზროვნება *კარგი* არ არის. ეს *სიზარმაცეა*“.

სწორედ ამიტომ, პავლე მხურვალედ ლოცულობს, რომ გვქონდეს ცოდნა და გაგება:

> „...და რა *განუზომელი, უსაზღვრო* და *უხვია* მისი ძალის *სიდიადე* ჩვენში და ჩვენთვის, რომელთაც გვწამს...“. (ეფეს. 1:19 AMP)

ყურადღებით დააკვირდით სიტყვებს, რომლებსაც ხაზი გავუსვი. შეჩერდით და იფიქრეთ თითოეულზე! *განუზომელი*. თქვენ მისი გაზომვა არ შეგიძლიათ. *უსაზღვრო*. მას მიჯნა არ გააჩნია. *უხვი სიდიადე*. არ არსებობს მასზე დიდი ძალა სამყაროში.

მთელი ძალა ჩვენშია. ეს არ არის ძალა, რომელსაც პერიოდულად ვიღებთ სატახტო დარბაზიდან. ეს ის ძალაა, რომელიც უკვე ჩვენშია.

ის ასევე ჩვენთვისაც არის. იგი გამრავლების საშუალებას გვაძლევს და ნაყოფიერების მიღწევაში გვეხმარება. მისი მეშვეობით სხვებს უფრო ეფექტურად ვეხმარებით. მისი საშვუალებით კაშკაშა შუქივით ვანათებთ.

ეს ძალა სხვა არაფერია თუ არა ღვთის მადლი!

ცხოვრებაში მეფობა

ღვთის მადლი საკმარისზე მეტია. იგი არის დაუმსახურებელი გადარჩენა, პატიება, ახალი ბუნება და გაძლიერება ღვთისმოსაობით ცხოვრებისთვის. იგი საშუალებას გვაძლევს, რომ გავმრავლდეთ, ვიყოთ ნაყოფიერი და ვიმეფოთ ცხოვრებაში. მადლი მართლაც რომ საოცარია! ყურადღებით მოუსმინეთ პავლეს სიტყვებს:

> „ყველა, ვინც მიიღებს ღვთის უხვ მადლსა და სიმართლის საჩუქარს, იმეფებს ცხოვრებაში ერთის, იესო ქრისტეს მეშვეობით“. (რომ. 5:17 TEV)

ამ განცხადების სიდიდე მეტისმეტად დაუჯერებელი ჩანს, რომ სიმართლე იყოს, რადგან მისი გამოყენება საოცარია. შესაძლოა, ბევრმა ამიტომაც უგულებელყო იგი. ღვთის მადლის მეშვეობით ცხოვრებაში უნდა ვიმეფოთ. ამ ქვეყნიერების მიერ ჩვენს საწინააღმდეგოდ შემოგდებული ნებისმიერი დაბრკოლების დაძლევის ძალა შეგვწევს. ამ დედამიწაზე ცხოვრების მიზანი ჩვენთვის საუკეთესოს მიღებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მის მართვაში. იმისთვის დაგვადგინეს, რომ მნიშვნელოვანი კვალი დავატყოთ ჩვენი გავლენის სფეროებს. ეს ჩვენი დავალებაა.

როგორ გამოიყურება იგი პრაქტიკაში? ჩვენ უნდა გავარღვიოთ სტატუსკვო (არსებული მდგომარეობა) და ნორმალურის მიღმა ვიცხოვროთ. ჩვენ ზეგავლენისთვის ვართ მოწოდებული, რომ ვიყოთ თავი და არა კუდი, – ზემოთ და არა ქვეშ (იხ. 2რჯ. 28:13). საჭიროა ავმაღლდეთ არა მარტო არახელსაყრელ ცხოვრებისეულ გარემოებებზე, არამედ გავუნათოთ სხვებსაც, რომელთაც არ აქვთ ღმერთთან აღთქმა. წინამძღოლები უნდა ვიყოთ ნათლის არმქონე ქვეყნიერებაზე. თავი იძლევა მიმარ-

თულებას, კურსს და ტენდენციებს, ხოლო კუდი მიჰყვება. წინამძღოლები უნდა ვიყოთ საზოგადოების ყველა ასპექტში და არა სხვათა მიმყოლები. ეს რეალობაა? თუ ავცდით იმ მიზანს, რასაც ღმერთი კარგს უწოდებს?

ნება მიბოძეთ, უფრო ნათლად განვმარტო! თუ სამედიცინო სფეროში მოღვაწეობთ, ღვთის მადლით, სნეულებებისა და ავადმყოფობების განკურნების ახალი და ინოვაციური მეთოდების აღმოჩენის უნარი გაქვთ. თქვენი პოტენციალი ამოუწურავი და უსაზღვროა. თანამშრომლები თქვენმა მიგნებებმა უნდა გააოცოს და შთააგონოს. თქვენმა ახლებურმა მიდგომამ და სიბრძნემ უნდა აიძულოს ისინი, რომ თავი მოიქექონ და თქვან: „საიდან მოსდის ეს აზრები?“ არა მარტო უნდა ბრწყინავდეთ, არამედ თქვენი ეფექტურობა უფრო მეტად უნდა ამრავლოთ სამოქმედო ასპარეზზე. სხვებიც უნდა ესწრაფოდნენ თქვენი ნაბიჯების კვალზე სიარულს და თქვენი შესაძლებლობების წყაროს გაგება მოისურვონ.

თუ ვებდიზაინერი ხართ, თქვენი ნამუშევარი ცოცხალი და ნოვატორული უნდა იყოს, რომ სხვებს გაჯიბრება მოუნდეთ. თქვენ და სხვა მორწმუნეებმა ახალი ტენდენციები უნდა შექმნათ თქვენს სამოქმედო სფეროში, რომ საზოგადოება მოგყვეთ. თქვენ უნდა გეძებდნენ შესრულებული სამუშაოს გამო და ცნობილი უნდა იყოთ სიახლეებით. თქვენ საშუალო მაჩვენებელზე მაღლა უნდა იდგეთ და სხვები გაოცებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „საიდან აქვს ეს კრეატიულობა?“ თქვენ მრავლდებით ცოდნის სხვებისთვის გადაცემით, წარმოების გაზრდით და ცათა სამეფოსთვის გაღებით.

თუ საჯარო სკოლის მასწავლებელი ხართ, თქვენში არსებული გამაძლიერებელი მადლით ავითარებთ მოსწავლეებისთვის ცოდნის, გაგებისა და სიბრძნის გადაცემის ახალ, კრეატიულ და ნოვატორულ გზებს, რომლებზეც თქვენი სკოლის არც ერთ სხვა პედაგოგს არ უფიქრია. შეგიძლიათ დაადგინოთ მიჯნა და ისე შთააგონოთ მოსწავლეები, რომ სხვები გაოცებული დარჩნენ. თქვენი თანამშრომლები ერთმანეთს შორის ილაპარაკებენ: „საიდან მოაქვს ეს იდეები?“ გამრავლება შეგიძლიათ მოსწავლეებში თქვენი შესაძლებლობების კვლავწარმოებით და ახალი კადრების გამოზრდით.

ბიზნესმენებს შეუძლიათ გამოიგონონ ახლებური პროდუქცია და გაყიდვის სხვადასხვაგვარი ტექნიკა, რომლებიც ბაზარზე მოწინავე იქნება. გონებამახვილური მარკეტინგული სტრატეგიებით მოვლენებს წინ უსწრებთ. უცებ ხვდებით, რა

არის მომგებიანი და რა არა. იცით, როდის გაყიდოთ და როდის იყიდოთ; როდის ჩაერთოთ და როდის გაეცალოთ. სხვა ბიზნესმენები საგონებელში ჩავარდებიან თქვენი წარმატების მიზეზის ძიებაში. გამრავლდებით ახალგაზრდა მეწარმეების გამოზრდით და ცათა სამეფოსთვის უხვი შეწირვით.

იგივე პრინციპები გამოიყენება მუსიკოსის, მკვლევარის, სპორტსმენის, მეცნიერის, პოლიციელის, ბორტგამცილებლის, დიასახლისის, მედიათანამშრომლის, სამხედრო პირის ან ნებისმიერი სხვა პროფესიის შემთხვევაში. ყველა ეს მაგალითი, დიდმნიშვნელოვანი თუ ნაკლებად დანახული, ჩვენს დავალებას წარმოაჩენს.

თითოეული ჩვენგანი საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენი წინამძღოლობა და ლიდერობა უნდა გამოვავლინოთ! ჩვენი ბიზნესი უნდა ყვაოდეს მაშინ, როცა სხვებს კრიზისი აქვთ! ჩვენი თემი დაცული, კმაყოფილი და წარმატებული უნდა იყოს! ჩვენთან სამუშაო ადგილები სწრაფად უნდა იზრდებოდეს! ჩვენი მუსიკა ახალი და ორიგინალური უნდა იყოს და საერო მუსიკოსები გვბაძავდნენ. იგივე ითქმის გრაფიკაზე, ვიდეოებსა და არქიტექტურულ დიზაინზე. ჩვენი კრეატიულობა ყველა დონეზე შთამაგონებელი და საძიებელია.

ჩვენი გამოსვლები, იქნება ეს სპორტში, გართობისა და ხელოვნების სფეროში, მედიისა თუ ნებისმიერ სხვა ასპარეზზე, გამორჩეული უნდა იყოს! როცა ქვეყანას მართლები მართავენ, ქალაქები, შტატები და ერები ყვავიან. ჩვენი სკოლები აღმატებული უნდა იყოს სწავლებისა და ხელმძღვანელობის თვალსაზრისით! სადაც მორწმუნეები არიან ჩართული იქ უნდა იყოს კრეატიულობა, ინოვაცია, პროდუქტიულობა, სიმშვიდე, მგრძნობიარეობა და სიწრფელე! ჩვენ, იესოს მოწაფეები, სინათლეს უნდა წარმოვადგენდეთ ამ ბნელ ქვეყნიერებაზე! არსებითად, ღვთის მადლით უნდა *გამოვირჩეოდეთ* ბნელ საზოგადოებაში!

ჩვეულებრივის მიღმა

წაიკითხეთ დანიელის შესახებ!

„მთელ მთავრებსა და სატრაპებში გამოირჩეოდა დანიელი, ვინაიდან აღმატებული სული იყო მასში და მეფე მთელ სამეფოზე ფიქრობდა მის დაყენებას.“ (დან.6:3)

ეს საოცარია! პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ, რომ დანიელი *გამოირჩეოდა*! არ წერია, რომ „ღმერთმა გამოარჩია დანიელი“. ბიბლიის ყველა ძირითადი თარგმანი ამბობს, რომ დანიელი „გამოირჩეოდა“, The Message ბიბლია აცხადებს, რომ იგი „მეტად უსწრებდა სხვებს“ – სხვა წინამძღოლებს.

როგორ მოახერხა ეს დანიელმა? მას გამორჩეული თვისებები ჰქონდა, რადგან ღმერთთან კავშირში მყოფი ადამიანი გახლდათ. ნებისმიერისთვის, ვისაც ღვთის სული აქვს, სხვა ერში ცხოვრება ასევე განსხვავებული უნდა იყოს!

The New American Standard Bible ამბობს: „გამოირჩეოდა დანიელი, ვინაიდან *უჩვეულო* სული იყო მასში. *უჩვეულო* ნიშნავს „ნორმის მიღმა ყოფნას, სტატუსკვოს გარღვევას, საყოველთაოდ მიღებულისგან განსხვავებას“. ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობას უფრო კარგად ვიგებთ, როცა მას ანტონიმებს ვადარებთ. *უჩვეულოსთვის* ასეთი სიტყვა გახლავთ *ჩვეულებრივი, ნორმალური, საშუალო*. ასე რომ, ჩვეულებრივი ცხოვრების სტილი იქნებოდა უჩვეულო და აღმატებული სულის მქონე ადამიანის ცხოვრების საწინააღმდეგო.

დანიელის სული უჩვეულო იყო. თუ ჩვენი სული აღმატებულია, ჩვენი გონება და სხეული მას უნდა მიჰყვეს. თუ სული მიგვიძღვის, კრეატიულობა, გამომგონებლობა, სიბრძნე, ცოდნა და ცხოვრების სხვა ასპექტები სრულიად განსხვავდება ჩვენი ძალებით ცხოვრებისგან. თუ მართლა ვაცნობიერებთ, რას აკეთებს მადლი *ჩვენში* და *ჩვენგან*, ვიცით, რომ არანაირი დაბრკოლება არ გვექნება. დანიელი ტკბებოდა ყველაფრით, რის მიღებაც ღმერთთან ურთიერთობაში შეიძლებოდა. მან იცოდა ყოვლადძლიერთან მისი აღთქმის შესახებ – ის თავი უნდა ყოფილიყო და არა კუდი! ჩვენ გაცილებით ძლიერი აღთქმა გვაქვს ღმერთთან, ვიდრე დანიელს ჰქონდა.

მოდი, დანიელის ვითარება დეტალურად განვიხილოთ! ის და მისი მეგობრები ისრაელის პატარა ქვეყნიდან ტყვედ წამოიყვანეს მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილ ერში. თუ ამერიკელი ხართ და ფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყანა გასულ საუკუნეში დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაშინ იცოდეთ, რომ ბაბილონის სიძლიერესთან ის ახლოსაც ვერ მოვიდოდა. ბაბილონელები მსოფლიოს მართავდნენ მთლიანად! ისინი პირველები იყვნენ ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური, მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების თვალსაზრისით.

ბაბილონელები პლანეტის ყველაზე დახვეწილ ერს წარმოადგენდნენ, პრაქტიკულად, ყველა სფეროში. და მაინც,

დანიელი და მისი მეგობრები „ყოველგვარ სიბრძნესა და გონიერებაში, რაც მეფემ გამოჰკითხა მათ .... ათჯერ მეტად გონიერნი იყვნენ“ და სამეფოს სხვა წინამძღოლებს აღემატებოდნენ (დან. 1:20). ბიბლიის სხვა თარგმანების თანახმად, ისინი ათჯერ უკეთესები, ათჯერ ბრძენები და ათჯერ მიხვედრილები იყვნენ. ისინი ისეთ იდეებს იყენებდნენ, რაც ამ წამყვანი ქვეყნის ბრძენებს თავში არასოდეს მოსვლიათ და ეს იდეები ამართლებდა. არსებითად, მათი კრეატიულობა, ინოვაციები და მიგნებები ბაბილონელ წინამძღოლებზე ათჯერ ძლიერი იყო, რომლებიც ღვთის სულს არ ფლობდნენ.

დანიელზე დიდი

ამ ყველაფრის გათვალისწინებით იესოს სიტყვები წავიკითხოთ: „დედაკაცთაგან ნაშობთა შორის არავინაა იოანეზე დიდი“ (ლუკ.7:28). ეს ნიშნავს, რომ იოანე ნათლისმცემელი დანიელზე დიდი იყო. ნუ შეადარებთ ამ ორ ადამიანს მათი საქმეების მიხედვით. იოანე მსახური იყო, ხოლო დანიელი – საერო მმართველი. მიუხედავად ამისა, იესო ნათლად ამბობს, რომ იოანე ყველას აღემატებოდა. შემდეგ იგი ასე აგრძელებს:

> „მაგრამ ღვთის სამეფოში უმცირესიც მასზე დიდია“. (ლუკ. 7:28)

რატომ არის ღვთის სამეფოში უმცირესი იოანეზე დიდი? იმ დროისთვის იესოს ჯვარცმა არ მიუღია კაცობრიობას გასათავისუფლებლად, ამიტომ იოანეს არ ჰქონდა ხელახლა შობილი სული. მასზე არ შეიძლებოდა ეთქვათ: „როგორც იესოა, ისეა იოანე ნათლისმცემელი ამ ქვეყნიერებაზე“ (იხ. 1 იოან. 4:17). ჩვენზე კი ითქვა ასეთი რამ! იოანე არ აღმდგარა, რომ ქრისტესთან ერთად დამჯდარიყო ზეციურ სანახებში. (იხ. ეფეს. 2:6). ახლა კი ეს ჭეშმარიტება ჩვენს შესახებ არის! სწორედ ამიტომ, ცათა სამეფოში უმცირესი იოანეზე დიდია. *ხვდებით?*

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იესოს აღდგომიდან დღემდე დედამიწაზე დაახლოებით 2 მილიარდი ქრისტიანი ცხოვრობდა. ამის ცოტა შანსია, მაგრამ თუ თქვენ აღმოჩნდებით იმ ორ მილიარდ მორწმუნეში უმცირესი, მაინც იოანე ნათლისმცემელზე დიდი ხართ – შესაბამისად, *თქვენ დანიელზე დიდიც ხართ.*

ახლა წამოიჭრა შემდეგი კითხვები: „ნამდვილად იცით, რას წარმოადგენთ? გამორჩეული ხართ სხვებს შორის? ხართ იმ თანამშრომლებზე ათჯერ გამჭრიახი, უკეთესი, ბრძენი, კრეატიული და ნოვატორული, ვისთანაც ღმერთს აღთქმით განსაზღვრული ურთიერთობა არ აქვს იესო ქრისტეს მეშვეობით? თუ ასე არ არის, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ღვთის მადლის სიუხვის არ გვჯერა?“

მოდი, ცოტა უფრო მეტად დავფიქრდეთ! იესომ განაცხადა, რომ ჩვენ „ქვეყნიერების ნათელი“ ვართ (იხ. მათ. 5:14). ბნელის მანათობელ სინათლეს მხოლოდ ერთხელ როდი გვიწოდებენ ახალ აღთქმაში?! (იხ. მათ. 5:14-16; იოან. 8:12; საქმ. 13:47; რომ. 13:12; ეფეს. 5:8, 14; კოლ. 1:12; ფილ.2:15; 1თეს.5:5 და 1იოან. 1:7; 2:9-10). ეს ჭეშმარიტება მომეტებულად უნდა იგრძნობოდეს ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში!

რას ნიშნავს ქვეყნიერების სინათლედ ყოფნა? უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ ჩვენს ქცევას ეხება – ვიყოთ საყვარლები, კეთილები, თავაზიანები და შიგადაშიგ, იოან. 3:16-ის ციტირება არ დაგვავიწყდეს! რა მოხდებოდა, დანიელსაც ამგვარი წარმოდგენა რომ ჰქონოდა „სინათლედ ყოფნაზე“? რა მოხდებოდა, თუ დანიელის ყოველდღიური მიზანი სამთავრობო ოფისში მისვლისას თავაზიანობის გამოჩენა და თანამშრომლებისთვის შემდეგის თქმა იქნებოდა: „მოგესალმებით, ბაბილონელო წინამძღოლებო! ფს. 23 ამბობს, „უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი მომაკლდება! ...“

რას ეუბნებოდნენ ერთმანეთს ადმინისტრატორები და მმართველები, როცა დანიელი ოფისს შუადღის ლოცვისთვის დატოვებდა? (იგი ყოველდღე ლოცულობდა). დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც ამდაგვარს გავიგონებდით: „რა კარგია, რომ ეს ფანატიკოსი წავიდა. იმედი მაქვს, ნაშუადღევამდე არ გამოჩნდება. *ახირებული* ვინმეა!“

რატომ გამოუშვებდნენ კანონს, რომ დანიელს ვეღარ ელოცა? (იხ. დან. 6:6-8). იქნებ ეს იმიტომ გააკეთეს, რომ იგი ნებისმიერ მათგანზე ათჯერ უფრო გამჭრიახი, ბრძენი, ნოვატორული და შემოქმედებითი იყო? დანიელი თითოეულ მათგანზე მეტ წარმატებას აღწევდა, სანამ მათი წინამძღოლი არ გახდა. ისინი, ცოტა არ იყოს, ეჭვიანობდნენ კიდეც.

მთავრები იბრძოდნენ და სავარაუდოდ, ერთმანეთში თათბირობდნენ: „როგორ ვერ მოვიფიქრეთ! მთელს მსოფლიოში ყველაზე მცოდნე, ნიჭიერმა და ბრძენმა მასწავლებლებმა, მეცნიერებმა და მმართველებმა გაგვზარდეს. იგი უმნიშვნელო

და პატარა ქვეყნიდანაა. საიდან მოსდის თავში ასეთი იდეები? რატომ არის ის ჩვენზე უკეთესი? ალბათ, ეს დღეში სამჯერ ლოცვის შედეგია. მოდი, კანონი გამოვუშვათ, რომ მან ლოცვა ვეღარ შეძლოს და შედეგად, ვერც ჩვენ გვაჯობებს!"(რასაკვირველია, ეს ჩანაფიქრი იმ მიზანსაც მოემსახურებოდა, რომ დანიელი საპატიმროში აღმოჩენილიყო).

დანიელი კაშკაშა სინათლეს წარმოადგენდა, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საკვირველი პიროვნება გახლდათ. მისი იშვიათი თვისებები თანამედროვეთათვის თვალშისაცემი იყო. მათ ეს არ მოსწონდათ, რადგან შურიანები იყვნენ. მიუხედავად ამისა, შემიძლია წარმოვიდგინო, რომ დანიელის შესაძლებლობებში მრავალმა სხვა ადამიანმა და მათ შორის მეფემ, ცოცხალი ღვთის არსებობის მოწმობა დაინახა, რაც მათთვის მიმზიდველი იყო და დანიელის ღვთისადმი თაყვანისცემისკენ უბიძგებდა.

დანიელი წმ. წერილის ცოდნის, თავაზიანობის ან დღეში სამჯერ ლოცვის გამო არ გამხდარა სხვებისთვის შესამჩნევი. ფაქტობრივად, ის საუკეთესო გახლდათ თავის საქმეში და ღვთიურ ბუნებასაც ფლობდა. მისი პირადი საძირკველი, სტრუქტურა და მოპირკეთება გამორჩეული იყო.

მოწმობა ჩემს ცხოვრებაში

პირადად მე დავამოწმებ ღვთის მადლის ძალაზე ჩემს ცხოვრებაში. ბავშვობისას ჩემთვის ყველაზე საძაგელი საგანი ინგლისური ენა, განსაკუთრებით კი, თავისუფალი თემების წერა გახლდათ. ყოველთვის ვიტანჯებოდი, როცა სამფურცლიანი თემის დაწერას მავალებდნენ. ამისთვის საათები მჭირდებოდა და თან ნახევარ რვეულს ვხარჯავდი. საძაგელი დავალების შესრულებისას ფურცელს ფურცელზე ვხევდი და სანაგვეში ვაგდებდი. სატ-ტესტის (ამერიკული კოლეჯების სტანდარტული ტესტი) ინგლისური ენის ნაწილში შესაძლებელი 800 ქულიდან მხოლოდ 370-ს ვიღებდი. იმის წარმოსადგენად, რამდენად ცუდი შედეგი მქონდა, გეტყვით, რომ ჩემი მოგზაურობების განმავლობაში მხოლოდ ერთი ადამიანი შემხვდა ჩემზე უარესი შეფასებით!

1991 წელს ღმერთმა ლოცვაში მითხრა, რომ წიგნი უნდა დამეწერა. თავიდან ვიფიქრე, რომ ვიღაცაში ავერიე. ძველი აღთქმის სარას მსგავსად გამეცინა. წიგნის კი არა, ერთი თავის დაწერაც არ შემეძლო. რაც მაშინ ვერ გავაცნობიერე, გახ-

ლდათ ღვთის მადლის უზომო, შეუზღუდავი და უხვი სიდიადე ჩემში. ღვთისგან „დაწერე წიგნი!“ მითითების მიღებიდან ათი თვის განმავლობაში სხვადასხვა შტატებში ორი ქალი მოვიდა ჩემთან ორი კვირის შუალედით და ასეთი სიტყვები მითხრა: „ჯონ, ღმერთს უნდა, რომ წერო! ფაქტობრივად, თუ ამას არ გააკეთებ, იგი თავის სათქმელს სხვას გადასცემს“. ამის შემდეგ ღმერთთან ხელშეკრულება დავდე და მის მადლზე ჩემი სრული დამოკიდებულება ვაღიარე. ამ ამბის დარჩენილ ნაწილს მომდევნო თავში გადმოგცემთ, აქ კი გეტყვით, რომ ახლა უკვე ცხრამეტი წიგნი მაქვს დაწერილი და მილიონობით ეგზემპლარი გავრცელდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით 90-ზე მეტ ენაზე.

მადლმა არა მარტო წერა, არამედ ლაპარაკიც შემაძლებინა. ჩემი საჯარო გამოსვლა იმდენად საშინელი იყო, რომ ლიზას წინა რიგში ჩაეძინა, როცა დაქორწინების შემდეგ პირველად მომისმინა. მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი მეორე რიგში ლიზას გვერდით იჯდა და ისეთი ძილქუში დაეცა, რომ მისი დაღებული პირიდან გადმოსული ნერწყვიც კი დავინახე. ძალიან გამამხნევებელი იყო! ახლა ადამიანებს აღარ ეძინებათ, როცა ჩემს საჯარო გამოსვლას უსმენენ. ადრე ყველაფერს ჩემი ძალით ვაკეთებდი; ახლა ღვთის მადლის რწმენა, მასზე დაყრდნობა და მორჩილება ვისწავლე.

ზემოხსენებულ ორ სფეროში დამარცხებული გახლდით, რადგან საკუთარი ძალის იმედი მქონდა. მიუხედავად ამისა, ღმერთმა სწორედ მათი მეშვეობით მომანიჭა მილიონობით ადამიანის მომსახურების პატივი.

ნამდვილად კარგი ცხოვრება

მოდი, შევაჯამოთ ჩვენი პარამეტრები კარგი ცხოვრებისთვის! თუ გწამთ, თქვენთვის შეუძლებელი არაფერია. ღმერთს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია თქვენი მხრიდან საოცრად უხვად, იმაზე მეტად, ვიდრე თქვენ ითხოვთ ან ფიქრობთ. შინაგანი ძალა, რომლის მეშვეობით მას თქვენი ცხოვრებისეული საქმეების აღსრულება შეუძლია, განუზომელი, უსაზღვრო და ყველა დანარჩენზე აღმატებულია. თქვენი ცხოვრება არ უნდა იყოს ისეთი, რა განცდაც მე და ლიზას გვქონდა სამშენებლო კომპანიის საგამოფენო დარბაზში ახალი სახლისთვის მოსაპირკეთებელი მასალების შეძენისას. თქვენ არავითარი შეზღუდვა არ გაქვთ, რადგან რაც ხართ, ნამდვილად ღვთის

მადლით ხართ! სულიწმიდას თქვენი ხედვის გაფართოების ნება მიეცით! იოცნებეთ დიდზე, ირწმუნეთ და შესაბამისი ნაბიჯები გადადგით!

ერთ ფაქტორს ამ თავში გადმოცემულის შესრულებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მისი გათვალისწინების გარეშე დიდი შანსია, რომ იმედგაცრუებული აღმოჩნდეთ. მომდევნო თავში სწორედ ამ თვისებაზე ვისაუბრებთ, რომელსაც *გარჩევა* ჰქვია.

15

გარჩევა

„მაგარი საჭმელი განკუთვნილია მოწიფულთათვის,
რომელთა გრძნობები ჩვევით არიან გაწაფული
კეთილისა და ბოროტის გასარჩევად“.
ებრ. 5:14

„სიწმიდე მცირეთა ფუფუნება როდია; ეს
უბრალო მოვალეობაა თქვენთვის და ჩემთვის“.
დედა ტერეზა

ორულყოფილები უკვე მოწიფულ ასაკში არიან, მხოლოდ არა ფიზიკურად, არამედ სულიერად. ხორციელად ჩვილებად ვიბადებით და ზრდასრულობას ვაღწევთ. ასევე ვიბადებით სულიერად პატარა ჩვილებად და მოწიფულები ვხდებით ქრისტეს სრული ასაკის მიღწევისას.

ამ ორს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ფიზიკური ზრდასრულობა დროს უკავშირდება. გინახავთ ორი წლის ბავშვი, რომ 180 სმ სიმაღლის იყოს? ამ ნიშნულის მიღწევას თხუთმეტი ან ოცი წელი სჭირდება. სულიერი ზრდა დროსთან კავშირში არ არის. შეგხვედრიათ ადამიანები, რომლებმაც მხოლოდ ერთი წელია, რაც ქრისტე ირწმუნეს, მაგრამ ოცი წლის წინ გადარჩენილებზე მოწიფულნი არიან?

ებრ.5:14-ის თანახმად, მოწიფულობის ნიშანი ჩვენი შინაგანი შეგრძნება გახლავთ, რაც კეთილისა და ბოროტის გარჩევაში გვეხმარება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თქვენს გულს ხუთი გრძნობა აქვს, ისევე როგორც თქვენს სხეულს. ეს ფაქტი მთელ წერილში ცხადად ჩანს: „*იგემეთ* და *ნახეთ*, რომ კარგია უფალი!“ (ფს. 34:8). მარტო ეს მუხლი ორ შეგრძნებას მოიცავს.

ერთხელ იესომ მრავალს გამოუცხადა: „ვისაც ყურები აქვს, *ისმინოს!*“ (მათ.11:15). იქ მყოფთაგან უმრავლესობას შეეძლო ფიზიკური ყურებით მოსმენა; იგი გულის ყურით შინაგან მოსმენაზე ლაპარაკობდა.

პავლეს ისრაელის მიმართ ღვთის ნათქვამი მოჰყავს: „უწმიდურს ნუ *მიეკარებით* და მე მიგიღებთ თქვენ!“ (2კორ. 6:17). იმავე მოციქულმა დაწერა, რომ ღმერთი „ჩვენი მეშვეობით წარმოაჩენს თავისი შემეცნების *კეთილსურნელებას* ყოველ ადგილზე“ (2კორ. 2:14).

მარტო ამ ოთხ მუხლში ხუთივე შეგრძნება გადმოცემულია!

გარჩევა

როგორ უნდა დავიცვათ თავი კეთილისა და ბოროტის არევისგან, განსაკუთრებით ამ ეპოქაში, როცა საცდური ყოველი მხრიდან გვიტევს? როგორ არ უნდა აღმოვჩნდეთ იგივე მახეში, რომელშიც ევა გაება, როცა ბოროტების სიკეთე, სიამე და სიბრძნე ირწმუნა? პასუხი ერთია – *გარჩევის* უნარით. როგორ უნდა განვავითაროთ ის? ნამდვილი, ღვთიური შიშით.

მალაქიამ წინასწარ გვაუწყა, რომ დადგებოდა დრო, როცა მორწმუნეები ორ კატეგორიად დაიყოფოდნენ: ღვთის მოშიშებად და ღვთის შიშის არმქონეებად. მძიმე დროებაში ღვთის შიშის არმქონეები წუწუნებენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან და ჭორაობენ. მათ არ მოსწონთ ღვთის მსახურება და ამასთან ერთად წინააღმდეგობის, მწუხარების და სიძნელის ატანა იმ დროს, როცა ბოროტეულები, რომლებსაც ღმერთთან ურთიერთობა არ აქვთ, წარმატებული არიან.

ღვთისმოშიშებიც იგივე სიძნელეებს გადიან, მაგრამ სხვაგვარად მოქმედებენ. ისინი ღვთის სიკეთეზე ლაპარაკობენ. ისინი განსაცდელშიც იბრძვიან იმის რწმენით, რასაც ღმერთი მათი გასაჭირის შესახებ ამბობს. მათ უფრო მეტად ღვთის სურვილები, გეგმები და სამეფო აინტერესებთ, ვიდრე დროებითი დისკომფორტი. მათ იციან ღვთის ერთგულების შესახებ და ამაში დაფუძნებული არიან. მათი დამოკიდებულება ასეთია:

> „თუნდაც აღარ აყვავდეს ლეღვი და აღარ გამოისხას ვაზმა მტევანი, გამტყუნდეს ზეთისხილის ნაყოფი და მინდვრებმა საზრდო არ მოიტანონ; მოწყდეს ფარეხიდან ცხვარი და აღარ დარჩეს ბოსელში საქონელი, მე მაინც უფალში გავიხარებდი, *მუდამ* ვილხენდი ჩემი ხსნის ღმერთში! ღვთის მართველობას დავეყრდნობოდი გამარჯვებისთვის; გულს მოვიცემდი და ძალას შევიძენდი. ფურ-ირემივით მარდად ვირბენდი და ჩემს მაღლობებს მეფესავით მოვივლიდი!“ (აბაკ. 3:17-19 The Message)

ღმერთი მალაქია წინასწარმეტყველის პირით აცხადებს, რომ მის მოშიშებს განსაკუთრებულ საგანძურად აქცევს (გაიხსენეთ პავლეს „განსაკუთრებული ჭურჭლები“ 2 ტიმ. 2:21-დან). მალაქია წინასწარმეტყველებს, რომ ღვთისმოშიშ ადამიანთა სასიამოვნო სარგებელი შემდეგი იქნება: „კვლავ დაინახავთ *სხვაობას* მართალსა და ბოროტეულს შორის“ (მალ. 3:18). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მორწმუნეები ბოროტსა და *კარგს* ერთმანეთში არ აურევენ.

წინა თავში ღვთიური სიკეთის პარამეტრები განვიხილეთ: იმაზე გაცილებით მეტი სიუხვე, ვიდრე ჩვენ ვითხოვთ ან წარმოდგენა შეგვიძლია. ზოგისთვის სიუხვე დაცემის ტოლფასია, ხოლო სხვათათვის დიდ შესაძლებლობას წარმოადგენს. თუ თქვენი მიზანი სიუხვის მიღწევაა, აუცილებლად გაებმებით ევას, კაენის, ბილყამის, კორახის, საულის, გეხაზის, იუდას, ლაოდიკიის ეკლესიისა და უამრავ სხვათა მსგავს მახეში. თუ თქვენი უმთავრესი მიზანი ღვთისთვის სიამის მინიჭებაა, კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარს შეიძენთ, რაც სიუხვისადმი სწორ მიდგომას შეგაძლებინებთ.

გასაღები გარჩევის უნარში იპოვება, ხოლო გარჩევის ხარისხი ჩვენში ღვთის შიშის პირდაპირპროპორციულია. ნება მიბოძეთ, ისევ გავიმეორო: რაც მეტად გვეშინია ღვთის, უფრო ბრძენი ვხდებით გარჩევაში. სოლომონმა მისი მეფობის დასაწყისში ასე შეჰღაღადა უფალს: „მიეცი შენს მსახურს გამგები გული, … რომ განასხვავოს სიკეთე ბოროტებისგან!“ (1 მეფ. 3:9).

საოცარი იყო სოლომონის სიბრძნე, რომელსაც მართვისას იჩენდა. იმ წლებში, როცა ღმერთს მიჰყვებოდა, ასე წერდა: „თუ საზრიანობას მოუხმობ და *გარჩევის უნარისთვის* აიმაღლებ ხმას, თუ ვერცხლივით მოიძიებ მას და დაფარული განძივით დაუწყებ ძებნას, მაშინ ჩაწვდები უფლის მოშიშებას“ (იგ. 2:3-5).

მიუხედავად ამისა, სოლომონმა მაინც დაკარგა ღვთის შიში. იგი დაიბნა და აღარ შეეძლო კეთილისა და ბოროტის გამორჩევა. მისთვის ყველაფერი „ამაო“ და „ქარის დევნა“ გახდა. ეკლესიასტეს მთელი წიგნი ჩიხში შესული და საგონებელში ჩავარდნილი კაცის სახეს გვიხატავს, რომელსაც ღვთის შიში დაუკარგავს და შედეგად, ვერაფერში გარკვეულა. მისი გონება სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. წლების განმავლობაში ჩემი გული ტკივილისგან არაერთხელ შეკუმშულა ბევრი წინამძღოლისა და მორწმუნის გამო, რომლებმაც ასევე

დაკარგეს უფლის შიში და ცდუნებას აყვნენ გარჩევის უნარ-დაკარგულები.

როგორც ადრე ვთქვი, ღვთის შიში მის მადლთან თანამშრომლობისთვის აღგვძრავს, რომ ყოველგვარი უწმიდურობისგან გავსუფთავდეთ. საინტერესოა, რომ გარჩევის უნარი მთლიანად ღვთისმოსაობით ცხოვრებაზეა დამოკიდებული. ამრიგად, ისევ ვხედავთ, რომ სიწმიდე ჩვენი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სტრუქტურაა, ეხება ეს კარიერას, ურთიერთობებს, ფინანსებს, სოციალურ შესაძლებლობებს თუ ცხოვრების სხვა სფეროებს.

ჩვენი სწრაფვა, უპირველეს ყოვლისა, ღვთის შიშის შეძენისკენ უნდა იყოს. თუ ეს არის ჩვენი უპირველესი საზრუნავი, სიმდიდრე ვერ დაგვძლევს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ „თავის სიმდიდრეზე დაიმედებული დაეცემა“ (იგ.11:28). იგივე წიგნში ვკითხულობთ: „ჩემთანაა რჩევა და ჯანსაღი სიბრძნე; ... ჩემთანაა სიმდიდრე და პატივი, ულევი დოვლათი ...“ (იგ. 8:14,18). და კვლავ: „თავმდაბლობის და უფლის შიშის საზღაური: სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლეა“ (იგ. 22:4). ჭეშმარიტი სიმდიდრე ის რესურსია, რომელიც დედამიწაზე თქვენი ყოფნის მიზნის აღსრულების საშუალებას გაძლევთ, რისთვისაც ღმერთმა მოგავლინათ. ეს ყოველთვის მოიცავს სხვებზე ზეგავლენის მოხდენას, რაც ცათა სამეფოს მშენებლობას ნიშნავს.

კითხვა, რომელიც საკუთარ თავს ყოველ დილით უნდა დაუსვათ და გულწრფელად უპასუხოთ, შემდეგია: დღეს უფლის შიშით ვარ აღძრული თუ სიუხვის შეძენა უფრო მხიბლავს? თუ თქვენი მიზანი ღვთიური შიშია, იგი დაგიცავთ ბოროტებაში ჩართვის ცდუნებისგან და შეგაძენინებთ იმას, რაც კარგია.

ნება მიბოძეთ, ნათლად განვმარტო: რესურსები, სიმდიდრე, ქონება და სიუხვე *კარგია*, მაგრამ თუ მხოლოდ ეს არის თქვენი მიზანი, არ გექნებათ მათი მოპოვების საშუალების ამოცნობის უნარი, *ბოროტია* ის თუ არა. ბიბლიური ამბავი დაგეხმარებათ იმის გაგებაში, როგორ მუშაობს ეს.

არის ეს მიღების დრო?

ისრაელში წინასწარმეტყველისთვის შესაწირის ან ძღვენის მიტანის ტრადიცია არსებობდა. ერთი ახალგაზრდა კაცი, მომავალი მეფე საული და მისი მსახური საულის მამის დაკარგულ ვირებს ეძებდნენ. დამღლელი და ამაო ხეტიალის შემდეგ მსახურმა საულს მახლობელ ქალაქში სამუელად წოდებული

წინასწარმეტყველის მონახულება ურჩია, რომელიც შესაძლოა, დაკარგული ვირების პოვნაში დახმარებოდა. საულის დაუყოვნებელი პასუხი ასეთი იყო: თუ წავალთ, რა უნდა მივცეთ? აბგებში პური აღარ გვაქვს. არაფერი გაგვაჩნია ამ წმიდა კაცისთვის მისართმევი. გვაქვს კიდევ რაიმე სხვა? (1 სამ. 9:7 The Message). ეს იყო წინასწარმეტყველთან მისვლის ტიპიური დამოკიდებულება. ახლა ისრაელის სხვა პერიოდს გადავხედოთ. აშურელთა არმიის მეთაური, სახელად ნაყამანი, ელისე წინასწარმეტყველის სახლში მოვიდა. მას მითითება მიეცა, რომ სრულად დამორჩილების შემთხვევაში კეთრისგან მთლიანად განიკურნებოდა. იგი უკან დაბრუნდა, რომ ელისესთვის მადლობა გადაეხადა და ძღვენი მიერთმია. წინასწარმეტყველმა უპასუხა: „ცოცხალია უფალი, რომლის წინაშეც ვდგავარ, რომ არაფერს ავიღებ!“ (2 მეფ.5:16). ნაყამანი არწმუნებდა მას, რომ საჩუქარი მიეღო, მაგრამ ელისე კვლავ უარზე იდგა.

ელისეს პირადი მსახური, გეხაზი მათი საუბრის მოწმე გახდა. იგი ელდამოგვრილი უყურებდა, რომ ნაყამანი ტრადიციული ძღვენის დაუტოვებლად წავიდა. როცა ელისე თვალს მიეფარა, გეხაზი საჩქაროდ გაედევნა ნაყამანის ამალას. მთავარმა იგი შენიშნა, ქარავანი შეაჩერა და გეხაზის ჰკითხა, მშვიდობა იყო თუ არა.

გეხაზმა დაარწმუნა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მოატყუა, თითქოს ელისეს მოულოდნელი საჭიროება გამოუჩნდა და მისი სახელით ასე თქვა: „ორი ყმაწვილი მოვიდა ეფრემის მთიდან, წინასწარმეტყველთა ძენი; გთხოვ, მომეცი მათთვის ერთი ტალანტი ვერცხლი და ორი ხელი ტანისამოსიო!“ (2 მეფ. 5:22).

ნაყამანმა მას „საჭიროზე“ ორჯერ მეტი მისცა. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. გეხაზი უკან დაბრუნდა და საჩუქრები თავის ნივთებს შორის დამალა.

იგი ისევ წარსდგა ელისეს წინაშე. წინასწარმეტყველი დაინტერესდა, სად იყო. მსახურმა მოიტყუა და დაიჟინა, რომ არსად წასულა. მაშინ ელისემ ეს სიტყვები წარმოთქვა:

> „განა ჩემი გული არ მოგყვებოდა, როცა ის კაცი შენთან შესახვედრად ჩამოვიდა თავისი ეტლიდან? ახლა იმის დროა, რომ ფულსა და ტანისამოსს, ზეთისხილის ხეებს, ვენახებს, ცხვრებს, ხარებს, ყმებსა და მხევლებს იხვეჭდე? დაე, შენზე და შენს შთამომავლობაზე იყოს ნაყამანის კეთრი უკუნისამდე!“ თოვლივით კეთროვანი წავიდა მისგან გეხაზი“. (2 მეფ. 5:26-27)

გეხაზის ღვთის შიში აკლდა (და შესაბამისად, გარჩევის უნარიც), რამაც ის ცდუნების წინაშე მოწყვლადი გახადა. მან მიღება მოინდომა მაშინ, როცა არ იყო მიღების დრო. იგი დარწმუნებული გახლდათ, რომ ძღვენი მას ეკუთვნოდა, რადგან მისმა ბატონმა საჩუქარზე უარი თქვა. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ელისესავით სწირავდა მსხვერპლს და თავი ღვთის სამსახურს მიუძღვნა. ნუთუ ღმერთს არ ნებავდა, რომ ისინი წარმატებული ყოფილიყვნენ? და აი, გამოჩნდა მდიდარი წარმართი, რომელიც უცხო ღმერთებს თაყვანს სცემდა. განა ცოდვილთა ქონება მართლებისთვის არ ინახება? მან დაასკვნა, რომ მომსახურების სამართლიან საფასურზე უარის თქმა ელისეს მხრიდან უგუნური საქციელი იყო.

გეხაზის რაციონალიზმი, მისი აზრით, მართებული საზღაურის ამგვარი საშუალებით მოპოვებას ამართლებდა. მას აკლდა გარჩევის უნარი, ბოროტსა და კარგს ერთმანეთში ურევდა. ამ დაუმორჩილებლობისთვის გეხაზმა საზარელი ფასი გადაიხადა.

მიზანი ამართლებს საშუალებას

უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, თუ როგორ ჩავარდნენ მახეში წინამძღოლები და მორწმუნეები უფლის შიშის უგულებელყოფისა და ქვეყნიური სიმდიდრის ძიების გამო. ბევრი ადამიანი მინახავს, რომელთაც საბოლოო ჯამში, სიხარბე ძვირად დაუჯდათ. მოგების შესაძლებლობა მიმზიდველი, გონივრული და საამო ჩანდა. მათი ძალისხმევა ადრეულ ეტაპებზე თითქოს კურთხეული იყო და წარმატებასაც არ უნდა დაეყოვნებინა. შემდეგ ყველაფერი უარესობისკენ წავიდა და საბოლოო შედეგები გამანადგურებელი აღმოჩნდა. მინახავს დანგრეული ოჯახები, დაკარგული მსახურებები, ჩავარდნილი ბიზნესები, ფინანსური კრახი, ჯანმრთელობისა და ურთიერთობის პრობლემები. ამ ყველაფერს თან ახლდა შინაგანი სიწრფელისა და საყვარელი ადამიანების ნდობის დაკარგვა.

საქმიანმა მამაკაცებმა და ქალებმა სხვა ქრისტიანებთან საბაზრო ურთიერთობებისას უამრავი არასასიამოვნო გამოცდილება მიიღეს. უცხო არ იყო ეგოიზმი, ტყუილი, ქურდობა, შური, სიყალბე და ქონების უკანონო მითვისება. რატომ ხდება ასე? ამას მარტივი ახსნა აქვს: *კარგი* შედეგის მოლოდინი მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს ამართლებს. მოსაზრება ასეთია: *ღვთის ნებაა ჩემი წარმატება, რესურსე-*

ბის ფლობა და მოხდენილი გავლენით სიხარული. თუმცა ასე მოაზროვნენი ღვთის სიტყვის ფილტრს არ იყენებენ მათ მიერ წამოწყებული სავალის დაკვირვებით შესწავლისთვის. ხშირად კომპრომისზე წასვლა ერთადერთი შესაძლებლობაც კი ჩანს. *თუ არ ვიმოქმედეთ, ჩვენი მატარებელი ჩაივლის. დიდ შანსს ან კურთხევას დავკარგავთ.* ღვთის წინასწარხედვის ლოდინს სულიერი მოწიფულობა სჭირდება.

სატანამ იესოს კომპრომისზე წასვლა ურჩია მისი მსახურების პირველ ეტაპზე. მან იესოს ქვეყნიერების სამეფოების მოპოვების ანუ დედამიწაზე მისი მოსვლის მიზნის მიღწევის უმტკივნეულო და მოკლე გზა შესთავაზა, თუ დამხობილი თაყვანს სცემდა. იესოს ადამიანური ბუნებისთვის ეს მაცდური და მომხიბლავი წინადადება გახლდათ. მისი მიღებით უფალი მსახურებას სწრაფად მორჩებოდა და თავიდან აიცილებდა უამრავ სიძნელეს და ტანჯვას. მას ერთადერთი რამ ევალებოდა – თაყვანი ეცა სატანისთვის.

რამდენად ხშირად გვთავაზობს სატანა იმის აღსრულებას, რაც ღმერთმა გულში ჩაგვიდო, მაგრამ მის მისაღებად ჩვენი შინაგანი სიხალასე, ბუნება და მორჩილება უნდა დავთმოთ? თაყვანისცემა არ ნიშნავს წყნარ სიმღერას, რომელსაც მაშენებელი სიტყვები ახლავს. თაყვანისცემა იმით განისაზღვრება, თუ ვის ვემორჩილებით. შესაძლებელია, ეკლესიაში გულში ჩამწვდომი სიმღერები ვუგალობოთ ღმერთს, მაგრამ ჩვენი ცხოვრების წესით, რომელიც ყოველგვარ სიმღერაზე ხმამაღლა მეტყველებს, სიბნელეს ვცემდეთ თაყვანს.

ადრე ვახსენე, რომ ავტორთა უმრავლესობა წიგნში უცნობი სიტყვის შემოტანისას ჯერ მის პირველად მნიშვნელობას გვაცნობს. თუ დააკვირდებით პირველად როდის გამოჩნდა სიტყვა „*თაყვანისცემა*“ ბიბლიაში, მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას მიხვდებით. იგი ღმერთმა მაშინ გამოიყენა, როცა აბრაჰამს მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის შეწირვა მოსთხოვა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

აბრაჰამი სამი დღის განმავლობაში მიდიოდა მორიის მთისკენ თავის ძესთან, ისაკთან ერთად. როცა მთას მიაღწია, მსახურებს უთხრა: „თქვენ სახედართან დარჩით, მე და ჩემი ვაჟი კი წავალთ, თაყვანს ვცემთ და მოვბრუნდებით!“ (დაბ. 22:5). იგი მთაზე წყნარი და მელოდიური სიმღერისთვის არ მიდიოდა. აბრაჰამი ღვთის მორჩილებით გაუდგა გზას და ყველაზე ძვირფასი „ქონება“ სასიკვდილოდ მიჰყავდა. მისი თაყვანისცემა მისი მორჩილებით განისაზღვრებოდა.

იქნებ სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ერთხელ ღმერთმა თავის ერს უთხრა: „მომაშორეთ თქვენი სიმღერების ხმაური, თქვენი ქნარების ხმის მოსმენა აღარ მსურს! მაგრამ წყალივით იდინოს სამართალმა და *სიმართლით ცხოვრებამ – დაუშრეტელ ნაკადულივით*“ (ამოს. 5:23-24 NLT). მიყვარს ფრაზა „სიმართლით ცხოვრების დაუშრეტელი ნაკადული“. სწორედ ამას ვუწოდებ *ურყევ მორჩილებას*.

ამოსის დღეებში ხალხის ცხოვრების სტილი ღვთის სიტყვას არ ეთანხმებოდა, მაგრამ ისინი კვლავაც წერდნენ, იკრიბებოდნენ და თაყვანისცემის ახალ სიმღერებს მღეროდნენ. *ჭეშმარიტი თაყვანისცემა იმით განისაზღვრება, ვის ვემორჩილებით და არა იმით, თუ ვის ვუგალობთ.*

სიკეთის ღმერთზე წინ დაყენება

ნება მიბოძეთ, გაგიზიაროთ, თუ როგორ აღმოვჩნდი მახეში, როცა ღვთის მორჩილება რისკის ქვეშ დავაყენე. ჩვენი მსახურება ჯერ კიდევ ახალი გახლდათ – დაწყებიდან ორი წელიც არ გასულიყო. ძირითადად პატარა ეკლესიებს შორის ვმოგზაურობდი, რომელთა მრევლიც 100 ადამიანს არ აღემატებოდა. ჩვენი გადაადგილების საშუალება „ჰონდა სივიკი“ გახლდათ, რომლის უკანა სავარძელზე ორი ჩვილი ბავშვი გვყავდა განთავსებული. დარჩენილი ადგილი კი ჩვენს ბარგსა და კასეტებით სავსე ორ ყუთს ეკავა, რომელთაც შეკრებებზე ვარიგებდით.

როგორც ადრე აღვნიშნე, ერთ დილას ღმერთი ჩემს გულს დაელაპარაკა, რომ წერა დამეწყო. ორი მიზეზის გამო დამორჩილებას ვაყოვნებდი. პირველი, როგორც გითხარით, თავისუფალი თემის წერის პრობლემა იყო, რაც სკოლაში ყველაზე საძაგელ საქმედ მიმაჩნდა და მეორე, ვინ მოინდომებდა უცნობი ავტორის წიგნის გამოქვეყნებას? ბოლოს, დავმორჩილდი და წერა დავიწყე.

წიგნის დასრულებას ერთი წელი დასჭირდა, რაც მრავალი საათის მძიმე შრომას მოიცავდა. შემდეგ ორ გამომცემლობაში მივედი და ჩემი ხელნაწერი წარვუდგინე, რომლის სათაური ასეთი გახლდათ – *„გამარჯვება უდაბნოში“*. ერთ მათგანზე მითხრეს, რომ წიგნი „მეტისმეტად მქადაგებლური“ იყო. მეორედან საერთოდ არ მიპასუხეს. იმედგაცრუება დამეუფლა. მე და ლიზამ ერთხმად გადავწყვიტეთ: თავად გამოვცეთ! საჭირო თანხა შევაგროვეთ და რამდენიმე ათასი ცალი დავბეჭდეთ, რომ-

ლებიც პატარა ეკლესიებში გავყიდეთ, სადაც მსახურებისთვის მივდიოდით. ადამიანებს მოეწონათ წიგნი და მომდევნო წელს მეორეც დავწერე. არც ამჯერად გვქონია გამოცემის სხვა გზა, გარდა იმისა, რომ თავად დაგვებეჭდა.

მეორე წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ ოფისში ერთ-ერთი ეროვნული გამომცემლობის უფლებათა შესყიდვის რედაქტორმა დაგვირეკა და თავის წარდგენის შემდეგ დარეკვის მიზანი ენთუზიაზმით გაგვიზიარა: „ჯონ, ხელში ჩაგვივარდა თქვენი წიგნი *„გამარჯვება უდაბნოში!“* ჩვენს გამომცემლობას სჯერა მასში ნათქვამის და გვინდა, დაგეხმაროთ, რომ იგი ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს!“ რამდენიმე წუთს ვისაუბრეთ. მან წიგნის გაყიდვის სხვადასხვა გზები გაგვაცნო და კომპანიის მარკეტინგისა და საგამომცემლო გუნდის თაობაზე დაიკვეხნა. მოსმენილი მეტისმეტად კარგი იყო იმისთვის, რომ სიმართლე ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, წიგნი ფართო ტირაჟით გამოვიდოდა მთელს ქვეყანაში.

და მაინც, რედაქტორთან ლაპარაკის დასრულების შემდეგ გულში მოუსვენრობა ვიგრძენი. საუბარმა ჩემს სულში რაღაც არასასიამოვნო აღძრა. მომდევნო დილას ვილოცე და მკაფიოდ ვიგრძენი ღვთის ნათქვამი: „ნუ მიიღებ მათ შემოთავაზებას!“

ამ საკითხზე ლიზას დაველაპარაკე. ცოტაოდენი მსჯელობის შემდეგ ისიც დამეთანხმა, რომ მაცდუნებელი წინადადების მიუხედავად, გულში ყოყმანის განცდა ჰქონდა.

მოგვიანებით, იმავე დღეს ლიზამ მითხრა: „ძვირფასო, რაღაც კარგი განწყობა არ მაქვს გულში, როცა ამ საკითხზე ვლოცულობ!“ ამ მომენტისთვის უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ შემოთავაზებას აღარ მივიღებდი.

მეორე დღეს რედაქტორმა ისევ დარეკა. მიუხედავად იმისა, რომ ღვთის ნება უკვე ვიცოდი, მაინც მინდოდა მომესმინა, რას მეტყოდნენ. იმ დროისთვის ამას ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ საუბრის გაგრძელების სურვილი პრობლემის არსებობის მაუწყებელი იყო. რატომ არ აღმოჩნდა ჩემთვის საკმარისი მარტივად დამორჩილება? რატომ ვუსმენდი მის არგუმენტებს წიგნის გამოქვეყნების შესახებ? იქნებ ეს ყველაფერი ჩემი გულის არასწორ სურვილს კვებავდა? ნუთუ ჩემმა ეგომ დიდი დარტყმა მიიღო?

რედაქტორმა ხალისით განმიცხადა კომპანიის თანხმობა ჩემი წიგნის გამოცემის თაობაზე. მან დაიჟინა, რომ წიგნში განხილული საკითხები საჭირო იყო და ღვთის სიტყვას წარ-

მოადგენდა მთელი ერისთვის. მათი გამომცემლობა საუკეთესო დისტრიბუტორებთან მუშაობდა და ადვილად შეძლებდა ჩემი წიგნის შეტანას ყველა ქრისტიანულ და მრავალ საერო წიგნების მაღაზიაში ქვეყნის მასშტაბით. მან სხვა უცნობი ავტორები დამისახელა, რომელთა წიგნებიც ახლა მთელს ამერიკაში გავრცელდა. ისინი ცნობილი მქადაგებლები გახდნენ, რომლებსაც კონფერენციებზე იწვევენ. რედაქტორი ამტკიცებდა, რომ ეს ყველაფერი მისი კომპანიის გავლენამ განაპირობა.

ეს კაცი ყოველდღე მირეკავდა მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში, რადგან მისთვის კატეგორიული უარი არ მითქვამს. რაც უფრო მეტად ვუსმენდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მის კომპანიაში წიგნის გამოცემა გონივრული იყო. და აი, დადგა დრო, როცა გულში არავითარი გაფრთხილება აღარ ისმოდა. სულიწმიდის ხმა მიჩუმდა. ადამიანის პირმოთნეობასა და მტკიცებულებებს ამ საკითხზე ღვთის მითითების ჩახშობის საშუალება მივეცი. უბრალოდ რომ ვთქვა, გარჩევის უნარი დავკარგე.

გამ. 23:8 ამბობს: „ქრთამი თვალხილულებს აბრმავებს“. მლიქვნელობა ქრთამის ნაირსახეობაა და მან დამაბრმავა. შესაძლებლობა და სიუხვე უფლის შიშს ვამჯობინე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცოლი მკაცრად მაფრთხილებდა და მეწინააღმდეგებოდა, კონტრაქტი მაინც დავდეთ და მყისვე დაიწყო ყოველგვარი სახის პრობლემა.

იმ დროისთვის მე და ლიზას უკვე თერთმეტი წლის ოჯახი გვქონდა. შიგადაშიგ მისგან ასეთ სიტყვებს ვისმენდი: „ჩანს, შენ ავად არასოდეს ხდები!“ ეს მართლაც ასე იყო. იშვიათად თუ შემხვდებოდა ვირუსი და მაშინაც უქეიფობა სულ რაღაც ოცდაოთხი საათი გრძელდებოდა. კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან კი ავადმყოფობას ვებრძოდი და ვერაფრით დავძლიე.

ყველაფერი გრიპით დაიწყო, რაც ჩემი ზრდასრული ცხოვრების მანძილზე მეორე შემთხვევა გახლდათ. ის-ის იყო განვიკურნე, რომ ვირუსი შემხვდა. მე და ლიზა ქალაქიდან გასული ვიყავით ქორწინების წლისთავის აღსანიშნავად და მთელი ეს ხანი მაღალ ტემპერატურას ვებრძოდი. სიცხე მეორე კვირასაც გაგრძელდა. მაშინ ერთ ეკლესიაში ვქადაგებდი. ყოველი მსახურების შემდეგ სასწრაფოდ გავრბოდი სასტუმროს ნომერში და ლოგინში ჩაწოლილი გადასაფარებლების ქვეშ ვკანკალებდი.

სიცხე მესამე კვირას დამეწია და ამის დაჯერება შეუძლებლად მიგვაჩნდა. ავადმყოფობასთან ამდენი ხანი არასდროს მი-

ბრძოლია. ძლიერმა ანტიბიოტიკებმა, როგორც იქნა, ვირუსი მომაშორა, მაგრამ მკურნალობის კურსის ჩათავებიდან ერთ კვირაში საშინლად გავცივდი. საცოდავ დღეში ჩავვარდი. ყელი მტკიოდა, თავს ვეღარ ვწევდი და სხვა ბევრი გამაღიზიანებელი სიმპტომიც მაწუხებდა. ავადმყოფობა ძალიან გაიწელა.

გაციებამ გამიარა, მაგრამ ორ კვირაზე ნაკლები დროის შემდეგ მუხლი ვიტკინე. დაზიანება იმდენად მძიმე იყო, რომ თაბაშირი დამადეს და რამდენიმე კვირა ყავარჯნებით დავკინკილებდი. თითქოს ეს საკმარისი არ ყოფილიყოს, კიდევ ერთი ვირუსი შემხვდა. ავადობისა და დაზიანებების ციკლი სამ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ლიზას არაფერი დამართნია.

ამ ყველაფრის ფონზე ჩვენს გამომცემელთან დიდი ორთაბრძოლა გვქონდა. ჩანდა, რომ ვერც ერთ საკითხში ვერ ვთანხმდებოდით. ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა და პროექტი წინ საერთოდ არ მიიწევდა.

უფრო მეტიც, ბევრი ისეთი პრობლემა დაგვატყდა, რომელთა მოგვარებაც ჩვენს ძალებს აღემატებოდა. ცხოვრება უკიდურესად გართულდა იმ სამი თვის განმავლობაში. ასეთი შემთხვევის გამო ხომ არ დაწერა დავითმა: „ვცდებოდი, ვიდრე დავისაჯე; ახლა კი შენს სიტყვას ვიცავ!“? (ფს. 119:67).

ღმერთმა დიდი მოწყალება გამოიჩინა ამ შემთხვევაში და ჩემი შეცდომის დანახვის უფლება მომცა. მსახურებაში წარმატება მის მორჩილებაზე წინ დავაყენე. ვაღიარე ჩემი შეცდომა ღვთისა და ჩემი ცოლის წინაშე. ცოდვა მეპატია და განვიწმიდე. მისი წყალობა საოცარია!

მიუხედავად ამისა, ისევ ხაფანგში ვიყავი გაბმული. გამომცემელთან კონტრაქტის გაუქმება მხოლოდ სასწაულს თუ შეეძლო. მე და ლიზამ ერთმანეთს ხელები ჩავჭიდეთ და ღმერთს ჩარევა ვთხოვეთ.

რამდენიმე კვირის შემდეგ გამომცემელმა მოგვწერა და გვითხრა, რომ კონტრაქტს აუქმებდა. შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ ეს ყველაფერი ძვირად დამიჯდა: ღვთიური სასჯელის გამო ჩვენმა ხარჯებმა 4.000 $-ს გადააჭარბა. ეს წარმოუდგენელი თანხა იყო ახალგაზრდა მსახურისთვის – ფაქტობრივად, ნახევარი თვის ბიუჯეტის ტოლფასი.

ღვთიური შესაძლებლობა

რამდენიმე თვის შემდეგ ერთმა მეგობარმა, სახელად სკოტმა, ლანჩზე დამპატიჟა: „ჯონ, მინდა ერთ ჩემს მეგობარს შეხვდე!“ მე დავეთანხმე.

რესტორანში სკოტმა მეგობართან წარმადგინა. მისი სახელი იყო ჯონი. აღმოჩნდა, რომ იგი ცნობილი გამომცემლობის ხელმძღვანელი გახლდათ. ერთმანეთის გაცნობისთვის საჭირო ჩვეულებრივი დიალოგის შემდეგ, შუა სადილობისას, ჯონი დაინტერესდა, რა საკითხზე ვფიქრობდი ბოლო ხანებში. ამ კითხვის გაგონებაზე ლუკმა ყელში გამეჩხირა.

მათ ვუამბე წყენის თემაზე. სკოტსა და ჯონს დიდი აღმაფრენით ველაპარაკებოდი დაახლოებით თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

რაღაც მომენტში ჯონმა შემაწყვეტინა:

– მინდა იცოდე, რომ ამ წიგნის გამოქვეყნებას ვერ შევძლებთ, რადგან წელიწადში მხოლოდ ოცდაოთხ წიგნს ვბეჭდავთ და ისინიც ცნობილ ავტორებს ან პასტორებს ეკუთვნით.

– მის გამოქვეყნებას არც გთხოვთ, – ვუპასუხე მე, – უბრალოდ, კითხვაზე გპასუხობთ, თუ რა თემას ვეხები ამ ბოლო ხანებში.

– რასაკვირველია, მითხრა მან, – გთხოვთ, განაგრძეთ!

კიდევ ვილაპარაკე ხუთი თუ ათი წუთის მანძილზე, თუ რა საშიშია წყენის ხაფანგში მოხვედრა.

როცა დავასრულე, ჯონმა მთხოვა:

– შეგიძლიათ, ხელნაწერი მომცეთ?

გამიკვირდა და შევეპასუხე:

– მეგონა, არ შეგეძლოთ მისი გამოქვეყნება.

– ეს საკითხი უნდა გაშუქდეს და შევეცდები ჩვენი მფლობელი ამაში დავარწმუნო.

გამომცემლობამ წიგნი მოიწონა და მას სახელად *„სატანის სატყუარა“* ეწოდა. იმ დროიდან მოყოლებული, წიგნი მსოფლიო ბესტსელერად იქცა. დაწერის მომენტისთვის მილიონ ეგზემპლარზე მეტი გაიყიდა და სამოცზე მეტ ენაზე ითარგმნა.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა მეორე გამომცემელმა დამირეკა და მითხრა, რომ ნამდვილად უნდოდათ ხელნაწერი და კონტრაქტისთვისაც მზად იყვნენ. ტელეფონზე ლაპარაკს რომ მოვრჩი, ლოცვას შევუდექი და გულში მკაფიოდ გავიგონე ღვთის ხმა: „წინა გამომცემლობასთან მუშაობა შენი იდეა იყო. ეს გამომცემლობა ჩემი იდეაა“.

ამ გამოცდილებამ ნათლად დამანახა განსხვავება კარგსა და ღვთის ნებას შორის. და როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, კარგი ვარიანტი პირველი ჩნდება. ღვთიური შესაძლებლობა მოგვიანებით მოვიდა. იგივე მოხდა აბრაჰამისა და სარას შემთხვევაშიც: ისმაელი პირველი დაიბადა და შემდეგ გაჩნდა ისაკი.

ღვთის შიშის მოწმობა

რამ განაპირობა, რომ არასწორი გადაწყვეტილება მივიღე პირველი გამომცემლის შემთხვევაში? გულწრფელი პასუხია, რომ ყურადღებას სიუხვეზე ვამახვილებდი, სათქმელის მრავალ ადამიანთან მიტანაზე, და არა – უფლის შიშზე. ამან კარი გაუხსნა ლოგიკასა და მოსალოდნელ წარმატებას და გადაფარა და გააჩუმა ის, რასაც ღმერთი გულში მიხსნიდა.

მორჩილება ღვთის ჭეშმარიტი შიშის გარეგნული გამოხატულებაა. როცა ღვთის შიში გვაქვს ...

- დაუყოვნებლივ ვემორჩილებით;
- ვემორჩილებით მაშინაც კი, როცა ეს უაზროდ გვეჩვენება;
- ვემორჩილებით მაშინაც კი, როცა ეს მტკივნეულია;
- ვემორჩილებით მაშინაც, როცა სარგებელს ვერ ვხედავთ;
- ვემორჩილებით დასრულებამდე.

აბრაჰამის მოქმედებებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მან ყველა ეს კრიტერიუმი დააკმაყოფილა. მოდი, ცხადად წარმოვიდგინოთ მისი დიდი გამოცდა!

ერთ საღამოს ღმერთმა აბრაჰამს ძის, ისაკის შემოწირვა უბრძანა. ხომ სწორად ესმის ყველაფერი? ცუდი სიზმარი ხომ არ ნახა? *შეუძლებელია! ეს როგორ უნდა მოხდეს?! მიყვარს ჩემი შვილი. არ შემიძლია სასიკვდილოდ გავიმეტო! მისი მხრიდან მეფეები და ერები უნდა წარმოიშვან. როგორ შესრულდება ეს აღთქმა, თუ მას მოვკლავ?!*

აბრაჰამი მოთქვამს: „რა! როგორ შეგეძლო ამის თქმა? ხომ დამპირდი, რომ მისი მხრიდან ერები წარმოიშობოდნენ?!“ ღვთის პასუხი არ ისმის. მხოლოდ სიჩუმეა.

აბრაჰამის შინაგანს ემოციების მთელი გამა მოიცავს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იყო ის ღამე, როცა გულიანად გძინავს. რამდენ ჩვენგანს გვიფიქრია ღვთის მითითებაზე რამდენიმე კვირა, თვე და წლებიც კი და საბოლოოდ, თავი დაგვირწმუნებია, რომ ეს გონივრული არ იყო?

აბრაჰამი სხვანაირია. ჩვენ ვკითხულობთ: „ადგა აბრაჰამი დილაადრიანად, შეკაზმა სახედარი“ (დაბ. 22:3). იგი *დაუყოვნებლივ* ემორჩილება ღმერთს.

ოდესმე გინახავთ ადამიანი, რომელიც უზურნველად ყვება, „ღმერთი ამაზე რამდენიმე თვის განმავლობაში მელაპარაკებოდა“ და იცინის? ტრაგედიაა, როცა ამაზე დაფიქრდები, რადგან ისინი ღვთის შიშის ნაკლებობით იკვეხნიან.

ღმერთი აბრაჰამს მისი ცხოვრების უდიდესი აღთქმის მსხვერპლად გაღებას სთხოვს, რომელსაც 25 წელი ელოდა და თან არავითარ ახსნა-განმარტებას არ აძლევს. *აბრაჰამისთვის* ისაკის შეწირვა *ყოველგვარ აზრს მოკლებულია,* მაგრამ მაინც ემორჩილება.

პატარა შვილის მსხვერპლად შეწირვის აზრი მეტისმეტად *მტკივნეულია*. ეს მწარე გრძნობა აბრაჰამის გულს ღრღნის მოგზაურობის სამი დღის განმავლობაში. ამის გაკეთება შედარებით ადვილი იქნებოდა ღვთის ხმის გაგონებისთანავე, მაგრამ ზეცის სიჩუმეში გასული ყოველი დღე ტკივილს უფრო ამძაფრებს. შინაგანი ჭიდილი პიკს აღწევს, როცა აბრაჰამი და მისი საყვარელი ძე სამსხვერპლოს აგებენ. და მაინც, აბრაჰამი ემორჩილება.

ყოვლადძლიერს მისთვის არ უთქვამს, რომ დამორჩილების შემთხვევაში ძის სანაცვლო მსხვერპლს გამოაჩენდა. აბრაჰამს, ჩემგან და თქვენგან განსხვავებით, არ ჰქონდა დაბადების წიგნი წასაკითხად და არც ამ საქმის ბოლო იცოდა. იგი არავითარ *მოგებას* არ მოელის ბრძანების შესრულებით და მაინც ემორჩილება.

დღეს ყველაფერი სხვაგვარად ხდება. რამდენ ადამიანს სჭირდება მორჩილების სარგებლის დანახვა მანამ, სანამ რეალურად დაემორჩილებოდეს! ჩვენ, მასწავლებლები ხშირად ვაჩქარებთ ჩვენს სათქმელს, რომ ხალხს სასწრაფოდ დავანახოთ ღვთის მორჩილების სარგებელი. ჩვენ, ავტორები, წიგნის წინასიტყვაობას მკითხველის პირადი სარგებლის შესახებ ინფორმაციას თუ არ დავურთავთ სათაურში ან ქვესათაურში, იგი არ გაიყიდება.

საბოლოოდ, აბრაჰამმა გაიარა მთელი გზა: იგი მთაზე ავიდა, სამსხვერპლო ააგო, ისაკი გაკოჭა და მზად არის საყვარელი შვილისთვის დანის დასაკრავად. იგი *დასრულებამდე* ემორჩილება.

დანა უკვე ისაკის თავზე ჰკიდია და მოულოდნელად, ანგელოზი ჩნდება შეძახილით: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყრმაზე, ნურაფერს დაუშავებ, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ!“ (დაბ. 22:12).

როგორ გაიგო ანგელოზმა, რომ აბრაჰამი ღვთის მორჩილი იყო? იქედან, რომ აბრაჰამი დაუყოვნებლივ დამორჩილდა, როცა ბრძანების აზრი არ ესმოდა, როცა მტკივნეული იყო და მოგების მოლოდინის გარეშე სავალი ბოლომდე გაიარა. იგი ძალზე მდიდარი კაცი იყო, მაგრამ მისთვის ყველაფერზე

ძვირფასი შვილი გახლდათ. აბრაჰამისთვის სიმდიდრეზე მნიშვნელოვანს და უპირატესს ღვთისადმი მორჩილება წარმოადგენდა.

ღვთის შიში სიუხვის, რესურსებისა და სიმდიდრისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების ქონასა და სწორად გამოყენებაში გვეხმარება. სწორედ ამაზე მეტყველებს წერილი, როცა აცხადებს: „უფლის კურთხევაა, რომ ამდიდრებს და დარდი არ მოჰყვება მას“ (იგ. 10:22).

ბრიყვული მიდგომა

თუ იესოს მოწაფე იუდას და აბრაჰამს შევადარებთ, უზარმაზარ განსხვავებას დავინახავთ. იუდა მოხერხებულად უგულებელყოფდა ჭეშმარიტებას, თუ ამით სარგებლის მიღებას მოელოდა. იგი მსახურების ხაზინიდან ფულს ითვისებდა, ცრუობდა, გაყიდა წინამძღოლი, არ ზრუნავდა ღარიბებზე და თვალთმაქცობდა (იხ. მათ. 26:25,49 და იოან. 12:6; 13:2). მისი განსჯის უნარი ბურუსით იყო მოცული. იმის გამო, რომ ღვთის შიში აკლდა, სწორისა და მცდარის, კეთილისა და ბოროტის გარჩევა არ შეეძლო.

ერთ დღეს მდიდარმა ქალმა იესოს მთელი ჭურჭელი ნელსაცხებელი დაასხა. აღშფოთებულმა იუდამ არ დამალა და ხმამაღლა განაცხადა მისი აზრი ქალის „ბრიყვულ“ საქციელზე. „ის ნელსაცხებელი ერთი წლის ჯამაგირის ტოლფასი იყო. შეიძლებოდა მისი გაყიდვა და ღარიბებისთვის დარიგება“ – განაცხადა მან (იხ. მარკ. 14:6,9). მისი შენიშვნა ლოგიკური და დამარწმუნებელი გახლდათ, რამაც სხვა მოწაფეებზეც მოახდინა გავლენა. ისინიც მას შეუერთდნენ და ქალის საქციელი დაგმეს.

იესომ იუდას ზეგავლენა შეასწორა შემდეგი განცხადებით: „თავი გაანებეთ, რატომ კიცხავთ? მან სიკეთე მიყო ... იმასაც იტყვიან, რაც მან გააკეთა, მისივე მოსაგონებლად“ (მარკ. 14:6,9). იესომ ქალის საქციელს *კარგი* და *დასამახსოვრებელი* უწოდა; იუდამ კი გაკიცხა ის, როგორც *ცუდი* და *დროებითი*. მისი გარჩევის უნარი დამახინჯებული გახლდათ. იგი ღვთის გულისცემასთან თანხმობაში არ იყო.

დააკვირდით მომდევნო მუხლს:

> „წავიდა იუდა ისკარიოტელი, ერთი იმ თორმეტთაგანი, მღვდელმთავრებთან, რათა გაეცა იგი“. (მარკ. 14:10)

ჩალის ღერმა აქლემს ზურგი ჩაუმტვრია (ან მისი მოთმინების ფიალა აივსო). იუდამ ეს გააკეთა. მას ყელში ამოუვიდა იესოს წინამძღოლობის სტრატეგია. იგი გალილეველ კაცს მიჰყვებოდა და მისგან დავითის ტახტის აღდგენას მოელოდა. ესაია წინასწარმეტყველის თანახმად, მესიას მარადიულად უნდა ემართა. სამი წელი გავიდა და რას ელოდებოდა იესო? თუ იგი სამეფოს ააღორძინებდა, იუდა – მისი ერთ-ერთი მთავარი წინამძღოლი და ხაზინადარი, საპატიო ადგილს დაიკავებდა და სიმდიდრისა და ძალაუფლების მფლობელი გახდებოდა.

იუდა, ალბათ, ასე ფიქრობდა: „*ამ პროცესს დავაჩქარებ. მეტი ლოდინი აღარ შემიძლია. ჩემი ძალაუფლების, გავლენისა და სიმდიდრის ადგილი მჭირდება. საკმარისად ვიწვნიე დაცინვა და დევნა მთავართაგან. მეტად აღარ მინდა გადარეულის კომპანიონად ჩამთვალონ. თუ მას წინამძღოლებს გადავცემ, მოუწევს ძალაუფლების გამოვლინება და თავისი სამეფოს დაფუძნება. შემდეგ კი ჩემს საპატიო ადგილს მივიღებ*“.

შესაძლოა, იუდას მოტივების ჩემეულმა ინტერპრეტაციამ თქვენში კითხვები წარმოშვას. და მაინც, ვფიქრობ, რომ ეს სრულიად შესაძლებელია. იუდა მუდამ ხედავდა, როგორ განკურნა იესომ ავადმყოფები, დააცხრო ქარიშხალი, აღადგინა მკვდრები, დაწყევლა ლეღვის ხე, ბრმებს თვალი აუხილა, ყრუებს სმენა დაუბრუნა და მრავალი სხვა. იუდას ესმოდა, რამდენად ხშირად ლაპარაკობდა იესო ღვთის სამეფოზე. მან მოისმინა პეტრესა და სხვათა აღიარება, შეძახილებიც კი, რომ იესო მესია იყო. მის სიდიადეს იგი ყოველდღე ხედავდა.

მიუხედავად ამისა, იესოს სასიკვდილო განაჩენმა იუდა მიახვედრა, რომ არასწორი დასკვნა გამოიტანა, ინანა თავის მოქმედებები და თავი ჩამოიხრჩო. მისმა სამოქმედო გეგმამ ვერ გამოიღო ის შედეგი, რაც მის გულს ეწადა.

ეს ორი ადამიანი, აბრაჰამი და იუდა, ღვთის მოშიშებსა და მის უგულებელმყოფელთა შორის განსხვავების ნათელი მაგალითია. ერთს ჰქონდა გარჩევის უნარი, მეორე კი ტყუილში ცხოვრობდა. მათი პიროვნული არჩევანი მათივე გულისნადებს ასახავდა. ამ ორი ადამიანისთვის შედეგებიც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. ორივე მათგანი ახსოვთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო.

ყველა ჩვენგანი ვემახსოვრებით. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან მარადიული ქმნილებები ვართ. მთავარია, საკუთარ თავს კითხვა დავუსვათ: როგორ გვინდა დაგვიმახსოვრონ ადამიანებმა? ღვთის მიმართ მოშიშება გადამწყვეტი იქნება ამ კითხვაზე საპასუხოდ.

ყოველივეს დასკვნა

ჩვენ სუფთა გული გვჭირდება საღი და არაბუნდოვანი განსჯისთვის. შედეგად, როცა იმის გარჩევის ჯერი დადგება, რაიმე მცდელობა ღვთივშთაგონებულია თუ დროებითი სიკეთის სახეს ატარებს, არ შევცდებით. მაშინ ბრძნულ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი მეუღლეების, ირგვლივ მყოფი ადამიანების, ახლო მეგობრების, კარიერის, შესაძლებლობების, კაპიტალდაბანდებების, ბავშვების აღზრდის გზების, ეკლესიების შესახებ, სადაც დავდივართ, განათლების შესახებ, რომელსაც ვიღებთ და უამრავი სხვა საკითხის ირგვლივ გადაწყვეტილების მიღებისას.

როცა სოლომონი ცხოვრების წლების დასასრულს მიუახლოვდა, საოცარი სიდიადისა და კიდევ უფრო დიდი დაცემის შემდეგ აღმოთქვა: „ისმინე ყოველივე ამის დასკვნა: გეშინოდეს ღვთისა და დაიცავი მისი მცნებანი, რადგან ეს არის უმთავრესი ყველა ადამიანისთვის; რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს – კარგი იქნება ეს, თუ ცუდი!“ (ეკლ. 12:13-14).

სოლომონს გონება დაებინდა, დაკარგა გარჩევის უნარი და მეტად აღარ შეეძლო ნამდვილად კარგის დანახვა. ღმერთი ამაზე დაკვირვების საშუალებას გვაძლევს ეკლესიასტეს წიგნის მეშვეობით. კარგი ამბავი ის არის, რომ მასში სოლომონის საღ აზრზე დაბრუნების მოწმეები ვხდებით. მან გააცნობიერა, რომ ცხოვრებაში არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ღვთის შიშის შენარჩუნება. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს არის ყოველივეს დასკვნა“.

ამრიგად, ჩემო მეგობარო, თუ გსურს საგნები ისე აღიქვა, როგორადაც ღმერთი ხედავს მათ, ჩაწვდე და შეიძინო უმაღლესი სიბრძნე, აირჩიე უფლის შიში და ამ გადაწყვეტილებას არასოდეს ინანებ!

16

საერთო სურათი

„როგორც შენ მომავლინე წუთისოფელში,
მეც ასევე მივავლინე ისინი წუთისოფელში“.
იოან. 17:18

„ადამიანისთვის განსაზღვრული ხვედრი
არ არის არც ბედნიერება და არც
ჯანმრთელობა, არამედ სიწმიდე“.
ოსვალდ ჩემბერსი

ადი, უკან დავიხიოთ და საერთო სურათს გადავხედოთ! ღმერთს დიდად უყვარხართ და ძვირფასი ხართ მის თვალში. მას თქვენთვის საუკეთესო სურს. ღვთისგან მოსული ყველაფერი კარგია. და მაინც, არსებობს კარგი რამეები ჩვენს ცხოვრებაში, რომლებიც ხელს გვიშლის ღვთისგან საუკეთესოს მიღებაში. ყველა ჩვენგანს სურს საუკეთესო, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა ყოველთვის გარკვეული როდია. მის ამოსაცნობად საჭიროა გარჩევის უნარის ქონა.

დედამიწაზე ცხოვრებისას ღვთის გარდა კიდევ არსებობს ვიღაც, ვისთანაც საქმე გვაქვს – ჩვენი მტერი, სატანა. მას სურს დაგვაზიანოს და ამით გული მოუკლას მის მთავარ სამიზნეს, ღმერთს, რომელსაც ვუყვარვართ. წმ. წერილი აცხადებს, რომ მტერი „ნათლის ანგელოზის სახეს იღებს“. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „მისი მსახურებიც სიმართლის მსახურთა სახეს ღებულობენ“ (2 კორ. 11:14-15).

დასასრულს, უამრავი კარგი ვარიანტი და გზა ჩნდება, მაგრამ მათი ბოლო მწუხარება, ტანჯვა, დანაკარგი და სიკვდილია (იხ. იგ. 14:12). იფიქრეთ ამაზე: ჩვენი მტერი, მისი მსახურები და მისი გზები – საბოლოო ჯამში, ჩვენს სიკვდილს ესწაფიან და ამისთვის *კარგის* სახეს იღებენ. წმ. წერილი არ ამბობს, რომ შესაძლებელია, მათ რაღაც სახე *მიიღონ* – ისინი

ასეთ სახეს *იღებენ*. ეს არასოდეს გამოგეპაროთ: მართლაც სახიფათო რამ ყოველთვის ცხადი ბოროტების სახით როდი გვევლინება. პირიქით, ის კარგის ფასადით ინიღბება.

ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე ჩვენი მტერი ეკლესიის განადგურებას ლამობდა. მორწმუნეებს დევნიდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ. რაც უფრო მეტად ცდილობდა მტერი ღვთის ერის მოსპობას, მით უფრო ძლიერი ხდებოდა ეკლესია. სატანა სულელი არ არის. ფაქტობრივად, ის საკმაოდ გამჭრიახია, ამიტომ დაასკვნა, რომ ღვთის ერის გასანადგურებლად უმჯობესი იქნებოდა მათთვის კარგი ცხოვრების შეთავაზება ღვთიური სიბრძნის გარეშე. ეს არსებითად იგივე სტრატეგია გახლდათ, რომელიც მან ედემის ბაღში გამოიყენა.

ახლა, სატანის შემპარავი ტაქტიკური მანევრირების მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ, ალბათ, უფრო უკეთ დაგვანახა მისი ეფექტურობა და ამიტომაც აღმოვაჩინეთ ჩვენი თავი ამ ადგილზე, სადაც რეალური ჭეშმარიტების ნაცვლად მის *ვარიაციებს* ვიღებთ, რომლებიც კარგი და მოსახერხებელი გვეჩვენება. ხმამაღლა ვაცხადებთ იესოს სიკეთესა და მისი როგორც მხსნელის როლზე (რაც ნამდვილად ჭეშმარიტებაა), მაგრამ მისი უფლობის ფასეულობას, ძალასა და მასშტაბს, ასევე ჩვენს ცხოვრებაზე მის ზეგავლენას ვაკნინებთ. ღვთის უზენაესობა და მასთან ყოფნის უფლება მივიღეთ, მაგრამ წმინდად ცხოვრების გზაზე მისი მცნებების რწმენისა და მორჩილების პასუხისმგებლობა უგულებელვყავით. ჩვენი ქცევისა და ცხოვრების წესის სიწმიდე უადგილო გახდა ჩვენ მიერ შექმნილი „კარგი“ დოქტრინების ფონზე.

ბევრი მორწმუნე ქრისტიანულ გზაზე სიარულისას გამრავლების და სიუხვეში ცხოვრების ნაცვლად ძლივს ინარჩუნებს იმას, რაც აქვს. არსებითად, ღვთის სიტყვის, როგორც საბოლოო ავტორიტეტის ყოვლისმომცველი რჩევა უარვყავით, რაც ზეცის მიერ ჩვენთვის განზრახულს მოგვცემდა და საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობილი თეოლოგია ჩამოვაყალიბეთ, რომელიც და წმ. წერილის იზოლირებული მონაკვეთებით არის გამაგრებული.

ამ ტენდენციის მოშლა შესაძლებელი და აუცილებელია. დადგა დრო, რომ კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ წმ. წერილის სიღრმეებს და სულიწმიდას წრფელად ვთხოვოთ ხელმძღვანელობა ჭეშმარიტების შემეცნებაში. საჭირო აღარ არის, რომ ბიბლიაში ის ამოვიკითხოთ, რაშიც უკვე დაჯერებული ვართ. იგი ხალასი გულით, გახსნილი გონებითა და რწმენით

უნდა ვიკითხოთ და სულიწმიდას ვთხოვოთ მისი გაცხადება და ყოველგვარი წინასწარ ჩანერგილი შეხედულებების მოშორება.

ეკლესიის წინამძღოლო! შეგაგონებ, რომ ღვთის სრული სიტყვა ასწავლო! დარწმუნდი, არის თუ არა შენი უმთავრესი მოტივი ჭეშმარიტებით სამწყსოს გამოკვება და დაღუპული სულების ქრისტესთვის მოპოვება სრული ბიბლიური სიტყვის საფუძველზე დიდი ოდენობით მიმდევართა შემოკრების ნაცვლად. თუ აქამდე ეკლესიაში ერთხელ მოსული ადამიანების მეორე კვირის მსახურებაზე დაბრუნებისთვის ქადაგებდი, სულიწმიდას პატიება სთხოვე და ღვთის სამწყსოს ჭეშმარიტებით გამოზრდის მთავარ სტრატეგიას დაუბრუნდი. დარჩი შესაფერისი, ცოცხალი და ნოვატორული *მეთოდების* გამოყენებაში, მაგრამ იქადაგე მარადიული ჭეშმარიტებები!

მორწმუნევ! სანამდეც არ უნდა წვდებოდეს შენი გავლენა, იქნება ეს საკლასო ოთახი, ლაბორატორია, ოფისი, მინდორი, სახლი თუ ბაზარი, სიყვარულით სავსე გულით იცხოვრე და ილაპარაკე ჭეშმარიტება სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას! დაე, იქონიონ მოკრძალება და განაცხადონ, რომ შენში იესოს ხედავენ! დაე, განიცადონ მისი თანდასწრება შენს ცხოვრებაში. თუ ნამდვილი სიწმიდის მაძიებელი იქნები, ღვთის დიდებულებას გამოასხივებ.

თუ ქრისტეს მცნებების თანახმად არ ვცხოვრობთ, მის თანდასწრებას ავცდებით და იგი ქვეყნიერებას არ გაეცხადება ეკლესიის მეშვეობით. გულახდილად რომ ვთქვათ, გავიტანჯებით. უფრო მეტიც, არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი საზოგადოების წევრებიც დაიტაჯებიან. უპირველესად, იესოს გამოცხადება არ მოხდება და ურწმუნო ადამიანებს არ ექნებათ იმ ერთადერთის თანდასწრებასთან შეხების საშუალება, რომელსაც მათი დაკმაყოფილება შეუძლია. მეორე, რწმენაში თანამოძმეები გახსნილი იქნებიან დათმობაზე წასვლად წოდებული გადამდები დაავადებისთვის, რომელსაც ღვთის თანდასწრებისა და გულისგან ადამიანის ჩამოშორების დიდი პოტენციალი გააჩნია.

იესომ თქვა: „ჩემს თავს განვწმედ მათთვის“ (იოან. 17:19). მან სწორედ გარშემო მყოფი ადამიანების გულისთვის განიწმიდა თავი, რომ მამა ღმერთს დამორჩილებოდა. ასე მოქცევის მთავარი მოტივი მუხლის დარჩენილ ნაწილში ჩანს: „რათა ისინიც განწმედილნი იყვნენ ჭეშმარიტებით“.

ქრისტეს მეორედ მოსვლამდე მე და თქვენ ვართ ერთადერთი იესო, რომელსაც ქვეყნიერება იხილავს. მოდი, მათ

ჭეშმარიტი იესო ვაჩვენოთ და არა ფიქტიური, ძალაგამოცლილი უფალი! ნუ დავკმაყოფილდებით საუკეთესოზე ნაკლებით. მივიღოთ ჭეშმარიტება და შეურყეველი, სიყვარულით სავსე მორჩილების კეთილი ნაყოფი ვიგემოთ!

დიდხანს იცხოვრეთ, სიწმიდეს მისდიეთ და წარმატებული იყავით თქვენს ძალისხმევაში! ასე მოქცევით სხვა ადამიანთა ცხოვრებას შეცვლით.

ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან
და უბიწონი წარგადგინოთ
თავისი დიდების წინაშე სიხარულით,
ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს
ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,
დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება
ყოველთა საუკუნეთა უწინარეს,
და ახლა და უკუნითი უკუნისამდე.
ამინ! (იუდ. 24-25)

ძვირფასო მეგობარო,

„სიკეთე თუ ღმერთი?“ წიგნზე უფრო მეტია. ეს გახლავთ სიტყვა, რომელსაც ადამიანებში სიწმიდისკენ სწრაფვის მოძრაობასთან დამაკავშირებელი მოტივაციის აღძვრა შეუძლია. ახლა თქვენ იცით, რამდენად უხვი შეიძლება იყოს იესოს უფლობის ქვეშ ყოფნა და მისი მადლის ქვეშ ცხოვრება. მინდა აღგჭურვოთ, რომ ეს გამოცხადება თქვენი გავლენის სფეროში გაავრცელოთ.

ამ მოძრაობაში ჩართვა თქვენი მეგობრების, ოჯახის და საზოგადოებისთვის წიგნში ნასწავლის გადაცემით შეგიძლიათ. პავლეს, მხოლოდ ერთი კაცის მიერ ადამიანთა მცირე ჯგუფის სწავლება ერთ პატარა სკოლაში საკმარისი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით მათ მთელი აზია მოეცვათ სულ რაღაც ორ წელიწადში! ისინი ღვთის თანდასწრების მატარებლებად იქცნენ (იხ. საქმ. 19:1-10). რისი გაკეთება შეუძლია ღმერთს, როცა მის მიმართ სწრაფვას გავაერთიანებთ?

სათქმელის გაზიარების შესაძლებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს. მისი გამოყენება შეგიძლიათ:

- პატარა ჯგუფში შესწავლისას;
- ეკლესიის მასშტაბით სწავლებისას;
- საოფისე წიგნის კლუბისთვის;
- მსახურების სკოლის ჯგუფში;
- და ბევრ სხვა ადგილას!

ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან თქვენი საკუთარი იდეის გამოყენების შემთხვევაში ჩემი გუნდი მზად არის თქვენს მხარდასაჭერად. თქვენთვის ინდივიდუალურ გამოსავალს ვიპოვით სხვადასხვა რესურსებით, უფასო მასალებით და ა.შ. გარდა ამ წიგნისა, მოვამზადეთ ექვსგაკვეთილიანი *„სიკეთე თუ ღმერთის?“* სასწავლო პროგრამა აუდიო და ვიდეო გაკვეთილებით. ეს ყველაფერი თქვენი აღჭურვისთვის შევქმენით, რომ წიგნის სათქმელი თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების გულამდე მიიტანოთ.

მადლობას გიხდით, რომ ჩვენთან თანამშრომლობთ ღვთის სიტყვის ადამიანებისთვის გაზიარებაში ყველა ადგილას!

პატივისცემით,
ჯონ ბევირი

შესწავლა
და
სადისკუსიო
კითხვები

კვირა 1

წაიკითხეთ 1-3 თავი

ეს კვირა პირველ ვიდეოგაკვეთილს შეესაბამება

სადისკუსიო კითხვები

1. ევამ აკრძალული ხის ნაყოფის ჭამა გადაწყვიტა, რადგან ის *კარგი*, *საამური* და *მიმზიდველი* იყო. განმარტეთ ეს თვისებები. რას ნიშნავს ეს, როცა რაღაც საგანი კარგი გეჩვენება? საამური? მიმზიდველი? რა განსხვავებული გზებით გვაცდენს თითოეული მათგანი ღვთის მორჩილების გზიდან?
2. ედემის ბაღის მთელი ისტორია ერთი საგნის გარშემო ტრიალებს, რაც ღვთის ძალაუფლებამ აკრძალა. რას გვეუბნება ეს ნდომასა და ადამიანის ბუნებაზე? როგორ შეიძლება შევეწინააღმდეგოთ ღვთის მიერ აკრძალულის ნდომის ტენდენციას?
3. წიგნები, პოდკასტები, ბლოგები და სხვა დამხმარე საშუალებები, რომლებიც ღვთის შესახებ გვასწავლიან, ფასეული რესურსებია. და მაინც, გამოცხადებულ და გადაცემულ ცოდნას შორის განსხვავების დანახვა ცვლის თუ არა თქვენს შეხედულებას მათზე? თუ კი, როგორ?
4. მდიდარი ახალაზრდა მთავრის ამბიდან ვიგებთ შემდეგს: არსებობს განსხვავება ორ მოსაზრებას შორის, რომ ღმერთი *დაკავშირებულია* სიკეთესთან და ღმერთი თავად არის სიკეთის *წყარო*. როგორ შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ღმერთი არის სიკეთეზე ჩვენი შეხედულების წყარო?
5. რას ფიქრობთ ბიბლიის სიზუსტესა და ავტორიტეტზე? კიდევ ერთხელ წაიკითხეთ 2 ტიმ. 3:16. არსებობს თუ არა რაიმე შეუსაბამობა ამ მუხლის სწავლებასა და თქვენს რწმენას შორის? იმსჯელეთ ამ საკითხზე კვირის განმავლობაში ნასწავლის ფონზე.

საკითხავი

„ყველას მიმართ კეთილია უფალი“.
ფს. 145:9

სატანამ მზაკვრული ხერხით აცდუნა ევა ედემის ბაღში, რაც ჩვენთვის გამომაფხიზლებელი უნდა იყოს. ევა მოტყუვდა, რომ ღმერთმა მას რაღაც კარგი დაუმალა, თუმცა იგი იმედგაცრუებას არ ებრძოდა, არც რაიმე დანაკარგი განუცდია და ძალადობისგან რეაბილიტაციაც არ სჭირდებოდა. იგი სრულყოფილ გარემოში ცხოვრობდა, სადაც ზრუნვით იყო მოცული და ღმერთთან ყოველდღიური მოზიარეობა ჰქონდა.

ღვთის როგორც სიკეთის წყაროს აღქმა იწყება იმაში ურყევი რწმენით, რომ თავად ღმერთია კეთილი. ეს საკითხი ედემის ბაღშიც მწვავედ იდგა. დღეს კი უამრავ ფაქტორს ვხვდებით, რომლებიც ღვთის სიკეთეში ჩვენს რწმენას ემუქრება.

ევასგან განსხვავებით, თქვენ ნამდვილად გაქვთ იმედგაცრუების, დანაკარგის განცდის, ძალადობის, დაბნეულობის, ნაკლოვანების ან ტკივილის მიზეზები. ამ ფაქტორების ზეგავლენა ნაკლებად იგრძნობა, სანამ თქვენ სურვილსა და ღვთის მითითებას შორის კონფლიქტი არ წარმოიშობა. როცა ცდუნება მოდის, ნებისმიერი მოუგვარებელი მიზეზი ეჭვის საბაბს გაძლევთ და გონებაში გიტრიალებთ. გვაინტერესებს, რაიმე ხომ არ დაგვიმალა ღმერთმა და მისი გზებით საქმის კეთების სარგებელს ვეღარ ვხედავთ. მიუხედავად ამისა, გაიხსენეთ იგ. 14:12: „არის გზა, რომელიც სწორი ჩანს კაცის წინაშე, მისი ბოლო კი სიკვდილის გზაა“. ღვთის ნების გარეშე არაფერი არ მოგვიტანს ხანგრძლივ ცხოვრებას, სისრულეს ან კურთხევას, რაოდენ კარგიც არ უნდა ჩანდეს.

მოგიწოდებთ, რომ მომდევნო კვირის განმავლობაში გულწრფელად გაზარდოთ თქვენი რწმენა ღვთის სიკეთის მიმართ. სულიწმიდას სთხოვეთ, გაგახსენოთ ნებისმიერი მიზეზი, რის გამოც ღმერთს არ ენდობით ან არ ემორჩილებით. ამის შემდეგ იპოვეთ და აღიარეთ წმ. წერილის ადგილები, რომლებიც ღვთიურ ჭეშმარიტებას ავლენს თქვენი ვითარებისთვის. თავმდაბლობით მოიწვიეთ ღვთის სული მისი სიტყვით გონების განახლებისთვის. მისი ჭეშმარიტება თავისუფლებას მოგიტანთ!

იფიქრეთ!

„მადლობდეთ უფალს, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი“. (ფს. 107:1)

გამოიყენეთ!

როცა იესო ნავეს ძე და ისრაელი ერი აღთქმულ მიწაზე მივიდნენ, მდინარე იორდანეს გადალახვა მოუხდათ. მოსავლის აღების დრო იყო და იორდანე ნაპირებიდან გადმოდიოდა. ღვთის ჩარევით დინება შეჩერდა და ისრაელიანები იორდანეს მშრალ ფსკერზე გადავიდნენ. ამის შემდეგ, ღმერთმა იეშუას უთხრა, რომ იქვე აეგოთ სამახსოვრო ძეგლი იმის გასახსენებლად, თუ რა გაუკეთა ღმერთმა მათ.

გაცილებით ადვილია განსაცდელები დამახსოვრება, ვიდრე ყველა იმ სიკეთის, რაც უფალმა გააკეთა ჩვენს ცხოვრებაში. ამრიგად, ამ კვირიდან დავიწყოთ ღვთის სიკეთეთა სამახსოვრო ძეგლის შექმნა. იყიდეთ დღიური, დაიწყეთ შენიშვნების ჩაწერა ტელეფონში, შექმენით ხმოვანი ჩანაწერები ან იპოვეთ რაიმე სხვა საშუალება ყველა იმ მომენტის აღსაბეჭდად (დიდი იქნება თუ მცირე), რომლებიც ღვთის ერთგულებას დაგანახებთ. ეს ჩანაწერები გასამხნევებელ მოწმობებად იქცევა და თქვენს რწმენას აანთებს სირთულეების ან ეჭვების შემოტევისას, რომლებიც ღვთის სიკეთეში თქვენი რწმენის დანგრევას შეეცდებიან.

კვირა 2

წაიკითხეთ 4-5 თავები

ეს კვირა მეორე ვიდეოგაკვეთილს შეესაბამება

სადისკუსიო კითხვები

1. იმსჯელეთ განსხვავებაზე იესოს, როგორც უფლის მდგომარეობასა და მისი, როგორც მხსნელის ღვაწლს შორის. რამდენად შეესაბამება ეს თქვენ მიერ გაგონილს ან თქვენს რწმენას? საჭიროა თუ არა თქვენი შეხედულების ან ქცევის შეცვლა, რომ ის იესოს უფლობაზე ბიბლიურ სწავლებას შეესაბამებოდეს?
2. დღეს ყველა ჩვენგანი რომ სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადავიდეთ, მისი კანონებისა და სტანდარტების გათვალისწინებას მოგვთხოვენ. ასე უყურებთ თუ არა ღმერთთან ურთიერთობას? რატომ ან რატომ არა?
3. წარმოიდგინეთ, რომ ვინმე ისეთს ელაპარაკებით, ვისაც ქრისტიანად გახდომა სურს. რას ეტყოდით მას ამ კვირაში ნასწავლის ფონზე?
4. წაიკითხეთ მარკ. 8:34-35. როგორც აღმოვაჩინეთ, საკუთარი თავის უარყოფის სურვილი რეალურად უარყოფას არ ნიშნავს. განმარტეთ, რა უბიძგებს პიროვნებას, რომ სურვილის დონეზე დარჩეს ნაცვლად იმისა, რომ იესოს სიტყვისამებრ იცხოვროს.
5. მოდი კიდევ ერთხელ გადავხედოთ მათ. 7:21-ს. იესომ ოთხ კარგ თვისებაზე ილაპარაკა, რომლებიც იესოს არცთუ გულმოდგინე მიმდევრებსაც ახასიათებთ: მისი მოძღვრების რწმენა, ემოციური აღტაცება, სახარების გავრცელებაში მონაწილეობა და მსახურებაში ჩართვა. ვიცით, რომ ღმერთი არ მოგვიწოდებს მსჯავრდადების ან შიშის გამო მოქმედებისკენ. თქვენი აზრით, რა იქნება ამ გამოცხადებაზე მართებული პასუხი?

საკითხავი

„ხოლო ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია,
საიდანაც ველით მხსნელს,
უფალ იესო ქრისტეს“.
ფილ. 3:20

ახალი აღთქმის თვალსაზრისით, აღიარება „იესო უფალია“, არსებითად, ქრისტიანობის საფუძველია. რომ. 10:9-ის თანახმად, იესოს უფლად აღიარებით იწყება ქრისტიანული ცხოვრება. თუმცა ბევრი ჩვენგანისთვის „იესო უფალია“ არც ისე მნიშვნელოვანია. ამ ფრაზას ვამბობთ, გალობასა და ლოცვაში ვიყენებთ, მაგრამ არ ვუკავშირებთ ფაქტს, რომ იესოსთვის უფლის წოდება ჩვენს ცხოვრებაში მის ყველაზე დიდ ავტორიტეტად აღიარებას ნიშნავს.

სანამ ვირწმუნებდით, ქვეყნიერების მოქალაქეები ვიყავით. იმ დროს ღვთის ნების ცოდნის ან ძიების არავითარი მიზეზი არ გვქონდა. ახლა აღარ ვართ ქვეყნიერების მოქალაქენი. ახლა ღვთის სასუფევლის – ზეციერი სამეფოს მოქალაქეები ვართ. ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი მისი სამეფოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს და მისი მმართველის – უფალ იესო ქრისტეს – ბუნებას უნდა ასახავდეს.

როგორია მისი ბუნება? ამის გასაგებად გადავხედოთ იესოს ამბავს გეთსემანიის ბაღში, რომელიც აღწერილია მარკოზის სახარებაში (14:32-43). ეს მოხდა იესოს გაცემამდე, სანამ მას რომაელებს გადასცემდნენ ჯვარცმისთვის. ყურადღება მიაქციეთ 36-ე მუხლის ბოლოს, სადაც იესო მამას ეუბნება: „იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი!“

ჯვარზე სიკვდილი მორჩილების მეტად ძნელი აქტია, მაგრამ ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ მორჩილებაში დიდი და პატარა საკითხი არ არსებობს. როცა იესოს უფლად მივიჩნევთ, მის ნებას ვემორჩილებით მაშინაც კი, როცა რაღაცის მიმართ დათმობაზე წასვლა უმნიშვნელო ჩანს და უხერხულობის გრძნობას გვიჩენს ან ნაკლებად პოპულარულია. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ: „მე შენს ნებას ვირჩევ“.

ამ პირობით მიიღეთ იესო? თუ არის რაიმე თქვენს ცხოვრებაში ჩვეულებაში გადაზრდილი ცოდვები ან ეგოისტური ამბიციები, რომელთაც გამუდმებით უპირატესობას ანიჭებთ ღვთის მითითებებზე მეტად? საჭირო არ არის მსჯავრდადება ან სირცხვილი იგრძნოთ. ახლა ის დროა, რომ ცხოვრების ახ-

ალი წესი დაამკვიდროთ. მიდით ღმერთთან ლოცვით და სულიწმიდას სთხოვეთ დახმარება, რომ იესოს უფლის საკადრისი პატივი მიაგოთ! როცა დროს დაჰყოფთ მის თანდასწრებასა და სიტყვაში, იგი გასწავლით, როგორ იცხოვროთ ზეცის მოქალაქეების შესაფერისად.

იფიქრეთ!

„ღმერთს გადაეცით თქვენი თავი სრულად და მთლიანად ... ღვთიური გზებით ცხოვრებისთვის“. (რომ. 6:13 The Message)

გამოიყენეთ!

მოგვიანებით, გაკვეთილების შესწავლისას ვიმსჯელებთ ღვთიურ გაძლიერებაზე, რომელიც მორჩილებით ცხოვრებაში გვეხმარება ისე, რომ არც ლეგალიზმში გადავვარდეთ და არც მსჯავრდადების ზეწოლის ქვეშ აღმოვჩნდეთ. ამ კვირას მინდა საკუთარ თავს ჰკითხოთ: *სრულად ვემორჩილები თუ არა იესოს უფლობას?*

ყოველ ჩვენგანს აქვს უყურადღებოდ მიტოვებული მხარეები. ამრიგად, ჩემი რჩევა იქნება, რომ მოძებნოთ ვინმე თქვენი მოყვარული და სანდო პიროვნება – მეუღლე, ახლო მეგობარი ან რომელიმე წინამძღოლი, ვისაც თქვენი სჯერა და საუკეთესო სურვილები ამოძრავებს. გაუზიარეთ მას თქვენ მიერ ნასწავლი პრინციპები უფლობაზე და მისი შეხედულება მოისმინეთ. ხედავენ თუ არა ისინი რაიმე თვისებას ან მხარეს თქვენში, რომლის ზეგავლენითაც კომპრომისზე მიდიხართ?

თუ მათ სათქმელი ექნებათ, გულისყურით მოისმინეთ. ისევ უფალთან მიიტანეთ მათგან მიღებული პასუხი. სთხოვეთ მას, რომ ჭეშმარიტება დაგანახოთ ნათქვამიდან გამომდინარე. თავმდაბლობა ძლიერი იარაღია ცდუნების წინააღმდეგ. ამ მარტივმა დავალებამ, შესაძლოა, სრულიად უჩვეულო გარდაქმნა მოიტანოს თქვენს ცხოვრებაში!

კვირა 3

წაიკითხეთ 6-7 თავები

ეს კვირა შეესაბამება მესამე ვიდეოგაკვეთილს

სადისკუსიო კითხვები

1. ნებისმიერი კარგი მიზანი საშიში ხდება, როცა ღვთის შეცნობისა და პატივის მიგების სურვილს ჩაანაცვლებს. იმსჯელეთ ქვემოჩამოთვლილ მიზნებზე. რა სიკეთით გამოირჩევიან ისინი? შედარებისთვის, როგორ ავცდებით სწორ მიმართულებას, თუ მათ უმთავრეს მიზნად დავისახავთ?
   - ფინანსური დაცულობა;
   - პოპულარობა;
   - გავლენა;
   - ხელგაშლილობა;
   - ჰუმანიტარული საქმიანობა;
   - შედეგიანი მსახურება.
2. წარმოიდგინეთ, რომ მოსესთან იყავით, როცა ღმერთმა მას ისრაელის აღთქმულ მიწაზე გაგზავნა შესთავაზა მისი თანხლების გარეშე. იმ მომენტში, რა დაგეხმარებოდათ იგივე გადაწყვეტილების მიღებაში, რაც მოსემ მიიღო?
3. რა ნიშნები ახასიათებს პიროვნების ღმერთთან დამოკიდებულებას, როცა მისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რაც მისგან შეიძლება მიიღოს, ვიდრე თავად ღმერთი? თუ თქვენს ცხოვრებაში ამგვარი ნიშნები გამოჩნდა, როგორ შეცვლიდით აღებულ მიმართულებას?
4. წარმოაჩინეთ თქვენი თვალთახედვა, როგორ შეიძლება მოხერხდეს ქვეყნიერების ღვთისთვის მოპოვება ისე, რომ მისი მეგობარი არ გახდე?
5. ლეგალიზმი სხვა არაფერია, თუ არა ხორციელად ცხოვრების ერთ-ერთი ფორმა. რას ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, ისე გავუფრთხილდეთ ღმერთთან მეგობრობას, რომ რელიგიოზურ აზროვნებაში არ გადავვარდეთ?

საკითხავი

„... სიხარულის სისავსეა შენი სახის წინაშე ...“.
ფს. 16:11

რწმენის ერთ-ერთი უდიდესი გამოცდაა ის, რასაც უკვე შეჩვეული ხართ: მოკლე გზა.

მოსესაც ჰქონდა მოკლე გზის არჩევანი უდაბნოში ყოფნისას. მან ეგვიპტიდან სინაის მთამდე იმოგზაურა მოწუწუნე და მეამბოხე ხალხთან ერთად. მისთვის აღთქმული ქვეყნის დროულად დამკვიდრება მიმზიდველი წინადადება უნდა ყოფილიყო. დათანხმდებოდა თუ არა მოსე ამ შემოთავაზებას ღვთის თანდასწრებაზე უარის თქმის ხარჯზე?

ათასობით წლების შემდეგ იესოც შეეჯახა მოკლე გზას უდაბნოში. სატანამ მსახურების დაწყების წინ შესთავაზა სირთულეების გვერდის ავლა და ერებზე მეფობის ადვილადმისაღწევი საშუალების გამოყენება. ერთადერთი, რაც მას უნდა გაეკეთებინა, ეშმაკის თაყვანისცემა იყო. წავიდოდა თუ არა იესო დათმობაზე, რომ უმტკივნეულოდ შეესრულებინა ღვთისგან მიღებული დავალება, რომელიც ჯვარცმით უნდა განხორციელებულიყო?

ის ფაქტი, რომ სატანამ ხსენებული ტაქტიკა ღვთის ძეზეც გამოსცადა, ბევრ რამეს ამბობს ამგვარი მიდგომის ეფექტურობაზე, რაც მას კარგად მოეხსენებოდა. ამ ისტორიას მოგვიანებით ისევ დავუბრუნდებით. ახლა კი მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იესო ერთადერთი არ ყოფილა, ვინც წარმატებით შეეწინააღმდეგა სატანის ხრიკებს. მოსემ აწონ-დაწონა და ღმერთთან ერთად უდაბნოში დარჩენა არჩია აღთქმულ მიწაზე მის გარეშე შესვლას. რატომ? იმიტომ, რომ იცოდა, რა დააკლდებოდა.

ვისურვებდი, რომ თქვენ მიერ მთელი გულით ნათქვამი „დიახ“ ყოფილიყო პასუხი კითხვაზე: „არის თუ არა ღვთის თანდასწრებაში ყოფნა თქვენი უმაღლესი მიზანი?“ თქვენი პასუხი მხოლოდ გონების გავარჯიშების შედეგი რომ არ იყოს, თავდაპირველად, სხვა კითხვას უნდა უპასუხოთ: „იცით, რას ნიშნავს ღვთის თანდასწრებაში ყოფნა?“

ჩემო მეგობარო, მინდა, რომ მოსეს მსგავსად შეიყვაროთ ღვთის თანდასწრებაში ყოფნა. მინდა, ღმერთთან ძალზე ახლო ურთიერთობის ისეთი წყურვილი აღიძრას თქვენში, რომ არავითარი ადვილი გამოსავალი არ ღირდეს მისი უგულებელყ-

ოფის ფასად. ასეთი წყურვილი ღვთის თანდასწრების განცდიდან მოდის, რომელსაც თავად მისგან იღებთ.

იაკობი გვეუბნება: „მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ“ (იაკ. 4:8). მასთან ახლოს მისვლა ნიშნავს ლოცვის, თაყვანისცემის და ღვთის სიტყვის კითხვისთვის დროის გამოყოფას. ეს ყველაფერი თქვენთვის შესასრულებელი დავალება კი არ უნდა იყოს, არამედ პიროვნებასთან ურთიერთობის გამყარების საშუალებები. ღვთის ძიების დროულად დაწყება ისეთ პოზიციაზე დაგაყენებთ, რომ არჩევანის სიმრავლისას სწორი გადაწყვეტილების მიღებას შეძლებთ.

იფიქრეთ!

„მიპოვით, როცა მთელი გულით მომძებნით“. (იერ. 29:13)

გამოიყენეთ!

ნებისმიერი ურთიერთობა გულისხმობს, რომ მასში მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს რაღაც უნდა შესთავაზონ, მაგალითად, გამხნევება, დარიგება და პრაქტიკული მხარდაჭერა. თუმცა ჯანსაღი ურთიერთობა არ ემყარება იმას, რის მიღებაც მეორე მხარისგან შეგვიძლია – აქ მთავარია პიროვნება. ზოგჯერ ეს გვავიწყდება ღმერთთან ურთიერთობაში. ვინაიდან ღმერთია ყველა ჩვენი საჭიროების წყარო, ჩვენს ყურადღებას მასთან სათხოვრების მიტანა იპყრობს და გვავიწყდება მისი რეალურად შეცნობა.

ღმერთს სურს, რომ მასთან თხოვნები მივიტანოთ! და მაინც, თუ მტკიცეა თქვენი გადაწყვეტილება, რომ მისი ახლოს გაცნობა უმთავრეს მიზნად დაისახოთ, შეეცადეთ პირადად მასთან გაატაროთ დრო ამ კვირის განმავლობაში. იფიქრეთ მის ბუნებაზე. გაიგეთ, რა ანიჭებს მას სიხარულს. შეარჩიეთ მონაკვეთი ბიბლიიდან და იფიქრეთ, რას გიცხადებთ ის ღვთის შესახებ. ვლოცულობ, რომ ამ დროის განმავლობაში ისეთი რამ აღმოაჩინოთ, რაც თქვენი შემოქმედის მიმართ დიდი სიყვარულით აგავსებთ.

კვირა 4

წაიკითხეთ 8-9 თავები

ეს კვირა შეესაბამება მეოთხე ვიდეოგაკვეთილს

სადისკუსიო კითხვები

1. ბუნებრივად ადამიანებს ჰგონიათ, თითქოს მათი გონება ღვთის შემეცნებისთვის არის მომართული, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ ფიქრი სხვა საგანზე აქვთ გადატანილი. როგორ უნდა დაადგინოს პიროვნებამ, სინამდვილეში რაზეა მომართული მათი გონება?
2. თანამედროვე ქვეყნებში ადამიანები უკიდურეს ხერხებს მიმართავენ, რომ სელებრითებს ან ცნობილ ადამიანებს დაემსგავსონ, მათნაირად იმოქმედონ ან დაუხლოვდნენ, თუმცა, შეიძლება, საერთოდ არ მიეცეთ მათი გაცნობის საშუალება. ამის საპირისპიროდ, ღმერთი შეგვპირდა, რომ ყველა მაძიებელი იპოვიდა მას. თქვენი აზრით, რატომ არ სურთ ადამიანებს ცხოვრების წესის შეცვლა, რაც მათ ღვთის შეცნობაში დაეხმარება, თუმცა მზად არიან ძირეული ცვლილებებისთვის, რომ სხვა ადამიანი გაიცნონ?
3. მოიფიქრეთ, რა ხერხებით შეიძლება დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად ღვთის თანდასწრებას ეძებთ და არა, უბრალოდ, სასიამოვნო გარემოს. წამოაყენეთ იდეები როგორც ცალკეული პიროვნების, ისე კოლექტიური შეკრებებისთვის.
4. მნიშვნელოვანია სიწმინდეზე მსჯელობა ურთიერთობის თვალსაზრისით, რადგან სიწმინდე, საბოლოო ჯამში, ღვთის შეცნობას შეეხება. პრინციპის გააზრებისთვის, ურთიერთობის თვალსაზრისით გადახედეთ ნაცნობ ათ მცნებას გამ. 20:1-17-ში. რას ამბობს ღმერთზე თითოეული მათგანი?
5. შესაძლოა, წარმოუდგენელი გამოწვევის წინაშე დგახართ: შეეცადეთ, სიწმიდეზე იფიქროთ ღვთის თვალთახედვით. (შეუძლებელია, დიახ, მაგრამ მთელი ძალით შეეცადეთ!) ახლა უკვე იცით, რა უნდა გააკეთოთ მის პიროვნებასთან ურთიერთობისას და რა სურს მას ჩვენთვის. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ღვთის ხალხის სიწმინდე როგორც ქრისტეში ჩვენი მდგომარეობის, ისე ქცევის თვალსაზრისით?

საკითხავი

„... ახლა კი ისეთ საქმეებს აკეთებთ,
რომელთაც სიწმიდისკენ მიყავხართ ...“.
რომ. 6:22 (NLT)

ჩვენი სწავლების ამ მომენტამდე ვიცდიდი, რომ სიწმიდის თემა განგვეხილა. მინდოდა, დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ კარგად გესმოდათ, რა არის კონტროლი, მსჯავრდადება ან ადამიანის მიერ დაწესებული სტანდარტის თანახმად მოქცევა. სიწმიდე ურთიერთობას უკავშირდება.

დავუშვათ, გყავთ ოჯახის წევრი, რომელიც ძალიან გიყვართ, მაგრამ იგი გამუდმებით უპატივცემულობას იჩენს, ამასთან ყოფნა, მავნე და არასაიმედოა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი გიყვართ, ვფიქრობ, მასთან ურთიერთობა არ გახარებთ. თუ ის არ შეიცვლება, დამოკიდებულებაში გარკვეულ ჯანსაღ ზღვარს დააწესებთ. ეს, ალბათ, მოიცავს გადაწყვეტილებასაც, რომ ყოველდღიურად მის გვერდით არ იყოთ.

როგორც ბოლო კვირას ვიმსჯელეთ, ღმერთი პიროვნებაა, რომლის გვერდით ყოფნასაც ვესწრაფვით. ღმერთი ასევე სრულიად წმინდაა. ჩვენთვის რთული და არაჯანსაღია ცუდი ქცევის ადამიანთან ყოფნა, მაგრამ შეუძლებელია ვინმემ მოახერხოს ღვთის თანდასწრებაში ყოფნა სიწმიდის გარეშე. სწორედ ამიტომ არის წმიდად ცხოვრება ასე მნიშვნელოვანი! კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ებრ. 12:14: „მისდიეთ სიწმინდეს, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს“. სიტყვა *მისდიეთ* ნიშნავს „რაიმეს კეთებას გაძლიერებული ძალისხმევით და განსაზღვრული მიზნით“. ყურადღება მიაქციეთ *მიდევნების* ორ ელემენტს: გაძლიერებულ ძალისხმევას და განსაზღვრულ მიზანს. ჩვენი მიზანი, როგორც უკვე დავადგინეთ, ღვთის თანდასწრებაში ყოფნაა. ამრიგად, ყურადღება მივაპყროთ წმინდა ცხოვრებისკენ სწრაფვას!

სიწმინდეს საერთო არაფერი აქვს ლეგალიზმსა და უსიცოცხლო რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან. მაშასადამე, სიწმინდისკენ სწრაფვა ყოველი ჩვენგანისგან ორ რამეს მოითხოვს:

1. **ვიყოთ ღვთის სიტყვის მოწაფე**. ქვეყანაზე ბევრი რამ არსებობს, რასაც ადამიანური აზროვნება ან საზოგადოება კარგს უწოდებს, მაგრამ ღვთის თვალში ასეთი არ არის. ანალოგიურად, ზოგიერთი აკრძალვა, რომელიც სულიერი

ჩანს, ბიბლიაში საერთოდ არ იპოვება და ადამიანებზე თავსმოხვეულია კულტურის ან ტრადიციის მიერ. წმ. წერილი ჩვენი სტანდარტია. მასში მთლიანად უნდა ჩავეფლოთ, რომ წმინდა ცხოვრების ღვთისმიერი განსაზღვრება გავიგოთ.

2. **ვიყოთ ყურადღებიანი სულიწმიდისადმი**! ღმერთი არასოდეს დაგავალებთ ისეთი რამის გაკეთებას, რომელიც მის სიტყვას ეწინააღმდეგება. იგი ნებისმიერ სხვა პიროვნებაზე უკეთ გიცნობთ. მან იცის თქვენი სუსტი მხარეები, სადაც ცდუნებას ადვილად დანებდებით. ამის გამო შესაძლებელია, რომ მოგცეთ განსაკუთრებული მითითებები, რაც სურს რომ გააკეთოთ ან არ გააკეთოთ.

ამ ორი წყაროდან მიღებული მითითებები სწორი გზის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ!

იფიქრეთ!

...ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი, რომელიც ჩვენს სვლას ანელებს და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი (ებრ. 12:1 NLT)

გამოიყენეთ!

პავლე ქრისტიანულ ეკლესიას ეუბნება: „მომბაძეთ მე, როგორც მე „ქრისტეს!“ (1 კორ. 11:1). არის ვინმე თქვენს ირგვლივ, ვინც ღვთის სიტყვა იცის და მის სულს უსმენს? მოიწვიეთ ასეთი ადამიანები თქვენთან სასაუბროდ ამ კვირის განმავლობაში. ჰკითხეთ ღმერთთან ურთიერთობის შესახებ როგორ გაიზარდნენ ისინი ბიბლიის გაგებასა და ღვთის ხმის ამოცნობაში? მათი შინაგანი წვდომის უნარი, სავარაუდოდ, მრავალი წლის გამოცდილების შედეგია, ამრიგად, კარგად მოუსმინეთ მათ!

კვირა 5

წაიკითხეთ 10-12 თავები

ეს კვირა შეესაბამება მეხუთე ვიდეოგაკვეთილს

სადისკუსიო კითხვები

1. ბიბლიის თანახმად, ღვთისა და მისი ეკლესიის მთავარი მახასიათებელი სიწმიდეა. აქამდე რას თვლიდით ღვთის ძირითად თვისებად? ეკლესიის? ამ კვირას ნასწავლი დაუპირისპირდა თუ არა თქვენს შეხედულებებს ან აღძრა თუ არა ახალი გამოცხადება?
2. მადლის შესახებ არასრული სწავლება აკნინებს მას და ჩვენი ცოდვების გადაფარვის უბრალო საშუალებამდე დაჰყავს. ახალი აღთქმის თანახმად, მადლი მოგვიტევებს ცოდვებს და ასევე, სიწმიდეში სიარულის ძალას გვაძლევს. ზოგიერთისთვის პირველი ნაწილის აღქმა ადვილია. განმარტეთ, რატომ არის უკეთესი ახალი აღთქმის სიტყვა მადლის შესახებ?
3. წაიკითხეთ 27:6. იმსჯელეთ მუხლზე შემდეგი მოსაზრების გათვალისწინებით: „ჩვენთვის უმჯობესია, რომ არაფერი უარყოფითი არ ვიქადაგოთ და ვასწავლოთ!“
4. მხოლოდ ის, რომ ნაქადაგები სიტყვა სასარგებლოა, არ ნიშნავს, რომ იგი სასურველია. ფაქტობრივად, ჭეშმარიტებასთან შეჯახება თავიდან ტკივილს ან უხერხულობას იწვევს, მაგრამ ხანგრძლივ თავისუფლებას და გარდაქმნას უზრუნველყოფს. მოიყვანეთ ერთი მაგალითი თქვენი გამოცდილებიდან, როცა რაღაც სასარგებლო, მაგრამ არასასურველი იყო. რას აჩვენებს თქვენი ილუსტრაცია ღვთის სიტყვაში ჩვენი ჩართულობის თვალსაზრისით?
5. როცა ადამიანები მსოფლიოს შეცვლაზე ლაპარაკობენ, ხშირად კანონმდებლობას ან სოციალურ მოძრაობებს გულისხმობენ. რა ქმნის პირად სიწმიდეს ძლიერ ძალად, რომ საზოგადოების ცვლილების შთამაგონებელი იყოს?

საკითხავი

„... გაძლიერდი მადლში, ქრისტე
იესოში რომ არის“.
(2 ტიმ. 2:1)

დღესდღეობით მადლის შესახებ ორ ძირითად სწავლებას შორის აშკარა სხვაობა არსებობს. მისი არსი მარტივი კითხვიდან ჩანს: „გინდათ თავი კარგად იგრძნოთ თუ გინდათ, კარგი იყოთ?“ (*კარგში* ვგულისხმობ, რომ *ღმერთს ეკუთვნოდეთ*).

მადლზე ახალი აღთქმის სწავლების მიღება არ ნიშნავს, რომ ვარჩიეთ, საცოდავები ვყოფილიყავით. პირიქით, იესომ კაცობრიობაში მისი მოვლინების მისია ასე აღწერა: „მე კი იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ და უხვად ჰქონდეთ“. (იოან. 10:10) ქრისტეში ყოველთვის იპოვით მარადიულ სიხარულს. აქ მთავარი ის გახლავთ, ჩვენს პრიორიტეტებს ზეცისას შევუთანხმებთ თუ არა. ღმერთი არასოდეს იზამს, რომ ჩვენი კომფორტი ჩვენს სიკეთეზე მაღლა დააყენოს. თავად გვინდა კი ეს?

ფაქტობრივად, შეგვიძლია გადავწყვიტოთ, მადლის რომელი სიტყვის დაჯერება გვსურს. შესაძლებელია, ვიკითხოთ წმ. წერილი და მაინც მოვისურვოთ საკუთარი აზროვნების თანახმად მოქცევა? გავურბივართ ძნელად მოსასმენ სიტყვას და მხოლოდ იმას ვუსმენთ, ვინც ჩვენთვის სასურველს ამბობს იმ ადამიანის მსგავსად, ორ ექიმს რომ გაესინჯა. შეგვიძლია იმ დიაგნოზით ვიცხოვროთ, რომელიც ყველაზე სასიამოვნო მოგვეჩვენება?

თუ ამ ბილიკს ავირჩევთ, თავს კარგად ვიგრძნობთ! და მაინც, მოვუსმინოთ იესოს ცნობილ სიტყვებს: „რა სარგებელი აქვს ადამიანს, თუ მთელ წუთისოფელს შეიძენს, თავის სულს კი ავნებს?“ (მარკ. 8:36) ამრიგად, დავუბრუნდეთ ჩვენს კითხვას: „გინდათ, თავი კარგად იგრძნოთ თუ გინდათ, კარგი იყოთ?“

ვიმედოვნებ, უკვე იწყებთ იმის გაცნობიერებას, რომ მადლი, როგორც გამაძლიერებელი სიტყვა, ყველაზე საოცარი ახალი ამბავია. როცა იმის რწმენა გვაქვს, რომ მადლი უბრალოდ ჩვენს ცოდვებს ფარავს, ცხოვრებაში დაბრკოლებებს ვაწყდებით, ჩვევაში გადაზრდილი ცოდვა გვტანჯავს და შიშითა და ტყუილით გვავსებს. როცა გამაძლიერებელ მადლს ვიღებთ, იესოს მსგავსად ცხოვრების უნარი გვეძლევა: თავისუფლად,

გაბედულად, ენთუზიაზმით, ძალაუფლებით და კურთხევით. ღვთის მადლი ის ტვირთი არ არის, რომლის სიმძიმე გვაჩოქებს. როგორც იოანე მოციქული ამბობს:

> „ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს; ხოლო მისი მცნებები მძიმე როდია. რადგან ყველა, ვინც ღმერთისგან არის შობილი, სძლევს წუთისოფელს; და ეს არის ძლევა, და წუთისოფლის მძლეველი – ჩვენი რწმენა“. (1 იოან. 5:3-4)

თუ ღმერთი კარგია და ჩვენთვის საუკეთესო სურს, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მისი მცნებები ჩვენი ცხოვრებისთვის საუკეთესო გზა იქნება! მადლობა უფალს ჩვენში მოქმედი მისი მადლის ძალისთვის, რადგან მისი მცნებები მძიმე აღარ არის. ეს საოცარია!

იფიქრეთ!

„საკმარისია შენთვის ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“. (2 კორ. 12:9)

გამოყენეთ!

მზად ხართ, რომ უარი თქვათ იმაზე, რაც ადვილი ან უფრო მოხერხებული გეჩვენებათ და ისიამოვნოთ ღვთისნიერი ცხოვრებით? თუ ასეა, გამოხატეთ ეს ღვთისადმი ლოცვით: *ზეციერო მამა, მადლობას გიხდი, შენი გამაძლიერებელი მადლისთვის. მინდა მისი მიღება არა მარტო ცოდვების მიტევების, არამედ შენი ძალის სახითაც, რომელიც ისეთი საქმეების კეთების საშუალებას მომცემს, რომელთაც ჩემი ძალებით ვერასოდეს მოვახერხებდი. დარწმუნებული ვარ, რომ შენ კარგი ხარ. ამიტომ ყველა შენი მცნება, როგორიც არ უნდა იყოს, ჩემთვის საუკეთესოა. მინდა, დიდება მოგიტანო, ღმერთო! გარდამქმენი, რომ სულ უფრო მეტად და მეტად დაგემსგავსო! იესოს სახელით, ამინ!*

კვირა 6

წაიკითხეთ 13-16 თავები

ეს კვირა შეესაბამება მეექვსე ვიდეოგაკვეთილს

სადისკუსიო კითხვები

1. რატომ ელოდებიან ადამიანები უფრო ნაკლებს ღვთისგან, ვიდრე მას შეუძლია? თუ რომელიმე ასეთ ფაქტორს შეხვდებით, როგორ უნდა დასძლიოთ იგი?
2. იფიქრეთ მილიარდერისა და სამი მეწარმის ილუსტრაციაზე. თქვენი აზრით, რატომ იყო მესამე მეწარმის ხედვა დანარჩენებზე გაცილებით ფართომასშტაბიანი? წარმოიდგინეთ, მისი დამოკიდებულება წარსულსა და მომავალზე. წარმოიდგინეთ, მის მიერ გაწეული მზადება ინვესტორთან შეხვედრისთვის. რა გააკეთა მან ისეთი, რის გაკეთება თქვენც შეგიძლიათ ცხოვრებაში ღვთის გეგმასთან დაკავშირებული მოლოდინის გასაზრდელად?
3. ამ სწავლებისას გაგებულზე დაყრდნობით განმარტეთ: რამდენად განსხვავებულად უდგება გარჩევის უნარს ხორციელად მოაზროვნე ვიდრე ღვთის მოწიფული შვილი? რა უნიკალური საშუალებები და აზროვნების სისტემა დაეხმარება ქრისტიანს სათანადო გარჩევის უნარის ქონაში?
4. როგორ ცვლის ღვთის შიში განსაცდელებში გავლის დამოკიდებულებას? რას აკეთებენ და ამბობენ უფლის შიშის მქონე ადამიანები ზეწოლის დროს? რა სახის ქცევას არ უნდა მოელოდეთ მათგან?
5. ახლა, როცა სწავლების დასასრულს ვუახლოვდებით, დაადგინეთ რა მზა საკვების წაღება შეგიძლიათ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფის სახით. რა პრაქტიკულ ნაბიჯებს, პრინციპებსა და ფასეულობებს გამოიყენებთ ამიერიდან თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? რა სახე ექნებათ მათ? ჩამოაყალიბეთ პრაქტიკული და კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯები, რომ წინ ძლიერად იაროთ!

საკითხავი

„თავმდაბლობის და უფლის შიშის საზღაური:
სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლეა“.
იგ. 22:4

ამ სწავლების განმავლობაში ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ: იესოს უფლობა, სიწმიდე და მადლის ჭეშმარიტი ბუნება რამდენიმე მათგანია. თქვენ რთულ კითხვებს უპასუხეთ საკუთარ თვალთახედვასა და ახლანდელ ცხოვრებაზე. ახლა მინდა, თქვენი ყურადღება მივმართო იმ ცხოვრებისკენ, რომელიც შეიძლება გქონდეთ!

გადახედეთ ეფეს. 3:20-ს *The Message* ბიბლიიდან:

> „ღმერთს ყველაფერი შეუძლია – გაცილებით მეტი, რის წარმოდგენა, ჩაწვდომა ან თხოვნა შეგიძლიათ ყველაზე თამამ ოცნებებში! იგი გარედან კი არ გვიბიძგებს, არამედ ჩვენს შიგნით შრომობს მისი სულიწმიდით, ღრმად და ფაქიზად“.

ღმერთმა არაფერი დაზოგა, რომ მისი ვყოფილიყავით. მან უდიდესი შესაძლებელი საზღაურით გამოგვისყიდა, როცა საკუთარი ძის სიცოცხლე გაიღო. არ არსებობს მიზეზი, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი უცაბედად ძუნწი გახდა!

ღმერთმა ყველაფერი მოგვცა იმისთვის, რომ გავიხაროთ მისი საუკეთესო შემოთავაზებებით: მისი სიტყვის ჭეშმარიტება, მისი სულიწმიდის ხელმძღვანელობა და მისეული მადლის ძალა. და მაინც, როგორც ეფესელთა წერილის მუხლი ამბობს, ღმერთი არ გვაიძულებს მასთან თანამშრომლობას დასახული მიზნის მიღწევაში. იგი გვიწვევს, რომ გამოვიყენოთ რწმენა, გარჩევის უნარი და თავმდაბლობა, რომ აღმოვაჩინოთ ცხოვრება ყველაზე დიდი ოცნებების მიღმა.

ამრიგად, რა გხევთ უკან? რა საზღვრავს თქვენს წარმოდგენას? რა გაიძულებთ მცირედის მოთხოვნას, როცა შესაძლებელია ულევი რესურსის მიღება?

დროა ღმერთთან ერთად იოცნებოთ. რა სფეროებში ელოდებით მცირედს და გწამთ მცირედის მიღების? რა დაპირებების მიღების გეშინიათ? რატომ? დაე, ღვთის სიკეთემ შთაგაგონოთ! დაიწყეთ იმის მოთხოვნა, რისი მიღების იმედიც არ გაქვთ! მას გაცილებით უკეთესის მოცემა აქვს განსაზღვრული!

იფიქრეთ!

„რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია და კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს“. (1 კორ. 2:9)

გამოიყენეთ!

ჩვენ ვისაუბრეთ ოცნებებსა და შეზღუდვებზე; ახლა უფრო მეტი რამ განვსაზღვროთ! ამ კვირას გარკვეული დრო მიუძღვენით სიღრმისეულ ფიქრს ოცნებაზე! დასაწყისისთვის აიღეთ ქაღალდის ფურცელი ან მისი ციფრული ეკვივალენტი და თქვენი ცხოვრების რამდენიმე მხარე ჩამოთვალეთ! თქვენი სია, ალბათ, მოიცავს:

- ღმერთთან ურთიერთობას;
- სხვა ურთიერთობებს;
- ქორწინებას და ოჯახს (ახლა და მომავალში);
- ფინანსებს;
- კარიერას;
- ადგილობრივ ეკლესიას და მსახურებას;
- განსაკუთრებულ ნიჭებს ან მისწრაფებებს.

თითოეული სათაურის ქვეშ დაწერეთ თქვენი მოლოდინი ამ სფეროში. ეს იქნება თქვენი ცხოვრების ჩანაწერები, რასაც გულისა და გონების სიღრმეში ფიქრობთ. რას ელოდებით ღმერთთან ურთიერთობიდან? რა იქნება საუკეთესო მომავალი, რომელსაც წინასწარ ხედავთ თქვენი ფინანსებისთვის? თქვენი ოჯახისთვის?

ახლა ლოცვით დაუბრუნდით სიას! სულიწმიდას სთხოვეთ, გაგიცხადოთ მისი ხედვები და დაპირებები! სად აბრკოლებს შიში თქვენს ხედვას? ზღუდავს თუ არა თქვენს წარმოსახვას ძველი ტკივილები ან იმედგაცრუებები? თქვენი აზრით, რა არ აინტერესებს ღმერთს და რას ამბობს ის ამის შესახებ? გახსოვდეთ, თქვენი ხედვა განსაზღვრავს თქვენს შესაძლებლობებს! ღმერთმა თქვენს ცხოვრებას საზღვრები მოაშორა. უკვე დროა, რომ თქვენც იგივე გააკეთოთ!

შეუპოვარი



ძალა, რომელიც საჭიროა, რომ არასოდეს დანებდე!

ღმერთია პასუხისმგებელი ჩვენს გასაჭირზე? იგია ჩვენი განსაცდელებისა და ტანჯვის წყარო? ამ ცხოვრებაში გარდაუვალია სიძნელეები, მაგრამ წმ. წერილი კარგ ახალ ამბავს გვაწვდის: „იმეფებთ ცხოვრებაში ... იესო ქრისტეს მიერ!“ (რომ. 5:17). ეს წიგნი ცხოვრების გარდამქმნელ ჭეშამრიტებებს გაგიცხადებთ გაჭირვებაზე, გამძლეობასა და თქვენს ცხოვრებაში ღვთის მიერ განსაზღვრულის აღსრულებაზე.
თქვენ, როგორც ღვთის შვილებს, გაქვთ ის, რაც დაბრკოლებას კარგად დასრულებისთვის საჭირო ძალად აქცევს! თქვენი ხვედრია ძლიერება ამ ცხოვრებაში! წიგნში „შეუპოვარი“ განსაცდელების დროს გამარჯვებულთა ხედვას აღმოაჩენთ და ყველა შემხვედრი სირთულისა და გაჭირვების ძლევის ხერხებს შეისწავლით.

– მტკიცედ ჩაეჭიდეთ ქრისტეში მოცემულ აღთქმებსა და ძალას!
– დაადგინეთ თქვენი გაჭირვების სათავე!
– გამარჯვებით შეაბიჯეთ სულიერ მმართველობაში!

„შეუპოვარი“ მოიძიეთ ვებგვერდზე CloudLibrary.org
ელექტრონული წიგნის, ასევე აუდიო და ვიდეო
გაკვეთილების სახით მრავალ ენაზე.

ქორწინების ამბავი



იყო და არა იყო რა ....

ქორწინება ყოველთვის არსებობდა. ეს გახლდათ აღთქმა, რომელიც ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებდა. ეს კავშირი ორივეს უფრო ძლიერსა და კეთილშობილს ხდიდა ისე, რომ გაცილებით მეტად გამოიხატებოდა მათი შექმნის მიზნის შესატყვისი პიროვნული თვისებები. ისინი ერთად უკეთესები იყვნენ, ვიდრე თითოეული ცალ-ცალკე.
საქორწინო ცერემონია მხოლოდ დასაწყისი იყო. იგი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრების კარიბჭე გახლდათ. ყოველი გადაწყვეტილება და მოქმედება მათი კავშირის მიერ წარმოჩენილი ცხოვრების შენებას ემსახურებოდა. ქმარმა და ცოლმა გაერთიანებული გულებით, ხელებითა და ხმებით შეაბიჯეს დიდ და უცნობ სამყაროში, სადაც თავიანთი შემოქმედის სიყვარული უნდა გამოეხატათ.
როგორ დავკარგეთ ამ ძირეულ სიყვარულის ამბავთან შეხება? წიგნში „ქორწინების ამბავი“ ჯონ და ლიზა ბევირები ღვთის თავდაპირველი გეგმის ხელახლა აღმოჩენას გვთავაზობენ. დაქორწინებული ხართ, მარტოხელა თუ მხოლოდ დანიშნული, თქვენი ამბავი ღმერთს უკავშირდება და მისი ნაწილია.

ინტერაქტიული წიგნი მოიცავს:
– ყოველდღიურ საკითხავებს
– კითხვებს ჯგუფური განხილვისთვის
– თქვენი საოცნებო ქორწინების კარტირებისთვის საჭირო იარაღებს
– თქვენი ამბის კარგად დაწერისთვის საჭირო ნაბიჯებს

სიკეთე თუ ღმერთი?

სახელმძღვანელო, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, *„სიკეთე თუ ღმერთი?“-ს სასწავლო პროგრამის ნაწილია* ჯონ ბევირისგან. წიგნის წაკითხვა და თანმხლები სასწავლო მასალების გამოყენება, რომელთაც თანდართულ დისკზე მოიძიებთ და CloudLibrary.org-დან ჩამოტვირთავთ, ამ დინამიური და ცხოვრების გარდამქმნელი სწავლების ყოველი ნაწილის გაცნობისა და ათვისების საშუალებას მოგცემთ. მათი სათანადოდ შესწავლა გავლენას მოახდენს თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაზე, გაამდიდრებს მას და ღვთისთვის უფრო მეტის გაკეთების ძალას მოგცემთ.

„სიკეთე თუ ღმერთი?“ წიგნის სრული სასწავლო პროგრამა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

– **„სიკეთე თუ ღმერთი?“ სახელმძღვანელო წიგნი**
პროგრამის ერთადერთი ბეჭდური ნაწილი
წიგნი ასევე არის თანდართულ დისკზე PDF-ფაილის სახით.
– **„სიკეთე თუ ღმერთი?“ დისკის რესურსი**
თანდართული დისკი მოიცავს პროგრამის სრულ მასალას ციფრულ ფორმატში. მის ჩართვას ვერ შეძლებთ საშინაო DVD ფლეიერით, თუმცა ფაილები იკითხება ტაბლეტით, კომპიუტერით ან სმარტფონებით.
– **„სიკეთე თუ ღმერთი?“ აუდიო წიგნი**
სიკეთე თუ ღმერთი? თქვენს მშობლიურ ენაზე MP3 ფორმატში.
– **„სიკეთე თუ ღმერთი?“ ვიდეოგაკვეთილები**
6 ვიდეოგაკვეთილი MP4 ფორმატში.
– **„სიკეთე თუ ღმერთი?“ აუდიოგაკვეთილები**
6 ვიდეოგაკვეთილი MP3 ფორმატში.
– **მასალები ბონუსის სახით**
დისკი ასევე მოიცავს დამატებით წიგნებსა და რესურსებს „შეუპოვარის“ და „ქორწინების ამბის“ ჩათვლით ჯონ და ლიზა ბევირებისგან.

ყველა ზემოჩამოთვლილი და კიდევ უფრო მეტი
რესურსი იხილეთ ვებგვერდზე: CloudLibrary.org

ყველა ეს პროგრამული
რესურსი თქვენი საჩუქარია!

შეგიძლიათ, გააკეთოთ დისკის ასლები, გადაიღოთ მასალები, ელ. ფოსტით გაუგზავნოთ მეგობრებს, დააკოპიროთ და გადაიტანოთ ტექსტი Word-ის დოკუმენტში, სწავლება გაუგზავნოთ თქვენს ეკლესიას, ატვირთოთ ინტერნეტში სხვებისთვის გამოსაყენებლად.
გაგზავნეთ ეს რესურსები ყველგან, სადაც ღვთის სიტყვისა და ძალით აღვსილი ქრისტიანული ცხოვრების შესახებ კარგი სწავლების წყურვილია.

მეტი ინფორმაცია *სიკეთე თუ ღმერთი?-ის* სასწავლო პროგრამის კომპონენტებზე:
– ამ დისკზე არსებული ფაილები არ გამოდგება ჩვეულებრივი ვიდეოფლეიერისთვის. ისინი წარმოადგენენ „შერეულ მედია-ფაილებს“ ვიდეო, აუდიო და ტექსტური ფაილების ერთობლიობით. მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე ან რომელიმე სხვა ციფრულ მოწყობილობაზე.
– **MP4 ვიდეო ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ და ნახოთ ტაბლეტზე ან კომპიუტერზე.
– **MP3 აუდიო ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე.
– PDF ციფრული ფაილები შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე.
ადვილად შესაძლებელია მათი წაკითხვა, ამობეჭდვა ან გამრავლება.

დამატებითი რესურსები მრავალ
ენაზე მოიძიეთ შემდეგ ვებგვერდზე:

CloudLibrary.org

რესურსების დისკი ჯონ ბევირის პირადი საჩუქარია. იგი რამდენიმე მნიშვნელოვან რესურსს გთავაზობთ, რაც ამ ძალმოსილი სწავლების კიდევ უფრო გაღრმავების საშუალებას მოგცემთ და სხვებსაც გაუზიარებთ. თავისუფლად შეგიძლიათ ამ პროგრამის ნებისმიერი ნაწილის გავრცელება ან კოპირება! ფაილები გაუგზავნეთ სხვებს, დაურიგეთ ღვთის სიტყვის შესწავლით დაინტერესებულ პირებს, ატვირთეთ ინტერნეტით, დაბეჭდეთ ან გაამრავლეთ. ის სპეციალურად შეიქმნა, რომ შთააგონოს და გაამხნევოს ყველა ქრისტიანი მთელს მსოფლიოში.
ეს და სხვა სწავლებები (თქვენს მშობლიურ ენაზე) ჯონ და ლიზა ბევირებისგან იხილეთ ვებ-გვერდზე:

www.CloudLibrary.org

შესაძლებელია დამატებითი რესურსების ნახვა და ჩამოტვირთვა მრავალ ენაზე ვებ-გვერდებიდან Youtube.com და Youku.com, ასევე სხვა ანალოგიურ გვერდებზე.

თუ რაღაც კარგია, ის ნამდვილად კარგი უნდა იყოს, არა?

ამ დროისთვის ტერმინები *სიკეთე* და *ღმერთი* სინონიმებად მიიჩნევა. დარწმუნებული ვართ, რომ საერთო აზრით, სიკეთე ღვთის ნებას უნდა შეესაბამებოდეს. სიუხვე, თავმდაბლობა და სამართლიანობა კარგია. ეგოისტობა, სიამაყე და სისასტიკე ბოროტებაა. განსხვავება სრულიად აშკარა ჩანს. ნუთუ ეს არის ყველაფერი? თუ *სიკეთე* ასე ნათელია, რატომ გვასწავლის ბიბლია, რომ მის ამოსაცნობად გარჩევის უნარი გვჭირდება?

სიკეთე თუ ღმერთი? არ გახლავთ მორიგი სიტყვა საკუთარი თავის სრულყოფისთვის. ეს წიგნი ქცევის შეცვლაზე გაცილებით მეტს მოგთხოვთ. იგი ძალას მოგცემთ ღმერთთან ისეთი სახის ურთიერთობის დასამყარებლად, რომელიც თქვენი ცხოვრების ყველა ასპექტს შეცვლის.

თანდართული DVD სხვადასხვა რესურსებით

ჯონ ბევირი და მისი მეუღლე, ლიზა – მსახურება Messenger International-ის დამფუძნებლები არიან. ჯონი მსახური და ბესტსელერების ავტორი გახლავთ. იგი დიდი გაბედულებით და ენთუზიაზმით ქადაგებს შეუვალ ჭეშმარიტებებზე. მისი გული ადგილობრივი ეკლესიის მხარდაჭერის სურვილით ანთია და მასალებს უსასყიდლოდ გადასცემს წინამძროლებს მათი საცხოვრებელი ადგილის, ენისა და ფინანსური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად. დღევანდლამდე მის მიერ შექმნილი რესურსები თარგმნილია 90-ზე მეტ ენაზე, ხოლო მთელი მსოფლიოს მწყემსებსა და წინამძროლებს შორის მილიონობით ეგზემპლარი დარიგდა. როცა ჯონი ოჯახში იმყოფება, იმედს არ კარგავს, რომ ლიზას გოლფის პარტიის თამაშზე დაითანხმებს და დროს ოთხ შვილთან, რძალსა და შვილიშვილებთან ატარებს.

გადმოტვირთედ ეს და სხვა მასალები:

www.CloudLibrary.org

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

MESSENGER
INTERNATIONAL
MessengerInternational.org

გსურს მეტის
დასანერგი